

პრესა

არ გაგობრჩეთ!
გორა მანველიძის
ახალი ღებეჭივი
„ქვები“

რატომ სჭირდება ქართულ
ფილმს პორნობრაფია

N37(483) 10/IX-16/IX.2009
ფასი 1 ლარი



ლანო –
რომანტიკული
და გიჟი

**ქართული გოგონა,
რომელზეც მოსკოველები
აფანებებენ**

**„ჩემი უყვარსესი
ცნობილი მამაკაცია“**



**კინორეჟისორ
კვანდაძის
ფილმსოფია**



**ფსიქოლოგის თვალით დანახული
სკოლის პრობლემები**

„გაუზაბთან პედაგოგების სკოლავენ“



**უფლისგან
გამორჩეული
ქართული**

**„12 მოციქულზე
12 თვე ვმუშაობდი“**

„პატრიარქი სულიერად ვერ გატეხეს“



ISSN 3007-0029

ბიბლიუსი

Books

წიგნის მატარიათა ქსელი



უნდა ავმაჯლოდეო გარეთ,
უნდა განვმტკიცდეო შიგნით,
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით.

ქართუ

წაიკითხე წიგნები - უკეთესად იქნები!

თბილისი: აღმაშენებლის №121;
იოსებძის №49;
რუსთაველის 40/1
ბათუმი: მ. აბაშიძის №62
ზუგდიდი: რუსთაველის №92

სენაკი: რუსთაველის №241
ფოთი: ფარნავაზ მეფის №12
სამტრედია: სააკაძის №6
ხაშური: რუსთაველის №69
დუშეთი: რუსთაველის №11

ახალი რუსთავი: მეგობრობის გამზ. №12
(კინოთეატრ რუსთაველის წინ)

ქვეყანა



მისო, წადი „შკოლაში“...

ბავშვების გარემოცვაში მიხეილ სააკაშვილი ყველაზე კარგად გრძობს თავს! ბავშვებსაც აშკარად მოსწონთ მასთან ურთიერთობა... ჰოდა, წადი, რა, „შკოლაში“, ინგლისური ასწავლე, ფრანგული ასწავლე, ესპანური ასწავლე, უკრაინული ასწავლე... დაისვენებს ყველა, ქვეყანასაც არგებ... ეეჰჰჰ, ფანტაზიებმა გამიტაცა...

5

მსოვრება

როგორ უნდა უთხრა არასასურველ მამაკაცს სექსზე უარი



მაგალითად, როგორ შეიძლება იცოს გაგებული შენ მიერ ნათქვამი ასეთი ფრაზა — „ჩვენი არ გაქვს გაპარსული“? ეს ნუნუს — „ჩემი შესაფერისი არ ხარ“ ან, სხვანაირად რომ ვთქვათ — „არ მიწინდისარ“ და ამის მიზეზი ისაა, რომ არ მოგწონს.

31

სახე



ნინო კონენიკა დღემთილთან ქმარზე ჭორაობს

„ჩემი ძმა კარგად სწავლობდა, მაგრამ მე მუსიკაში ვიყავი წარჩინებული და ასე ვთქვათ, „პარადი“ მიმყავდა. თუმცა, დიდი ხელშეწყობა არ მიქონია, გზა ჩემით გავიკვალე“...

19




№37 (483)
10 - 16 სექტემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

- **ვინიატიურები**
- მისო, წადი „შკოლაში“... 5
- **ჭრელი მსოფლიო**
- **რეპორტაჟი**
- შაღბა თუ არა ანგარიში? 7
- **პრობლემა**
- ფსიქოლოგის თვალთ დანახული სკოლის პრობლემები 9
- **მეომარი**
- შვილის თავდადება და მამის სიმწარე 12
- **პოლიტიკა**
- დიდი ეპროვა, დიდი რუსეთი და იაკონიასავით დაჩაბრული საქართველო... 14
- **ალსარება**
- „აფხაზებს ვუთხარი — თქვენი ეთნოსის გადარჩენა მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ-მეთქი“ 17
- **ფსიქოლოგები**
- ნინო კონენიკა დღემთილთან ქმარზე ჭორაობს 19
- **არღალეზები**
- ✓ „სილაგაზის წყაროზე“ 25-ჯერ მიიხს ვიყავი, მაგრამ მიიხს ვერ გავლამაზდი“ 21
- ✓ ექსტრემის მოყვარული ანანო მუხამბეგოვი მზის უფისხება 22
- **სსოვრების სტილი**
- „მხატვრულ ფილმს უპროგრამული ელემენტი სჭირდება“ 23
- **ნარკოტიკები**
- უოპულარული ქართველი მოსკოვი 25
- **პარსკვლავები**
- ✓ პოლიუდი და პლაჟის სეზონი 28
- ✓ „სამოქალაქო ბიზნესიდან ნახვლას არ ვაპირებ“ 30
- **თქვენთვის, ქალბატონებო**
- ორთბრძოლა დამოუკიდებელი დანსრულდა! 31
- **წუთისოფალი**
- საქართველო ხელის მოგზადავად მზითვი 33
- **სასარგებლო ინფორმაცია**
- რა პაპს სწავლობს ბიჭინის და ატომურ აუთოქებას?... 35
- **ორნი**
- ანა შორაშვილი და ანა ანლოპალი (მაგარკელა) 36
- **კონსულტაცია**
- როგორ უნდა უთხრა არასასურველ მამაკაცს სექსზე უარი 39
- **განსაცხადი**
- ოჩაძის მინდო ჩამარხული ოქრო 41

მზაგნილები

თავისუფალი თემა



ახლობელს ოსებთან ჩხუბი მოუვიდა და საქმის გასარჩევად და ოსურის გადასათარგმნად ბიძაშვილი წაიყვანა. ოსებმა დაუწყეს მისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკი, ბიძაშვილი კი უკულმა უთარგმნა.

83

■ მოღა	
„ყველაზე უბრალო სამოსის ქი შეიქმნება ელვანგურად ვაქსიოთ“	43
■ ავტო	45
■ საქითსავი ქალეონათონის	
✓ ლაგაზი ნაგნაგნაზი რომ გომნდეთ	46
✓ რომორ მოვუაროთ თმას სივ ამინდოზი	47
■ ანტილვარსანეთი	48
■ მოზანიკა	
✓ აღგილი, სდას სსოვრება შექალეგელია	48
✓ უგეველო პროფსინიები	49
■ ტაქარი	
ქრისტიანოზის პირველ სავუენეგზი არსებული რელიგიური მიმდინარეობები	50
■ ჯანმრთელოზა	
✓ რომორ ვეამოთ	52
✓ რა დანიხავს ქვქს	53
■ ოსტატი	
„12 მოსიქულა 12 თვის განმავლოზაში ვეუპოგბი“	55
■ ქვალე	
ფიროსგანის ბელი „უგეველოვამო ნიქალესთონის“	57
■ გზა ტაქარაგელი	
„გავუპოგბიდან არ მომნდა სავუალეგა, დეთის სიგყვას ვუნიარებოდი“...	59
■ უმიგროზის არკივიდან	
ურავეზა მიგბული მიზროპოლიტი და ექლესიის ქვრთსეპას შენიროლი სუთი სისოსსლა	62
■ თინიქვარული პონგები	
უსიყვარულო ქორსინეზა	64
■ მინიროგანი	
როგორს გინდა	67
■ ნამდვილი აგვავი	
„პიარშიქი“ ხანეზა	69
■ ქართული დეგაქივი	
გომნა მანველიქი. კგეზი (დასანყისი)	70
■ რეალური	
ეშვაკის მოსიქული (გაგრქელეზა)	74
■ სანიყვარულო როგანი	
სვება ქვარასხელია.	
ნითელი ფხსასხელი (დასასრული)	76
■ დოქვინგზური პროზა	
შენვედრები სტალინთან (გაგრქელეზა)	80
■ გზავნილეზი	
თავისუფალი თეგა	83
■ ყველა ერთისთავის	
„ან მარტო დარჩები, ან სივი, უნეში აღამიანის სოლი განდები“	88
■ მარტივი რევეები	
რა არის „ქარიზმა“?	90
■ მოგილიზაშია	91
■ გონიერი მკითხველი	95
■ ერუღიტი	
„გავუპოგბაში ნიგნეზს ქალღაგნეგით მკითხეგდენ“	96
■ გასართობი	98
■ გაგამეზა	
მენენე სავყაროს მარტონელა გინადარი	100
■ ღანქალისი	
„ამ სავქტაქლში რაღას ფორმით მეღეა ისევე დარჩეზა“...	102
■ ანტროლოგია	104
■ სქანეორკი	105
■ საფირმო ქროსოორკი	106

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ქორნალი „გზა“**
გამოდის კვირაში მრთხელ, სუთუგათოზით
გაზვით „კვირის პალიტრის“ დამატგბა

ქურნალი ხელმძღვანელოზს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოდელიეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქეჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

ღიზანინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,
ლუკა ქორქოლიანი**

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. №49**
ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**
რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

აღამიანი



„სტოპ, ცოდვა!“

უნდა ვიძახოთ — „სტოპ, ცოდვა!“ უნდა განვეშოროთ ცოდვებს და ღმერთი არა მარტო შეაჩერებს რუსეთის მთავრობის აგრესიას, არამედ აფხაზეთსა და სამაჩაბლოსაც დაგვიბრუნებს!

55

გიგლუსი




კგეზი

სად გაქრა ის ხალხი, ვინც დატრილები საავადმყოფოში მოიყვანა?! — ხმას აუწია რამაზმა.

გოგას უმაღლ თვალწინ დაუდგა მიმღებ განყოფილებაში შემოტრილი სამი ახალგაზრდა. ისინი ყვირილით მიმორბოდნენ დერეფანში და გაფითრებულეები ექიმს ითხოვდნენ.

67

სამყარო




„ყველაზე უბრალო სამოსის ქი შეიქმნება ელვანგურად ვაქსიოთ“

სექტემბერ-ოქტომბერში ნამდვილად ბევრი ქორნილია. ეს დღე ყველა პატარძლისთვის განსაკუთრებულია. წლეულს თეთრ საქორნილო კაბებს იშვიათად ვკერავთ

43

ტანი-აუტი



მენენე სამყაროს მარტონელა გინადარი

არ დაიფერებო, მაგრამ ჩინური ვარდი თავისი ბუნებით ლამაზ ქალს მაგონებს, ყველაფერი საუკეთესო უნდა, იმისათვის, რომ ერთი ცალი „ღიმილი (ყვავილი) გაჩუქოს“, სულ უნდა ევოფინო.

95

მიხო, წაღი „შკოლასში“...



მსავლის ნაცვლად ეს ჩემი „პროფოკაციები“, ცხადია, „ალეგორიული“ „ნანარმოებები“ და ვერაფერს მომთხოვს „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპების დაცვას, მაგრამ არც ისეთი უსინდისო და პროფოკატორი ვარ, ფაქტები გავაყალბო და ვინმეს ცილი დავწამო. ასეთი გაუგებრობის შემთხვევაში, ბოდიშის მოხდაც უნდა შეგეძლოს კაცს და ასეც ვაპირებდი: ვინც წინა სუთშბათის „პროფოკაცია“ წაიკითხა, ემასხოვრება, პრეზიდენტისთვის ფეხსაცმლის ტყორცნის ამბავზე რომ ვლადობდი, მაგრამ „ჩვენმა“ ტელევიზიებმა ისეთი დღე გვაყარეს მე და რუსულ ტელეარხებს, ისე კონტად აჩვენეს, სააკაშვილი „კონკიას“ რომ ეძებდა რეზინის ქოშით ხელში, სორცხვილით დავინვი და საბოდიშო არხაც მზად მქონდა გამოსაქვეყნებლად, მაგრამ რა...

მაგრამ რა და ის, რომ არ ვიცი, უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს: რუსულ ტელეარხებთან ერთად, მე აღმოვჩნდი მართალი! ვერაფერი სასიამოვნოა ასეთი ჩათლახების კომპანიაში ყოფნა, თუნდაც მართალ საქმეში, მაგრამ მაინც გამიხარდა, რომ ბოდიში არ მქონია მოსახდელი. ერთი სიტყვით, ტყუილად გაისარჯენ ჩვენი ტელეკოლეგები სამთავრობო არხებიდან, მაინც „გაბაზრდა“ განმუხრელი „კონკიას“ ამბავი — რეალურად არსებულ პიროვნებას, რეალური „ტუფლის“ სროლისთვის, „რეალურად“ და თანაც ოპერატიულად მიუსაჯეს 7 წელი „პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობისთვის“!!! სხვათა შორის, მისი „კონკიობაც“ რე-



ალურია და სახუმარო კი არა, საქვეყნო პრობლემაა, ჩვენ რომ ნორმალური ხელისუფლება გვყავდეს: 31 წლის კაცი, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა და 3 შვილი ჰყავს გასაზრდელი, თავისი გაჭირვების შესახებ დაწერილი წერილის გადაცემას ცდილობს პრეზიდენტისთვის და ამის საშუალებას არ აძლევდნენ... მერე კი ის იყო, რაც იყო, და ვნაცვალე მარჯვენაში!!! მოვიდნენ ახლა და დამიჭირონ... ..მაინც მომიწევს ბოდიშის მოხდა, ოღონდ — მკითხველისთვის: ცოტა გავცხარდი...

მოდი, ახლა ცოტა გავმხიარულდეთ და ამ დღეების ორი სასაცილო შეხვედრა გავისხენოთ: საქართველოს ნაკრები-იტალიის ნაკრები და მიხეილ სააკაშვილი-მუხრან მაჭავარიანი!!!

თუ ვინმემ ზუსტად არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „ტრაგიკომედია“, ა ბატონო: ორივე ეს შეხვედრა! ახლა მე არ ვიცი, როგორ დამთავრდება ისლანდია-საქართველოს მატჩი, მკითხველს უკვე ეცოდინება ამ სტრუქტურების ნაკითხვისას, მაგრამ ეს განა რამეს ცვლის?! განა ოდესმე გადაფარება „ისტორიის მტერიანი ფარდა“ ჩვენი კაპიტნის უნიკალურ რეკორდს?! საგანგებოდ მოვიძიე და არ ყოფილა ფეხბურთის ისტორიაში ასეთი ფაქტი, რომ კაპიტნის ორი ავტოგოლით წაეგოს ნაკრებს... და

ალარც იქნება, ალბათ... არავის ეგონოს, ნიშნის მოგებით ვლადპარაკობდე ან სხვაზე მეტად არ შემცოდებია იმ მომენტში კალაქე და არც არაფერს ვიტყვოდი, მაგრამ მატჩის შემდეგ, ინტერვიუში კაპიტანმა ბრძანა: ასეთი რამ ხდება ხოლმეო!.. არა, ბატონო, არ ხდება ხოლმე! არსად! მხოლოდ აქ მოხდა, ჩვენთან! და მალტასთანაც მხოლოდ ჩვენ ვაგებთ, ქართველები! და ფეხბურთის თამაშიც მხოლოდ ჩვენ დაგვაგინცდა, ქართველებს! და კიდევ, კალაქე იმის კაპიტანია, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს ისიც ასწავლოს — ევროპელობა კი „ასწორებს“, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშის წინ ფეხებს რომ იპარსავს(!!!) — ტელევიზორში „გოგჩოები“ მიყურებენო, — ეს მაგრად „ტეხავს“!



რაც შეეხება მეორე შეხვედრას, პრეზიდენტისა და პოეტის „რანდევეუს“: ქართველებს უამრავი სატოვანი გამოთქმა გვაქვს, მაგრამ აქ ყველაზე ზუსტი იქნებოდა — „ღობე-ყორეს ედება“ (პოეტზე არ ვამბობ, რასაკვირველია)... თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ორიოდ თვის წინ გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრის შემდეგ, დასკვნები გამოუტანია, უკეთ უმეცადინია და ზოგიერთი ლექსის დეკლამირებისას ათზე მეტი შეცდომა არ დაუშვია...

ბატონი მუხრანი პოეტია, ინტელიგენტი და თანაც იმერელი — ცხადია, ვერ ეტყოდა ყველაფერს, რასაც მასზე ფიქრობდა, მაგრამ როგორც სხვა დიდი პოეტის, ოღონდ ფრანგის, ერთ ლექსშია: „თვალები, თვალები... მისი აღმფოთებული თვალები...“

P.S. ახლა, ამწუთას ამ „პროფოკაციის“ უკვე რედაქციაში გაგზავნას ვაპირებდი, მაგრამ საინფორმაციო გამოშვებისკენ გამექცა თვალი და... ევროკა!!! პრეზიდენტი ბავშვებს ხედება, თავის სასახლეს ათვალეირებინებს, ერთ-ერთი მათგანი თავის სავარძელში ჩასვა, ბევრილაკიანი ტელეფონი მიუწია ახლოს, ჯერ მდივანი გამოაძახებინა, მერე უთხრა, — რომელ მინისტრსაც გინდა, დაურეკე და რაც გინდა, ის უთხარო, მაგალითად, მერაბიშვილსო! მაგრამ ჭკვიანი ბავშვი აღმოჩნდა და უარი თქვა... მერე პრეზიდენტი ბავშვებთან ერთად მთანმინდის პარკში წავიდა, კარუსელები, ამბავი... ჰოდა, „ევროკა“ რა შუაშია და აი, რა აღმოვაჩინე: არავითარი ძალდატანება, არაბუნებრობა, ნერვული „ნიკები“, სისულელეების ლაბარაკი... ერთი სიტყვით, ბავშვების გარემოცვაში მიხეილ სააკაშვილი ყველაზე კარგად გრძნობს თავს! ბავშვებსაც აშკარად მოსწონთ მასთან ურთიერთობა... ჰოდა, წაღი, რა, „შკოლასში“, ინგლისური ასწავლე, ფრანგული ასწავლე, ესპანური ასწავლე, უკრაინული ასწავლე... დაისვენებს ყველა, ქვეყანასაც არგებ... ეეჰჰჰ, ფანტაზიებმა გამიტაცა...

„ბუნათლახალი“ ბანათლახის სამინისტრო



საფრანგეთის განათლების სამინისტრომ, რომელსაც ლიუკ შატელი თავაჯცობს, სასწავლო წლის დაწყებამდე წიგნიერების მხარდასაჭერი მიმართვა გამოსცა, სადაც უამრავი შეცდომაა. ჟურნალისტურ წრეში გავრცელებული ინფორმაციით, ამ დოკუმენტში სწორად სიტყვები არადანიშნულებისამებრა გამოყენებული, მხოლოდითი რიცხვი — მრავლობითის ნაცვლად; არის ორთოგრაფიული შეცდომებიც. საერთო ჯამში, გაზეთის — The Daily Telegraph — ჟურნალისტმა მიმართვაში რამდენიმე ათეული შეცდომა დათვალა. მოგვიანებით, სამინისტრომ ყველა ჟურნალ-

ისტს სთხოვა, მოეცადათ, სანამ ტექსტის შესწორებული ვარიანტი მომზადდებოდა. ფრანგული გამოცემა Le Point აღნიშნავს, რომ სამინისტროს საიტზე ახალგამოქვეყნებული განცხადება შეცდომებს არ შეიცავს.

ინტერნეტაუქციონზე გასაყიდი გოგოლაბი

მათ ბევრი რამ მომცეს, მაგრამ ახლა დროა, წინ გავიხედოო, — აღნიშნა თავის განცხადებაში კონეკტიკუტში მცხოვრებმა მამაკაცმა, რომელმაც ონლაინ-აუქციონის საიტზე გასაყიდად ხანში შესული წყვილი „გაიტანა“. 51 წლის მაიკლ ამატრადო წერს: „ჩემი დედ-მამა კარგი ჯანმრთელობით გამოირჩევა, ისინი სიცოცხლით სავსენი არიან“, — და „საყვარელი“ მშობლების სანყის ფასად 155 დოლარი დაასახელა. პოტენციურ მყიდველებს ალტერნატივაც აქვთ: მაიკლი მზადაა, დედ-მამა „40 წლამდე ასაკის ცეცხლოვან, ქერა ლამაზმანზე ან მოქმედ ერექტორზე“ გადაცვალოს...

მეზობლების მტკიცებით, ამატრადომ შეთავაზებზე არაერთი გამომსაურება მიიღო, ზოგიერთი მომხმარებელი წერს, რომ კარგი მშობლები იშვიათი მონაპოვარია. სხვათა შორის, მოხუცები შვილზე არ განაწყენებულან, განცხადება ხუმრობად მიიღეს, მაიკლმა კი მოგვიანებით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი მოწყენილობამ გადაადგმევინა და ამგვარად გართობა გადაწყვიტა. საიტის მომხმარებლებმა კი ეჭვი გამოთქვეს, რომ ამატრადო ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანია.



დალუჯალ მინისტრს 67 მოქალაქე ბალაჰვა

ინდოეთში 67 კაცი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ანდჰრაპრადეშის შტატის მთავარი მინისტრის, რაჯაშეკჰარ რედის ავიაკატასტროფაში დალუპვის ამბავი შეიტყო. საყვარელი პოლიტიკოსის გარდაცვალების გამო, ზოგი გულის შეტევისგან გარდაიცვალა, ზოგმაც თავი მოიკლა. ამან დალუპული მინისტრის შვილი აიძულა, მამის თაყვანისმცემლებისთვის მიემართა მო-



წოდებით, თავი ხელში აიყვანონ და თვითმკვლელობაზე ხელი აიღონ. უმეტესობა მიღებული შოკისგან გარდაიცვალა, როცა მომხდარი უბედურების შესახებ ტელეეკრანიდან შეიტყო. ერთ-ერთმა თვითმკვლელობა ასეთი წერილი დატოვა: „SR-მა (რედის მოკლე მეტსახელი) თავისი ცხოვრება ხალხს მიუძღვნა, მე კი მას ვუძღვნი ჩემს სიცოცხლეს“. რედი 60 წლის იყო, ის პარტია „ინდური ნაციონალური კონგრესის“ რეგიონულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

პირველი ლედი პენარაზი გაფრინდა...



საპარლამენტო არჩევნები იაპონიაში დემოკრატიულმა პარტიამ მოიგო. 16 სექტემბერს ქვეყნის მთავრობას 62 წლის იუკიო ჰატოიამა ჩაუდგება სათავეში. ამობერილი თვალეების გამო მას „უცხოპლანეტელს“ ეძახიან. აი, იაპონიის ახალი პირველი ლედი კი, 66 წლის მიუკი ჰატოიამა საკუთარ თავს მართლაც უცხოპლანეტელად მიიჩნევს. ქალბატონმა ჰატოიამამ შარშან გამოცემულ წიგნში დაწერა, რომ უცხოპლანეტელთა დახმარებით, 20 წლის წინ... პლანეტა ვენერაზე იმოგზაურა. წიგნს ეწოდება „უცნაური ამბები, რომლებიც თავს გადამხდენია“. „სანამ ჩემს სხეულს ეძინა, — წერს იგი, — ჩემი სული სამკუთხედის ფორმის მფრინავი თეფშით ვენერაზე გაემგზავრა. ეს მშვენიერი მწვანე პლანეტაა. ძალიან მომეწონა“. დილით გაღვიძებულმა მიუკიმ თავისი მოგზაურობის შესახებ მამისგან თავის პირველ ქმარს უამბო, კაცმა კი უპასუხა, — ეს მხოლოდ სიზმარიაო... ასეთი ორიგინალური პირველი ლედი იაპონიას ჯერ არასდროს ჰყოლია. ვენერაზე გაფრენის გარდა, მან იმითაც გაითქვა სახელი, რომ ირწმუნება, — ენერგიას უშუალოდ მზისგან ვიღებო... ახლა მიუკი ჰოლივუდში ფილმის გადაღებაზე ოცნებობს და სურს, მთავარი როლი ტომ კრუზმა შეასრულოს. პირველი ქალბატონი დარწმუნებულია, რომ წინა ცხოვრებაში კრუზი... იაპონელი იყო. „ახალგაომცხვარი“ პრემიერი ჰატოიამა არ მალავს, რომ ცოლი ძალიან უყვარს და მის რჩევებსაც ყოველთვის ითვალისწინებს.

მოამზადა თამთა ლაღუშელა

ქვეყანა



„ანგარიში ხალხს“ — რუსთაველის გამზირზე ამ სახელწოდებით მონ-ყობილ აქციას დამთვალეირებული ნამდვილად არ აკლდა. გადავეტილ პროსპექტზე ვირტუალური საბაჟოს გავლით მოვხვდი. საფოსტო ყუთი წარწერით — „წერილი მინისტრს“ — 18-ივე სამინისტროს პავილიონთან იდგა. მოქალაქეების ნაწილი საკუთარ სატყვივარზე პირადად მინისტრებს ან მათ მოადგილეებს ელაპარაკებოდა, სოლო ნაწილი მთავრობასთან ურთიერთობას წერილობითი ფორმით ამჯობინებდა. ყველაზე ხმაურიანი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პავილიონი იყო. სახელდახლოდ აგებული კოტეჯის შესასვლელში მინისტრი კობა სუბელიანი იდგა და ლტოლვილებს ელაპარაკებოდა. კოტეჯის გვერდით, ბორდიურზე ჩამომჯდარი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც მინისტროს სახელზე წერილს წერდა.



შედეგ თუ არა ანგარიში?

„გაფუჭებული მები აქვთ თუ გააჩეთაული...“

სათუნა ბახტურიძე
თაგუნა კვინიკაძე

ია ზონი:
— ჩვენ აფხაზეთიდან დევნილები ვართ. თბილისში „შეგარდნადის დევნილები“ შეგვარქვეს. 17 წელია, 57 ოჯახი მუხიანში, 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლის კარკასში ვცხოვრობთ. რაც შეეძლია, ისეთი საცხოვრებელი პირობები შევიქმენით. ახლა გვეუბნებიან, ბინებს მფლობელები გამოუჩნდნენ და უნდა გაგასახლოთო. ეს ჩვენთვის მეორედ დევნილობის ტოლფასია. მინისტრს უკვე შევხვდი და ჩემი მდგომარეობა აუფხსენი. ასეთ სახლებში დაგაბინავებთო, — მიპასუხა. თურმე ეს „ქოხი“ 18 ათასი ლარი ჯდება, წეროვანში, მარნეულში ან გარდაბანში გადაგიყვანთო. მე სოსუმში ვცხოვრობდი და გარდაბანში რა მინდა?! როგორ უნდა ვირჩინო თავი?
— 18 ათასი ლარი რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?
— მაგ ფულით ბინები თავად გვიყიდონ და გადავალთ. სოსუმში ჩემს სახლში აფხაზები ცხოვრობენ, „დაჩაც“ მქონდა და გადაამინვეს. ახლა აქ 3 თვეა, სიბნელეში ვართ.

საერთო მრიცხველი გვაქვს და დავალიანების გამო დენი გაგვითიშეს. 2 ათასი ლარის შეგროვება ძლივს მოვახერხეთ, მაგრამ გვეუბნებიან, ეგ თანხა საკმარისი არ არისო. ახლა წერილს ვანო მერაბიშვილის სახელზე ვწერ, ვთხოვ, იქნებ იმ ბინის მფლობელებთან საერთო ენის გამოწახვაში დაგვეხმაროს, კიდევ ერთ გასახლებას ვეღარ გადავიტანთ.
— კობა სუბელიანს მეც შევხვდი, მაგრამ მისგან გადამწყვეტი პასუხი ვერ მივიღე, — მითხრა ერედვიდან დევნილმა ეთერ რომელაშვილმა.
— **თქვენ რა განუხებთ?**
— კოდაში საერთო საცხოვრებელში რამდენიმე ოჯახი შეგვასახლეს. ჩვენი ქმრები, როგორც ვეტერანები, ყოველთვიურად 22 ლარს იღებდნენ, ახლა ეს შემწეობა მოუხსნეს. მინისტრთან ამ საკითხის გასარკვევად მოვედი, მაგრამ „გადაგვამისამართა“ — კობა გიორგაძეს მიმართეთო. მან კი ორშაბათს სამინისტროში დავგვიბარა.
— **მინისტრთან შეხვედრა სხვა დროს არ გიცდიათ?**
— კოდაში ხშირად ჩამოდის, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა უკეთესობისკენ არ იცვლება. შეხვედრა შედეგის მომტანი ხომ უნდა იყოს?! ერედვიში ჩვენი სახლები დამ-

წვარია. არ ვიცი, სვალინდელი დღე როგორი იქნება.
ჯანდაცვის სამინისტროს პავილიონთან ყველაზე ხშირად გაისმოდა: „პენსიები აღარ უნდა გაზარდოთ? აბა, 100 დოლარი გექნებათო?“ „ნამლები ასე ძვირი რატომ ღირს?“ „ეს არის ქვეყანა? ავადმყოფი ექიმთან ვერ მისულა?“ მერი ავგორაშვილი მინისტრთან შესახვედრად ავადმყოფ დედასთან ერთად მოვიდა.
— **კონკრეტულად რის სათხოვნელად მოხვედით?**
— დედაჩემი I ჯგუფის ინვალიდია, მასთან ერთად სარდაფში ვცხოვრობთ. რადგან მართო ვერ ვტოვებ, ვერ ვმუშაობ, არადა, ძვირად ღირებული გამოკვლევა და მედიკამენტები სჭირდება. სასონარკვეთილი ვარ, იქნებ, სამინისტრო როგორმე დაემხმაროს.
მოქალაქეების პრეტენზიებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ირაკლი გიორგობიანი ისმენდა.
— არ მეგონა, ეს დღე ასეთი ეფექტიანი თუ იქნებოდა. ნაკლოვანებებს ყველაზე კარგად, ხალხთან ურთიერთობისას ვხედავთ და პრობლემებს მათთან თანამშრომლობით უფრო ადვილად მოვაგვარებთ. დღეს აქ შევხვდი, როგორც ჯანმრთელობასთან

ქვეყანა

დაკავშირებული პრობლემების მქონე, ასევე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს.

— თქვენი სამინისტროსთვის ყველაზე დიდ პრობლემად რა რჩება?

— ადამიანების დაზღვევა. ხშირად ის-მის საყვედური, რომ ექიმთან ვერ მიდიან. ქვეყანაში დაზღვევის კულტურა უნდა დამკვიდრდეს. იაფი დაზღვევით 185 ათასამდე კაცი უკვე სარგებლობს. მათთვის ექიმთან მისვლა პრობლემას აღარ წარმოადგენს. სოციალურად დაუცველ 900 ათას მოქალაქეს სახელმწიფო აზღვევს. ჩვენი მიზანია, არც ერთი ადამიანი არ დარჩეს დაზღვევის გარეშე, ისეთი პაკეტი მინც ჰქონდეს, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მიიღოს.

პარლამენტის წინ არმია იდგა. თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო ტექნიკა, საველე სამზარეულო, დაჯავშნული მანქანები, გასანალი აპარატურა გამოფინა. საველე ჰოსპიტალში მოწყობილ განყოფილებაში ექიმებს უჩვეულო მორიგეობა უწევდათ.

ექიმი **ლევან ფარუაშვილი** ახლაც იმ საველე მანქანასთან მორიგეობდა, რომლითაც შარშან აგვისტოში დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა.

— სადამდეც შესაძლებელი იყო, მანქანით შევედიოდი. მიუვალ ადგილებში ფეხით გავრბოდი და დაჭრილები საკაცით გამოგვყავდა. ამ მანქანით ერთდროულად



4 დაჭრილის გადაყვანა შეგვეძლო.

— თქვენ მიერ გადარჩენილ ჯარისკაცებს დღეს თუ ხვდებით?

— რა თქმა უნდა. ყველა დაჭრილის გადარჩენა შევქედი.

„5 წელიწადში ბინას ვერ მოაწყობ შენს ჭკუაზე და ასეთი დაქცეული ქვეყნის ფეხზე დაყენებას ეხუმრები? ვნანობ, რომ პატარა ფურცლები არ ნაშოვილე, მაღლობებს დაგწერდი და ყველა მინისტრს წერილების ყუთში ჩაუგდებდი“; — ამ სიტყვების ავტორი ნანა მარსაგიშვილი საველე სამზარეულოს წინ ტრიალედა და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. მისგან განსხვავებით, უწყაოფილო იყო შუაწინის მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამოხელა არ ისურვა.

— რუსთაველზე დამარცხებული არმია დგას და ტექნიკას აჩვენებს. რისთვის უნდათ ეს ტექნიკა? რაც ჰქონდათ, გამოიყენეს?! 65 ტანკი

რუსებს ჩააბარეს და გაიქცნენ, თითო ყუმბარა მინც ჩაგდოთ!

— ამ ქვეყანაში ყველას თავისი სიმართლე აქვს, — ჩაგვერთო საუბარში დავით მისიურაძე, — ხელისუფლებას ყველაზე კარგად პიარის კეთება ეხერხება. ნახეთ, რამდენი რამ გავაკეთოთ! — და ქუჩა გადაკეტეს, სამინისტროები ანგარიშს გვაბარებენ. თუ მართლები არიან, რაც გააფუჭეს და დაკარგეს, ერთი იმის ანგარიშიც ჩაგვაბარონ. გაფუჭებული უფრო მეტი აქვთ თუ გაკეთებული, მერე გამოჩნდება.

ფილოლოგი **ნათელა მდინარაძე** რუსთაველის გამზირზე ნიკა გვარამიას სანახავად გამოვიდა, ბევრიც ეძება, მაგრამ...

— ვერ ვიპოვე, ეტყობა, მალე წავიდა.

— რის თქმას აპირებდით?

— ჩემი რომანის ერთ-ერთი გმირი განათლების მინისტრს ხვდება და ეკითხება: ბატონო მინისტრო, რით არის პოლიციელების პროფესია უფრო ღირსეული, საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი, ვიდრე პედაგოგის? რატომ აქვს მას მასწავლებელზე სამჯერ მეტი ხელფასი? მინისტრს ჩემი გმირის კითხვას გაუშეოვრებდი...

ჩემს რესპონდენტთან დამშვიდობების შემდეგ პოლიციელებისკენ გადავინაცვლე. კრიმინალისტური სამსახურის თანამშრომელს, ირაკლი ზუმბაძეს ყველაზე მეტ კითხვას თითის ანაბეჭდებთან დაკავშირებით უსვამდნენ. იყო გამოწვევებიც.

— დენ-ემის ანალიზით დანაშაულის ამოცნობა შეგიძლიათ? სათანადო აპარატურა გაქვთ? — დაინტერესდა ერთ-ერთი მოქალაქე.

— ჯერჯერობით არ გვაქვს. საკმაოდ ძვირი ღირს. ხშირია, როცა შემთხვევის ადგილზე დამნაშავე სიგარეტის ნაშთებს ტოვებს. მასზე აუცილებლად რჩება ნერვების დენ-ემი. ამერიკაში ამ აპარატურით საქმეებს ხსნიან. ჩვენთან თითის ანაბეჭდების ბაზა შევქმენით.

ხალხს ანგარიში ენერგეტიკის სამინისტრომაც ჩააბარა. თვალსაჩინოებისთვის რუსთაველზე მინიატიურული კავკასიონის გადამცემი ხაზიც კი დადგეს. მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური საკუთარ აბონენტებთან გვიანობამდე საუბრობდა.

— ბატონო ალექსანდრე, დღევანდელ დღეს როგორ შეაფასებთ?

— ასეთი შეხვედრები რაც უფრო ხშირად ჩატარდება, უფრო კარგია. რეგიონებში სულ დავდივარ, რით მოსახლეობას ვხვდები. მასთან უშუალო ურთიერთობის დროს უფრო ღრმად ვნვდები ყოფით პრობლემებს. საქმის კეთების დროს ურთიერთთანამშრომლობა და აზრის გაცვლა-გამოცვლა ძალზე მნიშვნელოვანია. დღეს ბევრი წერილიც მივიღე, მათ ნაკითხვას ხვალღან შევუდგები.

მეორე დღეს ამ ღონისძიებამ რუსთაველი გადაინაცვლა. მთავრობამ თავისი „მიღწევების გამოფენა“ რუსთაველებისთვის ქალაქის შესასვლელშივე მოაწყო. მაგრამ სახელმწიფო მოხელეთა აქტიურობის მიუხედავად, ქუჩაში გამოსული მოქალაქეები არც ნანახით ჩანდნენ დიდად აღფრთოვანებული და არც მთავრობის მიერ ჩაბარებული

ანგარიშით. „თვალდაცვასთან“ ჩველილმა ორმა ახალგაზრდამ ერთმანეთს გადაულაპარაკა: აჯობებდა, ამათ ანგარიში ცხინვალში ჩაებარებინათო... „გიფსოკარდონის“ კონსტრუქციასთან მისულმა, ხანში შესულმა ქალბატონმა სინანულით გააქნია თავი და ოხვრას ამოაყოლა: ეჰ, რაც ამათ ამ „კარდონის“ ოთახებში ფული ექნებათ დახარჯული, იმით ასი ჩემიანი გაჭირებული დასახლებოდაო. ამ სიტყვების გამგონე, იქვე მდგომმა ახალგაზრდა მამაკაცმა მიუგო: ეგ რა არის, ქალბატონო, რასაც ესენი ტანკებისა და მანქანების წინ და უკან ხრიგინში სანავს ხარჯავენ, იმით მამაჩემისნაირი ათასი გლეხი ტრაქტორს აამუშავებდა და საქმეს გააკეთებდაო. რუსთაველს ხელისუფლებასთან სხვა ბევრი პრეტენზიაც აქვთ და ამას არც მალავენ...

მაპ ლაცაზიძე, პედაგოგი:

— როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ასეთი აქციით საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იმის თაობაზე, თუ რას აკეთებენ სამინისტროები. ძალიან უცნაური გადაწყვეტილებაა. ხელისუფლება ხალხს ანგარიშს ყოველდღიურად უნდა აბარებდეს, მაგრამ ქუჩაში გამოფენების მოწყობით კი არა, რეალური ქმედებებით. ჯანდაცვის მინისტრს რომ მოუსმინოთ, თურმე დღე და ღამე ხალხზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებს. თუ ეს მართლაც ასეა, რატომ მოგვისხნეს ის შეღავათები, რომლითაც ერთი წლის წინ ვსარგებლობდით?

— თქვენ რა შეღავათებით სარგებლობდით?

— ჩემი მცირეწლოვანი შვილისთვის ადრე ექიმთან კონსულტაცია უფასო იყო, ახლა ექიმებს თუ ფულს არ მისცემ, გამარჯობასაც არ გეტყვიან. ეს კიდევ არაფერი, შვილის ექიმთან ვიზიტისთვის ფულს როგორმე ვიშოვი, მაგრამ იმ ადამიანებმა რალა უნდა ექნან, მძიმე სენით რომ არიან დაავადებულნი და ოპერაციის კი არა, ტკივილგამაყუჩებლის ფულიც არა აქვთ? ადრე კიბოთი დაავადებულებს უფასოდ უკეთებდნენ ქიმიოთერაპიას, ახლა კი მათ ყოველგვარი შეღავათი მოუხსნეს, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ განირეს.

— ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრს კითხვა არ დაუსვით?

— ვერ დაუვსვი: ვიდრე იქამდე მივდი, მინისტრი უკვე მანქანაში იჯდა.

ლაშა ხატინაშვილი, იურისტი:

— აქ მოსვლის შემდეგ ერთ რამეში დავრწმუნდი: ჩვენი ხელისუფლება არ იცვლება, ისევე ჩვეულ სტილში განაგრძობს საკუთარი თავის პიარს. დღეს ნამდვილი პროფესიონალები მხოლოდ პიარის დარგში გვყავს. აქ რომ გამოფინეს ამდენი სამხედრო ტექნიკა და თავს ინონებენ, ეს ყველაფერი შარშან აგვისტოში სად ჰქონდათ?! ისე არ გამიგოთ, რომ ომში დაღუპული ბიჭების გმირობას არაფრად ვაგდებ; ყველამ ვიცით, რომ ამ ომმა ცალკეული გმირების ხარჯზე გადაიარა. აჯობებს, მინისტრებმა ხალხს ანგარიში მაშინ ჩააბარონ, როდესაც დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებენ, ათასობით ლტოლვილს საკ-

უთარ სახლებში დააბრუნებენ, სამუშაო ადგილებს შექმნიან, ჯანდაცვაში არსებულ პრობლემებს მოაგვარებენ...

თაბარ ლოსუარაშვილი, ისტორიკოსი:

— ამ გამოფენის ერთადერთი პლუსი ის იყო, რომ ხალხი გაერთო და სიახლით გაიმრავალფეროვნა თუნდაც ერთი დღე. რა მზრუნველი ხელისუფლება გვეყოლია, თვით პრემიერ-მინისტრი გვესტუმრა და მოგვისმინა; რამხელა სულგრძელობაა მათი მხრიდან!.. ეს, რა თქმა უნდა — ხუმრობით; სერიოზულად კი — ძალიან ვნუხვარ, რომ ხელისუფლება არ იცვლება და ფასადური საქმეების კეთებას განაგრძობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ გამოფენამ ძველი საბჭოური „პარადები“ გამახსენა.

— **საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაც ასეთი კონტაქტური იყო?**

— არა, უშუალონი და კონტაქტურები არ იყვნენ, მაგრამ ისინიც, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, თვალში ნაცარს გვყარდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ზესახელმწიფოში ვცხოვრობდით. ხალხიც „კმაყოფილი“ და „ბედნიერი“ იყო...

სხვათა შორის, რამდენიმე კმაყოფილი და ბედნიერი ადამიანი მეც აღმოვაჩინე.

პალა მარტიაშვილი, მე-15 სკოლის დირექტორი:

— ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ფაქტით, რომ სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრის საშუალება მომეცა. განათლების სფეროს მუშაკი გახსავართ და მისარია, რომ პირადად მინისტრისთვის კითხვის დასმის საშუალება მომეცა.

— **პასუხი თუ მიიღეთ?**

— მივიღე. ალბათ, იცით, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება უნდა ჩატარდეს. მინისტრისთვის საშუალება მომეცა ექნება სერტიფიცირებულ მასწავლებელს? როგორც მინისტრმა მითხრა, მისი ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდება.

ვაკა გარსამია, მუსიკოსი:

— აღფრთოვანებული ვარ ხელისუფლების ამ გადწყვეტილებით. ძალიან საინტერესო ღონისძიება იყო; ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც აქამდე არ ვიცოდი.

— **მინც რა გაიგეთ?**

— ის, რომ ასეთი მიღწევები გვექონია სხვადასხვა დარგში.

— **რა მიღწევებს გულისხმობთ?**

— პატრულის ეფექტიან მუშაობას, განათლების სამინისტროში დანერგილ სიახლებებს, ჯანდაცვის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს — რომელი ერთი ჩამოგივთვალთ?!

კმაყოფილთა და უკმაყოფილოთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც არც მინისტრების მიღწევები აინტერესებდათ და არც ამ ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხები ანაღვლებდათ, ისინი უბრალოდ, თვალსადასერიოდ იყვნენ გამოსული. ყველაზე მეტად ამ ღონისძიებით თინეიჯერმა ბიჭებმა იხიერეს: შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილ გასართობ „ტირში“ მანამდე ითამაშეს, სანამ მათ დასაშლელად პატრულის შენუხება არ გახდა საჭირო...

ფსიქოლოგის თვალით დანახული სკოლის პრობლემები

განათლების მოქმედი რეფორმით, ზოგადი ცოდნის მისაღებად, ბავშვი სკოლაში 12 წლის მანძილზე სწავლობს. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია. ამ წნის მანძილზე ცოდნასთან ერთად, მოზარდს პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევებიც უყალიბდება. ამასთან, პირველიდან მეთორმეტე კლასამდე მას სკოლაში ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაც უხდება და ოჯახთან ერთად, პედაგოგის, სკოლის ფსიქოლოგის დახმარებას მისი მომავლისთვის შესაძლოა, გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.



„ბავშვებთან პედაგოგების სკოლავენ“

— **ვაკა ტუხიაშვილი**

მოზარდების ფსიქოსოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, თბილისის რამდენიმე სკოლის ხელმძღვანელსა და ფსიქოლოგს ვესაუბრე. აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით, პრობლემა მართლაც ბევრია და ბავშვების წინაშე, მშობლებთან ერთად, ხშირად მასწავლებლებიც სცოდავენ. ამბები, რომლებიც თანამედროვე სკოლის ცხოვრებას ასახავს, იმდენად დელიკატურ საკითხებს ეხება, რომ ჩვენი რეკომენდაციების თხოვნით არც სკოლებს დაევასახლებთ და არც მათ ვინაობას.

ძალბატონი ირმა, სკოლის ფსიქოლოგი:

— სწავლის დაწყების პირველ დღეს, ალბათ, ბევრჯერ გინახავთ ატირებულ პირველკლასელები, რომლებიც დედას ხელს არ უშვებენ და სკოლაში დარჩენაზე უარს ამბობენ. იმისათვის, რომ დედა-შვილის დამოკიდებულების პროცესი რაც შეიძლება ნაკლებად სტრესული იყოს, სკოლაში ბავშვის ასაკის ბავშვებისთვის მოსამზადებელი ჯგუფები უნდა არსებობდეს. ჩვენს სკოლაში ასეთი ჯგუფები რამდენიმე წელია, არსებობს და მისიდან აკადემიური წლის დასრულებამდე მოქმედებს. საბავშვო ბაღებიდან მოგვყავს გამოსაშვები ჯგუფის პატარები და სკოლის ცხოვრებას ვაცნობთ. ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე შეგვყავს სკოლის გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფში, სადაც პირველკლასელებთან ერთად ხატ-

ავენ, თამაშობენ, დადიან ბუფეტში ანუ სკოლის გარემოს ეგუებიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც ბაღშიც არ უვლიათ და სხვებზე მეტად უჭირთ უცხო გარემოსთან შეგუება. ასეთ შემთხვევაში, სასწავლო წლის პირველივე დღიდან ბავშვთან მუშაობას სკოლის ფსიქოლოგი იწყებს და თამაშებით, რომელშიც ზოგჯერ დედაც მონაწილეობს, სასურველ შედეგს ვაღწევთ. თუმცა გვექონია შემთხვევა, როდესაც ბავშვის პრობლემებს მხოლოდ ფსიქოლოგი ვერ გაუმკლავდა და ნევროპათოლოგის დახმარება გახდა საჭირო. ერთი წლის შემდეგ სასურველი შედეგი მივიღეთ — დღეს ის ბავშვი საკმაოდ კომუნიკაბელური და წარმატებული მოსწავლეა. ხშირად პატარებს არ ესმით, რატომ არ შეიძლება გაკვეთილზე ჭამა, როდესაც ძალიან შიათ. კლასის დამრიგებელს ისე უნდა ჰქონდეს დაგეგმილი გაკვეთილები, რომ ერთი შესვენება კვებას დაუთმოს (შესაძლოა, სასწავლო წლის პირველ დღეებში, მანამ, სანამ პირველკლასელები სასწავლო პროცესს შეეგუებიან, მაგალითად, ხატვის გაკვეთილზეც გარკვეული დრო კვებას დაეთმოს). ზოგიერთი პატარა არც კი გეკითხება და ისე გადის საპირფარეოში, ზოგი კი თქმასაც ვერ გიბედავს და შეიძლება, მარცხი მოუვიდეს. ამიტომ თითოეულ ბავშვთან მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო და მიმართა, რომ კლასში მოსწავლეების რაოდენობა, მით უფრო — დაწყებით კლასებში 15-18 ბავშვს არ უნდა აღემატებოდეს. სამწუხაროდ,

ქვეყანა

დღეს საჯარო სკოლებში ბავშვების რაოდენობა განსაზღვრავს სკოლის დაფინანსებას. ამიტომ მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჰყავდეთ, რათა სკოლამ მეტი ვაუჩერი მიიღოს, გაზარდოს სახელფასო ფონდი და სხვა ხარჯებისთვის საჭირო სახსრები. სწორედ ეს არ მომწონს განათლების ახალ რეფორმაში. ამის გამოა, რომ ხშირად ნახავთ სკოლას, სადაც კლასში 30-40 მოსწავლეა და მასწავლებელი ყველას ცოდნის შემოწმებასაც კი ვერ ახერხებს, არათუ მასალის სათანადო დონეზე გაცნობას. ამიტომაც ხშირად ბავშვთან ურთიერთობისას პედაგოგებიც სცოდავენ. სკოლაში ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე რთული ბავშვი, რომლებსაც სხვაგვარად, ძნელად აღსაზრდელებსაც უწოდებენ. ფსიქოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ხშირად სკოლაში არსებული გარემო ხელს უწყობს ასეთი ბავშვების თვისებების ჩამოყალიბებას. ზოგჯერ მასწავლებელმა არც კი იცის, რომ ასეთი მოზარდი უბრალოდ ჯიუტია და როგორც კი თავის ხასიათს ავლენს, მასწავლებელი მისთვის სათანადო სიტყვებს არ იშურებს, ზოგჯერ კი სჯის კიდევ. არადა, ეს მისი ფსიქიკის მინიმალური გადახრა გახლავთ, რომელსაც სათანადო მიდგომა ესაჭიროება. სახლში მშობლებს არ სცალია ბავშვისთვის და არც მასწავლებელი უთმობს სკოლაში სათანადო ყურადღებას. დროთა განმავლობაში ბავშვი ეჩვევა იმას, რომ მას ხშირად ლანძღავენ და შესაბამისი რეაქცია აქვს — ის მართლაც ხდება ძალიან ცუდი. მაგალითად, ჩვენს სკოლაში სწავლობდა ერთი ასეთი ბიჭი; თუ სკოლაში რაიმე ფუჭდებოდა, მასწავლებლები ყველაფერს მას აბრალებდნენ. ვინ გააკეთებდა ამას? რა თქმა უნდა, გიორგიო, — თვითონვე სვამდნენ კითხვას და თავადვე პასუხობდნენ... ერთხელ პატარა ექსპერიმენტი ჩავატარე და იმ საკლასო ოთახში, სადაც გიორგი სწავლობდა, კარადის საკეტი მოვშალე. მეორე დღეს კლასის დამრიგებელმა ეს ისევ გიორგის დააბრალა და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი უარყოფდა, მასწავლებელი მის დადანაშაულებას მაინც განაგრძობდა. ამ შემთხვევამ გვიჩვენა, რომ გიორგი მანამდეც ბევრჯერ იყო დაუშაბურებლად დასჯილი... ფსიქოლოგიური კონსულტაციები პედაგოგებთანაც უნდა ტარდებოდეს. ეს საკმაოდ რთული პროფესიაა. როდესაც ბავშვი შენ გვერდით წლების განმავლობაში იმყოფება და მისი ნდობის მოპოვებას ვერ ახერხებ, მას აგრესია უჩნდება. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს მოსწავლეს. ერთხელაც შევექმენი დისციპლინარული კომისია

და პირადად ვითხოვედი ასეთი პედაგოგის სკოლიდან წასვლას: მეექვსეკლასელ ბიჭუნას ისე მოქაჩა თავზე თმა, რომ ხელში თმის ბლუჯა შერჩა. ბავშვს თავის კანიც კი დაუზიანდა და ექიმის დახმარება დასჭირდა. მასწავლებლის გაღიზიანება კი იმან გამოიწვია, რომ მოსწავლეს სახლში რვეული დარჩა!.. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მშობელმა საჯაროდ, უფროსკლასელ ვაჟს სილა გაანწა. ბიჭი იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ იმის შემდეგ სკოლაში აღარ მოსულა...

ძალბატონი წინო, ერთ-ერთი სკოლის ფსიქოლოგი, დირექტორის მოადგილე:

— სკოლისთვის პრიორიტეტული — მოსწავლე უნდა იყოს და არა პედაგოგის კეთილდღეობა. სკოლაში მოსწავლეებს მეორე კლასიდან ვაცნობთ ბავშვთა უფლებების დეკლარაციას, რაც ძველი მენტალიტეტის პედაგოგებში გაღიზიანებას იწვევს: ისედაც თავზე გვახსენებდნენ მოსწავლეები და მათთვის ასეთი უფლებების მინიჭება რა საჭიროაო?! ბავშვმა საკუთარი უფლებებიც უნდა იცოდეს, მაგრამ სკოლის წინაშე მისი მოვალეობაც უნდა გააცნობიეროს, რაც ასევე მოცემულია დეკლარაციაში. მშობლისა და მასწავლებლის ხშირი კონსულტაციები მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება საქმეს. არადა, წლების განმავლობაში ისეთი ტრადიცია იყო დამკვიდრებული, რომ პედაგოგები მხოლოდ მაშინ იბარებდნენ მშობელს სკოლაში, როდესაც ბავშვი რაღაცას დააშავებდა. ამიტომ მშობლები ახლაც ამ განწყობილებით ხვდებიან იმას, რომ მასწავლებელი სკოლაში მათ მისვლას ითხოვს. ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. მშობელი შვილის ცუდი საქციელის გამო არ უნდა გალანძლო. სკოლაში ერთი ასეთი ტრადიცია გვაქვს: მშობელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოვიდეს და სასწავლო პროცესს დაესწროს

(რა თქმა უნდა, მისი შვილი იმ დღეს საუკეთესო ყოფაქცევით გამოიჩინეს თავს). ჩვენი თხოვნით, ეს მშობელი სხვა ბავშვების ქცევასაც დააკვირდება, შემდეგ კი თავის შეხედულებებს მათ მშობლებს გაუზიარებს. სკოლაში გვაქვს ანონიმური წერილების ყუთი, სადაც ნებისმიერ მშობელს შეუძლია, დაწეროს საკუთარი შეხედულება, პრეტენზია სკოლის თუ პედაგოგის მისამართით. შემდეგ ამ წერილებს მთელი პედაგოგიკური განვიხილავთ. მაგრამ არიან ისეთი მშობლებიც, ვისაც ერთხელაც არ შემოუღია სკოლის კარი. გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ბავშვი ოჯახის სარკეა. თუ ბავშვის ოჯახში არააჯანსაღი ატმოსფეროა, ის გულჩათხრობილია, სწავლაშიც მოიკოჭლებს, ტყუილების თქმასაც ეჩვევა... იტყუება იმ მიზეზით, რომ არ უნდა, გაამჟღავნოს, სახლში რა პრობლემა აქვს. რატომღაც მასწავლებლები ბავშვთან მუშაობისას ამ ფაქტორებსაც ნაკლებად ითვალისწინებენ. ერთ მაგალითს გავიხსენებ: გვყავდა მოსწავლე, რომელიც სისტემატურად აცდენდა სკოლას და იმ დროს, როდესაც გაკვეთილზე უნდა ყოფილიყო, ქუჩაში „ბირჟაზე“ იდგა. კლასის დამრიგებელმა მისი ოჯახის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცოდა და არც მის მშობლებს იცნობდა. ერთ საღამოს სკოლაში საქმეებს შემოვრჩი და შინ წასვლა რომ დავაპირე, უკვე შეზინდებული იყო. გზად მიმავალმა დავინახე, რომ ოთიკო ისევ „ბირჟაზე“ იდგა. გვერდით რომ ჩავუარე, ვთხოვე, სინწელში მართო სიარულის მეშინია და სახლამდე გამაცილე-მეთქი. რა თქმა უნდა, ვიცრუე, არაფრის მეშინოდა, უბრალოდ მინდოდა, ოთიკო ახლოს გამეწნო. თავიდან ჩემს კითხვებს უპასუხოდ ტოვებდა, დროზე რომ ჩამომცილებოდა, მკითხა კიდევ: შორს ცხოვრობთო?... მაგრამ ამ შემთხვევამ დაგვაახლოვა და სულ მალე მის შესახებ ბევრი რამ შევიტყვე. სახლში თურმე მხოლოდ ის და მამა ცხოვრობდნენ; პატარა ყოფილა, როდესაც დედა თვალწინ მოუკვლეს. მათ სახლში ქურდები შეპარულან და როდესაც ხმაურსა და ნივილ-კვილზე გაეღვიძა, დაინახა, რომ დედა სისხლის გუბეში ცურავდა. მიღებული სტრესის შემდეგ ოთიკოს თურმე რამდენიმე თვით მეტყველების უნარიც წაერთვა. მამამისმა გადანყვიტა, ცოლის მკვლელებზე შური ეძია, დანაშაულებს დიდხანს ეძებდა, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო; შემდეგ, დარდის სასმელში ჩაკვლას მიჰყო ხელი. ამის გაგების შემდეგ მომეჩვენა, რომ ოთიკო იმაზე უკეთესიც კი იყო, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო. სკოლის ფსიქოლოგს ვთხოვე, მასთან საურთიერთოდ რაიმე საბაზი მოეძებნა. ასევე ყველა პედაგოგს ვთხოვე,



უფასოდ ემეცადინათ მასთან. შევეძლიათ და სწავლის მიმართ ინტერესი გავუღვივეთ. დღეს ოთიკო სტუდენტია და უცხოეთში სწავლობს. მამამისი მადლობის სათქმელად სკოლაში იყო მოსული. გვითხრა: იცოდეთ, რომ ოთიკო თქვენი შვილიაო... რა თქმა უნდა, რთულია, ყველა ბავშვის ოჯახური მდგომარეობა გაარკვიო, მაგრამ ამისათვის საკმარისი დრო აქვს კლასის დამრიგებელს. ბევრჯერ შევსწრებივარ სკოლაში ასეთ სურათს, როდესაც ბავშვი გამოუძინებელი მოდის და გაკვეთილზე ძილს ვერ ართმევს თავს, მასწავლებელი კი ეჩხუბება: რა გჭირს?! პატრონი არ გყავს, შუალამზე იძინებო?! ერთხელ, ბაზრობაზე გახლდით და ასეთ სურათს შევესწარი: ვილაც ქალი ბავშვებს, რომლებიც იქვე ვაჭრობდნენ, „საბრალოებად“ მოიხსენიებდა. მივიხედე და მათში ჩემი სკოლის მოსწავლე და-ძმა ამოვიცანი. დავინტერესდი: სკოლაში რატომ არ ხართ, აქ რა გინდათ-მეთქი? მიპასუხეს, რომ დედა ავად გაუხდათ და მის ნაცვლად იყვნენ გამოსული ბაზრობაზე, რათა ნავაჭრით დედისთვის წამალი ეყიდათ. რა გასაკვირია, რომ ბავშვს, რომელიც ფიზიკურად შრომობს, გაკვეთილზე ძილი მოერევა ან დავალება არ ექნება მომზადებული?! ამიტომ, მუდმივად ვთხოვ ჩემი სკოლის პედაგოგებს, რომ ასეთ ბავშვებს კი ნუ ეჩხუბებიან, არამედ შეძლებისდაგვარად სკოლაში შეასრულებინონ საშინაო დავალება.

ძალბატონი გინა, მასწავლებელი:

— დღეს სკოლის მოსწავლე გოგონებს შორის ხშირია თამბაქოს მოხმარების ფაქტი. სკოლის შენობაში მოწვევა კატეგორიულად იკრძალება და მას, ვინც შინაგანაწესს დაარღვევს, სკოლიდან გარიცხვა ემუქრება. გოგონებთანაც და ვაჟებთანაც ხშირად ვატარებთ თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო კამპანიას, მაგრამ მომხმარებელთა რიცხვი მაინც მაღალია. ერთხელ, კვალი რომ დეფარათ, გოგონებმა სიგარეტი ბიჭების საპირფარეოში მოსწიეს და რამდენიმე ვაჟს სკოლიდან გარიცხვა ემუქრებოდა. ამ მიზეზით გოგონებსა და ბიჭებს შორის შელაპარაკება მოხდა და გაცხადებული ვუყურებდი, როგორ „ურჩევდნენ საქმეებს“ გოგონები ბიჭებს და უხეშობასა და უზრდელობაშიც კი სჯობნიდნენ მათ!.. ბიჭებში კი მოუგვარებელი პრობლემად რჩება ცივი იარაღის ტარება. რაღა დავიმალეთ და, ეს პრობლემა ჩვენს სკოლაშიც იდგა. რამდენიმე უფროსკლასელ ბიჭს სისტემატურად მოჰქონდა სკოლაში დანა ან სხვა სახის ბასრი იარაღი. როგორ არ ვთხოვე, ვემუდარე: ამის გამო სამსახურს დაკვარგავ და ჩემ უკან ოჯახი დგას-მეთქი?! თითქოს



დავიყოლიე, რომ უარი ეთქვათ სკოლაში ცივი იარაღის ტარებაზე, გარკვეული დროის განმავლობაში, ჩვენს სკოლაში დანა მართლაც არავის უნახავს. ერთხელ ჩვენს მახლობლად რაღაც ინციდენტი მოხდა და საპატრულო პოლიცია მიმდებარე სკოლებს ამონებდა. თავდაჯერებული შევეყვი პატრულის თანამშრომლებს ჩემს სადამრიგებლო კლასში. ვხედავ, ერთ-ერთი მოსწავლე ლელავს და ჩემთვის რაღაცის თქმას ცდილობს. მივუახლოვდი და კბილებში გამოცრა: დანა მაქვსო. ჩემი მოძრაობა და მასთან გადალაპარაკება საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს არ გამოორჩენიათ და მთხოვეს, იქაურობა დამეტოვებინა. ყველაფერი წამებში მოხდა: ყელზე კაშნი მეკეთა; მოვისენი, იატაკზე დავაგდე და გიორგის დანაც ხედ რბილად დეცა; დანასა და კაშნის ხელი სწრაფად წამოვაველე და იქაურობას გავეცალე... გიორგი სინდისმა შეანუხა და გადანიყვიტა, სკოლიდან წასულიყო. ამ ამბის შესახებ კი თავის ყველა მეგობარს მოუყვა. მას შემდეგ ჩვენს სკოლაში დანის მოტანა არავის უფიქრია... ბავშვებთან გარკვეულ დათმობებზე წასვლა ხშირად ყველაზე გონივრული გამოსავალია რთული ვითარებიდან თავის დასაღწევად. რამდენიმე წლის წინ ჩვენს სკოლაში ახალი გოგონა გადმოვიდა. საუცხოო გარეგნობა აქვს და ბიჭების მონონება მაღლვე დანიმსახურა, მაგრამ ახალი თაყვანისმცემლების ქათინაურებს აგრესიით პასუხობდა და ჩვენი სკოლის ბიჭებთან „საქმის გასარჩევად“ თავისი მეგობრები მოჰყავდა. ჩხუბი ხშირად სკოლის გარეთ გრძელდებოდა, რაც ძალიან გვაშფოთებდა. გადავწყვიტეთ, ეს გოგონა

რაღაცით დაგვეინტერესებინა და ახალ კლასელებთან დაგვემეგობრებინა. მას სკოლაში სილაშაის კონკურსის მოწყობა დავავალეთ და ყველა საორგანიზაციო საქმის გაძლოლა ვანდეთ. ღონისძიება სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსეთ და ეს ამაღ ნამდვილად ღირდა, რადგან ამის შემდეგ მოზარდებს შორის ურთიერთობები მოგვარდა. ასევე აქტუალური იყო ჩვენს სკოლაში უფროს კლასებში გაკვეთილებზე დავიანების საკითხი. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ — ის, ვინც დაიგვიანებდა, გაკვეთილის დასრულებამდე სასარგებლო შრომით დაკავდებოდა და ეს გადაწყვეტილება მოსწავლეებსაც გავაცანით. ამის მიუხედავად, რამდენიმე ბიჭმა მეორე დღეს პირველსავე გაკვეთილზე მაინც დაიგვიანა. დაპირებისამებრ, შევიაარაღეთ ცოცხებით და ეზოს დასუფთავება დავავალეთ. რამდენიმე უარი თქვა: ცოცხს ხელს არ მოვკიდებთო, — სხვები კი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. ვინც უარი თქვა ეზოს დაგვანე, მათ ნაცვლად, ცოცხი ხელში მე ავიღე და სხვა ბავშვებთან ერთად, ეზოს დასუფთავებას შევეუდექი. ცოტა ხანში ცოცხები დანარჩენებამაც აიღეს და გვერდით დამიდგნენ. ამის შემდეგ, გაკვეთილებზე დავიანების შემთხვევები მკვეთრად შემცირდა... მოსწავლეებისთვის ყველაზე სასიამოვნო თემა, რომელზეც გესაუბრებიან — სიყვარულია. მთავარია, რომ მათი ურთიერთობა გარკვეულ ზღვარს არ გადასცილდეს. ზოგჯერ გოგონასა და ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობა მასწავლებლების განკიცხვის საგანი ხდება, რაც ასევე არასწორია. ჩვენს სკოლაში ასეთი შემთხვევა მოხდა: მასწავლებელმა გოგონას შეყვარებულის თანდასწრებით სილა გაანწა მხოლოდ იმისთვის, რომ ვაჟთან ერთად კიბეზე იყო ჩამოშვდარი. მასწავლებლის თავხედობამ ბიჭი ისე განარისხა, რომ ირგვლივ ყველაფერს ამტვრევდა... მაგრამ უფრო რომანტიკული შემთხვევაც გვქონდა: შეყვარებული წყვილი დაშორებული იყო და ვაჟმა გოგონას შესარიგებლად სკოლაში დიდი სათამაშო დათუნია მოუტანა. სკოლაში გაკვეთილის მსვლელობისას, კარის შეღების უფლება დირექტორსაც კი არა აქვს. ბიჭს კი უნდოდა, გოგონას მთელი კლასის თანდასწრებით ეთხოვა პატიება. დასახმარებლად მე მომმართა. უარი ვერ ვუთხარი და გაკვეთილზე შესვლის ნება მივეცი. ძალიან რომანტიკული წუთები იყო, მაგრამ ამის გამო სხვა პედაგოგებმა პედსაბჭო მომიწყვეს... განა ასეთი რთულია, ადამიანური ფაქტორების გაგება?! ვისაც ეს უჭირს, სწორედ მას ექმნება პრობლემები ბავშვებთან ურთიერთობისას...

ზვილის თავდადება და მამის სიმწარე

„დღეს ქართველი მეომრების უფლებები, ღირსება და თავმოყვარეობა შელახულია“, — ამას აგვისტოს ომში მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი 20 წლის ლევან ანანიძის მამა, ბატონი ოთარ ამბობს. როგორც ბევრი სხვა, ისიც გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ ხელისუფლება არაფერს ამბობს იმ მეომრების შესახებ, რომელთა გმირობამ მტრებიც კი აღაფრთოვანა და დღემდე ტელეეკრანებიდან მხოლოდ ბრძოლის ველიდან გაქცეული თუ ლალატში დადანაშაულებული ჯარისკაცების ამბებს გადმოსცემენ. ერთადერთი ვაჟი შვილის დამკარგავი მამა ხელისუფლებისგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ მისი შვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულად აღიარონ, პირადად მას კი საშუალება მისცენ, შვილის ოცნება აიხდინოს. რატომ არ აღიარებენ ლევანს ბრძოლაში დაღუპულად და რა იყო 20 წლის ჯარისკაცის ოცნება — ამის შესახებ ბატონ ოთართან საუბრისას შეიტყობთ.



„ჩაბი ახალი ბრძოლისთვის ეზადაბოდა, ახანი ჯი თვითავკლავლობას აბრალაბან“

სათუნა კახტორიძე

— ბატონო ოთარ, როდის და რა ვითარებაში დაიჭრა თქვენი შვილი?
 — ლევანი „კომანდოს“ ბატალიონში ნამსახური გახლდათ. ერთ-ერთი საუკეთესო მეომარი, ყუმბარმტყორცნელი იყო და წინა ხაზზე იბრძოდა. 9 აგვისტოს, დღის 11 საათზე მძიმედ დაიჭრა. მისი თანამებრძოლები ანუ „ბრაუ“ ასეულის ჯარისკაცები ამბობენ, — ძლივს გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან, არ მოგვეპოვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არტერიის ქურვის 3 ნამსხვრევი ჰქონდა მოხვედრილი და სისხლისგან იცლებოდა, ვიდრე თავისი იარაღი სამხედრო პოლიციას არ ჩააბარა, სანიტარიულ მანქანაში არ შევიდა... ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. სამედიცინო პროცედურები კი ჩაუტარეს, მაგრამ ოპერაცია არ გაუკეთეს. თქვეს, რომ იმ მომენტში ეს სახიფათო იქნებოდა და სახლში გამოუშვეს. როგორც შემდეგ ნაცნობმა ექიმებმა მითხრეს, ლევანს ისეთი ჭრილობები ჰქონია, რომ მისი მოძრაობა არ შეიძლებოდა და ინვალიდის ეტლით უნდა ეტარებინათ. გარდა ამისა, კლინიკის მიერ გაცემულ „ფორმა ასშიც“ ეწერა, რომ ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროებოდა. ის კი შინ მატარე-

ბლით, მარტო გამოუშვეს. ჩამოვიდა თუ არა ქობულეთში, მაშინვე ადგილობრივ კლინიკაში მივიყვანე. იქ პირდაპირ მითხრეს: ჩვენ 50 წლის წინ შექმნილი აპარატურა გვაქვს; ლუდუშაურის კლინიკა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა, თუ ეს ნამსხვრეები იქ ვერ ამოულეს, ვერც ჩვენ გავრისკავთო. მიუხედავად იმისა, რომ გაუსაძლისი ტკივილი ანუხებდა, ყოველ დღით 6 საათზე დგებოდა და პლაჟზე ვარჯიშობდა, უნდოდა, ისევ ჯარში დაბრუნებულიყო. მისთვის სამშობლოსთვის ბრძოლა ყველაზე საპატიო საქმე იყო.

როგორ დაიღუპა?

— ბიძაშვილებთან ერთად პლაჟზე გავიდა. დაახლოებით კოჭებამდე წყალში იყო შესული, როცა გული გაუსკდა. 3 კაცი მაშინვე ჩახტა წყალში, მაგრამ ვეღარ იპოვეს — ტალღამ ჩაითრია. თვითმხილველებმა დაინახეს, რომ ბავშვს პირიდან და ყურებიდან სისხლი წამოუვიდა. ყველა ექიმმა იცის, რომ ასეთი რამ ადამიანს მაშინ ემართება, როდესაც გული უსკდება. ჩემს შვილს კი თვითმკვლელობას აბრალებენ. ამბობენ, — ზღვაში თავი განგებ დაიხრჩოო. ცხინვალში 360 ტყვია ზურგზე ჰქონდა მოკიდებული, „ფე ადინსა“ და „გეპე 25“-ს დაათრევდა; თუ ასეთი

განზრახვა ჰქონდა, ქობულეთში ჩამოვიდოდა თავის მოსაკლავად?!

— გული რატომ უნდა გაბეთქოდა?

— ნამსხვრევა სისხლძარღვი გადაკეტა და თრომბი განვითარდა. ლევანი მყვინთავებმა მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს. ერთი წვეთი წყალი არ ჰქონდა ჩაყლაპული. როდესაც ადამიანს გული უსკდება, ზღვა მაშინვე ძირავს.

— სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა?

— ბავშვის სიკვდილის გამო გონზე აღარ ვიყავი და ხელი არავის მოვავიდებინე. მერე, როდესაც პროკურატურიდან მიღებულ ექსპერტიზის დასკვნაში სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობა ჩანერეს, ტკივილმა და იმაზე ფიქრმა, თუ რატომ უნდა მოეკლა ჩემს შვილს თავი, აღარ მომასვენა და გვამის ექსპერტიზა მოვითხოვე. უკვე 26 დღის გარდაცვლილი იყო, როდესაც ექსპერტიზა ჩაუტარეს, მაგრამ იმ მიზეზით, რომ გვამი უკვე გახრწნილი იყო, სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებლად მიიჩნიეს. გარდაცვალების მონუმენტში ასეც ჩანერეს: „სიკვდილის მიზეზი დაუდგენელია“... ბაგრატიის ტაძარში საუკუნეების წინ დამარხული ქალის ნეშტი იპოვეს და იმას არკვევენ, სიკვდილის წინ რა ჰქონდა ნაჭამი და ნუთუ იმის დადგენა გახდა შეუძლებელი, ჩემი შვილი 26 დღის წინ რა მიზეზით დაიღუპა?! ეს ხომ სამარცხვინოა! რატომ უნდათ, რომ ჩემი მებრძოლი შვილი თვითმკვლელად გამოაცხადონ?! იცით, ქობულეთის პოლიციაში რა მითხრეს? თუ ვინმეზე ეჭვი გაქვთ, გვითხარით და განზრახ მკვლელობის მუხლით აღვძრავთ საქმესო.

— ეს ვინ გითხრა?

— გამომძიებელმა ლიკა ბალაძემ. ქალია და ვერაფერი ვუთხარი. ლევანი ვის უნდა მოეკლა?! ჯერ ერთი, ბიძაშვილებთან ერთად იყო, მერე კიდევ, ძალიან ძლიერი იყო და მისი მოკვლა ასე ადვილი არ იქნებოდა. არანორმალურ პირობებში ვარჯიშობდა: ჭაობში ყვინთავდა, თან 20-კილოიან ბლოკებს დაათრევდა... თავიდან, სენაკის მეორე ქვეით ბატალიონში მსახურობდა, მათ ასეულს „მგლებს“ ეძახდნენ; მერე „ბრაუ“ ასეულად გადააკეთეს. ამ ბიჭების ბრძოლისუნარიანობით ამერიკელი ინსტრუქტორები გაოცებულნი იყვნენ, — რა მალე და რა კარგად ითვისებენ ყველაფერსო!.. ერთხელ, ნორმატივების ჩაბარების შემდეგ, დალილვებს, წყალში „ხორუმი“ უცვეკვათ. სულ გადარეულან ამერიკელები, კითხულობდ-

ნენ თურმე, რა ჯიშის ხალხი არიანო?


— ცეკვაც იცოდა?

— კი, იცოდა. ისე მოხდა, რომ მის ნაწილში სხვებმაც იცოდნენ ცეკვა. ძალიან კარგი ბიჭები არიან — ვაჟაკები, სამშობლოზე შეყვარებულები...

— ნანობთ, რომ ლევანს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის უფლება მიეცით?

— არა, ეს არც ერთი წუთით არ მინანია. საქართველოსთვის ისევე ქართველებმა უნდა ვიბრძოლოთ, სხვა ჯურის ხალხი ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად არ მოვა. ჩვენი წინაპრები მხართებოდა რომ წამოწოლილიყვნენ, დღეს აღარც ენა გვექნებოდა, აღარც მამული და სარწმუნოება. ხერხეულიძეების დედამ 9 შვილი შესწირა სამშობლოს და მერე თავად დაიკავა დროშა ხელში. მაზნიაშვილსა და მის ბიჭებს რომ არ ეომათ, ვინ იცის, აჭარლებს ახლა ვისი უღელი გვედგებოდა ქედზე (რუსები კი იბრალბენ, აჭარა ჩვენ დაგობრუნეთო, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ რუსებმა მაზნიაშვილი თურქებთან ბრძოლისას მიატოვეს, მხოლოდ ქართველებმა იბრძოლეს აჭარის გასათავისუფლებლად)?! სხვები არ ვიცი, როგორ ფიქრობენ, მე კი იმ გმირი ქართველების შთამომავალი

ყოველთვის მომწონდა მეგრძოლი სულის ადამიანები, მაგრამ მაშინ სამხედრო სამსახურის გაგრძელება არც მიფიქრია



ვარ, რომლებსთვისაც სამშობლოსათვის ბრძოლა და სიკვდილი პატივი იყო. როდესაც ბატონმა გივი თარგამაძემ ტელევიზიით განაცხადა, — ომში დაღუპული ჯარისკაცების მშობლებს შეუძლიათ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იმსახურონო, — მაშინვე საბუთები მოვაგროვე და კომისარიატში გამოვცხადდი. სამედიცინო შემოსწმება გორის ჰოსპიტალში გავიარე. ყველაფერი წესრიგში მქონდა, მხოლოდ არტერიული წნევა აღმომაჩნდა მაღალი და ამის გამო უარით გამომისტუმრეს. 45 წლის შვილმკვდარ მამას არტერიული წნევა რომ აწუხებდეს, გასაკვირია?! განა ასეთს

რას ვითხოვ?.. ჩემს შვილს რაც აუხდენელ ოცნებად დარჩა, იმის ხორც-შესხმა მინდა. მომცენ საშუალება, რომ მეც ვიდგე საქართველოს სადარაჯოზე. ჩემი შვილი გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოზე ოცნებობდა, ამ ოცნების ახდენისთვის ბრძოლა მინდა. ჩემთვის ასეთი საქმისთვის სიკვდილი ნუგემიც კია...

— რაიმე სამხედრო გამოცდილება თუ გაქვთ?

— რუსულ ჯარში ვმსახურობდი. ყოველთვის მომწონდა მეგრძოლი სულის ადამიანები, მაგრამ მაშინ სამხედრო სამსახურის გაგრძელება არც მიფიქრია, იმიტომ, რომ რუსეთის სამსახურში ყოფნა არ მინდოდა. ისტორია კარგად ვიცი; რუსები ყოველთვის ცდილობდნენ, როგორმე მოვეტყუებინეთ და თავიანთ სასარგებლოდ გამოვეყენებინეთ. ჩვენ მათ „გეორგიევსკის ტრაქტატი“ დახმარება ვთხოვეთ, საკუთარი სახლიდან გაგდება კი არა... დღეს ზოგიერთი ამბობს, აგვისტოს ომი ქართველებმა დაიწყესო. კი, მაგრამ ვისი რა საქმეა, ჩემს მიწაზე მე რას ვიზამ?! საქართველოში ქართველებს სეპარატისტები იტაცებდნენ, კლავდნენ, ძარცვავდნენ და ქვეყნის ხელისუფლებას არაფერი უნდა ელონა?! რუსს ვინ ჰკითხავს, ჩემს ქვეყანაში „ნესრიგს“ რომ მიმეყარებს?! მაგათი ისეთი ბოღმა მიტრიალებს გულში, რომ გამიშვებდნენ, თავს შევაკლავდი.

— ისტორია თქვენმა შვილმაც იცოდა?

— ეჰ, შვილო, იმან იცოდა, თუ იცოდა, აბა, მე რა ვიცი?! ყველაზე მეტად აფხაზეთი სტკიოდა. ამბობდა, — საქართველოს გაერთიანება და სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ამ კუთხიდან დაიწყეთ და თუ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, უნდა ჩავთვალოთ, რომ საქართველო გულამოგლეჯილიაო...

— როდესაც ცხინვალ-იდან დაბრუნდა, ომის შესახებ რაიმეს ჰყვებოდა?

— სიტყვატუნნი ბავშვი იყო, ტრამახი არ უყვარდა. ლევანის ამბებს მისი თანამებრძოლებისგან უფრო ვიგებდით. ისე, უსამართლობას ვერ იტანდა. ქობულეთში ჩამოსულმა ზოგიერთმა რეზერვისტმა თქვა, — მხოლოდ სამ-სამი ტყვია დაგვირიგეს და ისე მიგვატოვესო. ჩემი შვილი კინალამ გადაირია: რა სამი ტყვია?! იარაღი, რამდენიც გინდა, იმდენი იყო, ვისაც გული ერჩოდა, ბრძოლა ყველას შეეძლოო.. ნამდვილი მეომრების ასეთი დაუფასებლობა ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს, შვილო. კაცი სიკვდილზე

რომ მიდის, იმედი უნდა ჰქონდეს, რომ თავგანწირვა დაუფასდება. ლევანისთვის ორმაგი სიკვდილის ტოლფასია მისთვის თვითმკვლელობის დაბრალება. ჩემს შვილს ისედაც ყველა იმას ეუბნებოდა, — ვისთვის იბრძვი, სააკაშვილს გინდა, შეაკლა თავიო?! ამდენი მეომრის დამცირების, თავზე ლაფის დასხმის შემდეგ, ხვალ-ზეგ ომი ისევე რომ დაიწყოს, ასეთი თავგანწირვით იბრძოლებს კიდევ ვინმე?!

— ასეთი დარწმუნებული მაინც რატომ ხართ, რომ ლევანი თავს არ მოიკლავდა?

— თქვენ არ იცნობდით ლევანს. მე მისი მამა ვარ და ვიცი, როგორ ცხოვრობდა, რითი სულდგმულობდა... ჯერ ერთი, მორწმუნე იყო. ჯარში ყოფნის დროსაც კი იცავდა მარხვას. აჭარაში რაც კი წმინდა სალოცავია, თითქმის ყველა მოილოცა. გარდა ამისა, თუ თავის მოკვლა ჰქონდა განზრახული, ისე თავგამოდებით რატომ ივარჯიშებდა?.. ამბობდა, ნორმატივებს ყოველთვის კარგად ვაბარებდი და არც ახლა მინდა, თავი შევირცხვირო. ერთი პერიოდი იმაშიც მარწმუნებდნენ, შეიძლება, ნასვამი იყო, ემოცია მოეძალა და თავის მოკვლა იმიტომ გადაწყვიტაო. მეზობლები და ნათესავები დამემონებებიან, რომ ლევანი სასმელს საერთოდ არ სვამდა. წვეულებებზე ერთჭიქასაც კი არ დალევა, ჩემთვის არ შეიძლება, „დინასიას“ დამიგდებსო. სასმელს კი არა, ყავას არ სვამდა, მზესუმზირას არ ჭამდა და სიგარეტს არ ეწეოდა. თავისი საქმის ფანატიკოსი იყო. სააკაშვილზე გიჟდებოდა. 7 ნოემბრის შემდეგ, თავის ბიძაშვილთან სერიოზული კამათი მოუვიდა. ლევანი ამბობდა: ამ კაცს საქართველოს გაერთიანება უნდა, ვინც მის გადადგომას მოითხოვს, ყველა მოლაღალტა და ყველა საცემიაო. ბიძაშვილმა ჰკითხა: როგორ? მიტინგზე მე რომ მივიდე და სააკაშვილის გადადგომა მოვითხოვო, მეც გამლახავო? ლევანმა უპასუხა: გირჩევნია, არ წახვიდე, მაგრამ თუ მაინც მიჰქარავ, მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე; მიშას ყველგან და ყველასგან დავიცავ, თავსაც შევაკლავ, იმიტომ, რომ ძლივს ერთი მეგრძოლი პრეზიდენტი გველირსაო... ცხინვალში რომ იყო, ტელეფონით ვურეკავდი და ველაპარაკებოდი. ოდნავი შიში არ შემიტყვია მის ხმაში. აქეთ გვამშვიდებდა: თავს მიხედეთ, მე თუ რაზე მომივა, ეგ არაფერი, მთავარი, ჩვენი მიწა-წყალი დავიბრუნოთო. დამარცხებას ძალიან განიცდიდა, ამბობდა, ბევრი უნდა ვივარჯიშო, ბრძოლა ისევე მოგვიწევს და მაგ დროისთვის ფორმაში უნდა ვიყოო. კაცი ახალი ბრძოლისთვის ემზადებოდა, თავი ჰქონდა გადადებულ, ესენი კი ლაჩრობასა და თვითმკვლელობას აბრალბენ.

დიდი ავროპა, დიდი რუსეთი და იაკონიასავით დაჩაბრული საქართველო...

სათუნა ბახტურიძე

საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ ევროსაბჭოს წარმომადგენლები რუსეთის ქმედებებით აღშფოთებული არიან და ოფიციალური მოსკოვის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესებას გეგმავენ. რუსეთ-საქართველოს თემის განხილვა ევროსაბჭოს ბიურომ და მონიტორინგის კომიტეტმა პარიზში დაიწყო. როგორც ევროსაბჭოში საქართველოს ელჩმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, მათიას იორშის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში რუსეთის აგრესიული ქმედებები მკაფიოდ იყო დაფიქსირებული. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ქართული მხარე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სექტემბრის ბოლოსთვის სტრასბურგში დაგეგმილ სხდომაზე რუსეთს ევროსაბჭოს რეზოლუციების შეუსრულებლობის გამო ხმის უფლება ჩამოართვეს.

რამდენად საფუძვლიანია ქართული მხარის იმედი და ხმის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში რა ქმედებებს მიმართავს მოსკოვი? ამ კითხვებით პოლიტოლოგებს — ირაკლი სესიაშვილსა და კახა გოგოლაშვილს მივმართეთ.

ირაკლი სესიაშვილი:

— არა მგონია, ჩვენი ხელისუფლების იმედი გამართლდეს. ევროსაბჭო ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებაზე, რუსეთისათვის ხმის უფლების ჩამორთმევა კი სიტუაციას უფრო გაართულებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოსკოვი ევროსაბჭოს ერთ-ერთი დამფინანსებელია. ეს ორგანიზაცია იმ ტოტს არ მოჭრის, რომელზეც ზის. სიმართლე რომ გითხრათ, რუსეთისთვის ხმის ჩამორთმევა ჩვენ არანაირ ხეირს არ მოგვცემს, გარდა იმისა, რომ სააკაშვილი ახალ პიარკამპანიას ააგორებს და იტყვის — აი, რუსეთი ჩვენ გამო დასაჯესო.

— მაშ, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ევროსაბჭოს ზოგიერთმა დეპუტატმა რუსეთის მიმართ უკვე გააკეთა კრიტიკული განცხადება?

— ჩემი აზრით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ევროსაბჭო მოსკოვს კიდევ ერთხელ გააფრთხილებს და ისეთ რე-



„პროვოკაციას არ აჰყვით, მაგრამ არც არსებულ რეალობას უნდა შეჰკავოთ“

ზოლუციას შემოუშავებს, რომელიც რუსებსა და ქართველებს ერთნაირად აიძულებს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომასა და კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის გამოსწორებისთვის კონკრეტული გეგმების შემუშავებას.

— ევროსაბჭომ რუსეთი სარკოზიმედვედვის შეთანხმების შესრულებაზე ვერ კიდევ ვერ დაიყოლია და რა გაძლევთ იმის ფიქრის საფუძველს, რომ ჩვენთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასვამს?

— იმის ილუზია არ უნდა გქონდეს, რომ რუსეთთან დიალოგი პირველივე ცდაზე გამოიღებს ნაყოფს, მაგრამ ადრე თუ გვიან, შედეგი მაინც იქნება. ევროსაბჭოს მხარდაჭერით, რუსეთი დიალოგში როგორღაც უნდა ჩავითრიოთ და პატარ-პატარა შეთანხმებებს მაინც მივალნიოთ. არ არის აუცილებელი, პირდაპირ მოვითხოვოთ დაკავებული ტერიტორიების დეოკუპაცია. უფრო ნაყოფიერად შევძლებთ მუშაობას, თუ ჩვენს მიზნებს ჩვენსავე შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოვიყვანთ.

— მაინც რა თემით შეიძლება დიალოგში რუსეთის ჩათრევა?

— ჩემი აზრით, საწყის ეტაპზე, ადამიანის უფლებებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ამ შემთხვევაში ევროსაბჭოს მხრიდანაც გაცილებით მეტ მხარდაჭერას მივიღებთ, ვიდრე მაშინ, თუ ამ ორგანიზაციიდან რუსეთის გარიცხვას მოვითხოვთ.

— რუსეთმა უკვე არაერთხელ დაგვადანაშაულა ოსი და აფხაზი ხალხების უფლებების დარღვევაში. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს თემა მოსკოვმა უკვე გამოიყენა სპეკულირებისთვის?

— რუსებმა ეს თემა სპეკულირებისთვის გამოიყენეს, ჩვენ კი რეალურად შეგვიძლია იმის დამტკიცება, რომ ჩვენი მოქალაქეების უფლებები ირღვევა და მათი დაცვა აუცილებელია. ყველანი ირად უნდა ვეცადოთ, დასავლელი კოლეგების დახმარებით, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზე ზედამხედველობა დავანწესოთ.

კახა გოგოლაშვილი:

— მეც ვფიქრობ, რომ ევროკავშირი რუსეთს ხმის უფლებას არ შეუნყვეტს; უბრალოდ, შემოუშავებენ მკაცრ რეზოლუციას, რომელიც ხაზგასმული იქნება, რომ კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო ორგანიზაციები და ჰუმანიტარული დახმარებები უპირობოდ უნდა შეუშვან. ალბათ, რუსეთს ამ მოთხოვნის შესრულებისთვის გარკვეულ ვადასაც დაუთქვამენ.

— ფიქრობთ, რომ ასეთი რეზოლუცია რუსეთზე რაიმე გავლენას მოახდენს?

— თუ რეზოლუციაში დოკუმენტურად დაფიქსირდება, რომ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში რუსეთს ხმის უფლება შეუჩერდება,

შესაძლოა, ამან მართლაც მოახდინოს რაიმე ზეგავლენა. რუსეთის ისტორიიდან გამომდინარე, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ კრემლი ამ რეზოლუციას იგნორირებას გაუკეთებს. ასეთ შემთხვევაში, უკვე ევროსაბჭოს ნევრ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაფუჭება გარდაუვალი იქნება.

— როგორ ფიქრობთ, რუსეთს აქვს იმის რესურსი, რომ მთელ ევროპასა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას დაუპირისპირდეს?

— ისეთი ცინიკური პოლიტიკის გზას ადგას, რომ შეიძლება, ამასაც არ დაგიდევდეთ. დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მოახდინოს ძალის დემონსტრირება და მსოფლიოს დაანახვოს, რომ არაფრის ეშინია. ვიდრე პუტინსა და მედვედევს საკუთარ ხალხში დასაყრდენი აქვთ, რუსეთი იზოლაციასაც გაუძლებს. დღეს რუს ხალხში ძალზე მძლავრად არის ფესვგადგმული ულტრანაციონალისტური და „დერეჟივი“ იდეები. მისთვის საამაყოც კი იქნება, თუ რუსეთი მთელ სამყაროს დაუპირისპირდება. ასეთი განწყობილების პირობებში ძნელია ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ზენოლა რაიმე ნაყოფს გამოიღებს.

— ეი. ვიდრე რუსული საზოგადოება თვისებრივად არ შეიცვლება, ჩვენ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების არანაირი შანსი არა გვაქვს?

— ასე გამოდის. რუსეთზე სამხედრო ზენოლას საერთაშორისო თანამეგობრობა არავითარ შემთხვევაში არ განახორციელებს, მაგრამ არც იმას დაუშვებს, რომ კრემლმა თავისი ულტრანაციონალისტური განწყობილებით

მთელ სამყაროს საფრთხე შეუქმნას. ამიტომ ყველანაირად ეცდება, ოპოზიციურ ძალებთან კონტაქტში შევიდეს და გარკვეული ვალდებულებების ფასად, ხელისუფლებისკენ სავალი გზა გაუკვალოს.

— ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია... რატომ არის მიუღებელი ევროპისთვის და თუნდაც ნატოსთვის, რომ რუსეთს უფრო რადიკალური ნაბიჯებით დაუპირისპირდნენ?

— ყველამ იცის, რომ ნატოსა და რუსეთს შორის ომი რუსეთისთვის კატასტროფული შედეგით დასრულდება, მაგრამ ნატო მაინც გაცილებით მეტ კომპრომისზე მიდის, კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად. საერთოდ, დასავლეთი და დემოკრატიული სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ, მინიმალურად შეამცირონ ის რისკები, რომლებიც სამყაროს საფრთხეს უქმნის. ეს დასავლური სამყაროსთვის დათმობა კი არა, სტრატეგიაა. ევროპა და ამერიკა მოქმედებენ, რბილად და ცივილიზებული მეთოდებით, რუსეთი კი ხისტად და უპასუხისმგებლოდ. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი კონსტრუქციულობასა და სამართლებრივ ნორმებს არად დაგიდევთ, გარკვეულ ჩარჩოებში ისიც ჯდება და ისიც იცის, რომ თუ „ნითელ ხაზს“ გადაკვეთს, მისი დასასრულის დასაწყისი დაიწყება. რუსეთი უპასუხისმგებლოდ მოიქცა, როდესაც საქართველოში შემოიჭრა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ მისთვის თბილისის აღება „ნითელი ხაზის“ გადღე-

ახვა იქნებოდა... დასავლეთი თანამედვერულ პოლიტიკას მისდევს და უხერხულ ნაბიჯებს არც ჩვენ გამო გადადგამს, მაგრამ რადგან ერთხელ დაგვიჭირა მხარი, ბოლომდე ასე გააგრძელებს და გადანეგტილებას პრინციპულად არ შეცვლის. მერწმუნეთ, ევროპა რუსეთის წინააღმდეგ წელი, შეფარული პოლიტიკით უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე ხისტი და რადიკალური ნაბიჯებით.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ცივი ომი გაჩაღდება?

— ცივი ომის გაჩაღების შესაძლებლობა რუსეთს არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდანაც ემუქრება. ეს კი საბოლოო ჯამში, რუსეთის იმპერიულ ზრახვებს საბოლოოდ გამოუთხრის ძირს.

— ვიდრე რუსეთი, ევროპა და ამერიკა ურთიერთობებს გაარკვევენ, საქართველოს ფუნქცია რა იქნება?

— ქართველებს ისლა დაგვრჩენია,



მოთმინება გამოვიჩინოთ, პროვოკაციებს არ ავყევთ, მაგრამ არც არსებულ რეალობას უნდა შევეგუოთ. შეგახსენებთ იაპონიის მაგალითს: ეს ქვეყანა არ ეგუება იმას, რომ რუსეთმა 1945 წელს კაპიტულაციიდან მოანერინა ხელი და 4 კუნძული წაართვა, მაგრამ არც ომით იმუქრება. იაპონელებისთვის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ამ კუნძულების დაბრუნებაა და ისინი უბრალოდ, შესაფერის მომენტს უცდიან. ჩვენ იაპონიასავით დიდი და ძლიერი ქვეყანა არ ვართ, ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს. საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, დიპლომატიური გზებით, ინტენსიური დიალოგით, ნელ-ნელა უნდა დავიყოლოთ რუსეთი, შეამციროს თავისი საჯარისო ნაწილები ჩვენს ტერიტორიაზე, შემდეგ კი საბოლოოდ გასვლაც ვაიძულოთ...

ახალი პრესა ყველა სოფელს! ყურადღება! იცოცხლოვით... (პრესა ან სხვა) და გაქვთ სურვილი, შეზავოთ თქვენს იმედებს ევრონაღ-გამოქვების სარეაქტივო სტენდს, დაევიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315. მანქანისთვის თქვენი ვანობა და საკონტაქტო გეგმეფონა. მკითხველსა და მკითხველს: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315. „ქვეყანა“

დაუსრულავალი „ცივი ომი“

ნლეულს ნოემბერში ბერლინის კედლის დაცემიდან 20 წელი სრულდება. თუმცა ამის მიუხედავად, ევროპაში კონფრონტაციის დასასრული შეიძლება, მხოლოდ დროებითი აღმოჩნდეს. როგორც ჩანს, საქართველოში მომხდარი ომიდან ერთი წლის შემდეგ, ძველი უთანხმოებები ხელახლა და თან, ახალი ფორმითაც იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში „ცივი ომის“ დასასრულის შესახებ გამოცხადდა, სინამდვილეში ის მაინც არასდროს დასრულებულა.

როცა საბჭოთა კავშირმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დატოვა, ჩვენ, რუსები, ვვარაუდობდით, რომ ნატო არ დაიწყებდა იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების ხარჯზე გაფართოებას, საიდანაც ჩვენ გამოვედით. ჩვენ ევროპასთან გაერთიანების, „საერთო-ევროპული სახლის“, „გაერთიანებული და თავისუფალი“ ევროპის შექმნის იმედი გვქონდა, რაც გულუბრყვილობა, თავის მოტყუება როდი იყო. ბოლოს და ბოლოს, შეერთებული შტატებისა და გერმანიის ლიდერები ნამდვილად შეპირდნენ მიხაილ გორბაჩოვს, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა.

კომუნიზმზე გამარჯვების შემდეგ, თავიდან რუსეთიც გამარჯვებულად მიიჩნევდა თავს. მაგრამ რამდენიმეწლიანი ეიფორიის შემდეგ, დასავლეთმა უფრო მეტად დაიწყო „ცივი ომში“ გამარჯვებულივით მოქცევა. რადგანაც საბჭოთა კავშირის მხრიდან პოტენციური „საომარი საფრთხე“ გაქრა, ნატოს გაფართოების შემდგომი ტალღები სამხედრო და იდეოლოგიური მიზნების მიღწევას ვერ უზრუნველყოფდა.

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული დასავლეთის გეოპოლიტიკური მიზანი — დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მოქცევა გახდა. თავდაპირველად დასავლეთი იმასაც ირწმუნებოდა, ნატოს ახალი წევრები დემოკრატიულ და სამხედრო კრიტერიუმებს პასუხობენო. მოგვიანებით კი, როცა ნატომ თავის რიგებში ყველაზე ჩამორჩენილი და კორუმპირებული სახელმწიფოების მიწვევა დაიწყო, ეს კრიტერიუმები საერთოდ დაივიწყეს.

ნატომ მარტო თავისი წევრების რიცხვი კი არ გაზარდა, არამედ ან-

ტიკომუნისტური თავდაცვითი კავშირიდან შემტევ დაჯგუფებადაც (საომარი ოპერაციები იუგოსლავიაში, ერაყსა და ავღანეთში) გარდაიქმნა. რუსეთის საზღვრებისკენ ნატოს გაფართოებამ და აგრეთვე, მის რიგებში იმ ქვეყნების განწევრებამ, რომელთა ელიტებსაც რუსეთთან მიმართებაში ყოველთვის ისტორიული კომპლექსები ჰქონდათ, კავშირში ანტირუსული განწყობილებები გააძლიერა. იმიჯის გაუმჯობესების ყველა მცდელობის მიუხედავად, რუსების დიდი ნაწილი ნატოს დღეს ბევრად უფრო მტრულ ორგანიზაციად მიიჩნევს, ვიდრე 90-იან წლებში ანდა კიდევ უფრო ადრე მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ნატოს გაფართოება იმის ნიშანი გახდა, რომ ჯერ თავად ევროპამაც კი ვერ დაასრულა „ცივი ომი“: იმის გამო, რომ ეს „ომი“ რაიმე სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერით არ დასრულებულა, ის დღემდე დაუსრულებელი რჩება. მართალია, უწინდელი იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაცია ნამდვილად უკან დარჩა, მაგრამ ის მხოლოდ ახალმა გულგრილმა ურთიერთობებმა თუ შეცვალა.

ვიმედოვნებ, როცა ისტორიკოსები შარშანდელ ზაფხულში სამხრეთ ოსეთზე საქართველოს თავდასხმას გადახედავენ, ამ ომში მოკლულ ოსებს, რუსებსა და ქართველებს ტყუილად დალუპულებად არ მიიჩნევენ. რუსეთის ჯარმა მარტო საქართველოს არმია კი არ გაანადგურა, მან ნატოს შემდგომი გაფართოების ლოგიკასაც ძლიერი დარტყმა მიაყენა. და თუ ეს პროცესი ბოლომდე არ შეჩერდა, ის ევროპის გულში გარდაუვალ მასშტაბურ ომამდე მიგვიყვანს.

სადღეისოდ სიტუაცია ჯერაც გადაუჭრელი რჩება. სახრეთ ოსეთის კონფლიქტის შემდეგ აშშ-ს „ცივი ომის“ რამენაირი ახალი ფორმით გაჩაღება არ გამოუვიდა, რაშიც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმაც არცთუ ისე უშინვენილო როლი შეასრულა.

ვიმედოვნებ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ობამას პრეზიდენტობა ახალი „ცივი ომის“ იდეა-ფარსის სათანადო შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს. დიდ ევროპას, რომლის შემადგენლობაშიც მე პირადად, არა მარტო რუსეთს, არამედ აშშ-საც ვხედავ, ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება ანდა სულაც, ხელშეკრულებების სისტემა ესაჭიროება, რაც საბოლოო წერტილს დაუსვამს სამინელ XX საუკუნეს და თავიდან აგვაცილებს ისტორიის გამეორებას.

რისი გაკეთებაც მართლაც აუცილებელია, ეს კოლექტიური უსაფრთხოებაზე საერთო-ევროპული შეთანხმებაა, რომელსაც ან ცალკეული ქვეყნები, ანდა ნატო და ევროკავშირი და აგრეთვე, რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მოაწერდნენ ხელს. იმ ქვეყნებს, რომლებიც რომელიმე უკვე არსებულ უსაფრთხოების სისტემაში არ არიან ჩართულნი, შეთანხმებასთან მიერთება და მრავალმხრივი გარანტიების მიღება უნდა შეეძლოს. ნატოს გაფართოება კი დე ფაქტო უნდა გაიყინოს.

კარგად გვახსოვს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შესახებ, ამიტომ სახელმწიფოების შემდგომი ფრაგმენტაციისა და მათი ძალადობრივი მიერთების თავიდან აცილებასკენ უნდა ვისწრაფოდეთ. კოსოვო, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი — ძალის გამოყენებით გამოყოფილი ბოლო სახელმწიფოები უნდა იყოს. თვითგამორკვევის პანდორას ყუთი უნდა დაიხსროს.

როგორც კი XX საუკუნის მიერ დეტოვებული კონფრონტაციის მემკვიდრეობა გადაილახება, რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკის კოორდინაციის კვალდაკვალ, ამ ქვეყნების ბირთვული არსენალის მასშტაბური შემცირებაც იქნება შესაძლებელი. ასეთი სცენარის შემთხვევაში, ამერიკულ-რუსული ურთიერთთანამშრომლობა ისეთ კრიზისულ სიტუაციებში, როგორიც მაგალითად, ავღანეთი ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებით დაპირისპირებაა, უფრო მჭიდრო გახდება.

თვით ევროპაში კი უნდა შეიქმნას კავშირი რუსეთსა და ევროკავშირს შორის, რომელიც საერთო ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სივრცეებსა და აგრეთვე, ზოგადსააკცობრიო მასშტაბით განსახორციელებელ, კოორდინირებულ პოლიტიკაზე იქნება დაფუძნებული.

ასევე უნდა გაკეთდეს აქცენტი მსოფლიო ეკონომიკისა და ფინანსების მართვის ახალ სისტემაზე, რომლის შექმნაც, „ცივი ომის“ საკითხების გადაჭრელობის შემთხვევაში, კიდევ უფრო გართულდება. ევროპამ, რუსეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ცივი ომი“ უნდა დაასრულონ. და მაშინ იქნებ 2019 წელს, ვერსალის ზავის 100 წლისთავის აღნიშვნისას, ბოლოს და ბოლოს, XX ასწლეულსაც დავემშვიდობოთ.

სერგეი კარაბანოვი
Project Syndicate, აშშ

90-იანი წლების მინურულს, როცა საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, გროზნოს ციხის ხელმძღვანელობამ მიიმე დაწამაულში ბრალდებული ათეულობით პატიმარი მოულოდნელად გაათავისუფლა. სასჯელალსრულებითი დაწესებულების გადაწყვეტილებამ მაშინ ბევრი გააოცა, მაგრამ არავის უკითხავს, რა გახდა ამის მიზეზი, მით უმეტეს, რომ ჩვენეთში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დაწესებული უკმაყოფილების ტალღა უკვე მწვავე ფაზაში იყო შესული...

აფხაზეთის ომში ჩვენების მონაწილეობა აქტუალურობას არ კარგავს. ამ ერის წარმომადგენელთა ნაწილი დღეს ამ საქციელს ნაწიბს. მოსაზრება, რომელსაც წლების შემდეგ ჩვენები გამოთქვამენ, ქართველების წინაშე თავის მართლების პოლიტიკას ჰგავს: ისინი ირწმუნებიან, რომ რუსული „კაგებე“ ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის რღვევამდე მიზანმიმართულად ცდილობდა, კავკასიელი ხალხების ერთმანეთისთვის გადაკიდებას.

ლალი პაპასკირი

ჩვენი რესპონდენტი — ეროვნებით ჩეჩენი მაგამედი ასლა 35 წლის არის. რუსეთ-ჩეჩენეთის მეორე ომის შემდეგ მას თავის ქვეყანაში აღარ უცხოვრია, სამაგიეროდ, საქართველოს საშინაო კონფლიქტებში მონაწილეობა „მოახერხა“. ამჟამად მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, პარალელურად, ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს, რომლის სათავე ოფისი პოლონეთშია. 90-იან წლებში იგი გროზნოში შექმნილ სახიფათო ვითარებას გაეცალა და აფხაზეთის ომში ჩაება; ლამის ომის პირველი დღიდანვე აფხაზურ პოზიციებზე იბრძოდა, რადგანაც ეგონა, მცირერიცხოვანი აფხაზი ერის გადასარჩენად დიდ საქმეს აკეთებდა. ეს — მაშინ; ახლა საკუთარ საქციელზე სხვა აზრი აქვს...

— 90-იანი წლების დასაწყისში, ჩვენდა

„აფხაზებს ვუთხარი — თქვენი ეთნოსის გადარჩენა მხოლოდ ქართველებს უაუქლიათ-მეთქი“

გასაოცრად. შეწყალეულთა სიაში რამდენიმე ჩემი ნაცნობიც მოხვდა. ისინი რუსეთში ჩადენილი ორგანიზებული დაწამაულისთვის იხდიდნენ სასჯელს და ამიტომაც გაგვაცოცა მათმა გათავისუფლებამ... აღრეც ყოფილა შემთხვევები, როცა მიიმე დაწამაულისთვის მსჯავრდადებულები გაუთავისუფლებიბათ, მაგრამ მათ „კაგებე“ თავისივე ხალხის წინააღმდეგ საიდუმლო საქმეებისთვის იყენებდა და ამის შესახებ კრიმინალური წრეებისთვის ცნობილი იყო. ამ მასშტაბით ციხიდან პატიმრების გამოშვება კი პირველი შემთხვევა იყო.

— როგორც შემდეგ გაირკვა, ნადრეუად გამოშვებული პატიმრების უმეტესობამ მცირე ჯგუფები ჩამოაყალიბა და აფხაზეთში წამოვიდა...

— დიას, ერთ-ერთ ჯგუფში მეც ვიყავი, ოლონდ პატარა შენიშვნას გავაკეთებ. ჩეჩენურ ჯგუფებში ორი მიმართულება იყო: ერთი — ვინც აფხაზების დახმარებას აპირებდა და მეორე — ვინც ამ რეგიონში საშოვარზე იყო წასული. მაშინ რუსულ ჯარში სავალდებულო სამსახურის მოხდა მიწეუდა და ამ საზიზლარი მოვალეობისთვის თავის არიდების შანსიც გამომიჩნდა. არც კი დავეიქრებულვარ, ისე წავედი აფხაზეთის ომში. მსგავსი მიზეზით იქ უამრავი ჩემი თანატოლიც იყო. როგორც კი აფხაზეთში ჩავედი, ადგილობრივი მეომრე-

ბი დაგვხვდნენ და გვეითხეს, იარაღისა და ტყვია-წამლის მხრივ როგორ გვექონდა საქმე? ჩვენი დაჯგუფების მეთაური გადამდგარი სამხედრო პირი, იარაღმევი იყო (სამწუხაროდ, მისი წოდება არ მახსოვს). მან დამხედურებს უთხრა: ამხელა გზაზე მოუშაადებლები არ ჩამოვსულვართ, მაგრამ თუ დაგვეჭირდა, უნდა ვიცოდეთ, ვის მივმართოთ. ამაზე ორწარი პასუხი გავეცეს: ვილაცებმა გვეითხრეს, — ქართველებს იარაღის მდიდარი არსენალი აქვთ და ინფორმაციის მოსაპოვებლად სპეციალური ჯგუფები მუშაობენ, რომლებიც თქვენც დაგაკვალანებენ, თუმცა სასურველია, ეს პრობლემა თავად მოავგაროთო; მეორე ნაწილის თქმით, საჭირო შეიარაღება რუსეთიდან შემოდიოდა, თუმცა ყველა მეომარი არ იყო აღრიცხული და უცხოებისთვის იარაღის გაცემას ერიდებოდნენ ანუ ნებისმიერ შემთხვევაში აფხაზებისთვის უნდა მიგვემართა... არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ ყველა წმინდა სალოცავს გევიცებთ, იარაღმევემა კატეგორიულად გაგვავრთხილა, — მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას თუ ესვრით, მუხლებს გაგისვრეტთ, აქ საომრად ვართ ჩამოსული და ღირსეულად უნდა ვიომოთო.

— მაგრამ ომი კანონებს არ ცნობს და საომარი მოქმედებებს „გვერდითი მოვლენები“ ახლავს თან...

— მართალია. როცა გუდაუთაში შევედი, რამდენიმე ჩემი მეომარი სხვა ჯგუფში გადავიდა, ზოგიც ახალი შემოგვემატა. ჩვენი რაზმი ოფიციალური სახის ქვედანაყოფს არ წარმოადგენდა და მეომრები სურვილის მიხედვით მიდი-მოდიოდნენ, ამიტომ ყველას აღრიცხვა შეუძლებელი იყო... როცა ქართულ-აფხაზურ ომზე საუბრობენ, აუცილებლად აღნიშნავენ ჩვენების „განსაკუთრებულ წვლილსაც“...

— და არცთუ უსაფუქლოდ...

— გეთანხმებით. თავის მართლებას არ ვაპირებ, ვიცი, რომ ჩვენმა ხალხმა უამრავი სისასტიკე ჩაიდინა. მაგრამ ერთ რამეს დარწმუნებით გეტყვით: ლეგენდად ქცეული სისასტიკის მაგალითი, რომლის მიხედვითაც, გაგრის სტადიონზე ჩვენები დახოცილი ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, სიცრუეა. თითქმის ყველა



ქვეყანა

რამის მეომარ ვიცნობდი, შემზარად და სულსშემძვრელ ამბებს ჰყვებოდნენ, მაგრამ მსგავსი სისასტიკე არავისგან მომისმენია. სხვათა შორის, აფხაზი მეომრები იმ ჩენებს უფრო მეტ პატივს სცემდნენ, ვინც ქართველების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. უამრავმა მათგანმა, ასეთი დამოკიდებულების გამო, აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში საცხოვრებელი ადგილიც „დაიმსახურა“. ჯერ კიდევ ომის პერიოდში არაერთხელ მინახავს ქართველების მიტოვებულ საცხოვრებელზე წარწერა: „ზანიატო. ჩეჩენეც“... ვიცი, რომ ასეთი ფაქტების გამო ჩამოუყალიბდათ ქართველებს ჩვენ მიმართ აგრესია, მაგრამ როგორც ქართველებში არის კარგი და ცუდი, ასევეა ჩეჩენებშიც, უბრალოდ, ჩვენს ხალხს უფრო მიძიმე წარსული და მკაცრი ტრადიციები აქვს, რაც ერის განათლებაზე უარყოფითად აისახა: ნაკლებად განათლებული ხალხები სხვა ერების მიმართ ყოველთვის აგრესიულები არიან. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი მშვიდობისმოყვარე არ არის.

— ომის პერიოდში აფხაზ მეომრებთან ხშირი ურთიერთობა გქონდათ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ იქაურობა ცუდად ვიცოდით და კოორდინატების მიცე-



მაში, ინფორმაციის მიღებასა და გადა-
მონშებაში მათ ვეყრდნობოდით. ნებისმი-
ერ მწვავე და სარისკო თავდასხმასა თუ
დავალებზე პირველები მივდიოდით, მნიშ-
ვნელობა არ ჰქონდა, სოფლის, დაბის ან
ქალაქის ალება გვევალებოდა თუ ტყეში
დაბანაკებული ქართველი მეომრების გა-
ნადგურება. თავიდან გვეგონა, ამ ჩანაფიქრს
ერთი ასხნა ჰქონდა — კარგი მებრძოლე-
ბი ვიყავით, აფხაზებს კი არანაირი სა-
ბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ. მათ
იარაღისა და ტყვიან-წამლის გარდა,
არაფერი ებადათ, თუმცა მოტივაცია მაინც
მალალი ჰქონდათ: „ზა როდინუ!“ ომში
ვიყავი და ვერ ვიტყვი, ქართველისთვის
არ მისვრია-მეთქი, მაგრამ ყველაზე წმინ-
დანს, უზენაესს გეფიცებით — მშვიდობი-
ანი მოსახლისთვის არც კი დამიმიზნებია.
ერთხელ ტამიშის ბრძოლების შემდეგ უკან
ვბრუნდებოდი. უღრან ტყეში ქალი და
3 ბავშვი შემოგვხვდა; პატარები 5-6 წლის

იქნებოდნენ, მოზარდი კი, ალბათ, — 15-
ის. ქალს ჩვენს დანახვაზე შიშისგან მუხ-
ლები მოკვეთა, შეშინებული პატარები ბაჭ-
იებივით აეკრუნნ დედას. უფროსს არ
შეშინებია, თვალებს უცნაურად აცეცებ-
და. სახლიდან იმ დღის წამოსულს არ
ჰგავდნენ, დალილები და შიმშილისგან
დასუსტებულები ჩანდნენ, ბოშებივით
ზურგზე ბარგი ჰქონდათ მოკიდებული.
გავაფრთხილეთ, იმ მხარეს ნუ მიდიხართ,
აფხაზეთი არიან-მეთქი და თან ისიც ვკითხ-
ეთ, — აქ სადმე წყალი ხომ არ არის-
თქო? შიშისგან ხმას ვერ იღებდნენ... გზა
განვგარქეთ, ისინი კი იქ იღაჩნენ. 300
მეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, სრო-
ლის ხმა შემოგვესმა. ორლულიანი თოფის
ხმას მივამსგავსე, მაგრამ ყურადღება არ
მიგვიქცევია. მერე უკან მომავალი აფხაზე-
ბი დაგვენივნენ. ერთი დაჭრილი მოჰყავ-
დათ, გვითხრეს: ქართველი დედა-შვილი
შემოგვხვდა და როგორც კი თვალს მიე-
ფარნენ, ვილაცხმე მაშინვე გვესროლა, ეტყ-
ობა, ჩუმად ვილაცხმეც ახლდნენო. მივხვ-
დი — იმ 15 წლის მოზარდის ნახელავი
იყო.

— საიდან მიხვდით?

— სხვა იქ არავინ იყო, თან, აფხაზების
მონაყოლით, დედა და ორი პატარა
მოდიოდნენ, მესამეზე არაფერი უთქვამთ

ანუ ის ჩვენთან შეხედრის შემდეგ გაფრთხ-
ილდა, შორიასლო გარს უვლიდა თავისი
ოჯახის წევრებს და როგორც კი შანსი
მიეცა, მაშინვე გამოიყენა. ამათ გვეკითხეს:
თქვენც ის გზა გამოიარეთ და არ შეხ-
ვედრისხართო? მოვატყუეთ: კაციმშვიდი არ
გვინახავს, არც ის ქალი და ბავშვები-თქო...
გულრიფშში თქვენი საყვარელი მწერლის
— ნოდარ დუმბაძის სახელობის სახლ-
მუზეუმი, რომელსაც აფხაზების მაშინდელ-
ლი ლიდერის, არძინბას კატეგორიული
მოთხოვნით, არავინ გაკარებია. ვიცოდი,
რომ ომის დროს იმ სახლს ქართველი
დაჭრილები აფარებდნენ თავს. არ ვიცი,
დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ ყოფილა
შემთხვევა, როცა დაჭრილი ქართველი სამშ-
ვიდობოზე ზურგით გამოყვანია. ერთხელ
განთიადთან ბრძოლისას, ასთმური შეტ-
ევით გათიშული კაცი გაგარის საავადმყო-
ფომდე ზურგით ვათრიე და სწორედ მა-
შინ დავიჭერი. ქართველებმა რომ გაიგეს

ჩემი საქციელის შესახებ, თავად გამომაც-
ილეს აფხაზური პოზიციებისკენ.

— არაფრის სანაცვლოდ?

— დიახ, არაფრის სანაცვლოდ... სას-
ტიკ ხალხს გვეძახიან, მაგრამ ფაშისტები
არ ვართ. თუ იმიტომ დამძრახავს ვინმე,
რომ ქართველს ვესროლე, ამაზეც მაქვს
პასუხი: საკუთარი თვალით მინახავს „პერ-
ესტრელკების“ შემდეგ, ერთმანეთის მოსა-
კითხად გადასული ქართველები და აფხა-
ზები, თუმცა პოზიციებზე დაბრუნების
შემდეგ ისევ ესროდნენ ერთმანეთს...

— ისინი ერთი მინის შვილები იყვნენ...

— დიახ. მაგრამ ჩვენ იმ განწყობილებით
ჩამოვედით, რომ დაჩაგრულ აფხაზ ერს
დავხმარებოდით... ვნანობ ამას, ვიცი, რომ
გვიანია, მაგრამ ამით ვერც აფხაზებმა იხ-
ეირეს და ვერც ქართველებმა. მოგებული
მხოლოდ რუსეთი დარჩა, თუმცა არავინ
იცის, როდემდე... მქონია შემთხვევა, როცა
ჩემ პირისპირ უიარალო ქართველი დარ-
ჩენილა, მაგრამ არ მომიკლავს, მე მხოლოდ
ჩემთან თანაბარ მდგომარეობაში მყოფ
ადამიანს ვესვრი.

— ჩამოსულებიდან, ქართველი მონინალმდევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ვინ გამოირჩეოდა?

— ასე ვერ გამოვარჩევ, ყველა სასტიკი
იყო — ჩეჩენები, კაზაკები, რუსები, ადიღე-
ლები, სომხები; არც ქართველები აკლებდ-
ნენ. ადგილობრივ ქართველებს ჩვენზე
მეტად, „მედროინელების“ ეშინოდათ,
პირდაპირ სიცოცხლეს უმწარებდნენ. აფხ-
აზებს კი, სადაც მოიხლებოდნენ, სასტიკად
უსწორდებოდნენ... ახლა, როცა პანკისში
ნათესავეებთან ჩავდივარ, ჩემი ხალხი
ქართველების მიმართ მადლიერებას გამოხ-
ატავს, თუმცა შემდეგ სოციალურ პრობ-
ლემებზეც ლაპარაკობენ. ვცდილობ, იქ ჩაახ-
ლებულ ჩეჩენ ლტოლვილებს შეძლებისდაგ-
ვარად დავხმარო, მაგრამ ერთ რამეს ვუბ-
ნები: მესმის, რომ სოციალური პრობლე-
მები გაქვთ, დაიმასხვრეთ, თუ ჩეჩენი,
როგორც ეთნოსი გადარჩა, ეს ქართველების
დამსახურებია იქნება-მეთქი... აფხაზეთის
ომის შემდეგ წლები გავიდა და დრომ
ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ამ
გადასახედიდან ვხვდები, ვინ სად შეეცდით.
სხვათა შორის, ამას წინათ ვარშავაში
ყოფნისას, აფხაზებს შეხვდი და იგივე ვუთხ-
არი, რაც ჩემს ხალხს: აფხაზი ერი თუ
გადარჩა, ეს მხოლოდ ქართველების დახ-
მარებით მოხდება-მეთქი.

— რა გიპასუხეს?

— უკეთესი იქნებოდა, 90-იან წლებში
რომელიმე მხარეს მეტი ჭკუა გვექონოდა
და საქმე სისხლის ღვრამდე არ მის-
ულიყო. მათ კარგად იცნან ჩვენი უახ-
ლესი ისტორია და ისიც, თუ რა დაგვ-
მართა რუსეთმა. როცა ჩეჩნური დი-
ასპორის წარმომადგენელი ასეთ რჩევას
ამღვეს, ამაზე უნდა დაფიქრდნენ, მით
უმეტეს, რომ ჩრდილოკავკასიელი ერების
დიდი ნაწილი ამ აზრისაა და ეს ბოლო
დროს ამ რეგიონში განვითარებული მოვ-
ლენებიდანაც კარგად ჩანს.



სასწე

ნინო ქონანიძე დადაბთილთან ქმარზე ჭორაობს

ცოტა ამბიციური, სამართლიანი, გულჩვეილი, მიზანდასახული, კომუნიკაბელური, პუნქტუალური — ასე შეიძლება, მომღერალ ნინო ქონანიძის დასახიათება. მას თურმე ოჯახში ბავშვობიდან, როგორც იტყვიან, „პარადი მიჰყავდა“. უბანში „საქმეებსაც არჩევდა“, რის გამოც „დონა ნინა“ შეარქვეს. უყვარს გართობა, ცეკვა, სიმღერა. ძმას თურმე არაფერს უთმობდა, ქმარს კი — ყველაფერს. როცა მეუღლე გაბრაზებულია, იცის, რომ უნდა გაერიდოს, მაგრამ დიდხანს გაბუტვასაც ვერ ახერხებს...



ნინო გჰაღლიშვილი

— დავიბადე და გავიზარდე ქუთაისში, ბავშვობიდან ხელოვნება მიტაცებდა, ცეკვა 5 წლის ასაკიდან დავიწყე. 7 წელი სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი, სოლისტი გახლდით და ვფიქრობდი, რომ მომავალში ამ საქმიანობას გავყოლოდი. მერე, სიმალლეში აღარ გავიზარდე, რის გამოც უკანა რიგებში გადამიყვანეს; ეს აღარ მომეწონა და პარალელურად ვიოლინოს შესწავლა დავიწყე. სწორედ იმ დროს ჩვენს სკოლაში ანსამბლი „ტეტრაკორდი“ ჩამოყალიბდა. მეც ამ საკმაოდ წარმატებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლდით. ბავშვობიდან ხელოვნება ძალიან მიყვარდა, ეს სიყვარული ჩემში მამამ გააღვივა, რადგანაც მუსიკოსი იყო.

დედა?

— დედა ძალიან შორს არის მუსიკისგან.

დედამამიშვილები გყავს?

— ძმა მყავს და სულ იმას ამბობს, რაც კარგი ჰქონდა მამას, ყვე-

ლაფერი შენ გამოგყვა, მე ამ მხრივ დაჩაგრული ვარო. სულ ვჩხუბობდით, ჩემზე უფროსია 2 წლით, ძალიან უყვარდა ბავშვობაში ჭამა, იმდენად ღორმუცელა იყო, საჭმელს მალავდა. რამდენს ჭამთო, გვეჩხუბებოდა ყველას. ახლა კითხვა უყვარს, ისტორიკოსია.

— დაოჯახებულია?

— არა, ძალიან პრეტენზიულია.

სულ იმას მეუბნება, შენზე ლამაზი ცოლი უნდა მოვიყვანო, ბევრად რომ გჯობდესო. ეტყობა, ჯერ ვერ იპოვა ასეთი (იცინის). ამ წუთიაობაში კი გადის წლები, ზოგის მარჯვენა ფეხის თითი არ მოსწონს, ზოგის მარცხენა თეძო და ასე...

— მშობლებიდან ვისთან უფრო ახლოს იყავი?

— მე და მამა (დათო ქონანიძე)

სიანლე საქართველოში!

განაჩინება - მესერი წარმოების საკვები დანამატები მოზრდილთათვის.

- უსრენველოუს ხახრების და ზერბეზის კომპლექსურ დრო რეგენერაციის პროცესს;
- სულეხ ხრეზის დამლის და აქვირებს ტყეფელს;
- ასტონულორებს კოლეგნის აქვირ წარმოქმნას;
- უსრენველოუს დამიანის სოციოქოლესენარანის ასელებს ხახრების და ზერბეზის დაეაფებებს დროს;
- ახალითებს გახანტრელებული მოქმედება 2-6 თვის განსვლობაში; მუღებს ხანტრელები: 2-3 თვე; მუღებს პერიოდი 2-3 ვერ წელაწაღში.

გამოწეპი „სიანლე“-ის
 ორბიციანობაო წარმოებაგანსვლი
 საბაგომბეზობი
 კონსაგია „ბიკაპრ“
 - 24 სთ-ბაგე მუგაგობს მბგეგობი.



მის: მანკობი; კამბიის 15-ბი მბგაგა მბგეგობი. აგომბიძი „ბიკაპრ“; ტელ: 37-98-73 (24 სთ)



უბანში ბევრ ბიჭს მოვწონდი

კარგად ვუგებდით ერთმანეთს. ის ჩემთვის ყველაფერი იყო. რომ გარდაიცვალა, ძალიან განვიცადე. მე და ჩემი ძმა რომ ვკამათობდით, მამა ყოველთვის ჩემს მხარეს იყო, ხასიათითაც ძალიან ვგავარ მას. ისე, დედაჩემი და ჩემი ძმა ერთ მხარეს იყვნენ, მე და მამა — მეორე მხარეს. ჩემი ძმა კარგად სწავლობდა, მაგრამ მე მუსიკაში ვიყავი წარჩინებული და ასე ვთქვათ, „პარადი“ მიმყავდა. თუმცა, დიდი ხელშეწყობა არ მქონია, გზა ჩემით გავიკვალე...

სარკის წინ კვლუცობა რა ასაკში დაიწყო?

— პრანჭია არასდროს ვყოფილვარ, თავის გამოჩენა არ მიყვარდა, მეუბნებოდნენ, ძალიან მორიდებული ხარო. ერთხელ, მახსოვს, სკოლაში ერთ-ერთ სპექტაკლში ბულბული გავასახიერე. სპექტაკლს თემურ შაშიაშვილი დაესწრო. წარმოდგენა რომ დამთავრდა, ყველა სტუმარს მიესია, მე სადღაც უკან, მორცხვად ვიდექი. ბატონმა თემურმა იკითხა, სად არის ის პატარა ბულბულიო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვედი ჩრდილიდან.

თაყვანისმცემლები გყავდა?

— რა თქმა უნდა, უბანში ბევრ ბიჭს მოვწონდი, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერავინ ამბობდა. ქუთაისში სხვანაირი წესები იყო, უბნელის შეყვარება არ შეიძლებოდა. სხვა უბნელსაც რომ შეყვარებოდი და ეთქვა, უბნის ბიჭები კარგ დღეს არ დააყრიდნენ. დასავით ვიყავი მათთან გაზრდილი და მფარველობდნენ. ძმის ძმაკაცს რომ შეყვარებოდი, ეს ხომ კიდევ უარესი იყო.

სკოლაში კარგად სწავლობდი?

— კი. სულ ხუთებზე. კარგად რომ ვმღეროდი, ამის გამო დირექტორს ძალიან ვუყვარდი. მათამამებდნენ. სკოლას რომ ვამთავრებდი, მახსოვს, გამოცდა მქონდა ისტორიაში, ერთადერთი ბილეთი ვისწავლე, დამინიშნეს. ერთი კლასელი მყავდა — ნიკა, საცოდავი, სულ წიგნებში იყო ჩაფლული. ჩემი დანიშნული და დაზუსტებული ბილეთი რომ ჩავარაკრავე, მასწავლებელმა თქვა, ერთი ხუთიანი ნიკას, მეორე — ძონენიძეს ეკუთვნისო. აი, მაშინ კი შემრცხვა...

სკოლაში მეტსახელი თუ გქონდა?

— უამრავი: „ნაჭა“, „ჭყიტა“, ეს უკანასკნელი სიცილის დროს ლოყა რომ მეჩუტება, იმის გამო შემარქვეს. „სკვინჩასაც“ მეძახდნენ, მზეზე სულ ცხვირი მენვებოდა და ამიტომ. კიდევ ერთი მეტსახელი მქონდა — „დონა ნინა“, ქურდი ხარო, — მეუბნებოდნენ.

რატომ, საქმეებს არჩევდი?

— ჰო, სულ ბიჭებთან ერთად გავიზარდე და ჩხუბში ჩარევა, საქმის მოგვარება მიწევდა. მეუბნებოდნენ, ქალისთვისაც რომ შეიძლებოდა ქურდობა, კანონიერი ქურდი იქნებოდიო (იციინის). მე „ბირჟაზე“ ვიდექი, ჩემი ძმა სახლში იჯდა და წიგნებს კითხულობდა.

ეს „ბირჟაზე“ გოგო ერთ მშვენიერ დღესაც თბილისში ჩამოხვედი, არა?

— თბილისში ახალ მუსიკალურ ჯგუფში მოვხვდი, „დიამისი“ ერქვა. დატვირთული გრაფიკით ვმუშაობდით. მერე იყო „ჯეოსტარი“, საიდანაც საკმაოდ სკანდალურად წამოვედი,



ადრე უფრო ფიცხი ვიყავი

კონკურსი რომ დავტოვე, 22 წლის ვიყავი. ასეთი წარუმატებლობა ცხოვრებაში არ მქონია, ამ კონკურსმა გული მატკინა, დღემდე არ მჯერა, რომ მაშინ შეგნებულად არ გამომიშვეს პროექტიდან. ახლა კი მეცინება, სცენა როგორ დავტოვე, ბოლოს ყველას ერთად უნდა გვემღერა „ჭრელო პეპელა“, რომელ სიმღერაზე იყო ლაპარაკი, დემონსტრაციულად დავტოვე სცენა. ნიკა მემანიშვილს ვერ წარმოედგინა, რომ გამოვვარდებოდი, რადგანაც წინა ღამით ლიდერი ვიყავი. ეს იყო პირველი „ჯეოსტარი“...

შენს სასიათზეც მითხარი რამე ფიცხი ხარ? სწრაფად იღებ გადაწყვეტილებას?

— ადრე უფრო ფიცხი ვიყავი, ახლა ძალიან დიდხანს ვფიქრობ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ. საერთოდ, ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, ყველაფერი გულთან მიმაქვს. ბოლო დროს ცოტათი შევიცვალე, რაღაცებზე თვალს ვხუჭავ... გულჩვილიც ვარ, დღემდე ვტირი ფილმის სევდიან ფინალზე...

როცა თხოვდებოდი, მაშინაც ბევრი იფიქრე?

— რა თქმა უნდა, გიგას ბავშვობიდან ვიცნობ, ქუთაისის საბავშვო მუსიკალურ თეატრში ერთად ვთამაშობდით. იქიდან ვმეგობრობდით. 15 წლის ვიყავი, როცა სიყვარულში გამომიტყდა. არადა, მე კვლავ მეგობრობას ვეფიცებოდი. მან ჩემი სიყვარულისთვის და იმისთვის იბრძოლა, რომ მისი ცოლი გავმხდარიყავი. კარგი ადამიანია გიგა, შრომისმოყვარე, ყველაფერს აკეთებს, რომ კარგად ვიყო. ერთნაირები ვართ... გიგა ბევრს მუშაობს, იღლებს და ზოგჯერ აფექტურიც არის, ამიტომ მას ხელშეწყობა სჭირდება.

როგორ უწყობ ხელს?

— ვერიდები, ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მიხვდება, რომ არ იყო მართალი. თუმცა, როცა გაბუტულები ვართ, პირველი მაინც მე ვურიგდები. ტვინს ვუჭამ, — რატომ ხარ გაბრაზებული-მეთქი და ამაზე უფრო ბრაზდება.

ექვიანი ხარ?

— არა. ამას წინათ, ერთ-ერთ წვეულებაზე, გიგას ყოფილი ფლირტის ობიექტი შეგვხვდა. მეც ვიცნობ, კარგი გოგოა. მოვიდა, დამელაპარაკა, გიგა მოიკითხა, აქ არის-მეთქი, ვუთხარი. ერთადაც დავლიეთ რამდენიმე ჭიქა მე, გიგამ და იმ გოგომ... მე გიგას ვენდობი და ამიტომ არ ვექვიანობ.

როგორი დედა ხარ?

—

„სილაგაზის წყაროზე“ 25-ჯერ მაინც ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ გავლაგაფდი“ ...

— ემოციური, ფეთიანი. მეგობრები მეჩხუბებიან, რომ ასე არ შეიძლება. სანდრო საკმაოდ დამოუკიდებელი ბავშვია. ძიძა არასდროს მყოლია, სხვას ვერ ვანდობ ჩემს შვილს. დედაჩემთან როცა ვტოვებ, მარტო მაშინ ვარ მშვიდად.

— როგორ სჯი, როცა რაიმეს აშავებს?

— არაფერს არ აშავებს, დამჯერი, ხატვა უყვარს, თავისთვის ზის და ხატავს. სიმღერა არ უყვარს; ფეხბურთელი ხომ არ გამოხვალ, დედოკო-მეთქი? — ამას წინათ ვკითხე და არაო, — მიპასუხა. მოცურავე ან მხატვარი უნდა, რომ გამოვიდეს (იცი-ნის). თავისებური, უცნაური ტიპია. გადაწყვიტა, რამდენიმე ცოლი ჰყავდეს. მე რომ არ ვიცხოვრებ მასთან, ზუსტად ვიცი, უკვე შემაგუა ამას.

— დედამთილთან როგორ ურთიერთობა გაქვს?

— მშვენიერი, ერთად არ ვცხოვრობთ, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. გიგას დედა ძალიან თანამედროვე ქალია, ნებისმიერ თემაზე შემიძლია მასთან ლაპარაკი, ხშირად გიგაზეც ვჭორაობთ. გიგა კი არა, შენ უნდა იყო ჩემი შვილიო, — მეუბნება. ძალიან ვგავართ ერთმანეთს, ორივეს გვიყვარს პოეზია...

— როგორ გგონია, თვითონ როგორი დედამთილი იქნები?

— ცუდი, ალბათ, არ ვიქნები. მთავარია, ჩემი შვილი უყვარდეს მის რჩეულს. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაც უნდა იდეალური რძალი მყავდეს, მასთან ვერ ვიცხოვრებ. სანდროც ხომ მეუბნება, — შენ მეორე სართულზე, ზემოთ იცხოვრე (ალბათ, ორსართულიანი ბინის შექენას აპირებს) და ჩემთან სტუმრად ჩამოდიო (იცი-ნის).

— სვირინგი შევნიშნე შენს მზარზე, როდის გაიკეთე?

— ახლახან, ბავშვობის ოცნება იყო, ტატუ მქონოდა, ცოტა „როკერმა“ ბავშვი ვიყავი, ასეთ რალაცებზე ვოცნებობდი. ძალიან მომწონს, დიდხანს კი ვორჭოვობდი, გამეკეთებინა თუ არა. გიგა მეუბნებოდა, მოგბეზრდებაო. მეგობარმა რომ დამირეკა, — რა გადაწყვიტე, მოდიხარო, — გადავიფიქრე-მეთქი, — ვუთხარი. მერე საკუთარ თავზე გავბრაზდი, სულ სხვის ჭკუაზე როგორ უნდა ვიარო-მეთქი და წავედი. ამ ორნამენტს 40 წუთი ვიკეთებდი მხარზე, არც ისეთი მწარე ყოფილა, როგორიც მეგონა.

— ეი, გიგამ შენ ტატუ არ გააპროტესტა?

— რას ამბობ! რომ მოვედი და ნახა, 5 წუთში გავარდა და თვითონაც გაიკეთა ყელზე. ძალიან მომწონს ჩემი ტატუ, არა მგონია, მომბეზრდეს.


ქალაქის სმაურს გარიდებული თემო მუავია ბახმაროში, „ფიქრის გორაზე“ შევნიშნე, გურიის პანორამის ცქერით იყო გართული. პირველი კითხვა, რომელიც ჩაფიქრებული მსახიობის დანახვისას გამიჩნდა, იყო: ნეტავ რაზე ფიქრობ, თემო?

თიქო კალანდაკი

— ვფიქრობ ყველაფერზე. ბახმარო ისეთი ადგილია, რომ აქ მყოფს ვილაც აუცილებლად უნდა გიყვარდეს. თუმცა ამჟამად არავეინ მიყვარს, მაგრამ იმედი მაქვს, თბილისში წასვლამდე გამიჩნდება გოგონა, რომელთან ერთადაც „ფიქრის გორაზე“ ვიფიქრებ...

— როგორ ატარებ არდადეგებს?

— შევბუღების დანყებასთან ერთად „პატრიოტულ ბანაკებში“ კონცერტების ჩატარება დავიწყე. საგარეჯოში რომ ჩავედი, განვიმდა და კონცერტი ღია ცის ქვეშ, წვიმაში



„პატრიოტულ ბანაკებში“ კონცერტების დასრულების შემდეგ ბახმაროში გამოვეშურე

რომანტიკული უოუშანი — თემო მუავია

ჩავატარეთ, მეორე — ვარციხეში. იქ არ განვიმებულა, თუმცა როდესაც ვართემ (ვარციხე ვართეს ცოლის სოფელია) ვახშამზე მიგვიწვია, ვარციხის ღვინის დამსახურებით მხოლოდ სუფრის დასაწყისი მახსოვს. „პატრიოტულ ბანაკებში“ კონცერტების დასრულების შემდეგ ბახმაროში გამოვეშურე.

— მთაში დასვენება გიყვარს?

— მთა ძალიან მიყვარს. გან-

საკუთრებით ბახმარო. ყოველ წელიწადს ბაბუის დანატოვარ სახლში ვისვენებ.

— რთი ერთობი?

— ტელევიზორი რომ არ გვაქვს, კმაყოფილი ვარ. უკეთესი იქნებოდა, ტელეფონიც რომ არ მქონდეს. დღისით შეშის მოსატანად ტყეში დავდივართ, საღამოობით კოცონს ვანთებთ და კონცერტებს ვმართავთ: ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს. მაგალითად, გუშინ



„ქლაბ-შოუს“ პირველი გადაცემის ჩაწერა ბათუმში იგეგმება

მესტრიმის მოყვარული ანანო მუჰაზია შამოღოშის მზეს ეფისხება

ლექსი წავიკითხე. აქ არის წყარო, რომელსაც „სილამაზის წყაროს“ ეძახიან და იქ ხშირად დავდივარ, თუმცა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თუ წყაროს წყალს ათჯერ მაინც დალევი, გალამაზდებიო, ტყუილი აღმოჩნდა, — ოცდახუთჯერ კი დავლიე, მაგრამ ვერ ვერ გავლამაზდი... სასმელი წყალიც ტყვიდან მოგვაქვს. ხოლო წყალი თუ ვინ უნდა მოიტანოს, „ჯოკერის“ თამაშის შემდეგ გაირკვევა. ეს „ბედნიერება“ კი ხშირად მე მერგება ხოლმე. დღეს 40 ლიტრი წყალი მოვიტანე და ძალიან დავილაღე.

— ლაშქრობებზე დადიხარ?

— რა თქმა უნდა. მზის ამოსვლა აქედან ყველაზე ლამაზად ჩანს. ერთხელ მეგობრები მთაზე ლამის თორმეტ საათზე წავედით, მზის ამოსვლას რომ შევხვდებოდით. მთაზე თითქმის ასულები ვიყავით, საშინლად რომ განვიმდა. ვინც ცურვა იცოდა, ქვევით ნიღვარს გაჰყავდა, ვინც არა და იქიდან ნელ-ნელა გულგატეხილები ჩამოვდით. მეორე დღეს მაინც მოვახერხეთ იმ მთაზე ასვლა. საოცარი სილამაზე იყო, რომელმაც მთელი ლამის სიარული და დალლა დამავინება. მომეჩვენა, რომ მზე ხმაურით ამოვიდა და გუგუნით შეუერთდა ცის კაბადონს... სხვათა შორის, ამ მთაზე ხშირია შემთხვევა, რომ, მაგალითად, თხა შემოგხვდეს. ასეთ დროს ჩუმად უნდა იკითხო, არის ვინმე პატრონი? პასუხს ვერ გაიგონებ, ან შეგიძლიათ, თხას ჰკითხოთ, — ხომ უპატრონო ხარ? მოგესხენებათ, დუმილი თანხმობის ნიშანი და თხის მწვადიც შენია (იციან).

— ცხენით ჯირითი თუ გიყვარს?

— ძალიან. ერთხელ ფაფარას მთაზე დავიჭირე სხვისი ცხენი, ძველი საწოლისაგან ლაგამი თვითონ გავუკეთე. ჟანგმა ყბა გაუჭრა ცხენს, მაგრამ მაინც არ დავინდე. უცებ ერთი კაცი მომიახლოვდა, რომელმაც რძის პროდუქტის ყიდვა შემომთავაზა. უარი ვუთხარი, — არ მცალია საყიდლად, ვილაცი ცხენი მყავს დაჭერილი და ვჯირითობ-მეთქი. გამომეკიდა. თურმე ამ კაცის ცხენი ყოფილა. მძ წლის კაცი მაინც იქნებოდა, ბოლოს დამიჭირა, დამსვენებელმა ბიჭებმა ძლივს გაამგებინეს ჩემი თავი.

— მთის შემდეგ ზღვაზე დასვენებას არ აპირებ?

— ბათუმში აუცილებლად უნდა ჩავიდე და ზღვას დახედო, უპატრონოდ მყავს დატოვებული. „ქლაბ-მოუს“ პირველი გადაცემის ჩანერა ბათუმში იგემება. გვინდა, ახალი სეზონიდან ყველა ჩვენი პროექტი განახლებული იყოს. მაყურებელს ბევრ საინტერესოს ვპირდებით.

— წარმატებას გისურვებთ!



— ეთო ყორღანაშვილი

— აკვაპარკში ცურვის გამო არ დავდივარ, უფრო გასარუჯად და განტვირთვისთვის. თან, ცურვა კარგად არ ვიცი. სიღრმის შიში ზღვაზე შარშანწინ გადავლახე. მერე უკვე გავცურე და გამოვცურე (იციან). მაინცდამაინც ლამაზად ვერ ვცურავ, მაგრამ წყალში არ ვიძირები.

— აკვაპარკში ყოველთვის მართო მოდიხარ?

— არა, მეგობრებთან ერთად, მაგრამ ახლა ზოგი მათგანი დასასვენებლადან ნასული, ზოგს არ სცალია. დღეს საქმისგან თავისუფალი ვარ და რადგან კარგი ამინდია, გადავწყვიტე, ვისარგებლო — ნელს ზაფხულმა მზის სხივებით არ გაგვანებოვრა... ვცდილობ, ცოტათი გავირუჯო.

— კარგად ხარ გარუჯული, რას ერჩი?

— ეს ნამზეური აკვაპარკში მივიღე მანამდე, ვიდრე თბილისიდან გავემგზავრებოდი. მეგობრებთან ერთად დასასვენებლად ბათუმში გახლდით, მაგრამ ცუდი ამინდები იყო, სამაგიეროდ, ბათუმით დავტყვი: ქალაქი ძალიან შეცვლილია, უამრავი ლამაზი შენობა... სხვაგან არსად ვყოფილვარ.

— მთაში დასვენებაც გიყვარს?

— კი, ძალიან! სამწუხაროდ, ნელს მთაში, სოფელში წასვლა ვერ მოვახერხე. საკმაოდ დატვირთული ზაფხული მქონდა — სულ რაღაც 2 კვირის განმავლობაში

წყლის შიშაც დაუძლევია, ატრაქციონების მიმართაც არაა გულგრილი, მაგრამ აკვაპარკში მარტო მისულმა ანანო მუჰაზიამ აუზის პირას შეზღონგზე ნებიფრობა არჩია: ზაფხულის „არასაზაფხულო“ ამინდების გამო, შემოდგომის დასაწყისში, როგორც კი ცაზე მზე ამობრწყინდა, გარუჯვის მოყვარულმა ანანომ შანსი სელიდან არ გაუშვა და მზის სხივებს ხარბად „დაეწაფა“...

ვისვენებდი, რადგან მოგესხენებათ, მუსიკალური პროექტი — „ჯეოსტარი 2009“ იწყება. კონკურსის შესარჩევი ტურები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გაიმართა.

— კონკურსანტებზე რას მეტყვი?

— რა თქმა უნდა, სახალისო სიტუაციებიც იყო... მოკლედ, შემიძლია, ვთქვა, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, „ჯეოსტარი“ კი მათთვის ერთგვარი ტრამპლინია. სექტემბრის შუა რიცხვებისთვის, პროექტში მონაწილე 14 ბავშვი უკვე არჩეული იქნება. კასტინგის პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კონცერტებსაც ვმართავდით. ზაფხული საკმაოდ აქტიურად და სასიამოვნოდ გავატარე!

— ანანო, პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— მოდი, ამა ჩემთვის დავიტოვებ...

— ანუ რაღაც ხდება?

— არაფერიც არ ხდება (იციან).

— კარგი, მაშინ მითხარო, დასასვენებლად მარტო წასვლა თუ გიყვარს?

— მიყვარს და ხშირად წავსულვარ მარტო, მაგალითად, ბაკურიანში, რადგან სამეგობროში თითქმის არავინ მყავს ისეთი, ვინც თხილამურებით სრიალებს. ზამთარიც ძალიან მომწონს და ზაფხულიც, თხილამურებით სრიალიც მიყვარს და გარუჯვაც, საზაფხულო განწყობილებაც...

— ანანო, აკვაპარკში წყლის ატრაქციონებს არ სტუმრობ?

— კი, ძალიან ხშირად! ძალა ყველა მათგანზე მომისინჯავს. განსაკუთრებით, ექსტრემალური ატრაქციონები მიყვარს, ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფას რომ უწყობს ხელს (იციან).

ანანომ გვიჩია, აკვაპარკიდან ისე ნუ წახვალთ, წყლის დახურულ ატრაქციონს რომ არ ესტუმროთ, სიბნელეში შესვლისას ადრენალინის დონე მაღლა იწევს, საოცარი განცდა გეუფლება და „გემო გაუსინჯეთ“ აუცილებლად... კარგი გემოვნება ჰქონია ანანოს.

„მხატვრულ ფილმს პორნოგრაფიული ელემენტი სჭირდება“

კინორეჟისორი შოთიკო კალანდანი ერთდროულად რამდენიმე ფილმზე მუშაობს. უკვე ცნობილია, რომ ერთ-ერთში მსახიობები — ლიკა ქავთარაძე და როლანდ ოქროშირიძე შეყვარებულების როლში იქნებიან. გადაღებები დასრულებულია. რეჟისორი კმაყოფილია, ამბობს, ბუნებრივად ითამაშეს... შევეცადე, გამეგო, როგორი ცხოვრების წესი აქვს შოთიკო კალანდაძეს...

მარი კობიაშვილი

— გიჟური ცხოვრების სტილი მაქვს, რადგან ცვალებადი ხასიათის ადამიანი ვარ. უფრო პირდაპირი. ტყუილი არ მიყვარს. ხშირად რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

— როგორია ერთი შენი ჩვეულებრივი დღე?

— ხასიათს გააჩნია. ბოლო დროს, სულ მონტაჟზე ვფიქრობ. ერთდროულად სამ ფილმს ვამთავრებ. ჩემს ახალ ნამუშევრებს ჰქვია — „ერთ ქალაქში“, „ჩემი ფილმის კადრები“ და „ჩემი ფილმის კადრები მხატვრულად“. „ჩემი ფილმის კადრები“ დოკუმენტური ნამუშევარია და მასში ნაჩვენებია იქნება ის ეპიზოდები, რომლებიც ფილმში არ შევიდა. მას, ვინც „ყარაბახი 2“ დაამონტაჟა, ის აკეთებს. ბოლო ფილმში კადრში ერთი ოცი ბიჭი მინც ჩნდება შიშველი. ერთმანეთს ვუბნებოდით, „გეი-ფილმი“ არ გამოგვივიდესო. მაგრამ მათ ოთხი გოგო დაემატება... ნამუშევარი შეიძლება, სკანდალური გამოვიდეს. ყველაფერი ცენზურის გარეშე იქნება. შევხედოთ ევროპას, როგორ ფილმებს იღებენ. მათ ფილმებში ხომ ბევრი პორნოელემენტია?!

— ვერ დაგეთანხმები, ქართულ ფილმებშიც ბევრი ეროტიკული ელემენტი...

— იმას აღვნიშნავ, რომ უცხოურ ფილმებში სექსუალურ აქტებს პორნოგრაფიული ელემენტებით იღებენ, სადაც ძალიან ცნობილი მსახიობები თამაშობენ. არ მესმის, ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?!

— ქე იგი, ნანობ, პორნოგრაფიულ ელემენტებს რომ ვერ იღებ?

— პორნოგრაფიული ფილმის გადაღების სურვილი არა მაქვს. მხატვ-

პორნოგრაფიული ელემენტის ფილოსოფია

რულ ფილმს პორნოგრაფიული ელემენტი სჭირდება, მაგრამ საქართველოში ასეთი ნატურალური სცენა არ გამოვა. ასეთი კადრების გადასაღებად ბიჭს იშოვი, გოგოს კი — ვერა.

— ძალიან გადავხვებით საუბრის თემას...

— მიყვარს, დილით კარგ ხასიათზე რომ მეღვიძება. მერე ჩემს სახლში სურათებს ვათვალიერებ, რომლებიც ცნობილ მხატვრებს აქვთ დახატული. ისეთებს, როგორიცაა ავთო ვარაზი, ზურაბ ნიჟარაძე, რომელიც ჩემი პედაგოგიც იყო და ნახატებსაც მიუქნიდა. ბევრი ჩემი პორტრეტიც მაქვს. მათი დათვალიერებისას კარგი განწყობილება მეუფლება... დილით გემრიელი საუზმე მიყვარს.

— საუზმეს თვითონ ამზადებ?

— როცა დედა საჭმელს ამზადებს, თავს ვერ ვიკავებ და ხომ ხედავ, როგორ გავსუქდი? მაგრამ მის გაკეთებულ კერძებს გემოს მაინც ვერ ვტან.

— ამას რომ ამბობ, დედას არ ეწყინება?

— არა, კარგად იცის ჩემი აზრი... ასეა, ის მამარაგებს საჭმლით, ყველანაირად ხელს მიწყობს და მეც ჭამისგან თავს ვერ ვიკავებ. უგემრიელეს მჭადასა და ყველს რომ მომანჯდის, როგორ ვთქვა უარი?! თან მჭადი განსაკუთრებულად მიყვარს, პური 1998 წლიდან არ მიჭამია, რადგანაც სიმსუქნისკენ მაქვს მიდრეკილება. საკვებიდან ბევრ რამეზე ვთქვი უარი, რომ არ გავსუქებულიყავი. ზედმეტი კილოგრამები ამახინჯებს ადამიანს.

— და, ალბათ, დეპრესიაშიც აგდებს, არა?

— ჩემს შემთხვევაში ასე არაა, ალბათ, იმიტომ, რომ ბევრი საქმე მაქვს. რაც გავსუქდი, რატომღაც უფრო ასაკით უფროს ქალებს მოვნივარ.

— შენზე რამდენი წლით უფროსებს მოსწონხარ?

— 35 წლის ზემოთ. არადა, ადრე ახალგაზრდები ინტერესდებოდნენ ჩემით.



მიყვარს, დილით კარგ ხასიათზე რომ მეღვიძება

— ვერ მივხვდი, მაინც როგორი ქალები მოგწონს, შენზე ახალგაზრდები თუ უფროსები?

— ყველა ასაკის...

— სასმელთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— გემრიელი წითელი ღვინო მიყვარს, მაგრამ ბევრს არ ვსვამ. სიმთვრალეში უფრო მშვიდი ვარ, ვიდრე სიფხიზლეში.

— ფიზიკურ მდგომარეობაში ხშირად „ფეთქდები“?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ამას წინათ ჩემს ნათლიაზე გავბრაზდი... დაუნახავი ხალხი არ მიყვარს...

— ოდესმე „ქუჩის გარჩევებში“ თუ მიგიღია მონაწილეობა?

— არასდროს. ყოველთვის ვცდილობ, სიტყვით მოვავგარო საქმეები.

— ხელჩართულ ჩხუბში არასდროს მოხვედრიხარ?

— არა. მუშტი-კრივი არასდროს



კადრები ფილმიდან „ერთ ქალაქში“

ჩავრთულვარ. არ მიყვარს უაზრო ცემა-ტყეპა. ერთხელ, მოსკოვში, შემთხვევით ცხვირში კურკა მომხვდა და ჩემი ლამაზი ცხვირი გამიტყეს.

— ფულის სარგვა გიყვარს?

— ბავშვობიდან, როცა რომელიმე ქვეყანაში მივდიოდი, ვშიშობლობდი, არაფერს ვჭამდი და ანტიკვარებს ვყიდულობდი. ძალიან საყვარელი ბებიას მყავდა, რომელმაც ძველი ნივთების სიყვარული მასწავლა. შემქმლო, ფეხით მევლო, მაგრამ ძვირფასი სურათი შემეძინა. ისედაც, მთელი ცხოვრება ავტობუსით დავდივარ. ჩემს ამხანაგებს ძალიან უკვირთ... ერთხელ ტელევიზიით ჩემზე სკანდალური სიუჟეტი გავიდა. მეორე დღეს ავტობუსში ავედი. ერთმა შემომხედა და მეორეს გადაულაპარაკა, ეს მგონი, ის რეჟისორია, გუშინ ტელევიზორში რომ იყო, მაგრამ, ალბათ, ვცდები, ის ავტობუსით როგორ ივლისო. სამწუხაროდ, ტრანსპორტსა და ტანსაცმელში ბევრი ფული არ მემეტება. მყავს მეგობრები, რომლებიც ბოლო კვიკს ტაქსიში გადაიხდიან, ავტობუსში კი არ ავლენ. ფეხით სიარული ურჩევნიათ. მიჩვენია, კასეტა და კარგი კამერა ვიყიდო, ვიდრე ტაქსით ვიარო და მაგარ კაფეებში ვიჯდე.

— როგორ სამოსს ანიჭებ უბრატესობას?

— მიყვარს ჯინსი, შავი მაისური და კედები. ხშირად მასურავს კეპი. მთავარია, ფერებს გრძნობდეს ადამიანი და გემოვნებიანი იყოს...

— ყველაზე ძვირად ღირებული სამოსი?

— ერთხელ ფესსაცმელში 250 ლარი გადავიხადე. ზოგს შეიძლება, გაციონოს, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი თანხაა. იმ პერიოდში ხშირად ვჩანდი ტელევიზორზე. გამყიდველმა მიცნო და დამიკვლო. შეიძლება, მომატყუა კიდევც, მაგრამ მე იმ ფესსაცმლით კმაყოფილი ვარ. გამძლე აღმოჩნდა. ახლა ორი კვირის წინ ნაყიდი კედები მაცვია და ისე გამოიყურება, ორი წლის ნახმარი გეგონება. ჯობია, ერთი იყიდო და ძვირი მისცე, ვიდრე იაფფასიანი რამდენიმე ფესსაცმელი გქონდეს. ერთი პერიოდი მანქანა მყავდა... მაშინ ქალები ბევრს ითხოვდნენ ჩემგან. მერე ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ჩემზე ასაკით უფროსი ცნობილი ქალი, რომელთანაც რომანი მქონდა. მას ვაფასებ... ის ჩემგან არაფერს ითხოვდა. იმ ქალბატონთან ერთად ტროლეიბუსით დავდიოდი. ვიფიქრე, თუ ჩემთვის ყველაზე ლამაზი ქალი, რომელზეც ბევრი მამაკაცი ოცნებობს, ჩემგან არაფერს ითხოვს და თანახმაა ჩემთან ერთად ტროლეიბუსით იმგზავროს, სხვები ვინ არიან-მეთქი. მერე შეიცვალა დამოკიდებულება და გოგოები ყველგან კომფორტის შექმნის გარეშეც მომყვებოდნენ.

— ვინაა ის ცნობილი ქალბატონი?

— ტყუილად მეკითხები. ხომ იცი, რომ არ გიპასუხებ.

— თქვენი სიყვარული მალევე დამთავრდა?

— სიყვარული შეიძლება დასრულდეს, მაგრამ ახლა კარგი მეგობრები ვართ. დანარჩენს ნურაფერს მკითხავ. ბავშვობიდან მომწონდა საუკეთესო ადამიანებთან ურთიერთობა.

— სპორტი გიყვარს?

— არ მიყვარს ფეხბურთი. ვერ ვხვდები, რა არის ამ სპორტში საინტერესო? ბევრი ამბობს, ლამაზი სპორტიანო... ეს მე არ მესმის. ბავშვობაში მამამ ჭიდაობაზე შემიყვანა, მაგრამ მთელ დროს ხელოვნებაზე საუბარში ვატარებდი. ჭიდაობა კი მართლაც ლამაზია. ჩემს ახალ ფილმში რამდენიმე ჭიდაობის სცენაც გადავიღე. უბრალოდ ვამბობ, რომ სპორტი კარგია, მაგრამ ხელოვნებას ვერ შეედრება. კი ბატონო, სპორტსმენები კარგად „დაკაჩნებულნი“, ჯანმრთელი მამაკაცები არიან, მაგრამ ხელოვნება სულ სხვაა...

— შენს ფილმებში ბევრი ეროტიკაა...

— მოდი, სიყვარული და ეროტიკა — ასე ვთქვათ...

— ქართველი მსახიობების მთავარი პრობლემა წინაა, რომ ეროტიკულ სცენებში კარგად ითამაშონ?

— არა მგონია, მარტო სიმსუქნე იყოს. ამას წინათ, ერთი მსახიობი შემხვდა. რეჟისორობას რომ ვინწყებდი, მაშინ ფილმში თამაშზე უარი მითხრა. ვნაბობ და რაზე როლი ახლა მომეცო, — ნახევრად ხუმრობით მითხრა. ვუთხარი, — ჩემს ფილმში მაშინ გხედავდი-მეთქი... ესე იგი, დამწყებ რეჟისორს არ უნდა მენდონ?! ამიტომ, რამეს რომ გთავაზობენ, დაფიქრდით, რა ფილმში თამაშზე ამბობთ უარს.

— პოლიფუდის მსახიობებიდან შენს ფილმებში რომელი გინდა, რომ იხილო?

— ძალიან ბევრი. იქ გენიალური მსახიობები არიან. უნიჭო პოლიფუდელი მსახიობი უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე ბევრი მსახიობი, აქ რომ ნიჭიერად მიიჩნევა. იმიტომ, რომ იქ თავისუფლად თამაშობენ. მაგალითად, ზურა ყიფშიძე ძალიან მანერულად თამაშობს. დიდი ბოდში, მაგრამ ასეა. ცალკეული დიდი მსახიობები გყავდა, მაგალითად, ჟორა შავგულიძე და სესილია თაყაიშვილი, მაგრამ ძირითადად მანერული მსახიობები გყავს. მაპატიეთ, მაგრამ ხომ მაქვს უფლება, ჩემი აზრი გამოვთქვა?!

— რა თქმა უნდა, გაქვს.

— აზრის გამოთქმა, როგორც ვიცი, აკრძალული არ არის. ■

„მეც ისეთივე რომანტიკული, აბრეშული, საქმიანი და გიჟი ვარ“

უკვე აღარავის უკვირს, რომ საზღვარგარეთ ქართველები სხვადასხვა სფეროში წარმატებას აღწევენ. ცნობილია ისიც, რომ ბევრმა ნიჭიერმა და ცნობილმა ხელოვანმა მოსკოვში მოიყარა თავი. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტიც მოსკოვში საქმიანობს. ის ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ რუსი ხალხისთვის უკვე ძალზე საყვარელი მსახიობია. თამთა ერთ-ერთი პოპულარული რუსული სერიალის „დედინაცვალი“ — მონანილეა და შესაბამისად, სერიალების მოყვარულთა კერპიც. მასზე რუსული პრესა საკმაოდ ხშირად წერს. ქართველები კი მის შემოქმედებას არ ვიცნობთ. მოკლედ, თავის კარიერაზე უფრო დანერგულებით საქართველოში არდადეგებზე ჩამოსული თამთა ლანო (ჟამალაშვილი) გვიამბობს.



ნოდება „ცეცხლი, წყალი და ბრილიანტი“ გახლავთ. ამ ფილმში ისეთი მსახიობები თამაშობენ, როგორებიც არიან: არმენ ჯიგარანიანი, ალექსანდრ სემჩენი, ალექსანდრ კაკორინი. ფილმის რეჟისორი კი ჯერ არცთუ ისე ცნობილი ნიკოლაი კრპალოვია.

— ცოტა რამ შენი გმირის შესახებაც გვიამბე.

— ის ავანტიურისტი ქალია, რომელიც ადამიანებს ცუდად ექცევა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდაა, მისი ყველას ეშინია. ის ძალიან უბედური, მკაცრი და მატყუარაა. მოკლედ, ძალზე განსხვავებული პიროვნებაა, ისევე, როგორც მე. სწორედ ამიტომ ეს როლი ძალიან დამეხმარა. მიმაჩნია, რომ მეც ისეთივე რომანტიკული, აგრესიული, საქმიანი და გიჟი ვარ, როგორიც ის არის. გარდა ამისა, ის ფულზე მონადირეა, თუმცა მოგვიანებით მიხვდება, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი სიყვარულია, სხვა დანარჩენი — მეორეხარისხოვანი. მეც ასე ვფიქრობ.

— შეყვარებული ხარ?

— კი, შეყვარებული ვარ, მაგრამ ვინ არის, არ გეტყვით. მხოლოდ იმას გავამხელ, რომ ჩემი

პოპულარული ქართველი მოსკოვში

ნათია ჟივიძა

— ჩემმა მშობლებმა ინსტიტუტი მოსკოვში დაამთავრეს. შესაბამისად, 4 წლიდან მეც მშობლებთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობ. საბავშვო ბაღშიც იქ დავდიოდი, სკოლაც იქ დავამთავრე და ახლა ინსტიტუტშიც იქ ვსწავლობ. საქართველოში ბებიები და ბაბუები მყავს და მათ სანახავად, ვცდილობ, ყოველ წელს ჩამოვიდე. შარშან, გასაგები მიზეზების გამო, თბილისში სტუმრობა ვერ მოვახერხე. მიუხედავად იმისა, რომ წელსაც ძალზე დაკავებული ვარ, რამდენიმე დღით მაინც ჩამოვდი.

— როგორც ვიცი, მოსკოვში უკვე საკმაოდ ცნობილი მსახიობი ხარ და რამდენიმე სერიალში თამაშობ. როგორ აღმოჩნდი გადასაღებ მოედანზე?

— 14 წლის ვიყავი, როცა გადავწყვიტე, მემღერა. რასაკვირველია, სათანადო მონაცემები მქონდა (იცინის). 3 წლის ასაკიდან ვმღეროდი. აქ ცხოვრების პერიოდში „ბასტიბუბუში“ დავდიოდი და სცენაზე დგომა ჩემთვის უცხო ხილი არ იყო. მოსკოვში რომ ჩავედი, ენის ბარიერიც ცოტათი დამაბნია და კარგა

ხანს ხმას აღარ ვიღებდი, მაგრამ 14 წლის ასაკში მივხვდი, რომ სიმღერა ძალიან მინდოდა და სწავლა ჯაზის საესტრადო აკადემიაში განვაგრძე. სწორედ ჩემს სასწავლებელში გამოაკრეს განცხადება, რომ სერიალში გადასაღებად გოგონებისთვის კასტინგი ტარდებოდა. რატომღაც იმ კასტინგზე მისვლა მომიხდა. რამდენიმე ტურის შემდეგ კი როლზეც დამამტკიცეს, რაც ჩემთვის მოსულოდნელი იყო. ორიოდვე თვის მერე აღმოჩნდა, რომ როლს კარგად გავართვი თავი, ამიტომ მეტად დამტკივრთეს და მოგვიანებით ერთ-ერთ მთავარ როლად აქციეს. სერიალის სახელწოდებაა „დედინაცვალი“. პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ მეორე ნაწილიც გადაიღეს, რომლის სახელწოდებაც „დიდების თამაში“ გახლავთ. მეორე ნაწილშიც მთავარ როლს ვასრულებდი. ვიღერე ეს სერიალი ეკრანზე გადიოდა, იმ პერიოდში მხატვრულ ფილმშიც მიმიწვიეს, სადაც ასევე მთავარ როლს ვთამაშობ. ამ ნამუშევრის გადაღება ახლახან დასრულდა და ამჟამად მონტაჟი მიმდინარეობს. ეკრანზე დაახლოებით ნოემბერ-დეკემბერში გამოვა. მისი სახელ-



4 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობ



ხანმოკლე სამსახიობო კარიერის განმავლობაში, 3 რეჟისორთან მომისდა მუშაობა

რჩეული რუსია და მას ყველა იცნობს. საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა.

— ახლა მითხარო, იმის გამო, რომ სამსახიობო გამოცდილება არ გქონია, რეჟისორებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდა?

— მთელი ჩემი ხანმოკლე სამსახიობო კარიერის განმავლობაში, 3 რეჟისორთან მომისდა მუშაობა. სამივე მათგანს მსახიობებთან მუშაობის განსხვავებული ტექნიკა ჰქონდა. სერიალის პირველი ნაწილის რეჟისორი მსახიობებს ცუდად არ გველაპარაკებოდა, რადგან ჩვენი განერვიულება, დაბნევა და დაკომპლექსება არ სურდა. ბევრი დუბლის გადაღების შემდეგ სასურველ შედეგს მაინც აღწევდა. მეორე რეჟისორი სულ ყვიროდა, ჩხუბობდა და ცდილობდა, როგორც თვითონ სურდა, ყველაფერი ისე ყოფილიყო. მესამე რეჟისორი კი მსახიობებთან ბევრს საუბრობდა, დიდი მოთმინებით გვიხსნიდა, რა უნდა გაგვეკეთებინა. სამივესგან ბევრი რამ ვისწავლე. მიმაჩნია, რომ ისინიც კმაყოფილი არიან ჩემი თამაშით.

— მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე აბსოლუტურად შემთხვევით მოხვდი, მსახიობობამ შენში, ალბათ, რაღაც შეცვალა?

— რასაკვირველია, ძალიან შევიცვალე. ადრე ძალზე მორჩილი ადამიანი ვიყავი; რასაც მეტყობდნენ, იმას ვაკეთებდი. სერიალში თამაშის შემდეგ კი ვისწავლე, რომ ხანდახან ადამიანებს უნდა შეეწინააღმდეგო. მიხვდები, რომ უფრო ძლიერი ხასიათია საჭირო, ვიდრე მქონდა; გარდა ამისა, წარმატებულ

ადამიანებთან ერთად მიწევდა მუშაობა და მათგანაც ბევრი რამ ვისწავლე.

— როცა პირველად გამოჩნდი ეკრანზე, საზოგადოებამ როგორ მიგიღო?

— თავიდან ჩემი გმირი ცუდი ადამიანი იყო, ამიტომ პრესა მასზე ცუდ რაღაცებს წერდა. ჩემს გმირს ყველა „სტერვად“ მოიხსენიებდა. მოგვიანებით კი მიხვდნენ, რომ ჩემი გმირი ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევდა. ჟურნალისტები უკვე წერდნენ იმაზე, რომ მე, როგორც მსახიობი, საინტერესო ვიყავი. პრესის წარმომადგენლები უამრავი კომპლიმენტით მამკობდნენ. ინტერნეტში სპეციალური საიტი იყო, სადაც მაყურებელი სერიალის შეფასებებს აკეთებდა და ზედმიწევნით კარგად ვიცო, ვინ რას ფიქრობდა ჩემს გმირსა თუ ჩემზე.

— მართალია, გარკვეული გამოცდილება უკვე მიიღე, მაგრამ სომ არ აპირებ, ამ სფეროში ცოდნა უფრო გაიღრმავო და დიპლომიანი მსახიობი გახდე?

— ამ საკითხზე სისტემატურად ვფიქრობ. გასული 2 წელი გადაღებების გამო ძალზე დაკავებული ვიყავი, ამიტომ სწავლა ვერ მოვახერხე, გაისად კი ვაპირებ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებას.

— შენს სფეროში ძალზე ბევრი შური და ბოლმაა. გარდა ამისა, მათგან განსხვავებით, ქართველიც ხარ. ამის გამო, არ გაგიჭირდა ადგილის დამკვიდრება?

— მოსკოვში ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. რუსებსაც ისევე აკრიტიკებენ, როგორც ქართველებს. ჩემი საყვარელი ადამიანიც მსახიობია. ამ სფეროში ის ერთადერთი პიროვნებაა, ვისაც შემიძლია ბოლომდე ვენდო... მართალი ხარ — ჩვენს სფეროში ბევრი შურიანი და დაბოლმილი ადამიანია. მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერთან გასამკლავებლად აბსოლუტურად მზად ვარ!..

— მიუხედავად იმისა, რომ ჯამალაშვილი ხარ, მოსკოვში ფსევდონიმით — ლანო — გიცნობენ. რას ნიშნავს „ლანო“?

— არაფერს. თავიდანვე გაჩნდა იდეა, რომ ფსევდონიმი მქონოდა და ოჯახის გადაწყვეტილებით, „ლანო“ შევარჩიეთ. დედაჩემს ნინო ჰქვია, მამას კი — გელა. „ლანო“ მათი სახელების ბოლო მარცვლებია.

— მოდი, შენს სასიამოლო კარიერაზეც მოგვიყვი. მას შემდეგ, რაც მსახიობი გახდი, სიმლ-

მოსკოვში ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს



სიმღერებსაც ვწერ და კონცერტებზეც გამოვდივარ



გამორიცხული არ არის, რომ ფილმს ჩემი დაწერილი მუსიკის საუნდტრეკი დაედოს ფონად

პირველ სერიალში ჩემი გმირი მომღერალა და სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობს

ერას თავი ხომ არ დაანებე?

— არა. მუსიკალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობ, მესამე კურსზე ვარ. მისი დამთავრების შემდეგ კი მომღერალიც ვიქნები და ვოკალის პედაგოგიც. სიმღერებსაც ვწერ და კონცერტებზეც გამოვდივარ. სიმღერა ჩემი პროფესიაა, ძალიან მიყვარს და მას თავს ვერასოდეს დავანებებ. სიმღერაში ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვდებ.

— შენმა რეჟისორებმა თუ

იციან, რომ ასე კარგად მღერო და ფილმებში შენს ნიჭს თუ ამჟღავნებ?

— ყველამ ყველაფერი კარგად იცის (იცინის). პირველ სერიალში ჩემი გმირი მომღერალა და სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობს. ამის გამო რამდენიმე სერიაში ვიმღერე კიდევ. რაც შეეხება მხატვრულ ფილმს, მისი საუნდტრეკი ჯერ შერჩეული არ არის. მე დავწერე სიმღერა და რეჟისორს მივუტანე. სხვა სიმღერებთან ერ-

თად, ჩემსასაც განიხილავენ და ვნახოთ, გამორიცხული არ არის, რომ ფილმს ჩემი დაწერილი მუსიკის საუნდტრეკი დაედოს ფონად. სხვათა შორის, ნინო ქათამაძეს სთხოვეს, ფილმისთვის ემღერა, მაგრამ თქვა, ჩემი ბენდის გარეშე ვერაფერს გავაკეთებო, ისინი კი ზედმეტ ხარჯს მოერიდნენ და ამ წინადადებაზე უარი თქვეს. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ.

— მომავლისთვის რა გეგმები გაქვს, კიდევ გაქვს რაიმე შემოთავაზება?

— ჯერჯერობით, არანაირი ხელშეკრულება არ მაქვს გაფორმებული. ახლა არდადეგებია, რომ ჩავალ მოსკოვში, მერე ვნახოთ, რა იქნება, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი...

იყიდება

სექტემბრის

ნომერი

თქვენ სოც გაოვნებიანი

გითხველი ბრკანდავით...

№8 **ლიტონიკური**

№9 **ლიტონიკური**

კალენდარი

- ნეკემა პეიკი
- ჯი ბეიკი
- ჰი სოლანდი
- მამ სისიანი
- დილა ხიანი
- ნინო ნიკი
- ამა ხეხიანი
- ნიკი ვიკიანი
- მონაწილე
- ლეონ ასიანი
- თორბა კოვი ბაოთიანი
- გიკი ხეხიანი
- თარგმანი
- უკუნიკი უნიკი
- ზი ზი პიანი

კოდიცედი და პლაჟის სეზონი



კამერონ დიასი



ჯენიფერ ლოპესი



ემლი გრინი

მზიან კალიფორნიაში ზაფხული ჩვენთან შედარებით გაცილებით ადრე დაიწყო, ამიტომ ჟურნალები კარგა ხანია, პლაჟებზე გადაღებული ცნობილი ადამიანების ფოტოსურათებითა და საუკეთესო ფიგურებისა თუ საცურო კოსტიუმების რეიტინგებითაა აჭრელებული. აქ პირველობა არავის დაუთმეს Victoria's Secret-ის მოდელმა ალესანდრა ამბროზიომ და ეფექტურ შავ საცურო კოსტიუმში გამოწყობილმა საგრძობლად გამხდარმა კეიტ ჰადსონმა. სერიალის „ბევ-

ერლი-ჰილზი 90210“ ვარსკვლავმა ტორი სპე-ლინგმა კი მეტსმეტი სიგამბდრის გამო პირიქით, უარყოფითი გამოხმაურება მიიღო. ადგილობრივ კურორტებზე განსაკუთრებულად აღინიშნა პლაჟის იოგას მოყვარული კიმ კარდაშიანის, ბრიტნი სპირსის, „კანონიერი ქერათმიანი“ რიზ უიზერსპუნისა და „სასონარკვეთილი დისახლისების“ ვარსკვლავის ტერი ჰატიერისა და მისი ქალიშვილის გამოჩენა. პურის პილტონმა, ევა ლონგორიამ, ბეიონსმა და ჯენიფერ ლოპესმა ბოიფრენ-

დებსა და ქმრებთან ერთად დაქირავებულ იახტებზე განმარტოება ამჯობინეს. ვარსკვლავთა ახალგაზრდა თაობა მშობლიური ამერიკის უსაზღვრო სივრცეების დატოვებისა და საფრანგეთის, მალდივისა და სეიშელის სანაპიროებზე დასვენებისკენ მიისწრაფვის. „უცხო ქვეყნები“ რიანამ, ლინდსი ლოჰანმა, მოზარდთათვის განკუთვნილი სერიალების გმირმა მაილი საირუსმა, მერი კეიტ ოლსენმა და ფილმის „ბინდბუნდი“ მსახიობმა ემლი გრინმა მოინახულეს. ■



რიზ უიზერსპუნი



ბრიტნი სპირსი



ლინდსი ლოჰანი

დემი მუხი: „პლასტიკური ქიხიხვის სკაიბელი ახასდროს მომკაიებია“

47 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავი დემი მური უარყოფს გავრცელებულ ჭორს იმის შესახებ, თითქოს მან 2004 წელს პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ამ საქმეში 308.000 დოლარი გადაიხდა.

31 წლის მსახიობ ემტონ კატჩერის მეუღლე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მის სხეულს პლასტიკური ქირურგის სკალპელი არასდროს შეხებია. ფრანგული ჟურნალისთვის Marie Claire მიცემულ ინტერვიუში დემიმ განაცხადა: „ეს აბსოლუტური სიცრუეა. ოპერაცია არასდროს გამიკეთებია. მე არ განვიკითხავ მათ, ვინც პლასტიკურ ოპერაციას იკეთებენ და ფიქრობენ, რომ ეს მათთვის საუკეთესო გამოსავალია. ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პლასტიკური ოპერაცია დაბერების პროცესს ვერ შეაჩერებს. ეს მხოლოდ ნევროზთან გამკლავების საშუალებაა. სკალპელი ადამიანს ბედნიერებას ვერ მოუტანს.“

მსახიობი არ გამოიხატავს, რომ მომავალში პლასტიკურ ოპერაციებს გაიკეთებს, თუმცა დღეს საკუთარი გარეგნობა მას სასიყვარულო აკმაყოფილებს. დემის მიაჩნია, რომ მისი ასაკისთვის შესანიშნავად გამოიყურება და არ ცდილობს, 30 წლის ქალს დაეშვას.



თინა კანდელაკმა ინსტინქტებს გასაქანი მისცა

ცოტა ხნის წინ რუსეთის ეკრანებზე გამოვიდა სტუდიების Walt Disney და Jerry Bruckheimer Films მულტიპლიკაციური ფილმი „დარვინის მისია“, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი ტელეარხ Post TV-ს წამყვან თინა კანდელაკის ხმით ილაპარაკებს. მულტფილმი მაყურებელს იმის შესახებ მოუთხრობს, თუ როგორ ასრულებს ზღვის გოჭებისგან შემდგარი საიდუმლო აგენტთა ელიტური რაზმი სახიფათო დავალებას, რომლის შესრულება ადამიანებმა ვერ შეძლეს. მღრღნელთა რაზმს ბრძოლების წარმოების სპეციალისტი აგენტი დარვინი ხელმძღვანელობს. რაზმის წევრებს შორისაა მომსიბვლელი გოგონა, საბრძოლო ხელოვნების ოსტატი, ზღვის გოჭი ზუარესი, რომელსაც რუსული ტელეკომპანიის ცნობილი წამყვანი თინა კანდელაკი ახმოვანებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ხუარესი პენელოპა კრუზის ხმით საუბრობს. კანდელაკმა გულწრფელად განაცხადა, რომ მულტფილმზე მუშაობამ დიდი სიამოვნება მიანიჭა; ამასთან, მას საშუალება ჰქონდა, საკუთარი ინსტინქტებისთვის გასაქანი მიეცა.

„აქ ინსტინქტებისთვის გასაქანის მისაცემად უნიკალური საშუალება მომეცა. შემეძლო მეღრუტუნა და იცით, ეს ძალიან მომეწონა. შეჩერება ახლაც კი ვერ შევძელი. შეიძლება, თქვენთან საუბრის დროსაც ავწყვიტინდე, უფრო სწორად, ზღვის გოჭებისთვის დამახასიათებელი ხმები გამოვცე“, — განაცხადა თინამ და ჟურნალისტებს სხვა ემოციების შესახებაც მოუთხრო, რომელიც მას მულტფილმის გახმოვანების დროს დაუფულა.

„ზღვის გოჭად ყოფნა კიდევ მაშინ არის სასიამოვნო, როდესაც გარს სამი ზღვის ღორი გახვევია, რომლებიც შენი ყურადღების მისაპყრობად იბრძვიან. განსაკუთრებით ფრთხილად იმ ზღვის ღორებთან უნდა იყო, რომლებიც თქვენს სახლში ცხოვრობენ, რადგან ადრე თუ გვიან, ისინი სიტუაციის კონტროლს საკუთარ ხელში აიღებენ“, — გვაფრთხილებს პოპულარული ტელეწამყვანი.

კხის ბიაცნი კიხჯინიაში მენაგვედ იმყმავეს

სასამართლომ ამერიკელ RnB-მემსრულებელ კრის ბრაუნს მომღერალ რიანაზე თავდასხმის გამო 5-წლიანი გამოსაცდელი ვადა და 180-დღიანი საზოგადოებრივი შრომა მიუსაჯა. განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოს დარბაზში მუსიკოსის დედაც იმყოფებოდა. 20 წლის კრის ბრაუნი სასჯელს მშობლიურ ვირჯინიაში მოიხდის. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ბრაუნს 2014 წლამდე რიანასთან 90 მეტრზე მიახლოება ეკრძალება. ვირჯინიაში სასჯელის მოხდის პერიოდში ბრაუნს სამ თვეში ერთხელ ლოს-ანჯელესში ჩასვლა და მოსამართლის წინაშე გამოცხადება ევალება. იგი აგრეთვე მოვალეა, ოჯახში ძალადობის აღმკვეთი ერთწლიანი პროგრამა გაიაროს. მოსამართლე პატრისია შნეგტი ამბობს, რომ ბრაუნისთვის მისჯილი საზოგადოებრივი შრომა უშუალოდ ფიზიკურ მუშაობას, მაგალითად, ნაგვის გადაყრას ან ავტომობილების რეცხვას გულისხმობს.

მეგან ფოქსი ქალების კოცნას ამჯობინებს

მეგან ფოქსი თავს „უფრო კომფორტულად“ გრძნობს, როდესაც ქალებს კოცნის... მსახიობი ირწმუნება, რომ ფილმში „ჯენიფერის სხეული“ პარტნიორთან ნათამაშები ინტიმური სცენების გადაღებებისას არანაირ პრობლემას არ შექმნია, რადგან მას მამაკაცებთან ეკრანულ ხვეწა-კოცნას ერთსქესიანი რომანტიკული აქტი ურჩევნია! „გოგონებთან თავს უფრო უსაფრთხოდ



ვგრძნობ. ამის გამო ჩემთვის კომფორტული იყო ამანდა სეიფრიდთან თამაში. აი, ის კი, მგონი, ნამდვილად არ გრძნობდა თავს კომფორტულად. მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ თავს უხერხულად გრძნობდა! შესვენებების დროს კი ბევრს ვიცინოდით და ვმხიარულობდით“, — იხსენებს მეგანი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ აღიარა, რომ მისივესუაღია.

„სამოდერო ბიზნესიდან წასვლას ახ კაპიხებ!“

39 წლის ალანა ბიფარის ხმაელალი ფიქრები



კარიერის დასაწყისში თავდაჯერება მაკლად...

არასდროს მეგონა, რომ ლამაზი ვიყავი. ალბათ, გაგიკვირდებათ, მაგრამ სკოლაში სწავლის დროს იმ გოგონათა რიგს არ მივეკუთვნებოდი, რომლებიც ბიჭებში წარმატებით სარგებლობდნენ. პირველი სასინჯი ფოტოსესიების შემდეგაც კი მეგონა, რომ რალაც შეცდომა მოხდა და ფოტომოდელი ვერ გავხდებოდი. ალბათ, ჩემი კარიერის დასაწყისში უბრალოდ თავდაჯერება მაკლდა...

„ფორკაში ყოფნა მიყვარს“

უკვე მრავალი წელია, იოგას მივდევი და შედეგით ძალზე კმაყოფილი ვარ. ჩემს სხეულზე მუშაობა და ფორმაში ყოფნა მიყვარს. გადავწყვიტე, რომ ბოტოქსს არასდროს გამოვიყენებ. მიმაჩნია, რომ ჩემი კანისთვის ბოტოქსი უხარია. ჯერ არავეინ იცის, მომავალში მას რა გვერდითი მოვლენები ექნება. ამის უფრო მეშინია, ვიდრე შუბლზე გაჩენილი ნაოჭების. მეგობარი ქალები ჩემი ასაკისანი არიან და იგივე ასაკობრივი პრობლემები აწუხებთ. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ვსაუბრობთ ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, ასაკობრივი პრობლემები აკვიტებულ იდეებში არ გადამეზარდოს.

ბავშვობაში კლაუდიას მიაჩნდა, რომ უშნო იყო და საკუთარი გარეგნობის გამო რცხვენოდა, მაგრამ სამოდერო ბიზნესში 25-წლიანი წარმატება და სუბერმოდელის ტიტული სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. ახლა ის 39 წლისაა, თუმცა ჟურნალების პირველ გვერდებზე კვლავ ხშირად ჩნდება და სარეკლამო კამპანიებში რეგულარულად მონაწილეობს. საკუთარი ასაკის აღარ რცხვენია და დედობით ტკბება.

„არ მიყვარს კაფეკაბის წინ გაუიჟვალაა“

გაშიშვლება ჩემი სტილი არ არის. რატომ? უბრალოდ, მინდა, რალაც ჩემთვის საიდუმლოდ დავტოვო. კინოში გაშიშვლებაც კი შემომთავაზებს, მაგრამ უარი ვთქვი. მიმაჩნია, რომ კინოში მუშაობის მცირე გამოცდილება მაქვს იმისათვის, რომ კარგ მსახიობად აღმიქვან და არა უბრალოდ შიშველ მოდელოდ.

„სამოდერო ბიზნესიდან წასვლას არ ვაპირებ“

ყველა ამბობს, რომ ამ სასტიკ ბიზნესში მოდელს ერთმანეთი სძულთ, მაგრამ ეს სიცრუეა. ნებისმიერი პროფესიის მსგავსად, კონკურენცია ჩვენთანაც არის და მუდამ ვცდილობთ, რთულ სიტუაციებში ერთმანეთს დავეხმაროთ. ასე რომ, სამოდერო ბიზნესიდან წასვლას არ ვაპირებ.

„მიყვარს, როდესაც პლაჟა ვწვარ“

ჩემთვის საუკეთესო დასვენება ქმარ-შვილთან ერთად ზღვაზე წასვლაა. მიყვარს, როდესაც პლაჟზე ვწვარ და არაფერს ვაკეთებ. მსუბუქად მოგზაურობა არ შემიძლია. მოგზაურობის დროს მუდამ უზარმაზარი ჩემოდანი და უამრავი ნივთი მიმაქვს. სახლიდან ორ ნაბიჯშიც რომ გავიდე, მობილური ტელეფონი და კომპიუტერი თან მიმაქვს და ახლობლებს Skuპე-ით ვეჭორავები. ჩემი საყვარელი დასასვენებელი ადგილები ტაილანდის კუნძული ფსუჟეტი, ესპანეთის მაიორკა და იბიცაა. ამ ულამაზეს ადგილებში ზღვითა და არაჩვეულებრივი ეროვნული სამზარეულოებით ვტკბები.

„სამოდერო კალიან მიყვარს“

გერმანიაში დავიბადე, მაგრამ ცხოვრების სტილის გამო „მსოფლიოს მოქალაქე“ ვაგხდი. სამშობლო ძალიან მიყვარს. მოგზაურობაც. მშობლები ამაყად გერმანიაში ცხოვრობენ და მათთან ბავშვებთან ერთად ხშირად ჩავდივარ. ჩემმა შვილებმა უნდა იცოდნენ, თუ საიდან მოდის მათი ფესვები!.. სხვათა შორის, ბავშვებმა ინგლისური და გერმანული ენები ერთნაირად კარგად იციან.

„ჩემს ჩახმის სტილს განწყობილად განსაზღვრავს...“

დღეს ერთი ფერი და ფასონი მომწონს, ხვალ — სხვა. მოდის ტენდენციებს განსაკუთრებულად არ ვადევნებ თვალყურს. ნივთებსაც განწყობილების მიხედვით ვყიდულობ, იარლიყს არ ვაკვირდები — ყოველდღიურ ცხოვრებაში ლეიბლს მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩემს ჩაცმის სტილს განწყობილება განსაზღვრავს.

„მე ფახუკითი მიყვარს“

ტელევიზიით მატჩებს რეგულარულად ვუყურებ და საყვარელი გუნდის საგულშემატივროდ სტადიონზეც კი დავდივარ. ჩემი ფავორიტები გერმანული „ბაიერნი“ და ლონდონის „ჩელსია“. ფეხბურთს ჩემი ქმარიც აღმერთებს. ეს ჩვენი ოჯახური ტრადიციაა. სხვათა შორის, ჩვენი ქორწილის დღეს გერმანია-ინგლისის მატჩი ჩატარდა და გერმანელებმა წააგეს... ■





სოპრანა

გიორგის სინანული იმდენად გულწრფელი იყო და თანაც მსგავსი „ახირებანი“ იმდენ ქართველ მამაკაცს სჭირს, რომ გადავწყვიტე, მისი ამბავი (რალა თქმა უნდა, თავის გაგრძელებიანად) თქვენთვის მომეთხრო („როცა თავისუფლებასთან გამოთხოვება გიჭირს“, „კვირის პალიტრა“, 21 მაისი, 2007 წ.)

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი

„მოვილა სიტყვა და დახვდა ჰვა“

გიორგი 27 წლის თავმოძნონე, ამპარტავანი ბიჭი იყო, როცა ნატა გაიცნო. იგი გოგონების ყურადღებით განებზივრებული გახლდათ და ნატასთანაც დროებითი ურთიერთობა სურდა, მაგრამ გოგონა „კერკეტი კაკალი“ აღმოჩნდა. ის არც გიოს ქონებამ გადარია, არც მისმა კარიერამ და გარეგნობამ, მით უფრო — ქცევამ... გიო სახტად დარჩა, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გოგონასგან წინააღმდეგობას წააწყდა. გულში დაიქადა და კიდეც: ისე გაგისდი საქმეს, აქეთ მესვენებოდეთ და... იმ

ორთაბრძოლა

დაოჯახებით დასრულდა!

დღიდან დაიწყო მათი „ორთაბრძოლა“.

გიო არც საჩუქრებს აკლებდა ნატას და არც ძვირად ღირებულ რესტორნებში სადილ-ვახშამს, თუმცა გოგოს სამომავლოდ „დიდი იმედები“ რომ არ გასჩენოდა, ყოველთვის დაუფარავად ეუბნებოდა: ოჯახისთვის არ ვარ დაბადებული, სანამ ახალგაზრდები ვართ, დავტკებთ სიყვარულითო. თავად ნატას ძალიან აღიზიანებდა ვაჟის „სიბრძნე“. მერე კი გადაწყვიტა, თამაშში აჰყოლოდა. ცოდევა გამხელილი ჯოხს და ნატა მეგობრებსაც და საკუთარ თავსაც გამოუტყდა, რომ ამ ორთაბრძოლაში ეს უცნაური ბიჭი შეუყვარდა. გიო კვლავ თავისუფალი ცხოვრების წესზე აგრძელებდა ლაპარაკს, ნატას კი ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. ბიჭი ემუქრებოდა: იცოდეს, სხვა გოგოსთან გავაბამ ფლირტს, იმასთან, ვისთანაც ურთიერთობა არ

გამიჭირდებაო. ნატაც უკან არ იხევდა — გზა დამილოცნია, ვისთანაც გინდა, იმასთან გააბი, გინდ ფლირტი, გინდ — მგზნებარე რომანიო. გაბრაზებული გიო რამდენიმე დღე გადაიკარგებოდა, მერე ისევ ნატას უბრუნდებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც ნატამ კატეგორიულად უთხრა: ჩვენი ურთიერთობა იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ ვიქორწინებთო.

გიომ კვლავ ცეცხლი დაანთო, — ერთხელ და სამუდამოდ შეიგნე, რომ ოჯახი ჩემთვის უცხოა, მე თავისუფალი კაცი ვარ, ამიტომ უღელში ვერ შევებმებიო. ერთი სიტყვით, იჩხუბეს და დაშორდნენ.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა გიომ ნატას ჯინაზე, პატარა გოგო „შეაბა“ და ერთ პრესტიჟულ რესტორანში დაპატიჟა, იქ, „სრულიად შემთხვევით“, გამოპრანჭული ნატა დახვდა, სიმპათიურ უცხო მამაკაცთან ერთად. გიოს კინალამ გული გაუსკდა. ჩაშხამდა „პატარა გოგოსთან“ ვახშამი, სუფრიდან მალე ადგა, გვიან საღამოს კი ნატას სახლს მიადგა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა: ვინ იყო ის კაცი, ვისაც თვალებს უფუჭუნებდიო?.. ისევ იჩხუბეს. ნატამ კატეგორიულად აუკრძალა გიოს მასთან დარეკვაც და მისვლაც... მეგობრები დიდი ხნის მანძილზე, ნატას გერმანიაში ეპატიჟებოდნენ (ისინი იქ ცხოვრობენ). ხან არ ეცალა, ხან გიოსთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობდა... ახლა კი, უარი აღარ უთხრა და ბიჭთან დაუმშვიდობებლად, გერმანიაში გაემგზავრა.

ამბავი მეორე
ჭირაქულის მოჩულება
იმ დღეს რესტორანში მომხდარი





ინციდენტის შემდეგ, გიო მიხვდა, რომ ნატას მიმართ გულგრილი არ იყო, უფრო მეტიც — ეს თავნება გოგო ჭკუის დაკარგვამდე უყვარდა. ერთი თვის მანძილზე ბევრი რამ აწონდა-წონდა და ბოლოს და ბოლოს, გადანყვიტა: ჯანდაბას ჩემი თავი, მიყვარს ნატა და ვერავის დავუთმობ, ამიტომ თავისუფლებას უნდა გამოვეთხოვო. ადგა და გოგოს ოჯახში, ორი ძმაკა-

ცის თანხლებით, ხელდამშვენებული მივიდა. ნატას დედა გაკვირვებული, მხრებს იჩეჩავდა — მეგონა, იცოდი, რომ გერმანიაში წავიდა, თანაც — საკმაოდ დიდი ხნითო.

ზურა, გიოს ძმაკაცი:

— ვერ აღგინერთ, რა დღეში ჩავარდა; სიმწრისგან კბილებს აღრჭიალებდა; ეს, რა გამიკეთა, ამ გოგომ?! ასე არავინ მომქცევიაო!.. გიოს ბავშვობიდან ვიცნობ. ნატასგან წინააღმდეგობა რომ არ შეხვედროდა, მასაც ისევე მოექცეოდა,

როგორც მანამდე — სხვებს. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ნატა პირველ დანახვისთანავე მოეწონა, მინც მიატოვებდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგრამ რახან წინააღმდეგობას ნაანყდა, მიზნად დაისახა, გოგოს გული როგორმე მოეგო. ჩვენ, ძმაკაცები, ხშირად აღვნიშნავთ — ყოჩაღ, ნატა, ამისთანა ჭირვეული კაცი როგორ მოარჯულაო. მათ შორის

ბრძოლა ორი წელი გრძელდებოდა, ბოლოს ნატამ თითქოს წერტილიც დასვა ურთიერთობაში... მინდა, გაგიმჟღავნოთ, რომ რესტორნის სცენა დადგმული იყო: ნატას ჩვენ გავაგებინეთ, რომ გიომ მის ჯინაზე, ლიკასთან გააბა ხანმოკლე რომანი და იმ რესტორნის ადგილსამყოფელი გავაგებინეთ, სადაც ახალი „სატრფო“ დაპატიჟა. ნატა კი ერთ ნაცნობს მოელაპარაკა და... ერთი სიტყვით, „სექტაკლმა“ შედეგი გამოიღო და გიომ ისეთი ეჭვიანობის სცენა მოუწყო გოგოს, რომ ყველანი სახტად დავრჩით. მერე, გიო გამოგვიტყდა, ამ შემთხვევამ მის უცნაურ გრძნობას ნამდვილი სახელი დაარქვა — ეს დიდი სიყვარული იყო!

როცა ნატა გერმანიიდან დაბრუნდა გიო უკვე „მორჯულებული“, დათაფლული და დამდნარი დახვდა, მაგრამ ახლა ნატა გაჯიქდა... კიდევ ერთი წელი აწვალა გიო და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბიჭი წრფელი გულით სთხოვდა პატიებას, ცოლობაზე დასთანხმდა. ახლა, თქვენი ძველი რესპონდენტები თაფლობის თვის გასატარებლად, იტალიაში იმყოფებიან, — დაასრულა გიოს მეგობარმა თხრობა და დამპირდა: თუ კიდევ საინტერესო რამ მოხდება მათ ცხოვრებაში, აუცილებლად შეგატყობინებთო.

უარი ბაქიანად უნდა ითქვას

„გწერთ თელავის რაიონიდან. თქვენი მუდმივი მკითხველი გახლავართ და ალბათ, არ არსებობს, თქვენი რუბრიკით დაბეჭდილი ამბავი არ წამეკითხოს. რამდენიმე ნომრის წინ გამოქვეყნებული იყო პატარა წერილი — „გამოსასყიდი ყოფილი შეყვარებულისთვის“. რა თქმა უნდა, აღმამფოთებელია იმ ბიჭის საქციელი, რომელმაც გოგონასთან (თავის შეყვარებულთან) დაშორების შემდეგ, შური იმით იძია, რომ სხვებს მოატაცებინა ყოფილი საცოლე, მის მდიდარ მშობლებს კი გამოსასყიდი მოსთხოვა. ეს ამბავი დიდი აურზაურის შემდეგ მინც კარგად დამთავრდა, თუკი კარგი ეთქმის ბიჭის და მისი ამფსონების დაპატიმრებას, თუმცა სიკვდილზე უარესი ხომ არ არის?! იცით, რატომ გადავწყვიტე ამ წერილზე გამომხაურება? ჩვენთან, სოფელში (არ დავასახელებ,

მკითხველის წერილები

რადგან ტკივილს მივაყენებ იმ უბედური ბიჭის ოჯახს) მსგავსი ამბავი ტრაგედიით დასრულდა. ხშირად გოგოებს თავში აუვარდებთ საკუთარი გარეგნობაც და მამიკოს ფულებიც, ამიტომ შეყვარებაც ეადვილებათ და „გადაყვარებაც“. ისე იოლად შეუძლიათ, უსაზღვროდ შეყვარებულ ბიჭს გარკვეული დროის შემდეგ უარი სტკიცონ, თითქოს კენჭი გადაუგდოთ გუბეში. ამიტომ, სანამ პირობას მისცემენ, დაფიქრება მართებთ, თუ არა და, ტაქტიანად, ეთიკის ფარგლებში უნდა შეაგნებინონ, რომ აღარ სურთ ურთიერთობის გაგრძელება... ის საცოდავი ბიჭი, რომელმაც გოგოს სიყვარულის გამო თავი მოიკლა, ჩემი შვილის მეგობარი გახლდათ და საკმაოდ კარგად ვიცნობდი ორივეს. გოგო მდიდარი ოჯახის შვილი იყო, ბიჭის ოჯახს კი უჭირდა; ვაჟიკას მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა, ბევრ გოგოს მოსწონდა, ამიტომ როცა ლელა აირჩია და სიყვარულშიც გამოუტყდა, სისარულისგან ფეხზე აღარ იდგა გოგო. ორი წელი შეყვარებულები იყვნენ. ყველამ ვიცოდით, რომ მალე უნდა

დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ ლელამ ვაჟიკაზე „უკეთესი“ (რა თქმა უნდა, მატერიალური თვალსაზრისით) მოძებნა და ბიჭს გადაჭრით უთხრა უარი — სხვა შემიყვარდა და უნდა დავმორდეთო. ერთხანს სმას მიეძალა 21 წლის ბიჭი. მერე შეხვდა კიდევ ლელას. უთხოვია: ნუ გამწინრავ, უშენოდ ვერ ვიცხოვრებო, — გოგოს კი მასწრად აუგდია, — შენნაირს ნეტავ, თავს როგორ ვუყადრებდით?! ბიჭმა იმ საღამოს თავის ბიძაშვილს თოფი გამოართვა, უთხრა, — სანადიროდ უნდა წავიდეთო. მერე დღეს ტყვით გულგაგლეჯილი უპოვიათ ტყის პირას, სახლში კი წერილი დაუტოვებია: აღარ მიღირს სიცოცხლე ლელას გარეშე, მამაბიჭით, მშობლებო... ისეთი ამბავი იყო, ქვა ადუღდებოდა ვაჟიკას მშობლების შემყურე. ლელას ოჯახს კი სხვაგანაც ჰქონდა სახლი (რაიონულ ცენტრში); სოფელში კარ-მიდამო გაყიდეს და წავიდნენ. მამაბიჭის ღმერთმა, თუ ვცოდავ, მაგრამ იმ ტუტრუცანა გოგოს გამო 21 წლის ბიჭი სიცოცხლეს გამოესალმა...

ე. ნაცვლიშვილი“.

წუთ, არ უჭირთ ბოლბითლა სიძულვილით ცხოვრება?!

„ნავიციოთ 24 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი — „ვიცოდე მანც, რატომ შემოძულეს“ — სადაც რძალ-მულის გართულებულ ურთიერთობაზე წერთ... ეჰ, ჩემო კარგო, იმდენი მაქვს სათქმელი, ალბათ ერთი დიდი წიგნიც ვერ დაიტევს ჩემს სადარდებელს. სალი და ლამაზი ურთიერთობა ფასდაუდებელი „განძია“, ამას მაშინ მივხვდი, როცა ჩემი ერთადერთი ძმის ცოლისგან ბევრი ტკივილი შემხვდა.

იმ თქვენი რესპონდენტის მსგავსად, მეც შემოძულა ჩემმა რძალმა. ალბათ, ქმარს გამოვრუბული, თვალში ვწხირებოდი ჩემი შვილიანად. ჩემს მშობლებს დიდი სახლი ჰქონდათ; როცა ქმარს გავყვარე (მან ნარკოტიკებში გადაყარა მთელი ავლა-დიდება, ბინაც გაყიდეს მისიანებმა, ვალი რომ დაეფარათ. თვითონ კი სოფელში გადაბარგდნენ) მშობლებთან დავბრუნდი. ჩემი ძმა უცოლო იყო. გიჟდებოდა, ისე უყვარდა ჩემი ბიჭი, თან ჰყვებოდა... მერე ცოლი შეირთო, 19 წლის გოგო, რომელმაც ტუბილი ოჯახი თავდაყირა დააყენა. მაქსიმალურად ვითმენდი მის თავზედურ გამოხდომებს, მაგრამ როცა კერძში სარეცხის ფხვნილი ჩაყარა და ჩახოხილი აქაფდა, მივხვდი, მის გვერდით ვუღარ ვიცხოვრებდი. მშობლებმა გადაწყვიტეს, თავიანთი შრომითა და წვალეებით ნაშენები სახლი გაეყიდათ და შვილებისთვის ცალ-ცალკე მიეცათ წილი. ახლა ამაზე გაგიჟდა და ჩემი ძმა გააქეზა: გოგოს რატომ აძლევენ წილს? ნავიდეს შენი და და თავის ქმარს მოსთხოვოს ბინიდან წილი... სადღა ჰქონდა იმას ბინა?! როცა ჩემი ძმისგანაც ვიგრძენი გულცივობა, დაქალთან გადავდი საცხოვრებლად. ჩემმა მშობლებმა მანც გაყიდეს ბინა, ვაჟს ცალკე მისცეს, თვითონ კი ჩემთან ცხოვრება ისურვეს. იმ დღიდან ძმაც მტრად მომიკიდა. რამდენი ვიტირე და ვინერვიულე ამის გამო, ღმერთმა იცის. რამდენჯერმე ვცადე კიდევ ძმასთან და რძალთან ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არ ვიცი, როგორ შეუძლიათ ადამიანებს სიძულვილით ცხოვრება, ან როგორ არ უჭირთ უსიყვარულოდ?!. მშობლები მეცოდებიან. ისინი ძალიან განიცდიან ვაჟიშვილის გაუცხოვებას; ამაზე კი რძალმა „იმუშავა“ როგორც შეეძლო.

მზია თ.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

საკუთარი ხელით მოგზადებული მზითვი და თბილისში გათხოვებისთვის დათხრობილი თვალები

„დროს უნდა მიჰყვე, დრო კი არ მოგვცემა. მეც მივყვებოდი დროს და ბევრს ვშრომობდი. ახლანდელი ახალგაზრდები კი მარტო ჩაცმა-დასურვავზე ფიქრობენ. მათსავით, ფერებით და დედამისის ხელშეწყობით რომ გავზრდილიყავ მეც ალბათ, ბევრ რამეს მივალწევდი — ან ლექტორი გამოვიდოდი, ან — პროფესორი“, — გულდანწყვეტით ამბობს 87 წლის თებრონე ბებია და თიანეთური კილოვანობა და ფშავლებისთვის დამახასიათებელი ბილწილი-ვაგამორეული იუმორით იხსენებს წარსულს. ვიცი, ანეკდოტების მოყოლაც უყვარს, მაგრამ თავს იკავებს, — სტატიისთვის არ გამოგადგება, მთლად კარგი ვერააო... — სიცილით მპასურობს და მაშინვე ვხვდები, „კარგში“ კვლავ ბილწს ღიჯებს გულსხმობს.

ირმა ხარშილაძე

თვალონა ბიჩინაშვილი:

— იდეალური მესხიერება მაქვს. ართროზია თუ რაღაც ჯანდაბა, იმან დამჩაგრა, თორე ასე არ დავგლახავდებოდი — ველარ დავდივარ. „კოლექტივი“ (კოლმეურნეობა. — ავტ.) რომ დაიბადა, მეც მაშინ დავიბადე. სიმონიანთხევეში ვცხოვრობდით. ისეთი მკაცრი დედა მყავდა, უქმად წუთით არ გაგვანერებდა — ზაფხულში ზაფხულის საქმე უნდა გვეკეთებინა, ზამთარში კი ფარდაგები გვექსოვა. ორი და და ერთი ძმა ვიყავით. ძმას თითიც რომ არ გაენძრია, ჩვენ მანც უნდა გვემუშავა. ეს ერთი ბიჭი გვყავს და ამას უნდა ენაცვალნოთო, — გვეტყოდა ხოლმე დედა. ასეც არის — გოგოს ფასი არ აქვს, ტანჯულია. ვიმუშავებდი ვინმესთან, მერე გამო-



მუშავებულნი ფულით მატყლსა ვყიდულობდი და შინ ფარდაგებს ვქსოვდი. ახლა რომ მანქანით ქსოვენ, ეგრე კი არ იყო, ჩვენ ხელით ვქსოვდით.

— და ასე გაიმზადეთ სამზითვო ფარდაგი?

— მაშინ 17-18 წლისა ვიყავი. დედამ მითხრა: ერთი დიდი ფარდაგი მოიქსოვე და რომ გათხოვდები, კედლიდან ჩამოუშვებ, „კუშეტიკაზე“ ჩამოვა და ცოტაზე გადმეფინება კიდევ, მეორე კი ფარდაგს საწოლის თავზე გაიკრავო. ჰოდა, მეც მოვექსოვე. ოღონდ ერთი ადამიანისთვის დიდი ფარდაგის მოქსოვა ძნელია, ერთ წელიწადს მოანდომებს, ამიტომ დამხმარე მყავდა.

— თქვენი ფარდაგი ხეცურულია?

— ხეცურული ცოტათი სხვანაირია, ამას უფრო თიანეთური ჰქვია.

— ისე, თქვენ ხეცურები



ბევრი ლექსი დამიწერა. რომ გავყვი, ის 19 წლისა იყო, მე — ოცის...



ერთს ვოცნებობ — ჩემი შვილები და შვილიშვილები იყვნენ კარგად

ხართ თუ ფშავლები?

— რა გითხრა?.. დედისგან გამიგონია, ბინინაშვილები ქისტები ხართო და რა ვიცი. დედა ბუჯიაშვილის ქალი მყავდა და მისი მამისა და ჩვენი სოფელი გვერდიგვერდ არის. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა და 16 წლისა მოუტაცნიათ. დაქალს გაუფრთხილებია, მოტაცებას გიპირებენო. დედას შეშინებია, — რა მეშველება, სად დავიმალაო? დაქალს ურჩევია, — სკივრში ჩაჯექი და ვერ გიპოვიანო, — გამტაცებლებისთვის კი უთქვამს: რომ შეხვალთ, პირდაპირ სკივრს დააჯექითო — მოკლედ, გაყიდა. საცოდავი დედაჩემი გასძლიანებია, სულ დაგლეჯილ-დატყავებული ამოუყვანიათ სკივრიდან და წაუყვანიათ. არც იცნობდა იმ გამტაცებლებს.

— ეს მამათქვენმა ჩაიდინა?

— არა, ის სხვა იყო. მერე ჩემს ბაბოს ვილაცები მიუგზავნია იმ კაცისთვის: ეგრე როგორ იქნება?! ქალი შინ დააბრუნეთ, დანიშნეთ და წესისა და რიგის მიხედვით წაიყვანეთო. ასეც მოქცეულან და დედა დაუბრუნებიათ, ბაბოს კი სასიძო სულ კეტის ცემით გაუგდია შინიდან. მერე მამაჩემს დაუნიშნავს დედა. წარმოგიდგენიათ? „ხალასტო“ კაცმა მოიყვანა სხვისა „ნათრევი“ (იციანის)!.. რომ წამოვიზარდე, ერთხელ დედაჩემს ვკითხე: ქალო, რამე გიყვეს იქ-მეთქი? — აბა, ისე ხომ არ გამომიშვებდნენო, — მიპასუხა (იციანის). ასე ყოფილა დედაჩემის ამბავი.

— თებრონე ბებია, ახლა თქვენი სიყვარულის ამბავიც გაიხსენეთ. მზითვი რომ გაიმზადეთ, სიყვარუ-

ლი სადლა იპოვეთ?

— 19 წლისა უკვე გასათხოვარი ქალი ვიყავი... ისე, რა, უფარდაგოდ არ წამიყვანდნენ (იციანის)?.. იმ დროს მოტაცება აღარ იყო მოღური, ვისაც ვინ უყვარდა, იმას მოიყვანდა.

— თქვენც შეიყვარდათ?

— არა, გენაცვალე, სიყვარული რა არის, არც ვიცი — სასმელია თუ საჭმელი (იციანის)? მე როგორი გუნებისა ვარ, იცი?.. მაშინაც ეგეთი ვიყავი: თუ კაცი კარგი მეოჯახე, ცოლ-შვილის მოყვარული იქნებოდა, კარგად შემინახავდა, ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ფშაველი იქნებოდა, ხევსური თუ ქართლელი, მაინც გავყვებოდი. მაგალითად, ჩემს დას იმერელი ქმარი უნდოდა და გაჰყვა კიდეც... მოკლედ, გათხოვების ასაკი მომივიდა. დეიდაჩემი სოფელ ლუღლელებში ცხოვრობდა. ქმარი ომის დროს მოუკლეს და ოთხი ვაჟით დარჩა.

მთელი სოფელი პატივსა სცემდა, რადგან მარტოკელამ თითოთ საჩვენებელი შვილები დაზარდა. მახსოვს, პატარები რომ იყვნენ, ეტყობოდა ხოლმე: ჩემი ჭირი ჭამეთ; ერთი ჭურვებში წადით, მეორე — ღორებთან, მესამე — ძროხებთან, მეოთხე — ცხვარში, წაიღეთ ნიგნები და იქ იკითხეთო. ჩემი დეიდაშვილები არც სიგარეტს ეწეოდნენ, არც სასმელს ეტანებოდნენ, კარგადაც ისწავლეს და კაცებიც დადგნენ. დეიდას კარგი სახელი რომ ჰქონდა სოფელში, მისმა მეზობლებმა ჩემი რძლობაც მოინდომეს. ჩემი მომავალი ქმარი — გიგო თბილისში ცხოვრობდა. უმაღლესი სასწავლებელი არც მე მქონდა დამთავრებული, არც იმასა. ისე, ნიჭიერი კი იყო. ნათქვამი ჰქონდა: საავიაციოზე ჩავაბარე, მაგრამ ბრტყელი ტერფის გამო დამინუნესო. როცა პირველად ჩემს სანახავად მოვიდნენ, მას არც დავლაპარაკებინავარ. შემათვალისწინებ, გამსინჯეს და... (იციანის) მეც შრომითა და ჯაფით გადალლილი ვიყავი, მინდოდა გათხოვება, ქმარ-შვილი, ვფიქრობდი, ამით უფრო შემიმსუბუქდებოდა ცხოვრება და გავყვები. ღარიბი იყო, მაგრამ ასე დღესხვალობით კი მოვიქონიეთ ცოტა რაღაც. თბილისში წამომიყვანა, „მოფრობა“ ისწავლა, მუშაობდა და თავი გავგვქონდა.

— მეუღლეს არ შეუყვარდით?

— რომ გამიცნო, მერე წერილიც კი მომწერა ლექსად.

— გახსოვთ ის ლექსი?

— როგორ არ მახსოვს?! ახლაც გეტყვი ზეპირად: „თიანეთის მთის ნაზარდო, / ედემს რგულის ვარდის

კონავ, / ბარად წყარო, ნაკადულო, / რომ ვერ გხედავ, მისთვის ვლონავ... / მიჯნურობა ისეთია, / ვით ზამთარში თბილი პალტო, / რად ჩამაგდე სატანჯველში, / სიყვარულის კანდიდატო? / გეგმაში მაქვს განზრახული, / ჩემო სევდის ორდინატო, / რომ სიყვარულს სიყვარული / პროცენტები მივეუმატოო... (იციანის) კიდეც ბევრი ლექსი დამინერა. რომ გავყევი, ის 19 წლისა იყო, მე — ოცის... შვილები — ნათელა და ნანული — პატარები იყვნენ, ავარია რომ მოუხდა და ციხეში ჩასვეს. იქ პატარა ფანდური გვეკეთებინა და ზედ დევნენ: /ვის არ უყვარს სამშობლო, საკუთარი მამული?! / გეზარდონ თავის მშობლებს / ნათელა და ნანულიო / ის ფანდური აღარც ვიცი, სად არის. შვილები დავზარდე, გავათხუეთ. სიძეებს ძალიან მოსწონდათ ჩემი ქმრის სოფელი, ლუღლელები და ხშირად ჩადიოდნენ, მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ — ორივე ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა (ცრემლია). მერე ჩემი მეუღლე გადავიდა სოფელში საცხოვრებლად.

— თქვენ არ წაყვივით?

— მე აქა მქონდა სახლი და სად წავსულიყავი?! თბილისში რომ მინდოდა ცხოვრება, იმიტომ დავითხარე თვალი და გავყევი გიგოს და კიდეც სოფელში დავბრუნდებოდი (იციანის)?!

საუბარს თებრონე ბებიას შვილიშვილი — ნინო მიქაძე შემოესწრო:

— ბებია, ირმას არ უთხარო, შენც რომ წერ ლექსებს?

— არ მითქვამს. მარტო რომ ვზივარ ხოლმე, ლექსებს მაშინ ვწერ. ახლაც დავწერე ერთი: „ფიქრი და დარდი, სევდა-ნალველი“ — ორივე ერთად არეულია / და ამ მრავალი იდუმალებით / ბებერი გულიც დაჩაგრულია. / ვგრძნობ, რომ დავებრდი და ეს სიბერე / მწარედ მოქმედებს, როს გადის ხანი. / მინდა ვეცადო, რომ დავივინყო, / მაგრამ სიბერეს არ შესწევს ძალი. / წუთისოფელიც ასე ყოფილა, / ღამე დღეს უთენებია, / ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა / სიბერეს დაუნგრევია და... მომავალს უგრძელებია“... ერთს ვოცნებობ — ჩემი შვილები და შვილიშვილები იყვნენ კარგად. აბა, მე უკვე განერილი ვარ. 8-10 წელიწადია, რაც ძმის ცოლი მომიკვდა. ერთხელ ვილაც ქალმა სიზმარში მითხრა: ანამ დაგიბარა: რაღას აკეთებს, წამოიდესო! — წამოიდეს კარგია-მეთქი!.. — ვუპასუხე, თან გავიფიქრე: ეგ არის და შეტანილი ვარ სიაში-მეთქი. თურმე, ჯერ სადაა?! ცხრა წელი გავიდა და ისევ ცოცხალი ვარ (იციანის)..

რა აქვს საერთო ბიკინის და ატომურ აფეთქებას?..



მოდა საცურაო კოსტიუმებზე ევროპაში XVIII საუკუნეში, საფრანგეთსა და ინგლისში კურორტების განვითარებასთან ერთად გაჩნდა. მაშინ სანაპირო ორ — ქალებისთვის და მამაკაცებისთვის განკუთვნილ ნაწილად იყო გაყოფილი. ქალები ნაპირთან ჩყუმპალაობდნენ, წყალს სპეციალური ჭურჭლით ისხამდნენ და წუნაობდნენ. ეს ყველაფერი ე.წ. საცურაო კოსტიუმში ხდებოდა, რომელიც გულდახურულ, კოჭებამდე კაბას მოგაგონებდათ. მოდას ტრადიციული მოკრძალება ედო საფუძვლად. მაშინდელი საცურაო კოსტიუმები არაპრაქტიკული და მოუხერხებელი იყო, რადგან კორსაჟი და კრინოლინი, რომლითაც ქვედაბოლო მაგრდებოდა, მის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა. გარდა ამისა, აუცილებელი იყო, პლაჟზე გასულ ქალს თხელი წინდა და ფეხსაცმელი ან თასმებით შეკრული ჩექმა სცმოდა. ეს „აღჭურვილობა“ წყალში დასველების შემდეგ ისე მიმდებოდა, რომ ქალს დიდი ტვირთის ტარება უწევდა. ამასთანავე, ქალს დიდი ყურადღება უნდა გამოეჩინა, რათა ჩყუმპალაობის დროს, შემთხვევით ფეხი არ გამოსჩენოდა.

ვიქტორიის ეპოქის დასაწყისში



ქალბატონები ვალდებული იყვნენ, სელის ან ფლანელის საცურაო კოსტიუმში სცმოდათ. 1860 წლიდან ისინი ორნაჭრიანმა კოსტიუმმა შეცვალა: ზედა ნაწილი ჟაკეტს წარმოადგენდა, ქვედა — გრძელ პანტალონს, რომელიც ფეხებს მთლიანად ფარავ-

ზაფხულში თერმომეტრი ისეთ ტემპერატურას უჩვენებს, რომ კი არ გეუბნება, არამედ გიბრძანებს, დროა, შევბუღებაში წახვიდეო. ზოგი ანტალიის მზეს ეფიცება, ზოგი — აჭარის, ზოგიერთი კი თბილისის ზღვაზე ან მდინარის პირას ირუჯება. ერთნიც და მეორენიც წახვლამდე, საცურაო კოსტიუმს გულდაგულ არჩევენ. მამაკაცების უმეტესობა გამოაღებს კარადის უფრას, ცელოფანის პარკში „პლაჟკას“ ჩატენის და — ჰერი-ჰერი! ქალები კი... მათთვის მთავარია, საცურაო კოსტიუმში ახალი, თანამედროვე მოდის შესაფერისი, ტანზე კარგად მორგებული იყოს და ნაკლაც ფარავდეს. ორიოდე საუკუნის წინ მცხოვრებ ქალებს აზრადაც კი არ მოუვიდოდათ, თუ რა პრობლემების წინაშე დადგებოდნენ მათი შთამომავლები.

და. გარდა ამისა, სპეციალურად პლასტიკის, თასმებით შესაკრავი ფეხსაცმელი გამოიგონეს. ამგვარად, საცურაო კოსტიუმში გაცილებით პრაქტიკული და მიმზიდველი გახდა, მაგრამ დიდი წონის გამო, ქალებს მისი ტარება მაინც უჭირდათ.

XIX საუკუნის ბოლოს ცურვა ოლიმპიური სპორტის სახეობა გახდა, რამაც ქალებს საშუალება მისცა, მამაკაცების მხარდამხარ ეცურათ და მძიმე კოსტიუმისგან გათავისუფლებულიყვნენ. 1880 წელს საცურაო კოსტიუმის ახალი მოდელი — „პრინცესა“ შეიქმნა. ის ერთმანეთზე გადაკერებულ ბლუზასა და პანტალონს წარმოადგენდა. მძიმე ქვედაბოლო ბამბის ქსოვილისგან შეკერილმა შარვალმა შეცვალა. ჩალის ქუდი საცურაო კოსტიუმის დამამთავრებელ შტრიხად იქცა.

XX საუკუნეში, კოკო შანელის მოწადინებით, საცურაო კოსტიუმების მოდაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. საფრანგეთში პირველად მიიღეს „შეკვეცილი“ საცურაო კოსტიუმი. ქალებმა მუცლის გაშიშვლებას მოუსპირეს და საცურაო კოსტიუმის ყოველი მომდევნო მოდელი უფრო და უფრო ამიშვლებდა სხეულს.

კიდევ ერთ რევოლუციად, ლია საცურაო კოსტიუმის შექმნა იქცა, რომელიც ზედა და ქვედა ნაწილის-

სსოვრება

გან — ტოპისა და ტრუსისგან შედგებოდა და „ბიკინი“ ეწოდა.

1946 წელს დინაინერმა ლუის რეარდმა პოდიუმზე ბიკინის დემონსტრირება მოახდინა. საცურაო კოსტიუმს სახელი რამდენიმე სამხრეთამერიკული კუნძულის — ატოლა ბიკინის მიხედვით ეწოდა, სადაც ამერიკა ატომურ ცდებს ატარებდა.

ბიკინიმ ატომური აფეთქებით გამოწვეული ტალღასავით გადაურბინა მსოფლიოს. კაცობრიობის ისტორიაში საცურაო კოსტიუმს ასეთი მინიმალისტური ზომებისთვის არასოდეს მიუღწევია. გარდა ამისა, იმ დროს მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ქსოვილის ეკონომია იყო საჭირო.

XX საუკუნის 40-იან წლებში ბიკინიმ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ბაზრის 20% დაიკავა.

1960-იანი წლები — ყველაზე გაბედულ ქალთა წლები იყო. რუდი ჰენრიჩმა ბაზარზე საცურაო კოსტიუმის ახალი სახეობა გამოიტანა — მხოლოდ ტრუსი და — არავითარი ტოპი!..

1980-იან წლებში რიო-დე-ჟანეიროს პლაჟებზე პირველად გამოჩნდა სტრინგი. ამერიკაში მოდურად ის ტრუსი მიიჩნეოდა, რომელიც 2 წვრილი ბანრით იკვრებოდა. საცურაო კოსტიუმის ქვედა ნაწილმა V-ს ფორმა მიიღო.

სხვათა შორის, ახლა მოდა რეტროს სტილს უბრუნდება და ყველაზე პოპულარულად, ტანზე მომდგარი შორტი მიიჩნევა.



ასა მონაყდი და ასა ხედობადი

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-36

მარი ჯაფარიძე

ანა: რათა, ბიჭო? რატომ არ დამნებდები? თუ ნებით არა — ძალით, მაშინ... რა იყო, რაა?

მერაბი: აქ ვერა. რომ ჩამოხვალ, მერე. ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, რომელ სასტუმროში წავალთ ალბად სარფში, ზღვის პირას.

ანა: ვკითხულობ ამ მესიჯებს და გეფიცები, არ მჯერა, რომ ეს ჩემს თავს ხდება... მგონია, რომ მძინავს...

მერაბი: გაიღვიძე, გათენდა, ხელ-პირი უნდა დაგბანო, გოგო!

ანა: უცნობ კაცს ვუთანხმდები შეხვედრაზე... სასტუმროში წასვლაზე... სექსზე... „ბოოჟე მოი“... არადა, როგორ მომწონს... მინდა... და სინდისის ქენჯნაც ალბათ ამიტომ არ მანუხებს... ჯერ არ მანუხებს...

მერაბი: შენსავით ვარ მეც, მაგრამ „კტო ნე რისკუეტ, ტოტ ნე პიოტ შამპანსკოე“, ხომ იცი. გავრისკოთ, რაც იქნება, იქნება. შეიძლება გაამართლოს, რა იცი?

ანა: და შენ რა გაქვს გასარისკი? მგონია, რომ კაცი არ უნდა განიცდიდეს...

მერაბი: რატომ არ უნდა განიცდიდეს, „სტანოკი“ კი არ ვარ, გული მაქვს და ადამიანი ვარ. ქალის პრობლემა არც აქ, ქუთაისშია და არც არსად. თუ ადამიანში დადებითი თვისებები ვერ დავინახე, ისეთთან ვერ ვიურთიერთებ. ასე ცხოველები იქცევიან. შენში ვხედავ იმ გრძნობას, რომ მე შენთვის რაღაცას წარმოვადგენ და გრძნობაც გამაჩნია. ამიტომ გიყურებ როგორც საკუთარს, სულში ჩახუტებულს და შიგნიდან წაკითხულს, თორემ ეგრე ადვილი არ არის ჩემთან ურთიერთობა. და შენ ეს ძალიან კარგად იცი.

ანა: ვიცი, რომ გამიმართლა... მაგას ვხვდები... და მეც მიყვარხარ...

მერაბი: ახლა ლუდი მომიტანა თანამშრომელმა და დალილზე მომთენთა. მაგარ ხასიათზე მოვედი. მოხვალ ჩემთან? ჩემს კაბინეტში...

ანა: კი, მოვალ... სანოლი გაქვს?

მერაბი: რა გვეშველება, ა? მა-

გრად რო შევეჩვევით, მერე იქნება ძნელი, მაგრამ მე მაგის გასაღებად ვნახავ. მაგან არ შეგაშინოს, ანა.

ანა: მე შენი იმედი მაქვს ისე, როგორც არასდროს, არავის იმედი არ მქონია... გასაკვირია, მაგრამ ასეა... ამას წინათ ჩემს ახლო მეგობარს გაუფხილე ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ბოლომდე არ მითქვამს, ვინ ხარ... მხოლოდ ის ვუთხარი, ქუთაისელია და ამ დღეებში უნდა ჩავიდე-მეთქი... გააჟიდა, როგორ ენდობი უცხო კაცს, მანიაკი, გიჟი ან ვიღაც იდიოტი რომ აღმოჩნდეს, იქნებ მანდ თავს გაჩვენებო, მაგრამ არ მეშინია... გენდობი და იმიტომ... ვგრძნობ, რომ შენ გვერდით არანაირი საფრთხე არ მემუქრება და თუ დამჭირდება, კედელივით გადამეფარები...

მერაბი: ვეცდები, თუ გამომივა. უბრალოდ, ხომ იცი, ოჯახი მყავს და ჩვენი ურთიერთობების გაოფიციალურება არც შენ განყოფილ და არც მე. მე ამას ვხვდები და უფრო მეტად ამიტომ გადავდგი ეს ნაბიჯი. დანარჩენს ცხოვრება გვაჩვენებს.

ანა: გაოფიციალურება რას ნიშნავს, ჯვარს ხომ არ დავინერთ და... ისე, არ მანყოფს კი არა, ვინმემ რომ გაიგოს, თავს მოვიკლაგ... შენ რა, გგონია, ამ ჩემს მეგობარს ბოლომდე ვეტყვი? უბრალოდ, მისი აზრი მაინტერესებდა, თორემ... დღეს რომ მკითხა, რას შვრებო, ვუთხარი, გადამიარა, აღარ ვურთიერთობ, მაგის დედაც, ჯეკ, ქუთაისელი კაცი რა ჯანდაბად მინდა-მეთქი... ბავშვობის მეგობარსაც არ გავუმხელ ამას... ერთმა თუ იცის, ჩათვალე, რომ სხვებმაც იციან... ეს ჩემი საიდუმლო იქნება...

მერაბი: ჰო, ეგრე ჯობია, 16 წლისები ხომ არ ვართ? არ გეწყინოს ახლა... შენ ჩემი გოგოშკა ხარ. ისე, რა არის განგება?! ოდესმე თუ წარმოიდგენდი, რომ ვინმე შენს ცხოვრებაში ასე „ნაგადა“ შემოიჭრებოდა?

ანა: არა, მართლა ვერ წარმოვიდგენდი... თან ქუთაისელი, თან — პოლიციელი... თან ასე შემოიყვარებოდა, უნახავად... წარმოუდგენ-

ლი მარტო ეს იყო, რომ უნახავად ვინმე შემეყვარებოდა, სხვა რომ არ ვთქვა... არ ვიცი, იქნებ ეს სიყვარულიც არაა, მაგრამ... მახსოვს, როცა პირველად შემეყვარდა, სწორედ ასეთი განცდები მქონდა...

მერაბი: რატო დამორდი იმას?
ანა: სულ ველოდი, რომ ოდესმე ამას აუცილებლად მკითხავდი.

მერაბი: თუ მტკივნეულია, არ მინდა, არ მომიყვე. არ მინდა, ტრავმა მოგაყენო. ჩემთვის სულ ერთია, შენ ხომ ხარ ჩემთან და სხვა არ მაინტერესებს. ვეცდები, ჩემი საქციელით უფრო გაგიწელო და გადაგავინყო ყველაფერი.

ანა: დამთავრდა ის ცხოვრება, მერაბ... უკან დარჩა და ბედნიერი ვარ, რომ ასე მოხდა...

მერაბი: ახლა ვფიქრობდი, რა სივა მიმესადაგებინა ჩვენი ურთიერთობისთვის. რა ჰქვია ამას, რა

ანა: მერაბ... სად ხარ?
მერაბი: ერთი წუთი მადროვე, ტელეფონზე ვლაპარაკობ, მოგწერ... შენთან ვარ მაინც.

ანა: რომ ჩამოვალ, როგორც კი მარტო დავრჩებით და კარს ჩავეკეტავთ, ტელეფონს გამორთავ და დილაზე აღარ ჩართავ... ვიცი, მე ისეთი ბედი მაქვს, იქიდანაც გამეცქვევი...

მერაბი: მერაბი ის კაცი არ არის, სადმე რომ მიგატოვოს სიხარულო, მაგამი თუ ვერ დარწმუნდი, მაშინ ჩვენი საშველი არ ყოფილა.

ანა: მერე, მეც ხომ იმიტომ მიყვარს, რომ ასეთია?

მერაბი: ახლა შენს სადღეგრძელოს სვამს მთელი ოპერატიული ჯგუფი. აფერუმ შენს ქალობას, ასეთი მაგარი და გამძლე რომ ხარ, მიზნის მიღწევა რომ გიყვარს... შენ გენაცვალე, მართლა...



დავარქვათ? შენ თქვი და მე დაგეთანხმები.

ანა: ძალიან მინდა, რომ ამას სიყვარული ერქვას, მაგრამ ალბათ ჯობია, „2 არანორმალურის ვირტუალური სიგიჟე დავარქვათ“. :))) ან უბრალოდ, სიგიჟე...

მერაბი: სახელს მე დავარქმევ, რომ ჩამოხვალ.

ანა: ახლა რატომ ვერ არქმევ?

მერაბი: დარქმეული აქვს, შენ თუ კარგად დაფიქრდები. შენ კიდევ უნდა მიხვდე.

ანა: ვნება... სექსი... სურვილი... სიყვარული... ამათში რომელიმე სწორი ვარიანტია?

მერაბი: ოთხივენიცააააა!!! ამათ გარეშე ჩვენს სიცოცხლეს რა აზრი აქვს? რომ ჩამოხვალ, რა გაჩუქო? რა გაგისწორდება?

ანა: არაფერი მინდა... შენი თავი და ერთი ლამე მაჩუქე.

ანა: ცოცხალი ხარ? სად ნახვედი? ხომ არ დაგეძინა?

ანა: აბა, მითხარი, როგორ სადღეგრძელებენ? მერაბს რომ რქები მოამტვრია და კისერი მოუგრისა, იმ ქალს გაუმარჯოსო? :))) თუ რას ამბობენ?

მერაბი: არა, მე ვადღეგრძელებ ანას, რომელიც არის სიცოცხლით სავსე, უმანკო, გულნატყენი ცხოვრებისგან, უდანაშაულოდ დაჩაგრული, რომელსაც გული არ გაუტყხავს, რადგან მას უკან უდგას მერაბი.

ანა: გენაცვალე... საუკეთესო სიტყვებია, რომელიც ჩემი მისამართით გამიგონია... განსაკუთრებით ბოლო ნაწილი... შემოგეცლე.

მერაბი: ნუ, ახლა აქედან რა აგინხნა, ანა? ჩამოდი, გელოდები. რა ვქნა? ბახუსი მერევა და ლექსი უნდა ვთქვა სიყვარულზე, ბიჭებთან.

ანა: მე მეძღვნება ლექსი? :)))

მერაბი: არც მე, არც შენ, არც ჩემს ბიჭებს არ გეძინავს, იმიტომ, რომ შენ ჩემი გულისთვის არ გეძინავს. ამას არ დაგიკარგავ, მართ-

ლა. ლექსი კი შენ გეძღვნება.

ანა: რა საყვარელი ხარ, მთვრალი...

მერაბი: ასეთი ვარ...

ანა: ბიჭებს უთხარი, მანდ რომ ჩამოვალ, მეც დავლევ მაგათ სადღეგრძელოს... :)))

მერაბი: იმ ბიჭმა, ნერვები რომ მოგიშალა, გახსოვს? მოკითხვა შემოგიტვალა.

ანა: ოოო... ეგ ადრე იყო... ჩვენს შეყვარებულობამდე... :))) და რომ მიმბლოკა „სკაიპში“, მაგას არ დავივიწყებ. :))) როგორ დამემუქრა?! თუ არ გაჩერდები, მიგბლოკავო... და მიმბლოკავო... :)))

მერაბი: ახლა იცინის. ეგ ჩემი მაგარი ძმაა. რო ჩამოხვალ, გაგაცნობ. კარგი ადამიანია. როდის ჩამოხვალ, გოგო, რომ დაგიმართოხლო?

ანა: იმის წარმოდგენაზეც კი ცუდად ვხდები, რომ შენთან ერთად ოთახში მარტო უნდა დავრჩე.

მერაბი: აბა, სხვა ვინ უნდა იყოს? რაეებს მეუბნები?

ანა: ისე, როგორ მივედით აქამდე? არ მახსოვს, შენ კონკრეტულად გეთქვას, რომ როცა ჩამოვალ, შენთან უნდა დავრჩე... არც მე მითვამს და საიდან მოვიდა ეს ყველაფერი? როდის გადავწყვიტეთ? ან როგორ? თავისთავად ვიგულისხმეთ ორივემ?

მერაბი: რალაც, პასუხებს მიგვიანებ, რა არის ანა, რა ხდება? ვინმე ხომ არ გემესიჯება? ერთი რამ დაიმახსოვრე: არასოდეს მომატყუო. დანარჩენი პრობლემა არ არის. რამდენი დღე დავგრჩა?

ანა: 10 დღე დარჩა...

მერაბი: თვალები ამეწვა. შენ?

ანა: გეძინება, სიხარულო... დავწვეთ თუ გინდა და დავიძინოთ.

მერაბი: ჰო დავწვეთ. დალილი ვარ. ახლა მაგრად გკოცნი, მაგრად გეფერები და ვიძინებ.

ანა: დილით არ შემოხვალ? მეც გკოცნი... შენთან მინდა...

მერაბი: ჰო, 10-ზე შემოვალ.

ანა: კარგი. მიყვარხარ...

10 მაისი, 09:36

მერაბი: რას შვრება პატარა ანა, ვერ გაიღვიძა? არ გინდა, ამ დილით მოგვევრო? კარგი, კარგი, დღეს დაგასვენებ და ხვალ გავაგრძელოთ. გკოცნი, კარგად.

ანა: პირველად 18 აპრილს დამეკონტაქტე, დღის 2 საათზე და ღამის 10 საათამდე გვილაპარაკია. კიდევ მიკვირს, რა მოხდა-მეთქი... პირველივე დღეს ძლივს მოვწყდით ერთმანეთს, მაგრამ მერე შენ ღამის 1-ელ საათზე ხარ შემოსული და

სსოვრება

სად ხარო, მეკითხები... კიდევ ვერ გიჯერებია გული ჩემთან ლაპარაკით... აი, ასე დაიწყო ჩვენი ამბავი და ეტყობა, მაშინვე რაღაც ვნახეთ ერთმანეთში... გკოცნი, სიხარულო და მენატრები უკვე... ჩემი ცუნცულა...

ანა: დღევანდელმა დღემ უშენოდ ჩაიარა... მენატრები ძალიან... მოვედი, რომ გელაპარაკო, მაგრამ თითქოს ცარიელია ყველაფერი... როდის გათენდება „ხვალ“?

11 მაისი, 00:11

ანა: მოვიდა „ხვალ“, მაგრამ ჯერ არ გათენებულა... როდის გათენდება?

ანა: გათენდა... როდის მოვა 10 საათი?

ანა: 10 საათია... :(((

მერაბი: დილა მშვიდობის, ანა, როგორ ხარ? ხომ არ მოიწყინე? დღეს ორშაბათია, მძიმე დღეა. ხომ იცი, საქმეები... მეც მომენატრე. შენ ჩემი მეორე სამსახური ხარ. თათბირს ვესწრები და მერე შენ გეკონტაქტები. დღეს რას შვრები, რა გეგმები გაქვს?

ანა: შენ დაგელოდები და ცოტას მოგეფერები... შუადღის მერე სამსახურში წავალ. როგორ გამიხარდა, რომ გამოჩნდი... გელოდი...

მერაბი: მეც ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდი და დაგელაპარაკებოდი. ახლა წავედი თათბირზე.

ანა: ნერვებს მიშლი, უკვე.

მერაბი: დაგენყო ნერვოზები?

ანა: შენს ხელში კიდევ კარგად ვარ...

მერაბი: აბა, რა გეგონა მერაბის ქალობა, აა?

ანა: ასეთი არ მეგონააა!

ანა: მომეფერე ახლა და რამე კარგი და სასიამოვნო მითხარი...

მერაბი: 9 დღე დამრჩა, შენს ჩახუტებამდე. მაგ დღეს ველი, გამგელეული. ერთი ვნახო, როგორი ვნებიანი ხარ. შენს ტერმინოლოგიაზე გადმოვედი, უკვე.

მერაბი: სად წახვედი სიხარულო, რა დამტანჯე? მენატრები და მობილურიც გათიშული გაქვს. რა არის, სიხარულო, აღარ გინდივარ?

მერაბი: ცუდი გოგო ხარ, ამდენი ხანი რომ არ შემოხვედი. წავედი. რა არის, არ დაგაინტერესა, რას ვშვრებოდი ამდენი ხანი, სად ვიყავი? ასე გიყვარვარ? შენ ცუდი ხარ, ვსიოო!

ანა: ჩევეემი ცხოვრება ცუნცულა ვინაა? ახლა მოვედი სახლში, სამსახურიდან და მაშინვე აქ შემოვვარდი... მესიჯი მოგწერე, სიხარულო და საღამოს ვერ დაგირეკე, რომ მეკითხა, მორიგე იყავი თუ არა... მარტო აქ გწერ, რასაც მინდა და

როცა მინდა... შუალამისას, დილაუთენია გელაპარაკები... აქ ჩვენი სამყაროა... ჩემი და შენი... ისე, რა კარგი სიტყვაა „ჩვენი“, არა? ორივე ერთ სიტყვაში ვართ ჩატიული... აქ ხელს არავინ გვიშლის და რასაც ერთმანეთს ვწერთ, მარტო ჩემი და შენი, უფრო სწორად, ჩვენი საიდუმლოა... მიყვარხარ და თითებზე ვითვლი შეხვედრამდე დარჩენილ დღეებს... უკვე იმდენი დარჩა, რომ ყველა თითი საჭირო აღარაა... წარმოგიდგინია?

ანა: ახლა წავიკითხე ჩვენი 1759 მესიჯი... მაგარია, რა... მეტი რა ვთქვა... გკოცნი და დილით გელოდები. ჩემი ცუნცულა.

მერაბი: აუ, მაგარი გადარეული ვარ. სახლიდან წამოვედი. ყველას ვანყენინე, მაგრამ მე მართალი ვარ. ახლა კაბინეტში ვარ, ნერვი არ მაქვს და შენ გწერ. თითქოს შენ იყო ჩემ გვერდით, გოგოოო... გაიგე? მაგარი გაბრაზებული ვარ და გადაღლილი. დავიღალე ყველაფრისგან, მართლა.

ანა: რა დღეში ხარ, სიხარულო... სიტყვებს ვერ ვპოულობ, არ ვიცი, რა გითხრა, ჩემო სიცოცხლე... თავი დამწაზავე ვიგრძენი... ვიცი, მეც დაგვალე, მაგრამ შენს თავს ვფიცავ, მე არასოდეს გაგაბრაზებ. ყოველთვის ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ იტყვი... ისიც ვიცი, რომ ასეთ დროს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ უზომოდ მიყვარხარ... რომ მცოდნოდა, აქ იყავი, შენთან ვიქნებოდი და ცოტას მაინც დაგამშვიდებდი...

რაც შეეხება ოჯახს, სახლიდან არ უნდა წამოსულიყავი. არ იფიქრო, ჭკუას გარიგებ, მაგრამ ხომ ვიცი, ახლა როგორ ინერვიულებდნენ. არ გეცოდება ოჯახის წევრები? ალბათ შენი ცოლი მთელი ღამე არ დაიძინებდა, ნერვიულობით. დედაც... ერთი იეჭვიანებდა, იმიტომ რომ არ ეცოდინებოდა, სად იყავი და ინერვიულებდა, იმიტომ რომ გაბრაზებული წამოხვედი... მეორე კი... დედის გული ალბათ მთელი ღამე წუხდა იმის გამო, რომ მისი შვილი მაშინაც კი, როცა სახლში დაძინების საშუალება აქვს, გარეთ წავიდა და სხვაგან სძინავს... ახლა შენ გვერდით რომ ვიყო, დაგამშვიდებდი და სახლში გაგიშვებდი, აუცილებლად, რომ ოჯახს შერიგებოდი... ჩემი ბრახინი ბიჭი... ჩემი სიცოცხლე და ცხოვრების აზრის მიმცემი ხარ... მინდა, კარგად იყო, სიხარულო... თორემ ამას ჩემ ადგილზე არც ერთი ჭკუაზე მყოფი ქალი არ მოგწერდა... მიმანია, ოჯახში რომ ყველაფერი კარგად გექნება, შენც მშვიდად იქნები... მე კი მინდა, რომ ყველგან კო-

მფორტი გქონდეს... სახლშიც, სამსახურშიც და ამის მერე — ჩემთანაც... მიყვარხარ... არ გენყინოს, ხომ?

ანა: მაინც გამიბრაზდი... მაპატიე, სიცოცხლე, არ მინდოდა... მართლა მთელი გულით მოგწერე...

მერაბი: რა ვიცი... თავი მისკდება, ძან ცუდად ვარ. ავანოკე ყველაფერი. ნერვოზები დამეწყო, უკვე.

ანა: კარგი, ნუ ნერვიულობ...

მერაბი: გავედი ახლა თათბირზე.

ანა: ჩემი ცხოვრებაა... მერაბ, თუ გინდა, გადავდოთ ჩვენი შეხვედრა... არ მენყინება, სიხარულო, თუ მაგის ხასიათზე არ ხარ... მე მინდა, რომ ჩემთან რომ იქნები, კარგ ხასიათზე იყო და მარტო ჩემთან იყო და არა — პრობლემებთან... შენს თავს ვფიცავ, არ მენყინება...

მერაბი: რაზეა საუბარი, არ გრცხვინია? მე რასაც ვამბობ, იმას ვაკეთებ. შენ მე არ მიცნობ. შეხვედრა არ გადაიდება, ქვეყნაც რომ დაინგრეს, ეგ იცოდე. რაც შეეხება პრობლემებს, გადაიჭრება. ისე, მაგარი ამბავი ყოფილა ჩემთან სახლში, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებ. ეგეთი ვარ, რა ვქნა?

მერაბი: წავედი, არ გცალია ჩემთვის...

ანა: არა, ახლა შემოვედი ოთახში...

მერაბი: ახლა სად ხარ?

ანა: სამსახურში ვარ...

მერაბი: რა არის, მითხარი რამე...

ანა: გაბრაზებული რომ ხარ, მგონია, რომ ჩემი მოფერება გაგალიზინებს და გამიბრაზდები, რა დროს ეგააო.

მერაბი: დღეს მორიგე ხარ, ხომ იცი. მოფერება კი პირიქით, გამისწორდება.

ანა: ვიცი, სიხარულო... მოგეფერები, ამ წუთში და ჩაგიკრავ გულში, ჩემო სიხარულოო... 8 დღე დარჩა ჩვენს შეხვედრამდე... ერთი კვირა და 1 დღე... შენი 2 მორიგეობა და მერე შენთან ვაააარ!

ანა: სად მიდიხარ?

მერაბი: სად ხარ? მინდა შენთან, მართლა...

ანა: ახლა მართლა გინდა და აქამდე ტყუილად გინდოდა? აქ ვარ, რომ მოხვალ (თუ მოხვალ) დაამესიჯე და გავიგებ...

ანა: ვის ელაპარაკები, არ გამაბრაზო, ახლა.

ანა: სად წახვედი, ბიჭო?

ანა: არ მოდიხარ... მე კი მაინც გელოდები... ღამეს ლოდინში მათენებინებ? სადისტო!

მერაბი: მოვედი სიხარულო.

ანა: ვაშაა! მომენატრე, შე ცუდო...

მერაბი: რა არის ქალო, რატომ მომანატრე თავი? ■

როგორ უნდა უთხრა არასასურველ მამაკაცს სექსზე უარი

„გამარჯობა, გრაფო. ძალზე დელიკატურ საკითხზე მინდა, რაღაც გკითხოთ. საქმე ის გახლავთ, რომ უკვე 2 წელია, ქმარს გავშორდი და როგორც კი თავისუფალ ქალად დამიგულებს, მაშინვე უამრავი თავყვანისმცემელი გამოიჩნდა. მათი უმეტესობა ცოლიანია. ერთ-ერთი — ჩემი უფროსია და ვგრძნობ, მბაბმს. მასთან ურთიერთობას განგებ ვარიდებ თავს, რადგან არ მინდა, კონკრეტულად დამისვას საკითხი, — გინდა თუ არა, ჩემი საყვარელი უნდა გახდეთ. მერე რა ვქნა? თუ უარს ვეტყვი, შესაძლოა, სამსახური დაგვარგო, არადა, არ მინდა მასთან ურთიერთობა. ერთი მამაკაცი მომწონს, მაგრამ ფიზიკური ურთიერთობისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ. იქნებ მასწავლოთ, როგორ ვუთხრა მამაკაცს უარი სექსზე ისე, რომ არ გავანაწყენო? პატივისცემით, განდეგილი“.



პრაუი თარხანი

ეს მესიჯი კარგა ხნის წინ მივიღე, მაგრამ საშუალება არ მომეცა, მეპასუხა. კითხვა, რომელსაც მკითხველი სვამს, ალბათ ბევრი ქალისთვისაა აქტუალური და ვეცდები, სწორი რჩევა მოგცეთ.

თუ შენი ამოცანაა, კავალერს სექსზე უარი სწორად უთხრა, მაშინ შევთანხმდები ერთ საკითხზე: „სწორი უარი“ იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, არ გაანაწყენო ადამიანი, რომლის „დანაშაულებაც“ მხოლოდ ის არის, რომ მისთვის სასურველი ხარ, ის კი არ გიზიდავს; მეორე მხრივ — მისი აგრესიის პროვოცირება არ უნდა მოახდინო და საქმე ძალადობამდე არ უნდა მიიყვანო. მოკლედ რომ ვთქვათ, „სწორი უარი“ მტკიცე უნდა იყოს და რბილიც.

თუ უარყოფილი თავყვანისმცემლის გრძობები არ გალუფებს ან ფემინისტი ხარ, შეგიძლია, კითხვა აღარ გააგრძელო. ხოლო თუ ადამიანების განაწყენება არ გიყვარს, მაშინ მოდი, ვიმსჯელოთ.

რბილი უარი

ამ შემთხვევაში, სომერსეტ მოემის ნაწარმოებიდან — „თეატრი“ — ერთი ციტატა გამოგადგება: „არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც ჯობს, დანებდე, ვიდრე აუხსნა, რატომ არ გასურს ეს“. სურვილი და „უსურვილობა“ არავითარ ახსნა-განმარტებასა და თავის მართლებას არ მოითხოვს. ნებისმიერი „მინდა“ და „არ მინდა“ თავისთავად,

საკმარისი წინაპირობაა და არ გუშინებებს არ საჭიროებს. და თუ თავის მართლებას მაინც შეეცდები, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხაფანგში გაეხდები. განსაკუთრებით მაშინ, თუ კავალერი ძალზე ჯიუტია და წამდაუნწმ ჩაგჩურჩულებს — „რატომ არ გინდა ჩემთან სექსი?“ ამ შემთხვევაში, იძულებული გახდები, უარის გასამართლებლად, ათასგვარი მიზეზი მოიგონო და უთხრა, რომ ის, შენ ან გარემო პირობებია „დამნაშავე“.

მაგალითად, როგორ შეიძლება იყოს გაგებული შენ მიერ ნათქვამი ასეთი ფრაზა — „წვერი არ გაქვს გაპარსული“? ეს ნიშნავს — „ჩემი შესაფერისი არ ხარ“ ან, სხვანაირად რომ ვთქვათ — „არ მინდისხარ“ და ამის მიზეზი ისაა, რომ არ მოგწონს. ამით კავალერს ნამდვილად გაანაწყენებ. არსებობს მეორე ვარიანტი: „დავიღალე“ ან „თავი მტკივა“. ამ შემთხვევაში, ჯიუტი კავალერი მოიცდის, ვიდრე დალილობა ან თავის ტკივილი გაგივლის და მერე მიხვდება, რომ მოატყუე. ნებისმიერი ადამიანი გეტყვის, რომ დაუმსახურებლად, ცუდად მოექცევი.

ასე რომ, დანებე კატათაგობანას თამაშს თავი და უთხარი: „კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ არ მინდა, შენი საყვარელი გავხდე. ჯობს, მეგობრებად დავრჩეთ“.

უნდა ითქვას, რომ ცრურაგუმენტებით გამაგრებულ უარს მამაკაცი ვაჭრობად აღიქვამს და ფიქრობს, რომ ამით შენთვის სასურველი პირობების მოპოვებასა და საკუთარი თავის უფრო „ძვირად გაყიდვას“ ცდილობ. ეს კიდევ

ერთი მიზეზია, რომლის გამოც ასეთი თამაშის წამოწყება არ ღირს. რალა თქმა უნდა, არავინ გეუბნება, რომ ტაქტი და ზრდილობა გვერდზე უნდა გადადო. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცში სურვილი ხომ თავად აღძარი?! ეს მისი დანაშაული კი არა, შენ მიმართ გაჩენილი დამოკიდებულებაა. სწორედ ამიტომ იმსახურებს ზრდილობიან მოპყრობას.

თავის მართლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი — ქმართან ან მუდმივ საყვარელთან ურთიერთობისას. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აუხსნა, რატომ არ გასურს სექსი „ახლა და აქ“. უფრო ზუსტად — უნდა მიახვედრო, რომ ყველაფერი კარგადაა, ის უწინდებურად გიყვარს და მიიჩნევ, რომ ყველაზე სექსუალური მამაკაცია მსოფლიოში, მაგრამ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც სექსი არ გასურს.

დაუფარავი უარი

სიტყვა „გაუპატიურებაზე“ ქალების უმეტესობას თვალწინ მარტონელა, დაუცველი ქალი წარმოუდგება, რომელსაც სიბნელეში, იარაღ-მომარჯვებულ მოძალადე დააცხრება თავს. საბედნიეროდ, სტატისტიკის მიხედვით, ეს სტერეოტიპული სურათი რეალობისგან შორსაა. უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი მოძალადეს იცნობს. „საბედნიეროდ“ — იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ქალს საშუალება აქვს, მხოლოდ კბილებით, მუშტებით,

სსოვრება

ქუსლებითა და ყვირილით კი არა, არამედ სიტყვებითა და მოქმედებით დაიცვას თავი.

სიყვარულში ინიციატივის გამოჩენა ქალს ოდითგანვე ეკრძალებოდა. მით უმეტეს — მამაკაცის სანოლში „დაპატიჟება“. ფლირტი კი სწორედ ამ უსამართლობის კომპენსაციას წარმოადგენს. თუმცა ქალები ხშირად იმისთვის კვლავობენ, რომ... იკვლავდნენ და ამის მიღმა არაფერია სხვა გეგმა არ იმალება. ჰოდა, „საწყალი“ მამაკაცი, როგორღა მიხვდეს — შესთავაზოს ქალს სექსი თუ არა?

თუ უბრალოდ ფლირტობ და არ გსურს, შენივე ქალური ეშმაკობის მსხვერპლი გახდე, მაშინ ვალდებული ხარ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე „გეოგრაფიული“ საზღვარი გაავლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაკაცს შინ არ უნდა ესტუმრო, არც სასტუმროს ნომერში გაჰყვე, არც სამ-

ოვდები. *ხომ შეიძლება, იმან ვერ გამიგოს და ქალწულობის აღდგენა მომიწიოს?!*..

ქალწულობა ოდითგანვე, ქალიშვილის სინშინდის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. გადმოცემის თანახმად, ქალწულები მაგიურ ძალას ფლობდნენ და როგორც ამბობენ, მათთან იმქვეყნიური, წმინდა ძალებიც კი



კონტაქტობენ და ქალწულობის დაკარგვის შემდეგ, გოგონა მაგიურ ძალას კარგავს...

ბევრ კულტურაში გათხოვებამდე ქალწულობის შენარჩუნება აუცილებლობად მიიჩნეოდა. თუმცა ეს სხვა ფორმით სექსუალურ კონტაქტს არ გამორიცხავდა. გოგონა, რომელიც გათხოვებისას ქალწული არ აღმოჩნდებოდა, ოჯახის შემარცხვენლად მიიჩნეოდა და ქმარს უფლება ჰქონდა, მასზე უარი ეთქვა და მშობლების ოჯახში დაებრუნებინა.

თანამედროვე მედიცინა ქალებს საქალწულე აპკის სიმულაციის საშუალებას აძლევს. ამას ჰიმენოპლასტიკა ჰქვია.

ამ ოპერაციის ჩასატარებლად, პაციენტის სურვილი საკმარისია. ქალწულობის აღდგენის 2 ვარიანტი არსებობს: დროებითი და ხან-

გრძლივი. დროებითი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ქორწინების თარიღი ცნობილია და ოპერაცია 3 დღით ადრე ჩატარდება.

ქალწულობის ხანგრძლივი აღდგენა, თავისი მეთოდიკით, გაცილებით რთულია და აპკის აღდგენა განუსაზღვრელი ვადით, პირველ სექსუალურ აქტამდე ხდება.

ქალწულობის აღდგენა პოპულარობით სარგებლობს იმ გოგონებში, რომლებსაც ქმრის მოტყუება, თავის უბინოდ მოჩვენება სურთ.

ჰიმენოპლასტიკა ხშირად სკანდალის საფუძველიც გამხდარა. რამდენიმე თვის წინ საქართველოში ერთი საგულისხმო, გაყრის პროცესი შედგა. მოსამართლემ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას, ცოლის მიერ ქმრის მოტყუების მცდელობა დაუდო საფუძვლად. პატარძალმა სცადა, გულის სწორისთვის თავი უბინოდ მოეჩვენებინა და საქალ-

წულე აპკის აღდგენის ოპერაცია ჩაიტარა. მაგრამ ქმარი ჩანაფიქრს მიუხვდა და ცოლი ექსპერტიზაზე წაიყვანა. ექსპერტმა ქმრის ეჭვი დაადასტურა, რის შემდეგაც, კაცმა თავის და ცოლის ნათესავებს მომხდარის შესახებ შეატყობინა და განქორწინება მოითხოვა...

ამ ბოლო დროს მომრავლებული მსგავსი ოპერაციები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ქალწულობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ძლიერ აქტუალურია.

შენი თხოვნა შევასრულე და ინფორმაცია მოგანოდე. ნათქვამიდან გამომდინარე, გირჩევ, მომავალი მეუღლე არ მოატყუო. ჯობს, სიმაართლე უთხრა, ვიდრე მთელი ცხოვრება ტყუილით იცხოვრო. წარმატებებს გისურვებ!

ქალწულობის აღდგენა

„გრაფო, თუ შეიძლება, გავგიზიაროთ თქვენი აზრი ქალწულობის აღდგენის შესახებ. 18 წლის ვარ, შეყვარებულთან ფიზიკური კონტაქტი მქონდა. ახლა ის ბიჭი აღარ მიყვარს, მინდა დავშორდე და თუ ვინმე შემეყვარდება, გავთხ-

ჩემსაიგივე მსახიობი ისაა, ვისაც შეუძლია ყანჯად დაიცვას ჯამბა, მას აქმა უნდა, სანჯეოსომ



ორამირის მიწაში ჩაპარხული ოქრო და ემიგრანტებად ქცეული დევნილები

აფხაზეთში 1992-1993 წლების ომის შემდეგ, ქვეყანაში უამრავი ლტოლვილი განჩნდა, რომელთა ძირითადი ნაწილი დღესაც საავადმყოფოების, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ცხოვრობენ. ბევრი მათგანი კი ომის შემდეგ, საზღვარგარეთ გაემგზავრა. ლია ბაბუნიძე, დიდი წვლების შემდეგ, ოჯახთან ერთად, რუსეთში დაბინავდა. ამ ყველაფერსა და საკუთარ ემიგრანტობაზე უფრო დანერვილებით თავად მოგვიყვება.



ტი არ იყო, ამიტომ ზუგდიდიდან სამტრედიის ჩავედით და სამტრედიის რკინიგზის სადგურზე 5 დღე-ღამის განმავლობაში ვისხედით და მატარებელს ველოდით... ბათუმის სადგურში შევედით თუ არა, შუქი გაითიშა. ორი შვილი მყავს. მამინ ბიჭი 6 წლის იყო, გოგონა — ოთხის. ჩვენთან ერთად, ჩემი დები და დისშვილები იყვნენ. მოკლედ, სულ 8 ბავშვი გვყავდა. ხალხმა ჩასვლა კი არ გვაცადა, აქეთ დაინყეს ამოსვლა. ჯერ ერთი შვილი დავეარგე, მერე — მეორე. ჩემი გოგონა, ნათია ხელში მეჭირა, ხალხმა რომ წამაქცია და ზედ გადავიარა... თურმე შუქს სპეციალურად თიშავდნენ, რომ ხალხი გაეძარცვათ. მე რაღა გასაძარცვი ვიყავი?! ამ ორომტრიალში ერთი ჩანთა მქონდა და ისიც მატარებელში დამრჩა. იმ ჩანთაში ოჯახის ყველა წევრის საბუთი მქონდა და ყველაფერი დაკარგე!.. ჩემს თანაჯგუფელთან 10 დღე ვცხოვრობდით... ჩემი დის მამამთილი ომის ვეტერანი იყო და ბათუმის აეროპორტის ხელმძღვანელობას კარგად იცნობდა. სამწუხაროდ, აეროპორტის დირექტორის არც გვარი მახსოვს, არც სახელი, თუმცა მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები: ორი დღე აეროპორტში ვცხოვრობდით, მერე სამხედრო თვითმფრინავით სოჭში გადაგვავრინა; იქიდან ლენინგრადში გავემგზავრეთ.

— ამ დროს სად იყო თქვენ მეუღლე?

— იმ დროისთვის ომი უკვე დასრულებული იყო და ჩემი მეუღლე ვილიც სულ ჩემ გვერდით იყო. მას ინსტიტუტი რუსეთში ჰქონდა დამთავრებული, ამის გამო, ქართული არ იცოდა. ორამირეში ხალხი უფრო ხშირად მეგრულად ან რუსულად ლაპარაკობდა. ომის შემდეგ კი ვილიმ გადანყვიტა, ქართული ესწავლა და ვინე

ნათია ჟივიკა

— ორამირეში ვცხოვრობდით. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი ვიყავით — მშობლები, 3 და და 2 ძმა. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე. შემდეგ ორამირეში დავბრუნდი და იქ გავთხოვი კიდევ ერთ-ერთი და სოხუმში გათხოვდა, დანარჩენი ყველა ორამირეში დაბინავდა. ყველა ჩვენგანი მუშაობდა და თითქმის ყველას ძალზე კარგი თანამედრობა გვქონდა, მოკლედ, ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ომი დაგვატყდა თავს. როგორც იცით, ომი 1992 წლის 16 აგვისტოს დაიწყო და მთელი წელი გრძელდებოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში, როგორც კი სიტუაცია დაიძაბებოდა, ქალები და ბავშვები სამშვიდობოს გამოვდიოდით; ცოტა მიწყნარდებოდა თუ არა მდგომარეობა, მამინევე სახლებში ვბრუნდებოდით, რადგან იმედი გვქონდა, რომ ყველაფერი მალე დასრულდებოდა და ჩვენი სახლ-კარის მიტოვება არ გვინდოდა. ერთი წლის თავზე სამშვიდობო შეთანხმება დაიდო და შინ დავბრუნდით. ქართულმა ჯარმა აფხაზეთის ტერიტორია დატოვა. აფხაზეთში ჩვეუ-

ლებრივი ცხოვრება განახლდა და თითქოს ყველაფერი ჩვეულ რიტმში ჩადგა. მაგრამ 16 სექტემბერს მოულოდნელად კვლავ შემოგვიტყეს. მდინარე კოდორთან გზა გადაკეტეს და სოხუმში ბლოკადაში მოაქციეს. ორამირელებს გამოსასვლელი გზა მაინც გვქონდა. ლამის 3 საათზე ბავშვები გავალვიქე და წამოვედით. რასაკვირველია, ფხვით მოვდიოდით და შესაბამისად, თან ბევრ ბარგს ვერ წამოვიღებდით. მანამდე, თუკი რაიმე ძვირფასეულობა მქონდა, თავი მოვუყარე და მიწაში ჩავმარხე (იცინის)... მთავარი იყო, ბავშვები მალე გამეყვანა სამშვიდობოს. სოფელ ჯვარში დეიდაჩემი ცხოვრობს და ყველა დედამიწვილი, ჩვენი ოჯახები, მასთან დავბინავდით. ვერ აღვიწერო, რა საშინელი სურათი იყო, აფხაზეთიდან ხალხი რომ მორბოდა. საბედნიეროდ, მთელი ჩემი ოჯახი უწყებლად გამოვიდა ამ განსაცდელიდან. მხოლოდ სოხუმში გათხოვილი ჩემი დის, ციალას შესახებ არ ვიცოდით არაფერი. თურმე თვითმფრინავით წამოსულა. იქ ისეთი ამბავი იყო, ხალხი ერთმანეთს თელავდა; ამ ყველაფერში 4 ადამიანი დაიღუპა; თვითმფრინავთან მისულმა ციალამ კი შვილი დაკარგა. იფიქრა, ალბათ პირველ თვითმფრინავში აიყვანა ვინმემო, მოგვიანებით კი გამოაცხადეს, რომ ის თვითმფრინავი ჩამოუგდიათ... მოკლედ, ციალამ იქ ძალზე დიდი ნერვიულობა გადაიტანა. მხოლოდ რამდენიმე საათიანი ძებნის შემდეგ გაარკვია, რომ მის შორეულ ნათესავს ბავშვი უცნია და სხვა თვითმფრინავში აუყვანია. სხვათა შორის, ამ ფაქტზე ქართული ფილმიც არის გადაღებული, რომლის სახელწოდებაც, სამწუხაროდ, არ მახსოვს.

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— ჩვენ დეიდასთან ერთი თვის განმავლობაში დავრჩით, შემდეგ გავანაწილდით. ჩემი მახლი ლენინგრადში ცხოვრობდა და ჩვენ მასთან უნდა წავსულიყავით. იმ პერიოდში ტრანსპორ-



ლევან გაბუნია

სსოპრება

რუსულად თუ დაელაპარაკებოდა, ითხოვდა, — ქართულად მითხარითო.

ლენინგრადში რომ ჩახვედით, როგორ მიგიღეს იქაურებმა?

— ძალიან კარგად მიგიღეს. იქ რომ ჩავედით, უკვე დეკემბერი იყო. ჩემი ვაჟი სკოლაში მხოლოდ იანვარში მივიყვანე. იმ დროისთვის პირველკლასელებმა უკვე წერა-კითხვა, ასე თუ ისე, იცოდნენ, ლევანმა კი რუსულიც არ იცოდა. სკოლის დირექტორს ჩვენი ამბავი რომ მოუყუევი, ჩვენი მდგომარეობა გაითვალისწინა. შინ მე ვხმარებოდი, სკოლაში — მასწავლებლები, რომ ბავშვს გაცდენილი დრო აენახლაურებინა... ლენინგრადში წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვცხოვრობდით. მერე მეუღლემ პეტროზავოდსკში დაინყო ბიზნესი და ჩვენც იქ გადავედით. იქაურმა ხალხმაც ძალიან კარგად მიგიღო. ყველა გვეუბნებოდა: ახლა უკეთესად გაგიცანით, რა კარგებიც ყოფილხართ ქართველებიო... მოგვიანებით მოსკოვში გადავედით. რუსები ძალიან კარგი ხალხია და არაჩვეულებრივად გვექცევიან. ჩემს კორპუსში მეზობლები ერთმანეთს არც იცნობდნენ და ისინი მე დავახლოვე ერთმანეთთან. სულ ვეპატიუბოდი ყავაზე და ჩემთან ვიკრიბებოდი. ასე გაიცნეს მეზობლებმა ერთმანეთი და ამისთვის დღესაც მადლობას მიხდებიან. პეტროზავოდსკში ნათიასა და ლევანს დაწყებით კლასებში ახლანდელი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე ასწავლიდა. მე და ის ქალი ოჯახებით ვმეგობრობდით. როცა მისი მეუღლე მინისტრი გახდა, ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ნათიამ სკოლა რომ დაამთავრა, როგორც თავისი პირველი მასწავლებელი, ის ქალი „ბოლო ზარზე“ მიიწვია. ისეთი თბილი შესვედრა გვეწვდოდა, მთელი სკოლა ჩვენ გვიყურებდა.

როგორც ვიცი, სკოლის დამთავრების შემდეგ, ლევანი საქართველოში ჩამოიყვანეთ.

— მართალია. ლევანმა აქ ჩააბარა სამედიცინო უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ იქ ოჯახში ქართულად ვსაუბრობდით, ბავშვებს მთელი დღე სკოლაში ყოფნა უწევდათ, შესაბამისად, სულ რუსულად მეტყველებდნენ და ამიტომ ქართული დაავინყდათ. ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ლევანს უმაღლესი აქ დაეთავრებინა. თავიდან ნაქირავებში, ჩემს დისშვილთან ერთად ცხოვრობდა, მერე შემემინდა, ბიჭები მარტოები რომ ცხოვრობდნენ, ამიტომ ჩემს დასთან, ციალასთან გადავიდა. არდადეგებზე კი ბებიასთან ზუგდიდში დადიოდა. ახლა უნივერსიტეტი უკვე დაამთავრა, ხოლო რეზიდენტურაში სწავლას მოსკოვში გააგრძელებს. ჩემი გოგონა, ნათია კი მოსკოვში სწავლობს დაუსწრებელზე და თან მუშაობს.

როგორც ვიცი, თქვენი ერთ-ერთი და ამჟამადც თბილისში ცხოვრობს. ორივე სიტყვით, იქნებ მასზეც გვიამბოთ?

— ციალა თბილისშია და დღემდე დილომში, ერთ-ერთ საავადმყოფოში ცხოვრობს. თვითონ ბინის საყიდელი თანხა ვერ მოაგროვეს, მთავრობა კი სულ ჰპირდებოდა დახმარებას... მეორე და, მზია, რომელიც სოჭში ცხოვრობდა, მოულოდნელად გარდაემეცვალა. მას მეუღლე და ორი ქალიშვილი დარჩა. ციალა და დედაჩემი აფხაზეთის გავლით მის დაკრძალვაზე ჩავიყვანეს. მე კი საკუთარი და ვერ დავიტირე, ვერ ჩავედი. მანამდე მამა და მამამთილი გარდაემეცვალნენ...

თქვენი მული და მისი აფხაზი მეუღლე ისევ ოჩამჩირეში ცხოვრობენ?

— კი, ჩვენს სახლში ცხოვრობენ.
— თქვენ მიერ დამარჩული ოქროულობა ხომ არ უზოვიათ?
— წარმოიდგინეთ, ვერ იბოვა. ალვუნერე ადგილი, სადაც დავმარჩე; სულ გადათხარა მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ვერაფრით იბოვა. ალბათ ომის დროს იბოვა ვინმემ და წაიღო (იკინის)... ჩემი მული რამდენჯერმე აქაც იყო ჩამოსული, თავისი მშობლების მოსახულებლად.

ამის გამო აფხაზ მეუღლესთან პრობლემა არ შექმნილა?

— არა, რას ამბობთ?! ქმარი შარშან დაელუპა, მაგრამ მასთან არასდროს არანაირი უთანხმოება არ შექმნილა. ის აფხაზი იყო და საჭიროდ მიიჩნია, რომ აფხაზების მხარეს დამდგარიყო, თორემ ქართველ ცოლთან კი არ შექონია პრობლემა. ჩვენ ყველა დიდ პატივს გვცემდა და ცოლს, როცა მოუწოდებოდა, მამინ ჩამოდიოდა.


შარშანდელი ომის შესახებ რა ინფორმაცია მოგდიოდათ და როგორი რეაქცია გქონდათ?

— რა თქმა უნდა, ყველა საინფორმაციო გამოშვებას დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს. სამწუხაროდ, მხოლოდ რუსეთის მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ვეცნობოდით, სინამდვილეში რა ხდებოდა, იმას ვერ ვიგებდით. იმ პერიოდში უბრალო ადამიანებსაც აგრესია გაუჩნდათ ჩვენ მიმართ, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ომი ქართველებმა დავიწყეთ.

ეი უბრალო ადამიანებსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ ცუდი წარმოდგენა აქვთ, ხომ?

— რუსებს, რასაკვირველია, სააკაშვილი არ მოსწონთ. იქაური ქართველები კი მისი მომხრეები არიან. არჩევნებში რუსეთში მცხოვრებმა ყველა ქართველმა მას მისცა ხმა. ეს არც მიკვირს, რადგან

იქ მცხოვრები ქართველი აქ რომ ჩამოდის, ჯიბეში ფული აუცილებლად უდევს და მას ჭამა-სმისა და უმუშევრობის პრობლემა არ აწუხებს; ის მხოლოდ იმას ხედავს, რომ: შეკეთებულია გზები, გაკეთებულია შადრევნები, შუქი და გაზი არის და ფიქრობს — ე.ი. საქართველო გალამაზებულია და აღორძინებულიაო. ამას მეც ვაღიარებ; ადრინდელთან შედარებით, ყველაფერი მართლა უკეთესადაა, მაგრამ თბილისში ჩემი ლტოლვილი და ცხოვრობს და ვიცი, ის რა მდგომარეობაშიც არის. ამდენი წელი საავადმყოფოს შენობაში იცხოვრა. ახლა ის შენობა ვილაცას შეუქმნია და იქიდანაც უნდა გაასახ-



მამა-შვილი - ნათია და ვილი


ლონ. სანაცვლოდ კი ნალკაში ან მარნეულში აშენებულ კოტიჯს ჰპირდებიან. რად უნდა სოხუმელ ქალს ნალკა და მარნეული?! იძულებით ჩამოსახლებულს, კვლავ იძულებით ასახლებენ... ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ამ გამოთქმას არ ვეთანხმები, რადგან იმ ტკივილს ჩემთვის არ გაუვლია. პირიქით — რაც დრო გადის, უფრო მიმძაფრდება.

რამდენად ხშირად ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას?

— ადრე ყოველ წელიწადს ჩამოვდიოდი, ალბათ ამიტომ მქონდა დიდი ხარჯი და რუსეთში ბინა ჯერ კიდევ ვერ შევიძინეთ. ახლა 5 წელი იყო გასული, რაც აქ არ ვყოფილვარ და წელს ჩამოვდივ.

თუ გაქვთ იმედი, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით?

— ეს იმედი არც არასოდეს დამიკარგავს. აქ რომ ჩამოვდივ, მეგობრებთან ერთად ზედაზენზე ავედი, სადაც გულრიფშელი ბერი ვნახე. მან მითხრა: აფხაზეთიდან სულ სხვანაირები გამოგყარეს და ახლა სულ სხვანაირები დავბრუნდებითო. ამ ბერმა კიდევ უფრო გამიღრმავა იმედი.



სამყარო

„ყველაზე უბრალო სამოსის კი შეიძლება ელვანობურად ვაქცვიოთ“

ყოველი ახალი სეზონის მოახლოება ცვლილებებთან ასოცირდება. მოდის მიმდევრები ინტერესით ადევნებენ თვალს მსოფლიო მოდის სიახლეებს. რა იქნება აქტუალური შემოდგომა-ზამთარში, ამის თაობაზე დიზაინერი ნანა მელქაძე გვესაუბრება.

ნათია ჟივიძა

— რა ცვლილებები ხდება მსოფლიო მოდაში? რა იქნება ყველაზე აქტუალური?

— მომავალი წლისთვის უფრო აქტუალური ქალური, ელვანობური სტილი და მაქსიმალური სამოსი იქნება. ტანსაცმელში აუცილებელია კომპოზიციური შეხამება. ასევე მოდურია ერთი ტონალობა და რთული კონსტრუქციები, გეომეტრიული ფორმები. კლასიკურმა ქვედაკაბებმა და კაბებმა ცვლილება განიცადა. გამოჩნდა უცნაური სახელოები და არშიები. კლასიკის მოყვარული მანდილოსნებისთვის საინტერესოდ შეხამებული „ორეულებია“; შარვლებისა და ქვედაკაბების ფორმები გართულდება. კარგი ვარიანტია მაღალწელიანი, ასევე, განიერი შარვლები. ქვედაკაბები, ენ. „ბუტილკა“ მუხლამდე სიგრძის უნდა იყოს, კაბები კი — კლასიკური სტილის, ჯიბეებითა და სხვადასხვა დეტალით გაფორმებული. სასურველია, ტრიკოტაჟის კაბას გეომეტრიული ფორმა ჰქონდეს. კომბინეზონები წელსაც აქტუალურია. მოკლედ, ახალი სეზონის ტანსაცმელი ძველისგან ბევრი დეტალით გამოირჩევა. რაც შეეხება ქსოვილებს — კუბოკრულიდან დანყებული, კოპლებიანით დამთავრებული, ყველაფერი მოდაშია. პირადად მე, ახალი კოლექციისთვის ფარჩას, თავთას, აბრეშუმს, შიფონს, ტვიდს, მაქსანურ ქსოვილსა და ტრიკო-



ტაჟს ვიყენებ.

— წელს რომელ ფერს მიენიჭება უპრატესობა?

— ამ მხრივ მრავალფეროვნება შეინიშნება: წითელი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, ოქროსფერი, ბორდოსფერი, იისფერი, ლურჯი, თეთრი და შავი. ეს უკანასკნელი ყველა სეზონზე აქტუალურია. შავი ფერი საუკეთესო გზაა იმიჯის შესაქმნელად და ყურადღების მისაპყრობად. ის მოდის აღიარებულ ფუძემდებელთან — კოკო შანელთან ასოცირდება. შანელის პატარა შავი კაბა მარგალიტის ყელსაბამით არანაირ ტენ-

დენციას არ ექვემდებარება.

— წელს როგორი ქამრებია მოდაში?

— ქვედაკაბასა თუ შარვალს შესაფერისი ქამარი სჭირდება. იდეალურია ტრადიციული სიგრძის, 3-4 სმ-იანი კლასიკური ბალთით. ქამრის ფერი შავი, მდოგვისფერი, წითელი, შავისა და თეთრის კომბინირებული თუ იქნება, უკეთესია.

— რა აქსესუარებით უნდა გააფორმოთ სამოსი?

— ყველაზე უბრალო სამოსიც კი შეიძლება ელვანობურად ვაქციოთ, თუ

სამყარო

მოდური აქსესუარებითა და სამკაულით გავაფორმებთ. სამკაულით ადამიანი საკუთარ სტილსა და ხასიათს გამოხატავს. გამოიყენეთ მასიური ქვებით განყოფილი აქსესუარები, სვაროვსკის თვლები, დიდი ზომის ბროშები, ბაფები.



მომავალი წლისთვის უფრო აქტუალური ქალური, ელეგანტური სტილი და მაქმანებიანი სამოსი იქნება

— რა ზომისა და სტილის ჩანთა და ფეხსაცმელი უნდა შევუბამოთ სამოსს?

— ჩანთები უნდა იყოს პრაქტიკული და მოსახერხებელი, ვარდებით, ბაფებით, ფურჩალებით, ხელოვნური და ნახევრად ძვირფასი ქვებით გაფორმებული. ფეხსაცმელს კი სადღესასწაულოდ უკეთესია, თუ მაღალქუსლიანს, რთული კონსტრუქციისას ჩაიცვამთ. განსაკუთრებით მოდური ოქროსფერი და შავი ფეხსაცმელია, დანარჩენი კი კაბასა და სტილზეა დამოკიდებული. ყოველდღიურად ტანკეტებისა და დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება ძალზე მოდური და პრაქტიკულია.

— მომავალ ზამთარს რა მასალისგან შევკრავთ ქურთუკი იქნება


მოდური?

— ტყავი, ნატი და ბენვეული ყოველთვის მოდაშია. ჩემს ამჟამინდელ კოლექციაშიც ტყავი გამოვიყენე. შავი და თეთრი ტყავის შესამება ძალზე საინტერესო გამოდის. შევეკრე პიჯაკი, რომელიც შავ-თეთრი ლილვებით გავაფორმე და დეკორატიული გვირისტებით დავამუშავე. მგონი, ძალზე ლამაზი გამოვიდა. ბენვეულიდან ძალზე აქტუალურია შინშილა, სხვადასხვა ფერის მელიის ბენვი, რაც ზამთრის ცივ დღეებში შარფის მაგივრობას გაგიწევთ და კომფორტულად გაგრძნობინებთ თავს. ასევე მოდაშია ბენვის ჟილეტები ტყავის ელემენტებითა და სვაროვსკის ელვამსაკრავით.


წელს კვლავ აქტუალურია ლაბადები. უნდა ჩაიცვათ მუხლამდე სიგრძის ლაბადა — ან ორბორტიანი, კლასიკური ან უცნაური ფორმებით, ჯიბეებით დატვირთული და ტრიკოტაჟის დეტალებით გაფორმებული. ლაბადისთვის სასურველი ქსოვილებია კუბოკრული, სველი ეფექტის მქონე და ხავერდი.

— ახლა ქორწილების სეზონია. როგორი საქორწილო კაბებია მოდაში?

— სექტემბერ-ოქტომბერში ნამდვილად ბევრი ქორწილია. ეს დღე ყველა პატარძლისთვის განსაკუთრებულია. წლეულს თეთრ საქორწილო კაბებს იშვიათად ვკრავთ. ნამყვანი — ჩალისფერია, ბეჟი; ამავე ფერის გრადაციას ვაკეთებთ. რაც შეეხება ქსოვილებს, ვიყენებთ სვაროვსკის თვლებითა და ოქროსფერი ნაქარგებით გაფორმებულ ქსოვილებს, წვრილ-წვრილი მძივებით განწყობილ გიპიურს, შიფონს, თავთას,



ტყავი, ნატი და ბენვეული ყოველთვის მოდაშია



ყველაზე უბრალო სამოსიც კი შეიძლება ელეგანტურად ვაქციოთ

აბრეშუმს, ფარჩას და ა.შ. საქორწილო კაბა გრძელი უნდა იყოს და სხვადასხვა აქსესუარითა და ფურჩალებით დატვირთული. ელეგანტური, ტანზე მომდგარი გრძელი, შლეიფიანი კაბა წელს ყველაზე მოდურია. ისე, მოკლე, რეტროს სტილის კაბაც ძალიან საინტერესოა. საქორწილო კაბის სტილი, ძირითადად, პატარძლის გარეგნული მონაცემების მიხედვით შეირჩევა. მთავარია, უხდებოდეს.

— პატარძალს მეჯვარე უმშენებს გვერდს. ის როგორ უნდა იყოს შემოსილი?

— მეჯვარის სამოსი თანამედროვე და ახალგაზრდული უნდა იყოს. არ არის საჭირო, მეჯვარეს სოლიდური კაბა ეცვას, რომელიც მასიური მორთულობით იქნება დატვირთული. შეიძლება მოკლე, მუხლამდე კაბაც ჩაიცვას და გრძელიც. კარგი იქნება, თუ პატარძლის ხელისმომკიდის ჩაცმულობა ვარდისფერ ტონში იქნება გადანყვეტილი.

— ჟურნალისტი ვარ და ყოველდღიურად უამრავ ადამიანთან შეხვედრა მინევს. როგორ ჩამაცმევდი?

— რადგან ბევრ ადამიანს ხვდები და მთელი დღე სიარული გინევს, კომფორტულ და პრაქტიკულ ტანსაცმელს გირჩევ. კარგი იქნება, სპორტულ-კლასიკურად თუ შეიმოსები. ■



რეტროს სტილის კაბაც ძალიან საინტერესოა



კარგი იქნება სპორტულ-კლასიკურად თუ შეიმოსები

„ლექსუსის“ ახალი მოდელის პროტოტიპი

კომპანიამ — Lexus — ახალი მოდელის პროტოტიპის — კომპაქტური ხუთკარიანი ჰენჩეკის ფოტოები გაავრცელა. ახალ მოდელს LF-Ch ჰქვია, თუმცა რა სახელწოდება ექნება საბაზრო მოდიფიკაციას, რომელსაც კონვეიერზე გაისად შემოდგომაზე გამოიტანენ, ჯერჯერობით, უცნობია. Lexus LF-Ch-ის მსოფლიო პრემიერა ცოტა ხანში ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება. ამის შესახებ კომპანიის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.



Mini Coupe Concept

კომპანიამ — Mini — 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად კონცეპტ-ავტოს — Mini Coupe Concept გამოუშვებს, რომელიც ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე იქნება წარდგენილი. ეს კომპაქტური სპორტული ავტომობილი Mini Couper-ის ბაზაზეა აგებული. იგი ტრადიციული სამკარიანი ჰენჩეკისგან უფრო დაბალი (136 მმ-ით) ძარათი, აგრეთვე, რამდენადმე მოდერნიზებული წინა და უკანა ბამპერებით განსხვავდება. ტექნიკური თვალსაზრისით, კონცეპტავტო თითქმის სრულად იმეორებს ტრადიციულ ჰენჩეკს — Mini Cooper S. სიახლეს 211 ცხ.დ. სიმძლავრის, ფორსირებული 1,6-ლიტრიანი ტურბომოტორი აქვს, რომელიც ასევე, Mini John Cooper Works-ზეა გამოყენებული. გარდა ამისა, მისი მასა, ჰენჩეკთან შედარებით, 100 კგ-ით შემცირდა. ჯერჯერობით უცნობია, ჩაუშვებენ თუ არა ამ ავტომობილს სერიულ წარმოებაში. როგორც კომპანიის პრესრელიზშია ნათქვამი, „თვით კონცეპტავტო გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებით განვითარდება ბრენდი უახლოეს მომავალში“. არც ისაა გამორიცხული, რომ კუპე — Mini სამოდელი რიგში რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდეს, ანუ მას მერე, რაც კონვეიერზე ფირმის კიდევ ერთ სიახლეს — კომპაქტურ კროსოვერს გაუშვებენ.

ორთქლის მანქანის ახალი რეკორდი

ბრიტანელი ინჟინრების მიერ შემუშავებულმა, ორთქლის ძრავით აღჭურვილმა ბოლიდმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გააუმჯობესა მანამდე არსებული მიღწევა — 127,659 მილი საათში (204 კმ/სთ), რომელიც 100 წელზე მეტი ხნის წინ, Stanley Steamer-მა უჭიჭა. ახალი ორთქლის ბოლიდის საშუალო მაქსიმალურმა სიჩქარემ ორი გარბენის ჯამში 139,843 მლ/სთ (223,748 კმ/სთ) შეადგინა. რეკორდი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დააფიქსირა. FIA-ს წესების მიხედვით, რეკორდის დასამყარებლად ავტომობილს ორი გარბენი უნდა განეხორციელებინა, ამასთან, მეორისთვის საჭირო მოსამზადებელ დროს ერთი საათისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა. ორთქლის მანქანის შემქმნელებმა სპეციალურ საიტზე გამოაქვეყნეს მონაცემები, რომლის თანახმადაც, პირველ გარბენზე მანქანამ 136,103 მლ/სთ (217,7 კმ/სთ), ხოლო მეორეზე 151,085 მლ/სთ (241,7 კმ/სთ) განავითარა. ჯამში, ავტომობილმა 10,4 კმ მანძილი 12-ჯერ დაფარა (4 კმ გარბენისა და დამუხრუჭებისთვის, და კიდევ, დაახლოებით, 2 კმ მაქსიმალური სიჩქარის გასავითარებლად). ორთქლის ავტომობილი 12 ქვაბითაა აღჭურვილი, რომლებშიც წყალი ბუნებრივი გაზის წვის საშუალებით თბება. ქვაბებიდან წნევით გამომავალი ორთქლის სიჩქარე ორჯერ აჭარბებს ხმის სიჩქარეს. 1 წუთში 40 ლ წყალი ორთქლდება, ხოლო აგრეგატის საერთო სიმძლავრე 360 ცხ.დ. გახლავთ.

Stanley Steamer-ის მიერ დამყარებული რეკორდის მოხსნა პირველად 1985 წელს ბობ ბარბერმა სცადა. მისმა ორთქლის ავტომობილმა 231 კმ/სთ სიჩქარე განავითარა, მაგრამ რეკორდი არ დაფიქსირებულა, რადგან მანქანა პირველი გარბენის შემდეგ დაინვა. აღსანიშნავია, რომ მიღწევის გაუმჯობესების შემდეგი მცდელობებიც მარცხით დასრულდა.

Ferrari თუ ოქრო?..

ინვესტიციის ჩადება კლასიკურ ავტომობილებში, მაგალითად, Bugatti-ში, Jaguar-სა და Ferrari-ში კრიზისის პერიოდში უფრო უსაფრთხო და შემოსავლიანი ყოფილა, ვიდრე სხვა ნებისმიერ აქტივში ინვესტირება, მათ შორის — აქციებში, ხელოვნების ნაწარმოებსა და თუნდაც ოქროში, — წერს Financial Times.



როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ავტომობილი შემოსავლის პოტენციური წყაროა: ძველ ავტომობილებზე მოთხოვნა ბოლო დროს ისე გაიზარდა, რომ მათთვის ცალკე ინდექსი შეიქმნა — HAGI Top, რომელიც ბაზარზე ფასების მერყეობას აკონტროლებს.



საზოგადოებრივი



როგორ ამოვიხსნათ ქალიური სქესის სასიამო და მიზნები

გთავაზობთ ფსიქოლოგების რჩევებს, რომლებიც მამაკაცის იოლად ამოცნობაში დაგეხმარებათ. ადამიანის ყველა ქმედება (განსაკუთრებით ის, რომელსაც გაუცნობიერებლად სჩადის) მის ხასიათსა და თვისებებზე მეტყველებს.

თმა

სიასლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაკაცები ისევე ზრუნავენ თმაზე, როგორც ქალები — სხეულზე. რაც უფრო ხშირი თმა აქვს თავზე, მით მეტია მისი თავდაჯერების ხარისხი. თუმცა შესაძლებელია, ნაკლებად მგრძობიარე ხასიათი ჰქონდეს. ხშირი და ლამაზი თმის პატრონმა მამაკაცმა თავისი ფასი კარგად უნყის; იცის, რა უნდა ცხოვრებაში და როგორ მიაღწიოს მიზანს. ნახევრად და სრულიად მელოტი მამაკაცი ნაკლებად თავდაჯერებულია, სამაგიეროდ, ქალებთან ურთიერთობაში უფრო თბილი და ფაქიზია.

ცდილობს, საზოგადოებაში თავშეკავებული იყოს და არავის აგრძობინოს, რომ ერთმანეთი გიყვართ, ის დარწმუნებული არ არის ან თქვენს ან თავის გრძობებში.

თვალები

მამაკაცი, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ შესცქერის, გულწრფელი არ არის. თუმცა, არც თვალის გასწორებაა მისი გულწრფელობის უტყუარი დასტური, — ამით თანამოსაუბრეზე მხოლოდ გავლენის მოხდენა სურს. ვნებიანი მზერის ამოცნობა კი ყველა ქალს შეუძლია.

საუბარი

თუკი მამაკაცი ენაწყლიანია, ე.ი. ენერგიული ადამიანი გყოლიათ გვერდით, რომელიც ყველაფერს იღონებს თქვენს ხასიათზე მოსაყვანად; ხოლო თუ თქვენი რჩეული ნელა, ზანტად ლაპარაკობს, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზია — „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. მართალია, ასეთი მამაკაცისგან სიურპრიზებს არ უნდა ელოდოთ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, — ის გეუბნებათ სწორედ იმას, რასაც ფიქრობს.

ღრმ

იმის გარკვევას, რამდენად ერთგულია მამაკაცი, სიტყვის კაცია თუ არა, ან რა მანვინ ჩვევები აქვს, დრო სჭირდება. შეგიძლიათ გარისკოთ და დარწმუნდეთ, ნამდვილად სწორი არჩევანი გააკეთეთ თუ არა.

რას უკეთეს რასტორანში

თუ მამაკაცი ხორციან ან კარტოფილიან კერძებს უკვებს, სავარაუდოდ, სანდო და მყარი ურთიერთობის მომხრეა, მაგრამ ცოტა სითამამე აკლია. თუკი თქვენი რჩეული ეგზოტიკურ კერძებს ანიჭებს უპირატესობას, ე.ი. ურთიერთობაში სპონტანურობა და რუტინა არ ხიბლავს.

მონასტიკაული თუ ფათხუნი

როდესაც მამაკაცი თავის ჭუჭყიან წინდებს თეთრეულის კალათაში აწყობს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო თუკი ფერის მიხედვით აცალკევებს და ისე ალაგებს, ფრიად ორიგინალური გემოვნების პიროვნებასთან გქონიათ საქმე, — ასეთი მამაკაცი თქვენგანაც დიდ აკურატულობას მოითხოვს.

თუკი ცდილობს, ჭუჭყიან ტანსაცმელს შესაბამისი ადგილი მიუჩინოს, დამოუკიდებელი ცხოვრების მოყვარული კაცი გყავთ გვერდით; ხოლო თუკი სააბაზანოში მისი ყოფნის შემდეგ გამუდმებით ქაოსია, ის ან ძალზე ზარმაცია, ან მყარი ურთიერთობისთვის, ჯერჯერობით, მზად არ არის.

სახისი

მამაკაცთა 80% მემარჯვენეა. თუ თქვენი მეგობარი ცაციაა, გვერდით შემოქმედი პიროვნება გყოლიათ.

ლაბაგი წამწამები რომ ბქონდეთ

ყველასთვის ცნობილია, რომ გრძელი და აპრეხილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ წამწამების ასაპრეხ ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია, თუ რა მოუხერხოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. შესაძლოა, უხარისხო საღებავმა ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შენითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია წამწამებზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაკიაჟი ძი-

ლის წინ აუცილებლად მოიცლიეთ კოსმეტოლოგიური რძით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დანიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი ნაისვით, — წამწამები



გასწორდება, გამუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამოწვევის გიგროვებით, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა — ს ჩ/ჭ წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ შედეგანია აბუსალათინის ზეთიც. სპეცი-ალური (შესაძლებელია ყურის საწმენდი) ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად ნაისვით წამწამებზე, ჩამოხანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ.

როგორ გავიწმინდოთ სხე მარილი



ბევრი პოლიფუდელი ვარსკვლავი თურმე შინ გაკეთებულ პილინგს ანიჭებს უპირატესობას და ირწმუნება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა კანის გასაწმინდად და „გასაპრიალებლად“.


რეცეპტი საკმაოდ მარტივია: 0,5 ჩ/ჭ ზეითუნის ზეთს შეურიეთ 2 ჩ/ჭ ზღვის (ან სუფრის) მარილი და ნაბიან კანზე წაისვით (პროცედურამდე მიიღეთ შხაბი და არ შეიმშრალეთ).

არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ პოპულარული მეთოდი: სუფთა კანზე თხლად წაისვით თავლი (ცხადია, თუ ამ პროდუქტზე ალერგია არა გაქვთ) და თითის წვერებით მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ მანამ, სანამ მასა არ გასქელდება. ამ უმარტივესი პროცედურით კანი მკვდარი უჯრედებისა და მავნე

ნივთიერებებისგან გათავისუფლდება. ჩამობანის შემდეგ ლოსიონი წაისვით. სხვათა შორის, ლოსიონიც თავად შეგიძლიათ დაამზადოთ: 2 ჩ/ჭ წვრილად დაჭრილ ჭინჭრის ფოთლებს დაასხით მდულარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და განურეთ. ეს ნაყენი რეკომენდებულია სახის კანის გასაწმინდადაც და კომპრესისათვისაც. ხსნარში დაასველეთ ორ ან სამ ფენად დაკეცილი დოლბანდი და 5-10 წუთით დაიფინეთ შუბლზე, ლოყებსა და ნიკაპზე.

რბე მებყვლებს მამაკაცის ნაოჭები

ნაოჭები მხოლოდ ასაკოვან მამაკაცებს როდი უწნდებათ. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ მათი საშუალებით პატრონის ხასიათის ნაწილობრივ ამოცნობაც კია შესაძლებელი. ვფიქრობთ, ქალებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, იცოდნენ, რაზე მებყვლებს მამაკაცის სახეზე ნაოჭები:



პირიზონტალური ნაოჭები

მამაკაცის შუბლზე 1-3 სწორი ნაოჭი მიუთითებს, რომ ის ძლიერი, ენერგიული, განონასწორებული და ჰარმონიული პიროვნებაა; წონასწორობას ვერაფრით დააკარგვინებ, ხოლო მასთან ჩხუბი თითქმის წარმოუდგენელია. 3-6 ნაოჭზე მეტი კიდევ უფრო მტკიცე ხასიათის მიმანიშნებელია. ასეთი მამაკაცი გულლია და ექსპერიმენტების არ ეშინია, განსაკუთრებით კი — სასიყვარულო ურთიერთობაში.

მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ტალღისებური ან წვევტილი ნაოჭი აქვს, შესაძლოა, ძალზე ზედაპირული და ამავე დროს ეგოისტი აღმოჩნდეს. თუ ამ ტიპის ნაოჭები მას შუბლის ზედა ნაწილში აქვს, მისი წონასწორობიდან გამოყვანა საკმაოდ იოლია. ნაოჭების უქონლობა კი მის გულგრილობაზე მეტყველებს.

ვერტიკალური ნაოჭები

მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ღრმა და ვერტიკალური ნაოჭები აქვს, მხოლოდ იმას ამჩნევს, რაც თვითონ უნდა, სხვა ყველაფერს კი გვერდს უვლის. ჯიუტად იცავს თავის აზრს. ორი-სამი ნაოჭი დამახასიათებელია იმ მამაკაცებისთვის, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას ბევრს ფიქრობენ და ფეთქებადი ხასიათიც აქვთ.

სხვირ-ტუჩის ნაკვები

მგრძობიარე მამაკაცებს ცხვირსა და ტუჩს შორის უჩნდებათ ნაკვეები. ისინი ძალზე სერიოზულები და ზედმინევიანი კეთილმოსურნენი არიან. შესაძლოა, ასეთი ნაოჭის მქონე მამაკაცი ზედმეტად ნერვიულიც აღმოჩნდეს.

როგორ მოვუაროთ თმას

სივ ამინდში

სპეციალისტების აზრით, მზის დეფიციტი წარმოშობს „ზამთრის დეპრესიას“, რომელიც, ჩვეულებრივ, სტრესთან ერთად კანის მომეტებულ მგრძობიარეობასაც იწვევს. მისი „თანამონაწილენი“ არიან მშრალი ჰავა, ტემპერატურის დაცემა, ხისტი წყალი...

როგორ მოვიქცეთ? თმის დამამშვიდებელმა საშუალებებმა უკვე არაერთი თავყანისმცემელი შეიძინა.

მხანაერთა ანაკრია თმის გასაგაგრაგლად

ლამაზი და მზინავი თმის საიდუმლო არა მხოლოდ მის მოვლაში, არამედ თმის სწორად კვებაშიც მდგომარეობს. ნატურალურ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული თმის მკვებავი საშუალებები ძლიერ ეფექტს იძლევა. ბევრ ასეთ საშუალებას არომათერაპიული ეფექტი აქვს. ისინი ნატურალურ მცენარეულ ექსტრაქტებსა და ეთეროვან ზეთებს შეიცავს, ხსნის თავის კანის დაჭიმულობასა და ქავილს.

ალთე — თმას ატენიანებს და მის სტრუქტურას აუმჯობესებს. ამ მცენარის ფოთლების გელი თმას არბილებს, აფუებს და დამყოლს ხდის.

ავოკადო — თმას განსაკუთრებულ ბზინვარებას ანიჭებს. ავოკადოს ზეთი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და სავარცხლით მთელ სიგრძეზე გაინაწილეთ.

გარგარის ზეთი — მასში შემავალი რკინა თმას ჟანგბადის უკეთ ათვისებაში ეხმარება და გაყოფილი ბოლოებისთვის კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

ჟენ-შენი — აქრობს ქერტლს. მდიდარია გამწმენდი ნივთიერებებით და თხელი თმის მოსავლელად შეუდარებელი საშუალებაა.

კრაზანა — თავის კანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, ამორებს ქერტლს და თავის კანს მისი ხელახალი გაჩენისგან იცავს.

საყვარო

ანტიდუკანსანი

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკრები:

1. დუთმა ნესვის ჯიშია.
2. კაბაბური ბავშვის საბანია.
3. სალა ბრტყელი და მრგვალი რიყის ქვაა.
4. მედუზებს წონასწორობის დაცვა შეუძლიათ.
5. კეისარი არასდროს აღიარებდა საკუთარ შეცდომებს.
6. ლადო ასათიანის მამას მელქისედეკი ერქვა.
7. სახრახნისი („ოტვიორტკა“) 500 წლის წინ გამოიგონეს.
8. ელდარ რიაზანოვი ლია ახეჯაკოვას საკუთარ თილისმას ეძახის.
9. ეიფელის კოშკზე 1899 წელს დამონტაჟებული ლიფტები დღესაც მუშაობს.
10. ფურს ერთიდან ორ-სამ წლამდე (პირველი ხბოს მოგებამდე) დეკული ჰქვია.
11. ციმბირული წყლულის გამომწვევი ბაქტერიები ერთსაათიან დუღილს უძლებენ.
12. ჭადრაკში დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა, ეთამაშო შენზე ძლიერ მონინაალმდეგეს.
13. „შჩასტია ვაბშე ნე ბივუეტ, ა იესლი ი ბივუეტ, ტო ფრაგმენტამი, ი ტო ნა ვეს ზოლოტა“, — ამბობენ რუსები.
14. ხუნსუზები XIX-XX საუკუნეებში მანჯურასა და ჩრდილოეთ ჩინეთში მოქმედი შეიარაღებული ბანდების მონაწილე იყვნენ.
15. კაუჭს, რომელსაც ავიგამანადგურებელი ავიამზიდზე დაჯდომისას გემბანზე გაჭიმულ გვარლს გამოსდებს ხოლმე დასამუხრუჭებლად, გაკი ეწოდება.
16. ახლახან ავსტრალიელ აბორიგენებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარება აუკრძალეს. ერთმა კომენტატორმა ამაზე თქვა: „გამოთქმა „უკრალ, ვიპილ, ვ ტიურმუ“ აბორიგენთათვის ერთი პუნქტით შემცირდაო.
17. საკუთარ ქვეყანაში ავადმყოფთა, დავრდომილთა და ინვალიდთა ეფთანაზია ადოლფ ჰიტლერმა 1939 წლის 1-ელ სექტემბერს დააკნონა.
18. ჩინეთში, სახელგანთქმულ ცათამბჯენ „ძინ მაოში“ ლიფტები ისე რბილად მოძრაობს, რომ მის იატაკზე გვერდულად დადებული მონეტა ადგილიდან არ იძვრის.
19. ერთხელ ანატოლი პაპანოვმა ქუჩაში მილიციელს პალსტუხი ჩამოჰგლიჯა, რის გამოც ხულიგნობის მუხლით ციხეში 15 დღით ჩასვეს.



ადგილი, სადაც ცხოვრება შეუძლებელია

ახვე, ზამბია

საუკუნის დასაწყისში აქ ტყვისისა და კადმიუმის საბადოს მიაგნეს. დაიწყო მადნეულის მოპოვება, შედეგად კი ჰაერი დაბინძურდა. მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ 250 ათას კაცს სისხლი მოეწამლა, თირკმლები დაუავადდა და კუნთების დამბლა დაემართა.

ლა-ოროია, ჰაუაი

ქალაქში ტყვიას, სპილენძსა და თუთიას მოიპოვებენ. დაბინძურებული ატმოსფეროს გამო ქალაქის 35 ათასი მოსახლე სისხლის დაბინძურებას უჩივის.

ლინფინი, ჩინეთი

გოგირდის ორჟანგის გამოფრქვევის გამო ქალაქში ჰაერი ნაცრისფერია, მოქალაქეები კი ფილტვების სხვადასხვაგვარი დაავადებით იღუპებიან.

ჩერნობილი, უკრაინა

ჩერნობილის ტრაგედიაზე ბევრი რამ დანერილა. დღეს დაავადებულითა რიცხვმა 5,5 მლნ კაცს გადააჭარბა. 1986 წლის 26 აპრილს

მომხდარმა აფეთქებამ 100-ჯერ მეტი რადიაცია გამოიწვია, ვიდრე ატომური ბომბების აფეთქებამ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში.

სუმბითი, ზაირი

საბჭოთა პერიოდში აქ ქიმიური საწარმოების ცენტრი იყო. დღეს ამ ტერიტორიაზე 275 ათასი კაცი ცხოვრობს და, ძირითადად, დეფექტიანი, გონებრივად განუვითარებელი ბავშვები იზადებიან.

ვაპი, ინდოეთი

ქალაქში 1000-ზე მეტი სამრეწველო ობიექტია. ვერცხლისწყლის დონე ნიადაგში დაშვებულ ნორმაზე 100-ჯერ მეტია.

ბიანძინი, ჩინეთი

ტყვიის მოპოვების ცენტრია და შესაბამისად, ტყვიითაა გაჟღენთილი ჰაერიც და ნიადაგიც.

საინდა, ინდოეთი

ქალაქში ქრომს მოიპოვებენ და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის 90%-ს კიბო აქვს.

რა მიიჩნეოდა დანაშაულად XIX საუკუნეში



აშშ-ში სიგარეტის მოწვევის გამო დღეს შეიძლება სამსახური დაგატოვებინონ. თუ ეწვევი, ე.ი. საზოგადოებისთვის საშიში ხარ, რადგან სუფთა ჰაერს აბინძურებ. მოკლედ, ამერიკულ ოფისში მოწვევა დანაშაულად მიიჩნევა. საინტერესოა, რა მიიჩნეოდა დანაშაულად XIX საუკუნეში?

ინგლისელებს არ უყვარდათ ბოშები (საინტერესოა, ახლა თუ უყ-

ვართ?..). თუ შეიტყობდნენ, რომ ვილაც ბოშასთან მეგობრობდა, მას 2 თვე ციხეში აყურყუტებდნენ.

გერმანიაში ციხე არ აცდებოდათ (3 თვიდან 2 წლამდე), თუ სიგარეტს თივის ზვინის მახლობლად მოსწევდით.

ინგლისის მეფის ბრძანებით 6-თვიანი პატიმრობა ემუქრებოდა პირს, რომელიც ვესტმინსტერის ხიდის ქვეზე რაიმეს დაწერდა.

იტალიასა და ესპანეთში აკრძალული იყო ანონიმური წერილების წერა.

ერთხელ ვერსალის ტბაში, რომელშიც სარკისებრი კობრები ბინადრობდნენ, ფარდების გარეცხვის შემდეგ საპნიანი წყალი ჩაღვარეს და თევზები დაიხოცნენ. ამ ამბის მერე მეფის ბრძანებით იმ წყლების დაბინძურება აიკრძალა, სადაც თევზები ბინადრობდნენ.

ინგლისში ვერცხლის კოვზის ქურდობისთვის 7-წლიანი პატიმრობა იყო დაწესებული.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არსებული რელიგიური მიმდინარეობები და რომის იმპერიის იდეოლოგია

განვადგინოთ ეკლესიის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპების მოკლე მიმოხილვა. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბუსაძე).

შორენა მერაპილაძე

— ქრისტიანობის პირველ ხანებში მთელ მსოფლიოში სამი რელიგიური მიმდინარეობა არსებობდა: ნარმართობა, იუდეველობა (იუდაიზმი) და ქრისტიანობა. ამ სარწმუნოებათა შესახებაც ვისაუბროთ...

— თავდაპირველად ადამიანთა შორის მხოლოდ ქვემარტივი სარწმუნოება არსებობდა — ედემის ბაღში დამკვიდრებული ადამი და ევა ქვემარტივ ღმერთს სცემდნენ თავყვანს. პირველშობელთა ცოდვით დაცემისა და სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს ქვემარტივი ღმერთი. მოგვიანებით, ნოსეს შთამომავლებმა კერპების თავყვანისცემას მიჰყვეს ხელი, ანუ ნარმოიქმნა ნარმართობა. ქრისტიანობამდე — მაცხოვრის მოსვლამდე ნარმართობა თითქმის მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული, ქვემარტივ ღმერთს მხოლოდ ისრაელიანები, მამამთავარ აბრაამისგან წარმოშობილი ებრაელი ერი სცემდა თავყვანს. ისინი ელოდნენ მსხნელს, მესიას. ებრაელებს მოსე წინასწარმეტყველისგან მიეცათ სჯული, რომელიც მათ, როგორც ღვთის რჩეულებს, მაცხოვრის მისაღებად ამზადებდა. ებრაელი ერი იყო ერთადერთი ერი, რომელსაც ქვემარტივი ღმერთის შესახებ ცოდნა თავად უფლისგან ეუწყა მოსე წინასწარმეტყველის პირით, თუმცა როდესაც მაცხოვარი მოვიდა, მათ არ მიიღეს იგი. რასაკვირველია, იუდეველთა ნაწილმა მიიღო, მაგრამ ეს არ მომხდარა მასობრივად. იესო ქრისტე ქვემარტივ ღმერთად და მსხნელად მათმა მღვდელმთავრებმა და მნიგნობრებმა, სწორედ იმ ადამიანებმა ვერ შეიცნეს და არ მიიღეს, რომელთაც პირველი ევანგელიზმით იუდაური სარწმუნოების ქვემარტივობის დაცვა და ყველაზე მეტად უნდა მიეღოთ იგი. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ებრაელი ერი სულიერი ამბარტაფობით იყო შეპყრობილი, ელოდა უფრო მინიერ მსხნელს, რომელიც მას რომელთა ბატონობისგან გაათავისუფლებდა და მთელ მსოფლიოში გაბატონებდა. მაცხოვარმა კი ეშმაკის ხელისგან და საუკუნო წარწყმედისგან დაიხსნა ადამიანები; მაგრამ იუდეველთათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ: „ბსოლუტურ არსებას — ღმერთს, შეიძლება ჰყავდეს ძე და ისიც დამცირებული და ჯვარცმული, ამიტომაც იქცა ქრისტე, როგორც პავლე მოციქული წერს,



იუდეველთათვის საცდურად“. როგორც აღვნიშნეთ, ებრაელთა ნაწილმა შეიცნო მსხნელი — ქრისტეს მონაფეხებიც იუდეველები იყვნენ, — მაგრამ ერმა, მთლიანობაში, მაინც უარყო მაცხოვარი. ამის შემდეგ დაკარგეს ებრაელებმა ღვთისრჩეულობა, მათი სარწმუნოება გახდა მხოლოდ გარეგნული. იუდეველები დღემდე ელიან მსხნელს, მაგრამ მათ წარმოდგენაში მსხნელი კიდევ უფრო გამინიერდა, ვიდრე ეს იყო პირველ საუკუნეში, როდესაც მათ არ მიიღეს მაცხოვარი და ჯვარს აცვეს იგი.

რომის იმპერიისთვის, ვიდრე ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცეოდა, მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან იუდაური და ქრისტიანული სარწმუნოება; როდესაც ქრისტიანთა დევნა დაიწყებოდა, იუდეველებიც იდევნებოდნენ, რადგან ქრისტიანობას იუდაურიდან მომდინარე სარწმუნოებად, მის ერთ-ერთ სექტად მიიჩნევდნენ. ვიცით, რომ იუდეველები რამდენიმეჯერ აუჯანყდნენ რომის იმპერიას — მაცხოვრის მოსვლამდეც და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც. სწორედ ერთ-ერთი აჯანყების დროს — პირველი საუკუნის 70-იან წლებში დაინგრა მთლიანად იერუსალიმი რომის იმპერიის მიერ, ამ აჯანყების შედეგად, 2 მილიონი ებრაელი დაიღუპა. იუდეველთა შორის გამოჩნდებოდა ხოლმე პიროვნება, რომელიც თავს მესიად აცხადებდა, მოუწოდებდა ებრაელებს, დაეწყოთ ბრძოლა რომის

იმპერიის წინააღმდეგ, რასაც ყოველთვის ებრაელთა დამარცხება და განადგურება მოჰყვებოდა. ეს იყო სწორედ იმის შედეგი, რომ მათ ქვემარტივი მესია არ მიიღეს. ვიდრე მაცხოვარს ჯვარს აცვამდნენ, პილატემ — როდესაც მაცხოვრის ქმედებაში ვერანაირი დანაშაული ვერ დაინახა, მღვდელმთავრებისა და უხუცესებისგან ნაქეზებული ხალხი კი დაჟინებით მოითხოვდა მის ჯვარცმას, — წყალი აიღო, ხელები დაიბანა და თქვა: „უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისგან, თქვენ იცით“. იუდეველებმა კი მიუგეს: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“. ფაქტობრივად, მათზე მოიწია მართალის სისხლი. მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგაც რომ მოქცეულიყვნენ იუდეველები, რომ მიმხედარიყვნენ თავიანთ დანაშაულს, მათზე მოწვენილ სასჯელებსაც აირიდებდნენ, მაგრამ მათი გონება და გული უფრო მეტად, გაკერპებასა და გასასტიკებას დანებდა და ამის გამო არაერთგზის დაისაჯენ, შემდეგ მთლიანად განიდევნენ ალთქმული ქვეყნიდან, ისრაელის ტერიტორიიდან, რომელიც უფალს მათთვის ჰქონდა გამოადებული.

როგორც აღვნიშნეთ, ნარმართობა იუდეველთა სარწმუნოების წარმოშობამდეც არსებობდა; კერპთაყვანისმცემლობა ნოსეს შთამომავალთაგან, წარღვნის შემდეგ გავრცელდა. როგორც ვიცით, ნოსეს ვაჟებისგან — სემის, ქამისა და იაფეტისაგან ხელახლა გამრავლდა კაცობრიობა. თავიდან

ყველანი ერთად ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე საუბრობდნენ. შემდეგ ადამიანთა შორის თანდათან გამრავლდა უგუნურება, ამპარტავნობა და ბოროტი საქმეები. ადამიანებმა გადაწყვიტეს, აშენებინათ ქალაქი და ისეთი მალალი გოდოლი (კომუნი), რომლის სიმაღლეც ცას შესწვდებოდა; სურდათ, ამით ესახელებინათ თავი, მთელ ქვეყანაზე ებატონათ... ნამოინყეს გოდოლის მშენებლობა, მაგრამ უკუთური განზრახვის სანინაღმდეგოდ, ღმერთმა ადამიანებს ენები შეურიგნა გოდოლის მშენებლებმა მოულოდნელად სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი დაიწყეს, ერთმანეთის ვეღარავფერი გაიგეს, მშენებლობა შეწყვიტეს და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტნენ. აქედან წარმოდგა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ერები, რომლებმაც შემდგომში სხვადასხვა სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულმა ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი, აღთქმა მსხნელის მოსვლის შესახებ. ჭეშმარიტი სარწმუნოების ნაცვლად, მათ შორის ცრუმორწმუნეობა გავრცელდა. შემოიღეს კერპები — ცრულმერთების გამოსახულებები, რომელთაც ღმერთებად მიიჩნევდნენ და მათ თავიანთს ცემას მიჰყვეს ხელი. ზოგნი ბუნების ძალებს სცემდნენ თავიანთს, ზოგნი — თავიანთს წინაპრებს, ზოგნი — მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. ავეთებდნენ ცრულმერთების გამოსახულებებს ქვისგან, ხისგან, სპილენძისგან, ვერცხლისგან, ოქროსგან; მათ წინაშე იჩოქებდნენ და ლოცულობდნენ. მიაჩნდათ, რომ კერპებში „ღმერთები“ ცხოვრობდნენ და მათ მსხვერპლს სწირავდნენ. წარმართებს შორის, ათასგვარი უსჯულოება იყო გავრცელებული; ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად. ამგვარ უსჯულოებას უმეტესწილად ქანაანელები მიმართავდნენ, რომლებიც აღთქმული ქვეყნის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ, ვიდრე უფალი იქ რჩეულ ერს — ებრაელებს დაასახლებდა. ადამიანები მთლიანად წარმართობის წყვდიადში იყვნენ დანთქმული, ეშმაკის სრული ხელმწიფების ქვეშ იმყოფებოდნენ. მოვიდა მაცხოვარი და თავისი ჯვარცმითა და აღდგომით ადამიანთა სულები გამოიხსნა ეშმაკის ხელიდან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი ცხოვდება. გამოხსნის შემდეგ თითოეულ ადამიანს შეუძლია, გამოიყენოს ეს გამოხსნელი მსხვერპლი

საკუთარი სულის სახსნელად, საცხოვრებლად ან არ აღიაროს, არ მიიღოს მაცხოვარი, არ აღასრულოს მისი მცნებები. ასეთი ადამიანი დაიღუპება. ეს ყველაფერი ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, უფალი მის თავისუფალ ნებაში არ ერევს...

წარმართობა, ფაქტობრივად, რომის იმპერიის იდეოლოგია გახლდათ. ამის გამო იყო, რომ რომაელები ქრისტიანებს უღმერთობს უწოდებდნენ, რადგან ქრისტიანები ერთ ჭეშმარიტ ღმერთს სცემდნენ თავიანთს. ქრისტიანები კი სასტიკად იდევნებოდნენ. ზოგჯერ იუდეველებიც იდევნებოდნენ, რადგან ისინიც ერთ ღმერთს აღიარებდნენ. მართალია, მათ არ მიიღეს მსხნელი, მაგრამ მათი იდეოლოგია იყო ერთი ღმერთის აღიარება. მიწიერი გავლენა და უპირატესობა წარმართობას ჰქონდა. რომის იმპერიაში წარმართობა V-VI საუკუნეებში აიკრძალა სახელმწიფო კანონით, თუმცა იმპერიის მიღმა ზოგიერთ ადგილას კვლავაც რჩებოდნენ წარმართები. ვიცით, რომ კრძალვისმცემლობა მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას — აფრიკის ქვეყნებში, სამხრეთ ამერიკაში — დღესაც არსებობს, მაგრამ არა ისეთი ორგანიზებულობით და მასშტაბურობით, როგორც რომის იმპერიაში იყო.

— ქრისტიანები მხოლოდ იმის გამო იდევნებოდნენ, რომ ამ სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ?

— ქრისტიანთა დევნის წამოწყება ყოველთვის ხდებოდა რაიმე საბაბით — მათ ბრალს სდებდნენ ამა თუ იმ დანაშაულში და ამის საფუძველზე იწყებოდა დევნა, მაგრამ მიზეზი, რა თქმა უნდა, ქრისტიანთა მიმართ სიძულვილი იყო. რომაელებს, როდესაც რომელიმე ქვეყანას ან ქალაქს აიღებდნენ, იქ საკუთარი კერპებიც მიჰქონდათ და თავიანთ პანთეონებში დგამდნენ. სარწმუნოების გამო დაუფარავად არავის სდევნიდნენ, ერთი სახის სიცრუეს სხვა სახის სიცრუე ერეოდა და ამით არაფერი იცვლებოდა, ერთი სახის სიცრუე ადგილად ეგუებოდა მეორე სახის სიცრუეს... ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, რომელიც ვერაფრით ვერ შეეგუება სიცრუეს. თუკი ეს მოხდებოდა, ქრისტიანობაც სიცრუედ გადაიქცეოდა. იმპერატორებს მინიერი უპირატესობა და ძალაუფლებაც ჰქონდათ და ამის გამო, არ

საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე რომის იმპერიაში 10 დევნა მოეწყო. იმპერატორ ნერონის მმართველობის შემდეგ ყველაზე დიდი სისასტიკით უკანასკნელი — მეათე დევნა გამოიწვიოდა, რომელიც იმპერატორ დიოკლეტიანეს თაოსნობით განხორციელდა. ქრისტიანთა დევნის ეს პერიოდიც გავისხენოთ.

— მთელი საუკუნის მანძილზე, ვიდრე იმპერატორის ტახტზე დიოკლეტიანე ავიდა (284-305 წწ.), ქრისტიანები არ იდევნებოდნენ, მათ ამოუსწორეს საშუალება მიეცათ და ქრისტიანთა რიცხვიც ძალიან გაიზარდა. დიოკლეტიანემ ქრისტიანების დევნა ამ დროს დაიწყო და ამის გამო გამოიჩინა იგი განსაკუთრებული მასშტაბურობით. პირველ ხანებში დიოკლეტიანე ქრისტიანებს არ სდევნიდა, მათ ეკლესიების აგების უფლებააც აძლევდა. ნიკომოდიანში, იმპერატორის რეზიდენციაში უზარმაზარი ბაზილიკა ააგეს, რომელიც 20 ათას კაცს იტევდა. იმპერატორის ნათესავთა შორისაც ბევრი იყო ქრისტიანი; ქრისტიანები სახელმწიფო სამსახურშიც მრავლად იყვნენ. მაგრამ მალე იმპერიაში ვითარება დაიძაბა: რომის იმპერიას შიმშილი, ეპიდემიები და აჯანყებები არყევდა იმპერატორს ქურუმები შეაგონებდნენ, რომ ღმერთების მოსამადლიერებლად და ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელი იყო რომის იმპერიაში მაცხოვრებ ქრისტიანთა განადგურება. ქვეყნის უზენაესი ქურუმი, დიოკლეტიანე თავადვე ფიქრობდა, რომ რომის დიდება წარმართულ რელიგიასთან იყო დაკავშირებული. შეიკრიბა სენატის საბჭო, რომელზეც ქრისტიანთა დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. დიოკლეტიანე სიტყვით გამოვიდა. მან ეს გამოსვლა ასე დაასრულა: „ქრისტიანები არ უნდა არსებობდნენ“. იმავე საღამოს მორწმუნეებით გადასესხებული დედაქალაქის ეკლესია ცეცხლს მისცეს. დიოკლეტიანემ იმპერიის ყველა პროვინციის მმართველს, ერისმთავარსა და მხედართმთავარს წერილით აცნობა, რომ თავიანთ საბრძანებულში ერთიანად უნდა განადგურებინათ ქრისტიანები. მთელ იმპერიაში ქრისტიანთა სანწყისების მასობრივი და სასტიკი დევნა დაიწყო. ვიცით, რომ სწორედ დიოკლეტიანეს დროს აღესრულა მოწამებრივად წმინდა გიორგი, რომელიც, როგორც ვიცით, რომის იმპერიის მხედართმთავარი გახლდათ. წმინდა გიორგის მსგავსად, ქრისტიანები მრავლად იყვნენ სახელმწიფოს ყველა სტრუქტურაში. სარწმუნოების გამო სახელმწიფო მოხელეებიც სასტიკად ისჯებოდნენ. როდესაც რომელიმე ქრისტიანი სასტიკად აწამებდნენ, წარმართებს მიეძღვნებოდათ, რომ ამის გამო სხვები დაშინდებოდნენ და ქრისტიანულ სარწმუნოებას უარყოფდნენ, თუმცა ვიცით, რომ ამან საპირისპირო შედეგი მოიტანა: ყოველი ახალი მოწამეობა ასობით და ათასობით ადამიანს აქცევდა ეკლესიის წევრად. უფრო და უფრო მრავლდებოდა ქრისტიანობა. არმიაშიც კი, რომელსაც თავად ეცისრებოდა ქრისტიანთა დევნა, ქრისტიან ჯარისკაცთა რიცხვი იზრდებოდა.

უჭირდათ ქრისტიანთა დევნის წამოწყება. იმპერატორთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავს „ღმერთად“ წარმოაჩენდნენ და წარმართები მათ თავიანთს ცემას იწყებდნენ. ქრისტიანებს, როგორც სხვა ღმერთის მიმდევრებს, სდევნიდნენ და სჯიდნენ. მათი აზრით, ისინი იმპერატორს შეურაცხყოფდნენ.

— ქრისტიანთა დევნის პერიოდი IV



მზა ყოველწლიურად 60000 კაცს კლავს

„მზის ულტრაიისფერი გამოსხივება მსოფლიოში ყოველწლიურად 60 ათას სიცოცხლეს შეიწირავს, — ნათქვამია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიშში, — ყოველ წელს ავთვისებიანი მელანომისაგან 48000 კაცი კვდება, კიდევ 12000-ის სიკვდილის მიზეზი კანის კიბოს სხვადასხვა სახეობაა. ონკოლოგიურ დაავადებათა 90% მზის ულტრაიისფერი გამოსხივებითაა გამოწვეული.“



დაავადებები, კერძოდ, ავთვისებიანი მელანომები, კანის სხვა სიმსივნეები და კატარაქტა ადვილად შეიძლება ავიცილოთ თავიდან თავდაცვის მარტივი ზომების გამოყენებით.“
ასეთი ზომების შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თავადვე გვაწვდის და რეკომენდაციას იძლევა, შევზღუდოთ მზეზე ყოფნა შუადღის საათებში, მზის სხივების ზემოქმედებისგან თავდასაცავად გამოვიყენოთ ფართოფარფლებიანი ქუდი, მზის სათვალე, მზისგან დამცავი კრემი იმისთვის კი არ უნდა ნავისვით, რომ მზეზე მეტი დრო გავატაროთ, არამედ იმისთვის, რომ დავიცვათ კანი მამინ, როცა მზის სხივების ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია. ■

„მზე ყველასათვის აუცილებელია, მაგრამ მისი გამოსხივების სიჭარბე სამიში და სასიკვდილოც კია, — განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ნეირამ, — საბედნიეროდ, ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით გამოწვეული

დოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ნეირამ, — საბედნიეროდ, ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით გამოწვეული



დილა პირსახოცით

ყოველდღიურად დილის ვარჯიშის შემდეგ მთელი სხეული დაიზილეთ საოიანი პირსახოცით, რომელიც უნდა დაასველოთ წინასწარ მომზადებულ ხსნარში: 1 ლ წყალი, 1 ჩ/კ მარილი და 1 ს/კ მარილი. პირსახოცი ხშირ-ხშირად დაასველეთ ხსნარში, რათა გამოდგებით სველი იყოს.
სხეულის დაზეულა საჭიროა ძლიერი მოძრაობებით ასეთი თანამიმდევრობით: ფეხები (თითებიდან დაწყებული), თეძოები, მუცელი, ზურგი, მხრები, კისერი, გულმკერდი.
გულმკერდის დაზეულისას სიფრთხილვა საჭირო: დაზეულა იწყებთ ილღებიდან და შემდეგ გადადისარტ ნეწებისაკენ — მკერდის ქვეშ, შემდეგ ისევ ზევით და ილღებისაკენ.
ეს პროცედურა ამკვრივებს კანს და აუმჯობესებს თვითმეგრძნებას. პროცედურის შემდეგ კანი თითქოს გენვით, სამაგიეროდ, მთელ სხეულში სიმშუბუქისა და სიჯანსაღის შეგრძნება გეუფლებათ. ■

როგორ ღავნიოთ მჟავიანობა

რისთვის სჭირდება ორგანიზმს მარილმჟავა? — იმისათვის, რომ უკეთ მოინელოს საკვები. მჟავა შეუცვლელი კომპონენტია საჭმლის მონელების პროცესისა, რომელიც პირის ღრუდან იწყება და სწორ ნაწლავში მთავრდება. იგი ქმნის კუჭის ფერმენტთა მუშაობისთვის საჭირო პირობებს, ანადგურებს დაავადების გამომწვევ და ლპობით ბაქტერიებს, რომლებიც საკვებს შეაქვს ორგანიზმში, სტიმულს აძლევს კუჭის ჯირკვლების სეკრეციულ აქტიურობას, ხელს უწყობს საკვების გადასვლას კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში და ა.შ. მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. თუ მარილმჟავა ჭარბად იწყებს გამომუშავებას, მიღებული საკვები მას ვერ ანიტრალეებს, გამოუყენებელი მჟავის ნაწილი ლორწოვან გარსზე ზემოქმედებას იწყებს და მის ანთებას იწვევს. შედეგად ვიღებთ გასტრიტს კუჭის წველის მომატებული მჟავიანობით, რაც კუჭის წყლულის წინამორბედი მდგომარეობაა.
მომატებული მჟავიანობისას ადამიანს აწუხებს ტკივილი გულის კოვზის ქვეშ, სიმძიმის შეგრძნება, წვა კუჭის არეში, გულისრევა, მჟავა ბოყინი. დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით ტკივილი შეიძლება ჭამიდან 30 წუთში, 1,5-2 საათში ან სულაც მშვიდზე (მშვიდი და ღამის ტკივილები) განვითარდეს. აუცილებელია, დადგინდეს, ნამდვილად გასტრიტია ამ სიმპტომების მიზეზი თუ სხვა დაავადებები, რომელთაც მჟავიანობის მატება ახლავს თან. ამისთვის კი ტარდება კუჭის რენტგენოსკოპიული გამოკვლევა, შეიძლება საჭირო გახდეს გასტროსკოპია, კუჭის სეკრეციის გამოკვლევა, ლორწოვანის ბიოფსია. ■

როგორ ვჟავიოთ

საკვების მიღება საჭიროა ხშირ-ხშირად (4-6-ჯერ დღეში), მცირე ულუფებით. საქმე ისაა, რომ მარილმჟავას გამომუშავება ძლიერდება კუჭში საკვების არარსებობისას, ამიტომ არ შეიძლება ის ხანგრძლივად დავტოვოთ ცარიელი. ამავე მიზეზით არ შეიძლება მშვიდ კუჭზე საღვთი რეზინის ღეჭვა. ნერწყვი კუჭის წველის გამოყოფის სტიმულირებას უწყობს ხელს, მაგრამ თუ კუჭი ცარიელია, გადასამუშავებელიც არაფერი აქვს და წვენი ლორწოვანზე იწყებს ზემოქმედებას.
საკვების ტემპერატურა 38-40 გრადუსი უნდა იყოს. მომატებული მჟავიანობისას მინერალური წყალი უნდა სვათ თბილ-თბილი (35-40 გრადუსი ტემპერატურის), სამჯერ დღეში, ჭამამდე 1-1,5 სთ-ით ადრე, თითო მიღებაზე 200-300 მლ, დიდი ყლუბებით.
ეცადეთ, ძირითადი კვებითი დატვირთვა დღის პირველ ნახევარზე მოდიოდეს, ვახშამი კი 19 საათზე გვიან აღარ მიირთვათ.
მხედველობაში იქონიეთ, რომ სიგარეტი და ალკოჰოლი (თუნდაც მშრალი ღვინო და ლუდი) ზრდის კუჭის მჟავიანობას.
გახსოვდეთ, ზოგიერთი წამალი („ასპირინი“ და აცტილსალცილის მჟავის შემცველი სხვა პრეპარატები, კორტიკოსტეროიდები, სულფანილამიდები) ასევე ზრდის კუჭის მჟავიანობას. ამიტომ ექიმს ჰკითხეთ, სხვა რომელი პრეპარატებით შეიძლება მათი შეცვლა. ყურადღებით ნაიკითხეთ ინსტრუქცია და დაცავით წამლების მიღების წესი: თუ წამალი უნდა მიიღოთ ჭამის შემდეგ ან ჭამის დროს, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ განეიტრალდეს კუჭის ლორწოვანზე მათი ნეგატიური ზემოქმედება.
ერიდეთ სტრესს, რადგან სწორედ ის იწვევს უფრო მეტად კონცენტრირებული მჟავის დიდი რაოდენობით გამოყოფას. ■

რა ღაიხავს კუჭს

ძირითადი მკურნალობა დიეტა და მედიკამენტების მიღებაა. კუჭის მომატებული მჟავიანობისას, გასტრიტის დროს, ინიშნება კუჭში მარილმჟავას შემავაჟმირებელი პრეპარატები („ალმაგელი“, „ფოსფალუგელი“, „მალოქსი“, „გასტალი“), აგრეთვე, მარილმჟავას სეკრეციის შემამცირებელი საშუალებები („ანიტიდინი“, „ზანტაკი“, „ფამოტიდინი“ და სხვ.). ძირითადი ამოცანაა მარილმჟავას გამომუშავების ნორმალიზება და კუჭის ლორწოვანის დაზიანებული უჯრედების აღდგენა. ამისთვის გამოიყენება კუჭის კედლის შემომგარსველი და საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი საშუალებები. მკურნალობა შეიძლება რამდენიმე კვირა — მწვავე გასტრიტის დროს) ან რამდენიმე თვე და წელიც კი (ქრონიკული გასტრიტისას) გაგრძელდეს. ამ ხნის განმავლობაში ყურადღება უნდა მიექცეს კვებას. საკვები ისეთი უნდა იყოს, რომ არ იწვევდეს მარილმჟავას ქარბად გამოყოფის პროვოცირებას.

მომატებული მჟავიანობისას რეკომენდებულია: კისელი, ბურღულეულისა და ბოსტნეულის წვნიანები, რძე, რომელიც ამცირებს კუჭის სეკრეციას. გასტრიტის გართულება რომ თავიდან ავიცილოთ, არ არის სასურველი უცხიმო დიეტა. თუ თქვენს ორგანიზმს დააკლდება ცხიმი, გან-

საკუთრებით მცენარეული, მაშინ საკვები კუჭს ძალიან სწრაფად დატოვებს და მის კედლებზე მარილმჟავა კიდევ უფრო მეტად იმოქმედებს. ასე რომ, გასტრიტით (მომატებული მჟავიანობით) დაავადებულთათვის საჭირო დიეტას ერთი სასიამოვნო მხარეც აქვს: არ არის აუცილებელი, რძის პროდუქტები ცხიმოხდილი იყოს.

რეკომენდებულია მოხარშული, ჩაშუშული ბოსტნეული, ყველა სახის ფაფეული (ხორბლის გარდა), მაკარონის ნაწარმი, მჭლე ხორცი, თევზი, ქათამი, ტკბილი ჯიშის ვაშლი, მსხალი, ბანანი, ერბოვკერცხი, ახალი ხაჭო, მაღალი ხარისხის პური (სასურველია, გამომშრალი ან წინა დღის იყოს), ტკბილი ხილის პიურე, ტუტემინერალური წყლები (გაზგასული), რძიანი ჩაი.

უარი უნდა თქვას მწარე, ცხარე სანელებლებზე, შებოლილ პროდუქტებზე, ღორის ხორცზე, რომლებიც მეტისმეტად აღიზიანებს საყლაპავისა და კუჭის ლორწოვან გარსს. აგრეთვე არ შეიძლება ცხიმოვანი ბულიონები (განსაკუთრებით სოკოსი), უმი ბოსტნეული, მწილეული, მარინადები, ხახვი და ნიორი, ლიმონის წვენი, შავი პური, ნაყინი. კუჭის სეკრეციას აძლიერებს შემწვარი კერძები, თავისთავად წვენი ჩაშუშული ხორცი და თევზი, კონსერვები (განსაკუთრებით ტომატისანი), მჟავე, უმნიშვარი



ხილი და კენკრა, სანელებლები. ნუ მიიღებთ გაზიან, ცივ სასმელებს. არ შეიძლება ყავის, ალკოჰოლის, მაგარი ჩაის ქარბად სმა, რადგან ეს ზრდის მჟავის რაოდენობასა და კონცენტრაციას კუჭში.

ხალხური საშუალებებიდან მჟავიანობის დასაქვეითებლად რეკომენდებულია კრახანის, პიტნის, ჭინჭრის, კალენდულის ნაყენები; უსიამოვნო სიმპტომებს ხსნის კარტოფილისა და სტაფილოს წვენი. ■

რა განაპირობებს ნაზის ეფექს

პაციენტის რწმენას გამოჯანსაღებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აქვს, ექიმებმა უსსოვარი დროიდან იციან. ბოლო დროს კი მედიკოსებმა დეტალურად შეისწავლეს ეს მოვლენა და მას „პლაცებოს ეფექტი“ უწოდეს. მისი არსი ასეთია: როცა ადამიანი დარწმუნებულია დანიშნული მედიკამენტებისა თუ სხვა სამკურნალო საშუალებების ეფექტიანობაში, მკურნალობა გაცილებით შედეგიანია. მეტიც, ძლიერმა რწმენამ შეიძლება ჩვეულებრივ წყალსაც კი შესძინოს სამკურნალო თვისებები.

„პლაცებოს ეფექტი“ კარგად იცნობენ ექიმბაშები და სახალხო მკურნალები, რომლებიც პაციენტის რწმენასა და მისი გამოჯანმრთელების სურვილს კარგად იყენებენ თავიანთ სასარგებლოდ. ამავე ეფექტით

ხსნიან მეცნიერები აგრერიგად მოდურ საკულტო მედიცინის პოპულარობასაც.

ფსიქოფარმაკოლოგია თანამედროვე ფარმაკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგია, რომლის დაბადებასაც „პლაცებოს ეფექტს“ უნდა ვუმაღლოდეთ. მისი მიზანია ადამიანის ფსიქოლოგიური სტრუქტურისა და ემოციური პორტრეტის მიხედვით ზედმიწევნით ზუსტად განისაზღვროს მკურნალობის ტაქტიკა. ამასთან, პაციენტს ინფორმაცია ისე უნდა მიენიოდოს, რომ გაგონილმა ზეგავლენა მოახდინოს მასზე და განკურნების რწმენით აავსოს.

როგორც ცნობილია, ავადმყოფის ფსიქოემოციურ მდგომარეობას ყველაზე მეტად შიში და ტკივილი განსაზღვრავს.

უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, „ტკივილის შიში“. ექიმისა და მის მიერ დანიშნული თერაპიის დადებითი ეფექტის რწმენა კი ადამიანს აშვილებს და სწულუბასთან ბრძოლის სტიმულს აძლევს, რაც ააქტიურებს მის პიროვნულ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ფსიქოფარმაკოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება: „უპირატესობის პრინციპი“, რაც სპეციალისტებს ძალზე ეხმარება. აი, რაში მდგომარეობს ამ პრინციპის არსი: სამკურნალოდ გამოსადეგ მედიკამენტებს შორის თუკი არჩევანის საშუალებაა, სასურველია, ექიმმა სწორედ ის დანიშნოს, რომლისაც პაციენტს განსაკუთრებით სჯერა.

დღეისთვის ცნობილ ათასობით დაავადებას შორის „პლაცებოს ეფექტი“ ყველაზე შესამჩნევად პიპერტონით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით, დიაბეტითა და ფსიქოემოციური მოშლილობებით (ნევროზებითა და ფსიქოზებით) დაავადებულთა მკურნალობისას ამართლებს. მედიცინაში ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა მაღალი არტერიული წნევა მხოლოდ გლუკოზის აბებით დაუნევიათ, კუჭის აუტანელი ტკივილი კი სასმელი წყლით მომზადებულ „ნაშალს“ დაუამებია. ასე რომ, ვისაც ეს პათოლოგიები აწუხებს, ვურჩევთ, ვიდრე მკურნალ ექიმს შეარჩევდნენ, კარგად დაფიქრდნენ, — სანდო სპეციალისტთან მკურნალობა გაცილებით სწრაფად მოიტანს სასურველ შედეგს! ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge


გამოცემის დასახელება	1კვზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

არასის და წიგნების პაპირბეჭდვის „ელვა.ჯი“
 ქ. თბილისი, თბილისის რაიონი, მთაწმინდა რაიონის მუნიციპალიტეტის, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109
 ტელ: 38-26-72; 38-26-74
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@elvaspa.ge

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელოვნების



**2 რანგითი
ქურნალები**



ცხელმა

ტემპერატურის მიხედვით შეუძლებელია მისი გამოწვევი დაავადების სიმძიმეზე ვიმსჯელოთ. 37-38 გრადუსის ფარგლებში მერყევიან, როგორც მედიკოსები ვამბობთ, სუბფებრილური ტემპერატურა შესაძლოა იყოს როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი დაავადების სიმპტომი.

თანდაყოლილი და ტრავმული ამოვარდნილობები

მშობელი ამჩნევს, რომ ბავშვი ხელს ვეღარ ამოძრავებს, მათრახივით აქვს ჩამოშვებული, უძრავ მდგომარეობაში მშვიდად არის, სძინავს კიდეც, მაგრამ როგორც კი ძილში რაიმე მოძრაობას გააკეთებს, უმალ ტირილს იწყებს.

სულით ავადმყოფობა

კოლეგებს, რა თქმა უნდა, ვთხოვდი, როგორც კი პაციენტს ფსიქიკური დაავადების სიმპტომებს შეატყობენ, მაშინვე გამოვევსავენ. საბოლოოდ ისინი მაინც ჩვენთან ხვდებიან, მაგრამ სწორად — მეტიმეტად გვიან. პატრონისა და პაციენტის წვალეხას, სჯობს ეს დროულად მოხდეს, მით უმეტეს, მკურნალობაც და მედიკამენტებიც უფასოა.



ადამიანი

ღალი ფასია

ჩვენს მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ ნაახალწლევს „გზის“ ფურცლებზე წარმოგიდგინეთ ხელოვანი, რომელიც ალექსანდრიისა და აფრიკის პატრიარქ თეოდორე II-ის შეკვეთას ასრულებდა.

გასულ ზაფხულს საქართველოში სტუმრობისას პატრიარქი „მერიოტის“ სამხატვრო გალერეაში შემთხვევით შეხვდა დალი მხეიძეს და მისი ნამუშევრების დათვალეობის შემდეგ გადანიჭა, ოსტატისთვის 12 მოციქულის მომინანქრებული მედალიონი შეკვეთა, რადგან მხოლოდ თეოდორე II-ს აქვს უფლება, 12 მოციქულის გამოსახულებიანი შესამოსელი (ოლარი) ატაროს (მას მსოფლიო მოსამართლეს, დედამიწაზე გამოგზავნილ მე-13 მოციქულს უწოდებენ).

„ის ამ სამოსს დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე ჩაიცვამს, რომელზეც, როგორც მითხრეს, ქვემოთ ჩემი გვარი და სახელი ოქრომკედით მოიქარება. დღესასწაულების გარდა, სამოსი სხვა დღეებში ალექსანდრიის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება“, — ეს არის ამონარიდი იმ ინტერვიუდან, რომელიც იანვარში „გზაში“ დავბეჭდეთ. ასე რომ, დალი მხეიძე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მთელი წლის განმავლობაში გულდასმითა და უდიდესი მონ-

ქართულ ხელოვნებას გადმოსული ღვთის პედი



„12 მოციქულზე 12 თვის განმავლობაში ვეუზაობდი“



თავს არ ვიქებ, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებელი საქმე შევასრულე

დომებით შრომობდა (იანვარში მხოლოდ 5 მოციქული იყო მზად) და 12 მოციქულის მომინანქრებული მედალიონი უკვე დასრულებულია. ცოტა ხანში მათ ალექსანდრიის პატრიარქს გადასცემენ; და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: მოციქულების გამოსახულებას ქართული წარწერები აქვს, — ასეთი იყო პატრიარქის კურთხევა.

— თავს არ ვიქებ, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებელი საქმე შევასრულე. როდესაც მეუბნებოდნენ, რომ მხატვრებს, რომლებიც ხატებს წერენ, მუშაობისას შინაგანი ბრძოლა აქვთო, მაინცდამაინც ყურადღებას არ ვაქცევდი, არადა, მართალი ყოფილა: როდესაც

საც სამუშაოდ უნდა დავმჯდარიყავი, ისეთი ფორიაქი მეწყებოდა, თითქმის მთელი დღე დამშვიდებას ვუნდებოდი, რომ სამუშაო შემესრულებინა. საოცარ უსიამოვნებებს ვაწყდებოდი, ამიტომაც ძალიან ხშირად ვლოცულობდი. ასე რომ, ეს იოლი საქმე და ისეთი, როგორც ვთქვით, სამკაულის გაკეთებაა, ნამდვილად არ ყოფილა. ამასთან, ხატებზე მუშაობა მეტისმეტად რთული ტექნოლოგიაა, უამრავი ნიუანსის ცოდნას მოითხოვს. ბევრი დროც სჭირდება.

თითქოს კმაყოფილი ვარ ჩემი ნამუშევრებით, მაგრამ ამავე დროს — უკმაყოფილოც, რადგან მე ხომ პროფესიონალი მხატვარი არა ვარ... ბოლო ნამუშევრები უფრო მომწონს, ვიდრე პირველი. ტარიელ ბიბილაშვილმა რომ



როგორც ჩანს, ღმერთს ასე დამასაჩუქრა, რომ ეს საქმე შეგვსრულდებინა.



ძლებოთ, გამამხნევეს და უარის თქმა ვეღარ შევებდე... ეს იყო უზარმაზარი მადლი და ღვთის საჩუქარი. მერწმუნეთ, არაფერს ვაზვიადებ. ახლაც მაქვს დიდი შინაგანი ბრძოლა, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ უფალი ყოველთვის გვერდით დამიდგება და ყველაფერს გამოასწორებს ჩემს ცხოვრებაში, ნები-სმიერ სიტუაციას გავუმკლავდე-ბი. უზარმაზარი იმედი და სიხარული მომეცა...

ბევრი ხელოვანი მუშაობს ხატწერაში, მაგრამ საქართველოში ცოტა ვიცი ისეთი, ცალ-ცალკე 12 მოციქული იხედეს შესრულებული (მით უმეტეს, მომინანქრებული), „საიდუმლო სერობის“ ხატის გარდა, სადაც ქრისტე თორმეტივე მოციქულთან ერთადაა გამოსახული. მე ერთი რიგითი მორწმუნე ვარ, — ვმარხულობ, აღსარებას ვაბარებ, ვუზიარები, ვლოცულობ... როგორც ჩანს, ღმერთმა ასე დამასაჩუქრა, რომ ეს საქმე შემესრულდებინა...

— ალბათ, მოციქულების სახეების გამოსაყვანად თითოეულ მათგანზე უამრავი ინფორმაცია უნდა მიგელოთ, არა?

— დიას. რადგან თორმეტივე სულიწმიდის მადლი იყო გამოსული, ვცდილობდი, მათი გამომეტყველება მშვიდი, სათნო და მტკიცე ყოფილიყო. როგორც ძველ ხატებზე, მათი ასლის შექმნა არ მინდოდა. ზოგი მინონებს არჩევანს, ზოგი მეუბნება, ბიზანტიური ხატების ასლები უნდა გაგვეკეთებინაო. კი, მაგრამ ის ბიზანტიური მხატვარიც რომ არ იყო პირველი საუკუნის და მოციქულთა თანამედროვე, რომ ზუსტად დაენერა მათი სახეები?! ამიტომ ვეცადე წინა პლანზე უფრო სულიერება, ის მადლი და სიმტკიცე წამომენია, რომელიც სულიწმიდით გასხივოსნებულ 12 მოციქულს ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მოსწონს ჩემი ნამუშევრები, მე მაინც ველავ, — მუშაობისას ისე გავინაფე ხელი, რომ ვიცი, ახლა რომ ვინცებდე, უკეთესს დავამზადებდი. გული მწყდება, რომ წლების წინ არ

დავინწყე ხატწერის სწავლა. მინანქარში მხოლოდ ჯვრებს, სამკაულებს, სუვენირებს ვამზადებდი. ხატწერას ვერ ვკიდებდი ხელს, რადგან დიდად საპასუხისმგებლო საქმეა...

ასეთი სასიამოვნო, უცნაური და შრომატევადი სამუშაო არასოდეს შემისრულებია... 70 წლის განმავლობაში საქართველოს წართმეული ჰქონდა მართლმადიდებლობა და რწმენა. ეს ჩვენი წინა თაობის საშინელი ხვედრი იყო. გვენმდეს და გვიყვარდე! დედაეკლესიაში დიდი სასწაული და სათნოება, უდიდესი სიყვარული ტრიალებს. მჯერა, უფლის ნებით ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება.

— იცის თუ არა ამ ყველაფრის შესახებ უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ?

— ჩემი მოძღვარი, მამა დავითი (მარაშენიძე) გახლავთ, ლურჯი მონასტრის მოძღვარი. ის საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელიცაა. როდესაც შევევითის შესახებ ვუამბე, მითხრა, რომ დაასრულებ, მაჩვენე ნამუშევრებიო. ახლა სწორედ ამას ვაპირებ. თუ მისი სურვილი იქნება, უწმინდესთანაც მივიტან.

— კიდევ ერთხელ გილოცავთ — თქვენი ნამუშევარი მსოფლიო პატრიარქის საკუთრება ხდება! წარმატებას გისურვებთ შემოქმედებაში და სულიერ გზაზე.

— იმედია, ღმერთი ამპარტავნები-სკან დამიფარავს, მაგრამ ჩემი აღსრულებული საქმე მართლაც შეამაყება! ■



ვეცადე წინა პლანზე უფრო სულიერება, ის მადლი და სიმტკიცე წამომეწია, რომელიც სულიწმიდით გასხივოსნებულ 12 მოციქულს ახლავს

ნახა, მომინონა. ბატონი ტარიელი ხშირად მაკითხავდა და ათვალიერებდა ჩემს ნამუშევრებს, შენიშვნებსა და რჩევას მაძლევდა. სწორედ მან უნდა მიართვას 12 მოციქული ალექსანდრიის პატრიარქს. ბატონ ტარიელს საბერძნეთში დაახლოებით ოცი ტაძარი აქვს მოხატული. რადგან მან, სპეციალისტმა მომინონა, მიხარია და დამევიდებულნი ვარ. ვფიქრობ, პატრიარქსაც მოეწონება. ბატონი ტარიელი ჩემს 12 მოციქულს ამ თვის ბოლოს წაიღებს.

— სულ რამდენ ხანს მუშაობდით?

— როგორც კი შევევთა მივიღე, მუშაობა მაშინვე დავინწყე, რომ ხელი გამწაფოდა მოციქულთა სახეების გამოყვანაში. ხატწერა არასდროს მიცდია და ამიტომ შარშანდელი აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი იმას მოვანდომე, რომ მესწავლა, როგორ გამომეყვანა მოციქულთა სახე, სამოსი... დეკემბერში პირველი ნამუშევარი დავასრულე, მუშაობა კი ივლისის ბოლომდე გაგრძელდა. ასე რომ, 12 მოციქული 12 თვის განმავლობაში გავაკეთე. ასეთი უცნაური დამთხვევაც იყო.

— რა იყო ეს შეკვეთა თქვენთვის?

— თავდაპირველად რომ მკითხეს, ხატებზე თუ მუშაობთო, არა-მეთქი, ვუპასუხე, ეს საპასუხისმგებლო საქმედ მიმაჩნია და არც არასდროს მიცდია-მეთქი. პატრიარქი დაგლოცავთ და შე-

ფიროსმანის ბაღი „უნვერულვამო ნიკალასთვის“

მარინა გოგოლაშვილი

იმ ლოგიკით, რომ შემთხვევით არაფერი ხდება, სიღნაღის მუზეუმში ამ განაფხულზე მონყობილი პიკასოს სურათების გამოფენაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ამბობენ, სიცოცხლეში ფიროსმანი მხოლოდ პიკასომ აღიარა, რადგან არ იცნობდა და ისე დახატაო. აფსუს, რომ პიკასო აღარ იყო ცოცხალი მაშინ, როდესაც ნიკალას მშობლიურმა კუთხემ — კახეთმა შვა ახალი, „უნვერულვამო ნიკალა“, დათო პრანაშვილი, რომლის ორიგინალურ და საოცარ მხატვრულ სამყაროს, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოსჩენია თავისი ზღანევიჩები, პიკასო — მით უფრო!

დღეს დათო თითქმის ყველამ მიივიწყა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, მხოლოდ 45 წლის იქნებოდა. თუმცა, როგორც მხატვარი, მაშინვე შედგა, — 16 წლის ასაკში, როცა მის ხანმოკლე სიცოცხლეს წერტილი დაესვა, უფრო კი — მრავალწერტილი...

ანუ ახმაპი 16 წლის უჩინო გენიოსის სახლისა, რომლის მუხამად ქცევის, ალბათ, ჰიქასო თუ უხვალადა

დათო კრანაშვილის მამა, მუსიკოსი და ჟურნალისტი გიორგი კრანაშვილი, სიღნაღის რაიონის მკვიდრი იყო. ინტელიგენტის მოკრძალებული ცხოვრებით იცხოვრა და ადრე წასული გენიალური შვილის მონატრებაში გალია წუთისოფელი. ხშირად სევდიანად ხუმრობდა იმ ხანებში სიღნაღის ბულვარში ახალდადგმული სოლომონ დოდაშვილის ქანდაკების გამო: ეს სოლომონი კი არა, მე ვარ, ჩემსავით ანონილი და გამხდარია, ჩემსავით ხელში ნისიების სქელი დავთარი უჭირავსო...

სოფელ ჭოტორში დღესაც დგას ერთი კოპნია სახლი, რომლის ხის რიკულებზე დათოს ხელით ამოკვეთილ ჩუქურთმებს რუდუნებით უვლიდა მამამისი მანამდე, სანამ ისიც შვილის ლანდს მზისმილიმერ საუფლოში არ გაედევნა. როგორც ჩანს, იმ ჩუქურთმებს დღემდე აქვს შემორჩენილი დიდი ხელოვანის ნორჩი ხელების სითბო. ეს სითბო იზიდავს ხოლმე დათოს უმცროს ძმას, გოგას, რომელიც ამ სახლის ხშირი სტუმარია. მასპინძელი კი, უდავოდ, ისევ დათოა, რადგან ძალიან სურს გოგას, ამ სახლში დათო კრანაშვილის სახლ-მუზეუმმა დაივანოს, მაგრამ ეს სურვილი, ჯერჯერობით, ვერა და ვერ გასცილდა ოცნების სფეროს...

თავად დათო თბილისში დაიბადა 1963 წლის 9 ივლისს. სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. პარალელურად, თბილისის სახელმწიფო კონ-

სერვატორიასთან არსებულ სამუსიკო ათწლედში, ფორტეპიანოს კლასში. ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს, 1979 წელს, ხელოვნების მუშაკთა სახლში მონყობილ არასაკურსო ნამუშევართა გამოფენაზე საუკეთესო კომპოზიციისთვის „წვიმიანი დღე“ დათო სიგელითა და პრიზით დაჯილდოვდა. ეს მისი პირველი და სიცოცხლეში ერთადერთი აღიარება იყო. დათო კრანაშვილმა სამხატვრო სასწავლებლის მხოლოდ ორი კურსის დასრულება მოასწრო. იგი 1980 წლის



„ცხოვრების ხე“



13 ივლისს თორმეტგოჯა ნანლავის წყლულის ოპერაციიდან მეთხუთმეტე დღეს დაიღუპა.

მოგვიანებით, გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ, დათოს ჯერ „ვარსკვლავიჭუნა“ უწოდეს, ხოლო ამერიკის პლანეტათა საერთაშორისო ცენტრმა ახალაღმოჩენილ 3146-ე პლანეტას „დათო“ დაანათლა და თბილისელი „ვარსკვლავიჭუნა“ სამარადისოდ გალაქტიკაში დააბინავა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, მცირეწლოვანების მიუხედავად, დათოს ისეთი მემკვიდრეობა დარჩა, ბევრ სრულწლოვან შემოქმედს რომ შემურდებო: 1000 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, 35 ლექსი და 10-მდე ჩანაწერი. სამწუხაროდ, არ შემორჩა მისი საინტერესო მუსიკალური იმპროვიზაციები, რადგან არასოდეს გადაჰქონდა საწოტე რვეულში.

და მაინც, ვინ იყო ის, ვინც ამდენი რამ მოასწრო ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე?! საბედნიეროდ, დარჩენილია მისი თავისუფალი თემები ქართულ ლიტერატურაში — „ჩემი მეგობარი“ და „ვინ ვარ მე“ — რომელშიც ვკითხულობთ: „და მაინც, ვინ ვარ ახლა მე? ადამიანი, რომელსაც აქვს მხოლოდ თავისთვის შედგენილი კანონები. ეს კანონები მხოლოდ მისთვის არის გასაგები და ასატანი. სხვა ვერც ერთი ადამიანი ამ კანონებით ვერ იცხოვრებს. ეს ადამიანი არ აქცევს ყურადღებას ჩაცმას, ხალხს, მათ აზრებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მისას. მასში არ იწვევს ტრა-

ადამიანი



„წვიმიანი დღე“

თავად დათომ ქვეცნობიერად იცოდა, რომ მისი განუმეორებელი ხელოვნების დავინყება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ბავშვურმა მორიდებამ, მოკრძალებულმა თექვსმეტმა წელმა არ მისცა უფლება, ყოფილიყო უფრო გაბედული და ისევე თამაზად ეთქვა ეს ჩვენთვის, როგორც დიდმა გალაკტიონმა გვითხრა, — უკვდავება მე დავიმკვიდრეო. სამაგიეროდ, დათოს ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ სხვებს აღმოხდათ ალტაცებითა და მწუხარებით: „დიდია მწუხარება, მაგრამ ტალანტი არ კვდება“ (ელგუჯა ამაშუკელი); „დათუნა, გაუმარჯოს შენს უკვდავებას ქართულ ხელოვნებაში!“ (გურამ ფანჯიკიძე); „დათო კრანაშვილის სახელი დარჩება დიდ ხელოვნებაში ყველაზე ადრეული შესვლის მაგალითად“ (ვერა ალექსეევა, რუსი ხელოვნებათმცოდნე); „ეს

თებერვალს მოსკოვში, კინოთეატრ „თბილისის“ საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა ნორჩი მხატვრის მეორე პერსონალურ გამოფენას, რომელსაც საკმაოდ ბევრი დრო დაუთმო მაშინდელმა ცენტრალურმა ტელევიზიამ. სამიოდე თვის შემდეგ კი დათოს ნამუშევართა მესამე პერსონალური გამოფენა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში გაიმართა. 1983 წელს ექსპოზიცია სანქტ-პეტერბურგის ახალგაზრდობის სასახლეში მოეწყო. 1985 წლის 11 მარტს ჩატარდა უდროოდ წასული 5 ნიჭიერი შემოქმედის ხსოვნის საღამო, სადაც გაიხსენეს ჯილდა დათუაშვილი, დათო კრანაშვილი, ვლადიმერ მაჩაიძე, ჯემალ თოფურია და ნუგზარ მაჭავარიანი. ამავე წელს მოსკოვში გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-12 მსოფლიო ფესტივალზე დათო კრანაშვილის 20 ნამუშევარი გამოიფინა. რუსულად ითარგმნა დათოს ლექსები. 1987 წელს თბილისის აგარარული უნივერსიტეტის (ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) სახალხო თეატრმა დათოს შემოქმედებას ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია — „ჩრდილში ჩამდგარი შუქი“ მიუძღვნა. 1988 წლის ზაფხულში საერთაშორისო ეგიდით მოწყობილ ფესტივალზე — „მშვიდობის დროში“ — დათოს ნამუშევრებს ბულგარეთი გაეცნო. 1985 წლის ოქტომბერში ბორის ძნელაძის სახელობის

გედიას ან სიხარულს ყველაფერი ის, რაც სხვისთვის ძნელი ასატან-გადასატანია. ანდა, პირიქით, იწვევს... ჩემი სურვილები მიმდინარე სასწავლო წელთან დაკავშირებით ბევრი იყო. ჯეროდ, მინდოდა, სალაპარაკო ლექსიკონიდან ცუდი სიტყვები ამომეშალა, კარგ ნიშნებზე მესწავლა და, რაც მთავარია, მეგობრული დამოკიდებულება მქონოდა თანაკლასელებთან. როცა კარგად მოვიქცევი, დღის რეჟიმს დავიცავ და კარგ ნიშნებს მივიღებ, მშობლები კარგად მეპყრობიან და ბევრ რამესაც დამპირდებიან ხოლმე, თუმცა, უმეტესობა არ სრულდება. რატომ? იმიტომ, რომ მეორე, მესამე ან სულაც ერთი კვირის შემდეგ სამიანს „მივართმევ“ მათ და ყველა დაპირებაც საპნის ბუშტივით ქრება... ჩემდა „საუბედუროდ“, დაბადებიდანვე ხატვისა და მწერლობის ნიჭი „დამბრალდა“. ჰოდა, კლასში ხშირად მავალებენ კედლის გაზეთისა და ალბომების გაფორმებას. ეს არც ისე რთულია, მაგრამ ბევრია“.



„ბეთჰოვენი“

წლებმა უჩვენა, რომ მას ეს ნიჭი შეცდომით არ „დაჰბრალდა“. 16 წლის გენიალური მხატვარი დათო კრანაშვილი არსებობდა, არსებობს და იარსებებს, რადგან მარადისობა არ ცნობს ჟამს. რა ვუყოთ, რომ დღეს თითქმის ყველამ მიივიწყა და ერთგვარად გაიზიარა თავისი კუთხის დიდი შვილის — ნიკოლას მწუხარე ბედი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაწყებულმა კატაკლიზმებმა, შესაძლოა, ერთგვარად თავის მართლების საშუალებაც მოგვცა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ერი, რომელიც ასეთ საუნჯეს დასავინწყებლად გაიმეტებს, ასეთ სულიერ სიმდიდრეს წარსულის გაუვალ ბურუსს შეატოვებს, უარს იტყვის საკუთარ მომავალზე.

ბიჭი გენიოსი იყო და მადლობა შევწიროთ ღმერთს, რომ დათომ ჩვენს ალტაცებაში მოსაყვანად თავისი გენის ნაწილი დაგვიტოვა“ (მაქს გეიტორი, ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე).

საგულისხმოა, რომ დათოს სურათების თითქმის სრული სპექტრი: „ცხოვრების წრე“, „ავდარი დასავლეთში“, „გალაკტიონი“, „ბარათაშვილი“, „ბეთჰოვენი“, „მათხოვარი“, „ადამიანი და სამყარო“, „დაბადება“... — სულისშემძვრელი და ნათელი სევდითაა დაღდასმული. სევდა მირონივით იღვრება მისი ტილოებიდან, გვამშვიდებს და სულიერად გვწმენდს. ეს ისაა, რასაც პოეტი ნაზი კილასონია „ამონათებას“ უწოდებს, იმ ციაგს, რომელიც უკვდავებას სჩვევია გზის დასაწყისში.

1981 წლის 30 მაისს შავნაბადაზე გაშენებული ბორის ძნელაძის სახელობის ახალგაზრდული ქალაქის საგამოფენო დარბაზში „ფიროსმანი“ მოეწყო დათოს ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა, რომელმაც 6 თვეს გასტანა. 1982 წლის 4



„ადამიანი და სამყარო“

ახალგაზრდულ ქალაქში დათოს მშობლიური სიღნაღის რაიონის მცხოვრებლებმა უდროოდ წასული მხატვრის მუზეუმი ააშენეს, მაგრამ მისი არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოში განვითარებულმა მძიმე პოლიტიკურმა მოვლენებმა გადადარა ყველაფერი და ერთგვარად ახდა დათოს წინათგარძობაც, რომლის შესახებაც თავის ლექსში წერდა:

„გასვენების დღეს იქნება წვიმა, წვიმის წვეთებიც დამიტვირებენ, დამასვენებენ თბილისის მიღმა და, ალბათ, სამუდამოდ, დამივიწყებენ“...

დათოს ძმას — გოგა კრანაშვილს არ სურს, ეს დაიჯეროს. დღეს ის ზრუნავს გენიოსი ძმის შემოქმედების საზოგადოებისთვის შესვენებაზე:

„ეტყობა, ასეთია ქართული ნიჭის ხვედრი: ან უცხოეთში უნდა გცნონ და გალიარონ, ან ზდანევიჩი უნდა გადაგაწყდეს შენსავე ქვეყანაში, რომ მოგხედონ და გიპატიონონ. 2007 წლის მაისში „თი-ბი-სი ბანკის“ საგაოფენო დარბაზში დათოს 72 ტილო გამოიფინა. დათოს ლექსებს ბატონი მურმან ჯინორია კითხულობდა. გამოფენა 3 კვირა გრძელდებოდა. მოვიწვიეთ ყველა, ვისაც ავტორიტეტული სიტყვა ეთქმის ქართულ კულტურაში. მოვიწვიეთ ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მაგრამ მხოლოდ კობა ხაბაზი მოვიდა. ამოდ ველოდით გამოხმაურებასაც... ლამის ხელი ჩავიქინო ყველაფერზე, არადა, მინდა, დათოს ნამუშევრებმა მუზეუმში დაიდოს ბინა. რაიმე განსაკუთრებულს არ ვითხოვ. ჭოტორის სახლი, რომელიც დათოს და ჩემი საკუთრებაა, ამ პროექტისთვის ზედგამოჭრილია. მჭირდება მხოლოდ ნებართვა ცენტრალური გზის ასახვევთან ერთი ტრაფარეტის დასადგმელად, რომელსაც ექნება წარწერა: „დათო კრანაშვილის ქუჩა“. მას შემდეგ, რაც სიღნაღმა ტურისტული ფუნქცია შეიძინა, ასეთი ადგილის არსებობა მხოლოდ მომგებიანი იქნება. ჩემთვის გაუგებარი მიზეზით ნებართვა — მუზეუმის გახსნის ლიცენზია არ მომცეს. სპორტის, ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობის დასახელებისგან ახლა თავს შევიკავებ, მითხრა, მე არაფერი შემიძლიაო“...

გოგა კრანაშვილი, ალბათ, მართლაც ხელს ჩაიქნევს და გენიოსი ძმის ნამუშევრების ბედს, ფიროსმანის მსგავსად, ახალი პიკასოს ან ზდანევიჩის გამოჩენის იმედით მომავალს მიანდობს... მაგრამ ჯერ კიდევ ბუსუბავს იმედი, რომ ვარსკვლავები არ ქრებიან. ისინი ღრუბლიან ამინდში მხოლოდ თვალს ეფარებიან, რათა დარში მეტი სიძლიერით ამოკაშაყდნენ.

„გაპოპოზიდან არ მქონდა საუბარა, ღვთის სიჭყვას ვზიარებოდი“ ...

ლალი ფახია

— ღვთაების მონასტერი წლების წინ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აფხაზეთის ეპარქიას გადმოეცა და 1993 წლის ოქტომბრიდან დავმკვიდრდით კიდევ აქ. ჩვენი წინამძღვარი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელია. მე მისი მოვალეობის შემსრულებელი გახლავართ, მოადგილე. წარმოშობით სოხუმიდან ვარ. მას მერე, რაც აფხაზეთიდან ქართველები გამოიდევნენ, ღვთაების მონასტერში ვმოღვაწეობთ. დღეს აქ აფხაზეთიდან სულ ოთხი სასულიერო პირილა შემოვრჩით. ზოგიერთი მღვდელმთავარი გახდა, ზოგიც — სხვადასხვა ეპარქიის მოძღვარი. ბოლო დროს კოდორის ხეობიდან დევნილი მოძღვრებიც დაგვიმატნენ...

— მამა ბენიამინ, როგორ იყო თქვენი გზა ტაძრამდე?

— სანამ მონასტერში მოვხვდებოდი, ჩემი მოძღვარი მამა აკაკი (მელიქიძე) გახლდათ, რომელიც თბილისში, მეტეხის ტაძარში მოღვაწეობს. მონასტერში აფხაზეთის ომისა და დევნილობის შედეგად აღმოვჩნდი. ჩემთვის ეს სავანე, როგორც თევზისთვის წყალი, ისეთი აუცილებელი გარემოა. კომუნისტური რეჟიმის დროს, იმ სისტემის სანინააღმდეგოდ, ზოგი ქურდი ხდებოდა, ზოგი თავის ცხოვრებას ეკლესიას უკავშირებდა... სიმართლეს რალაცაში ეძებდა... მეც იმ დროს ვიზრდებოდი, როცა სახარების სული სიმართლე დაფარული იყო. ალექსი ღვთის კაცი, რომელიც IV საუკუნეში ცხოვრობდა და რომის მოქალაქე გახლდათ, 17 წლის განმავლობაში მათხოვარი იყო; კიდევ 17 წელიწადი მოჯამაგირედ მუშაობდა, მაგრამ ის ღმერთთან ყველაზე ახლოს (ღვთისმსახურებზე მეტად) იყო. შესაძლოა, ადამიანი განსაკუთრებულს არავფაც აკეთებდეს, მონასტერში სულაც არ ცხოვრობდეს, მაგრამ გულთა და სულით იყოს ღმერთთან. ეს



მამა ბენიამინი

VI საუკუნეში იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით საქართველოში სამოღვაწეოდ 12 ასურელი მამა ჩამოვიდა. ისინი ისეთივე მხსნელებად მოველინენ საქართველოს, როგორც წმინდა ნინო — წარმართულ საქართველოს. მათგან ერთ-ერთი — ღირსი მამა ანტონი (მესვეტე) — აკრიანის უდაბურ მთაზე (სოფელ მარტყოფის მახლობლად) დამკვიდრდა და იქ დააარსა მონასტერი. როდესაც მონასტრის საძმო მომრავლდა, მამა ანტონმა მას ღირსეული წინამძღოლი მიუჩინა, თვითონ კი განმარტოებულ ღვანლს შეუდგა. უკანასკნელი 15 წელიწადი ის საკუთარი ხელით აგებულ სვეტზე მოღვაწეობდა. ამიტომ მას მარტომყოფელი ეწოდა, ხოლო მონასტრის ახლომდებარე სოფელს — მარტყოფი. ღირსი მამის დაარსებულ მონასტერს ღვთაება ეწოდა იმ ხელთუქმნელი ხატის პატივსაცემად, რომელიც ანტონ მარტყოფელმა იეროპოლიდან ჩამოაბრძანა... 29 აგვისტოს, ანჩისხატობას, სწორედ ამ დიდებულ მონასტერს ვესტუმრე, სადაც მამა ბენიამინს (ბელქანია) ვესაუბრე. დღეს ეს მონასტერი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას ეკუთვნის.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მაგალითად, ისეთი წმინდანი, როგორიცაა მარიამ მეგვიპტელი, 47 წელიწადი განმარტოებით ცხოვრობდა, ტაძარი არც უნახავს, მაგრამ ისეთ სულიერ მდგომარეობას მიაღწია, რასაც მჭვრეტელობა ჰქვია, ზეპირად იცო-



მამა ანტონ მარტყოფელის საფლავი

და წმინდა წერილი და ფსალმუნები.
— როგორ?

— სინანული ჰქონდა, განმარტოებით ლოცულობდა, მარხულობდა... მაგრამ ყველას არ შეუძლია ასეთი სულიერი წარმატების მიღწევა. ეს ერთეულების ხვედრია. ამიტომ აღსარება, ზიარება, წირვა-ლოცვაზე სიარული, ადამიანს სულის განწმენდაში ეხმარება.

— როგორ ფიქრობთ, დღეს ადამიანები ცდილობენ სულის განწმენდას?

— დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ვის ხელშიც ფული და ძალაუფლებაა, ადამიანებს ასწავლიან, როგორ გახდნენ თავისუფალი, მაგრამ ამას ეკლესია სხვაგვარად გვასწავლის: ადამიანი თავისუფალი ვერ გახდება, თუ ვნებებისგან არ განიწმინდა. მაცხოვარი დედამიწაზე რომ მოვიდა, მაშინ ებრაელები რომაელების უღელქვემ იყვნენ და ქრისტე მხსნელად ვერ შეიცნეს, მიუხედავად იმისა, რომ მკვდრებს აღადგენდა, ზრმებს თვალებს უხელდა, ავადმყოფებს კურნავდა. იმიტომ, რომ მხსნელისა და მესიისგან ამქვეყნიურ კეთილდღეობას, რომაელებისგან გათავისუფლებას მოელოდნენ. თითქმის იმავეს თქმა შემიძლია დღეს საქართველოში არსებულ ვითარებაზე: კომუნისტური წყობის შემდეგ საქართველოს მოქმედების თავისუფლება მიეცა, მაგრამ მოქმედების თავისუფლება განსაკუთრებით ვერ გამოიყენა ბეჭდურმა თუ ელექტრონულმა მედიამ, რადგან ტელევიზიითა და პრესით მოზარდი თაობის მასობრივი სულიერი განადგურება მიმდინარეობს. ტელევიზორებზე, სერიალებში ნაჩვენები სისასტიკე შეიძლება ვაჟაკობად მიიჩნიონ, გარყვნილება კი — სიყვარულად. ეს განსაკუთრებით ლათინურამერიკულ სერიალებს ეხება. ნათქვამია, ბავშვის აღზრდა გაღიმებიდან იწყებაო. თუ ჩვენი პატარებისთვის მაგალითი წმინდანების (გიორგი, ნინო, ეკატერინე, ბარბარე) ცხოვრება იქნება, მაშინ, როგორც ამ-

ბობენ, საქართველო გაბრწყინდება, მაგრამ თუ მათთვის მისაბადი ლათინურამერიკული სერიების გმირი გახდება, ამას საქართველოს დაქცევა მოჰყვება. ბიბლიის მიხედვით, თუ ღვთის მადლით, ტაძარი მოქმედია და ნონება არ იქნა, ადამიანს თმის ღერიც არ ჩამოუვარდება. რუსები არიან ჯოხნი ღვთის ხელში! ძალმა მთელი ყურადღება ჯოხზე რომ გადაიტანოს, როდესაც მას ადამიანი ურტყამს, დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც გავიძახით — „სტოპ, რასია“ ეს კი არა, უნდა ვიძახოთ — „სტოპ, ცოდვა!“ უნდა განვეშოროთ ცოდვებს და ღმერთი არა მარტო შეაჩერებს რუსეთის მთავრობის აგრესიას, არამედ აფხაზეთსა და სამაჩაბლოსაც დაგვიბრუნებს!

— წარმოშობით სოხუმელი ვარო, ბრძანეთ... ალბათ, განიცდით თქვენი მშობლიური კუთხის ნოსტალგიას...

— რა თქმა უნდა... სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. ნებისმიერ ადამიანს უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა... იმედი მაქვს, სიძულვილს სიყვარული სძლებს!.. გაბოროტებასა და სიძულვილს მასმედია არ უნდა უწყობდეს ხელს. საქართველოს ტელევიზიების ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთის სიძულვილს თესავს და რუსეთის ტელევიზიების წარმომადგენლები კი ქართველებისა. თუ ქრისტიანები ვართ, მტერიც უნდა გვიყვარდეს, არც ერთი ეროვნება არ უნდა გვძულდეს. მაგრამ სიყვარული არ ნიშნავს ბოროტებასთან შეგუებას. როგორც მოგახსენეთ, აფხაზეთიდან ვარ და ხშირად მსმენია, რომ ჩვენი ზოგიერთი ქრისტიანი ჯარისკაცი ცუდად მოქცევა აფხაზ მანდილოსანს, იმიტომ, რომ გაუგია, როგორ ექცეოდნენ ჩვენები ან აფხაზები ზოგიერთ ქართველს... ჩვენი წინაპრები კლავდნენ მტერს, მაგრამ არა სიძულვილით. თუკი ჩვენ ნებისმიერი ერის სიძულვილი დაგვძლევს, მაშინ ღვთის მადლს დავკარგავთ.

— მრეელი თქვენს ტაძარში საიდან მოდის?

— ეს ტაძარი კომუნისტების დროს უმოქმედო იყო. იმ პერიოდში აქაურობას, ძირითადად, უახლოესი ორი სოფლის — ნორიოსა და მარტყოფის მოსახლეობა აკითხავდა, რადგან მამა ანტონ მარტყოფელის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ. მამა ანტონი ხომ მასთან ყველა რწმენით მოსულს შეეწევა. დღესდღეობით, ღვთის მადლით, ტაძარი მოქმედია და ნორიოელებისა და მარტყოფელების გარდა აქ კახეთიდან, ქართლიდან და სხვადასხვა კუთხიდან მოდიან.

— მამა ანტონი ხომ მონასტერშია დაკრძალული?

— მამა ანტონი ტაძარშია დამარხული. როდესაც მის საფლავს რწმენით ვეხებით, ჩვენზე ღვთის მადლი გადმოდის. სახარებაში წერია, — რწმენის მიხედვით მოგეცესო. ამიტომ წმინდანების საფლავებთან ადამიანს სურვილი უსრულდება.

— სურვილი მართლა ყველას უსრულდება?

— ერთმა კაცმა მითხრა, მამა გაბრიელის საფლავთან ვიყავი და სურვილი არ შემისრულდაო. გაიხსენეთ ლოცვა „მამაო ჩვენო“ როგორ მთავრდება: „იყავ ნება შენი...“ რატომ? იმიტომ, რომ ღმერთმა უკეთ



ეს ტაძარი კომუნისტების დროს უმოქმედო იყო

იცის, ადამიანის ცხოვნებისთვის რა არის კარგი. მაგალითად, ბევრი გაბოროტებული იმის გამო, რომ შვილი გარდაცვლია, არადა, ღმერთს იმ ქვეყნად ნაკლებად ცოდვილი ადამიანი მიჰყავს; მშობელს ხომ უყვარს თავისი შვილი, ღმერთს კი მასზე მეტად უყვარს ყოველი ადამიანი. მამაჩემის მაგალითს მოვიყვან: ჩემი ძმა მოძღვარი იყო. დედა მორწმუნეა, ახლა ბოდბის მონასტერშია მორჩილად, მაგრამ მამას მთელი ცხოვრება არ ესმოდა, რატომ იყო ცოდვილი. მას გარდაცვალებამდე 7 წლით ადრე ენაზე სიმსივნე გაუჩნდა, მაგრამ იმას,



სვეტი, რომელზეც ანტონ მარტყოფელი მოღვაწეობდა

შოროს ცოდვას. სამწუხაროა, რომ ნარკომანების საზოგადოების ერთი ნაწილი ზემოდან, ამრეზით უყურებს, არადა, არაერთი ამბავი ვიცით, მაგალითად, მოსე შავს 40 კაცი ჰყავდა მოკლული, მარიამ მეგვიპტელი ბავშვობიდან მეძავი გახლდათ, კვიპრიანე — ღვთის მგომობი და ჯადოქარი, მაგრამ ბოლოს ყველანი წმინდანები გახდნენ; იუდა მოციქული ეზიარა კიდეც, მაგრამ მოლაღატე იყო. ამიტომ ეკლესია გვასწავლის, რომ არავის ვუყუროთ ზემოდან, არ განვიკითხოთ, თორემ დავეკარგავთ ღვთის მადლს. დღეს ქართველს არა მარტო აგრესორები სძულს, არამედ თავისი თანამომეც, რადგან მას საპირისპირო აზრსა და პოზიციას ვერ აბატიებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ვიმეორებ, მადლი აკლიათ. ღმერთთან მიკერძობება არ არსებობს, მადლი ყველა სულიერს მიეცემა, მაგრამ როგორც ნოეს დროს იყო კიდობანი, ასევე უნდა მიაშუროს ადამიანმა გადასარჩენად ეკლესიას. დიახ, ეკლესია არის კიდობანი გადარჩენისა! იმიტომ კი არა, რომ მღვდელი ღმერთია, არა, ის ადამიანების სულის მკურნალად ღვთისგან არის დანესებული. თუ რომელიმე მოძღვარი აშავებს, თქმა, ამის გამო ეკლესიაში არ მივალ, არასწორია...

— 29 აგვისტოს თქვენმა მონასტერმა აწისხატობა იზეიმა...

— მამა ანტონმა უფლის ხელთუქმნელი ხატი საქართველოში VI საუკუნეში ჩამოაბრძანა. ეს ხატი დამპყრობლების შემოსევისას ეპისკოპოსმა გიორგიმ XIV საუკუნეში გადაამალა. ამბობენ, ის მონასტრის ტერიტორიაზე და ღმერთი როცა იწებებს, ანუ როცა ქართველი ხალხი სინანულში იქნება, ამ ხატს

მაშინ გამოაჩენს და საქართველო გაბრწყინდებაო. საქართველოს გაბრწყინებაში იგულისხმება, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მივიდეს ღმერთთან, ისეთი, ვინც იმედს ღმერთზე დაამყარებს. სახარების მიხედვით, ხელისუფლება უნდა გვიყვარდეს, ვლოცულობდეთ მისთვის, მაგრამ იმედს მხოლოდ ღმერთზე უნდა ვამყარებდეთ. რატომ ღოცულობს ეკლესია? იმიტომ, რომ ღმერთმა ერი მოაქციოს ბოროტებისგან.

— ეროსკაცობაში პროფესიით ვინ იყავით?

— მშენებელ-ინჟინერი.

— იყო თუ არა შეცდომა, რომ ეს პროფესია აირჩიეთ?

— იყო მშენებელ-ინჟინერი სულაც არ არის ცოდვა და დანაშაული...

— არა, მე ვგულისხმობ იმას, რომ თავიდანვე სასულიერო განათლება არ მიიღეთ...

— გული იმაზე კი არ მწყდება, რომ სასულიერო სემინარიაში არ მისწავლია, არამედ იმაზე, რომ ბავშვობიდან არ მქონდა საშუალება, ღვთის სიტყვას ვზიარებოდი, მით უმეტეს, რომ ღვთის ყოველთვის მწამდა. მორწმუნე იყო ბავშვობიდან ჩემი ძმაც, მაგრამ სამჯერ მოხვდა ციხეში ქურდობის გამო. მას არ ესმოდა, რომ ქურდობა ცოდვაა... თუმცა წლების შემდეგ ისიც მოძღვარი (მამა ელისე) გახდა... როდესაც სასჯელს მესამედ იხდიდა, სახარება წაიკითხა და ცოდვები აღიარა, ყველაფერი მიატოვა და ღვთისმსახური გახდა. ის 2001 წელს გარდაიცვალა და მის სურათებს მირონი გადმოუვიდა. მე რომ გარდავიცვლები, ჩემს სურათებს მირონი არ გადმოუვა, რადგან ვისაც მეტი ეპატია, მას მეტად უყვარს ღმერთი. როცა ჩემი ძმა მიხვდა იმას, რომ აშავებდა, უფალს მეტი ერთგულებით მსახურებდა, ღმერთი კი დაფარულს ხედავს...

რომ ცოდვილი იყო, სიკვდილამდე ერთი თვით ადრე მიხვდა და თვალეზიდან ცრემლი წამოუვიდა. არადა, გული მიკვდებოდა, როდესაც ვლოცულობდი და ის არ იკურნებოდა. მიკვირდა, ვერ ვიგებდი, რა ხდებოდა. მერე მივხვდი, რომ ღმერთი მისი სულის ცხოვნებისათვის ყველაფერს აკეთებდა. მამა ავადმყოფობამ იქამდე მიიყვანა, რომ საკუთარ თავში ცოდვები დაინახა. ვინც ამას საკუთარ თავში ვერ ხედავს, იგი მკვდარია. ადამიანის მიზანი სულიწმიდის მოხვეჭა და ღმერთთან ერთობაა. ვინც ღმერთთან ერთობაშია, ის თავის ცოდვებს ადვილად ამჩნევს.

— მამა ბენამინ, თქვენს ტაძარს ნარკომანები თუ აკითხავენ?

— ვინც ნარკომანიის სენით არის შეპყრობილი, ძირითადად, მამა ბართლომესთან მიდის; ის ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარია თბილისში (ამ ტაძარს ნარკომანებთან მუშაობისთვის პატრიარქის ლოცვა-კურთხევა აქვს). გარდა ამისა, მამა ბართლომეს მარტყოფშიც აქვს მონასტერი (აქედან სამ კილომეტრში), სადაც ნარკომანები აკითხავენ, მცხეთის რაიონშიც არის ტაძარი, სადაც ასეთ ადამიანებთან ბერები მუშაობენ. ჩვენთან კი შეიძლება მივიღო მხოლოდ ერთი ნარკომანი, მეორეს მასთან ერთად არ ვიღებ, ერთმანეთზე ზეგავლენა რომ არ მოახდინონ. ზოგი მართლაც გამოსწორდა.

— მონასტერში ყოფნისას გემორჩილებიან?

— ზოგი ისეთია, მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვილაცამ მაინცდამაინც ფიზიკურად იშრომოს. მთავარია, ადამიანი განე-



ღვთაების მონასტერი



ეპისკოპოსი დავით კაკაბიძე

ურაგა მიზნული მიტროპოლიტი და აკლესიის კურთხევის უზირული სუთი სისოსხლა

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მართლმადიდებლობას ბრძოლა გამოუცხადა. „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა!“ — ამ ლოზუნგით ინგრეოდა ეკლესიები, სიკვდილით ისჯებოდნენ სასულიერო პირები და უბრალო ხალხი, მართლმადიდებლები. შს სამინისტროს არქივში დაცულ მასალებში კარგად ჩანს ის სისასტიკე, რომელსაც ბოლშევიკური ხელისუფლება ღვთისმსახურებთან იჩენდა.

აბა გუნიავილი

1923 წლის 3 ივნისს თბილისის ქართველი სამღვდლოების საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა უმაღლეს ხელისუფლებაში მოკალათებულ ბოლშევიკებს. „ეკლესია შედუღებულ-შესისხლხორცებული იყო ჩვენი ერის სულიერ და ნივთიერ კულტურაში. სასულიერო და საერო მწერლობა, მნიგნობრობა, ყოველივე ეს ან სასულიერო პირთა შექმნილია, ან ქრისტიანობის ღრმა ზეგავლენით არის წარმოებული. ჩვენი ეკლესია, თავისი სამღვდლოებით, დრო და ჟამის შესაფერად ერთგულად სწევდა ერის და სამშობლოს საერთო ჭაპანს. ადამიანის სინდისის თავისუფლება მუდამ დაცული იყო. თუ ვინმე უღირსი გაერეოდა სასულიერო პირებში და ეკლესიაშიც შემოჰქონდა თავისი გამხრწნელი ზეგავლენა, საქართველოს ეკლესია ებრძოდა ამ დუხჭირ მოვლენას, შეძლებისდაგვარად სცხრილავდა სამღვდლოებიდან ასეთ ელემენტებს. ქრისტიანობა შემაფერხებელი არ არის ქვეყნის და კაცობრიობის წინმსვლელობისა, პირიქით, ის მოგვიწოდებს, როგორც ზნეობრივ, ისე გონებრივ განვითარებისკენ. გთხოვთ მოგვეცეთ შესაძლებლობა ქართველ სამღვდლოებს, თავისუფლად მოვანესრიგოთ ერის სულიერი მოთხოვნები“, — ვკითხულობთ სასულიერო პირების წერილში. მათი თხოვნის მიუხედავად, იმავე წელს, გაზაფხულზე, ბოლშევიკებმა თელავის მაზრის ყველა ეკლესია დახ-

ურეს, საეკლესიო ქონება კი მიითვისეს. თელავის შემდეგ ჯერი სიღნაღზე მიდგა. ბოლშევიკებს კრება გაუმართავთ და მოედანზე თავმოყრილ მოსახლეობას მუქარანარევი ტონით ეკითხებოდნენ: ეკლესია, მღვდელი, ნათლობა გინდათ თუ არაო? ხალხს დასტურის ნიშნად ხელი აუწევია, მაგრამ ვიღაცას უყვირია, არ გვინდაო, და მოსახლეობის შრომითა და შემწეობით აგებული ეკლესიაც დაუკეცავთ. სიღნაღის შემდეგ ბოლშევიკები მათხოჯის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერს მიადგნენ. მონასტრის წინამძღოლს, ილუმენია ქეთევანს წერილიც კი გაუგზავნია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარის სახელზე: „ჩვენ არ შეგვიძლია უეკლესიოდ ან უმღვდლოდ ცხოვრება. ჩვენ ვასრულებთ მთავრობის ყოველივე კანონს, მოთხოვნილებას, ოღონდ ნუ შეეხებით ჩვენს რწმენას და სინდისს. თუ მონასტრის დახურვა მთავრობას განუზრახავს პრინციპიალურის მოსაზრებით, მაშინ რა ვქნათ, შეველევი და დახურეთ ეკლესია, ხოლო ჩვენ კი დაგვტოვებ ჩვენს ბინაში ან ყოველ შემთხვევაში საავადმყოფო თუ გაიხსნა, ჩვენც იქ გავმსახურონ“, — სწერდა ილუმენია ხელისუფლებას. იმხანად მონასტერში ოცდაათი მონაზონი ცხოვრობდა, მათგან თექვსმეტი — მოხუცი და უმწეო. მონაზვნები თავს ხელ-

საქმით ირჩენდნენ, — ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო. ორმოცწლიანი სამონასტრო ცხოვრების შემდეგ მონაზვნები, ფაქტობრივად, უსახლკაროდ დარჩნენ.

საარქივო მასალების მიხედვით, კომუნისტებს იმერეთში, სოფელ როდინაულშიც გაუუქმებიათ ეკლესია და მის ადგილას თეატრი გაუხსნიათ. მორწმუნეებმა ეკლესიის აღდგენა გადაწყვიტეს და მის საკურთხებლად ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა მიიწვიეს. მიტროპოლიტი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ჩასულა როდინაულს, მწუხრისა და ცისკრის ლოცვები აღუვლენია ეკლესიაში, შემდეგ კი სოფლის მღვდელთან, მამა დომენტი გიორგაძესთან ერთად მახლობლად მცხოვრები გლეხის, მათე ჩუბინიძის ოჯახში მისულა სადილად. რა თქმა უნდა, ეს ბოლშევიკებს არ გამოჰპარვიათ. სოფელ სვირის რაიონის კომპარტი უმალ მივიდა ცნობა როდინაულში გამართული „ანტიმსახრთა ღონისძიების“ შესახებ. რეაგირებასაც არ დაუყოვნებია: აღმასკომის



ამბროსი ხელაია სულიერად ვერ გატყვეს

თავმჯდომარის მოადგილემ ამბერკი ჯუღელმა და ინსტრუქტორმა გიგინეიშვილმა როდინაულში საგანგებო დავალებით გაგზავნეს მილიციის უფროსი და უბრძანეს, დაეპატიმრებინა და სვირის რაიონის სასამართლოში მიეყვანა მღვდლები. მილიციელებმა დავალება შეასრულეს და თერთმეტი სასულიერო პირი დააპატიმრეს. „ჩემი საწოლიდან ამგდეს და ცემა-ტყეპით გამაგდეს ზალაში. მიჩვენეს რაღაც, წითელი მელნით ნანერი, რომლითაც თითქოს ჩვენი დაპატიმრება ევალებოდათ. შემდეგ მთლად გამაშიშვლეს და მხოლოდ პერანგის ამხანაგის ამარა, ლამის პირველ საათზე ძალით დამანვინეს ურემზე, ხელ-ფეხი შემიკრეს, როგორც ბოროტ ავაზაკს და ურმის ძაძგუნით, სამინელი ტკივილებით მიმიყვანეს აღმასკომში, სადაც ერთ პატარა ოთახში შემაგდეს“, — წერდა ჩვენებაში

გაუგზავნია: „სოფელ ახალი გავაზას ეკლესია, რომელშიაც მე ვასრულებდი მღვდელმსახურებას, ადგილობრივმა პოლიციამ სამკითხველო გადააქცია და მე ამით საბლოცველო მომიხპო. ამიტომაც უმოჩინოვად გთხოვთ რევეკოს, მომცეს ნება, სოფელ ახალ გავაზაში, მსურველთათვის აღვასრულოთ მღვდელმსახურება ეკლესიის გარეშე, სასაფლაოზე, მიცვალებულთა დასასვენებელში“, — სწერდა თელაველი მღვდელი უღვთო კომუნისტებს.

მოსახლეობა ცდილობდა, წინააღმდეგობა გაენია ბოლშევიკებისთვის და ეკლესია-მონასტრების დარბევის საშუალება არ მიეცა, მაგრამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება არაფერს ერიდებოდა, — ხალხს დაუნდობლად არბევდა. მაგალითად, კასპის რაიონში, სოფელ ქვემო ხანდაკში ოთხი პარტიული მუშაკი ჩასულა და ხალხისთვის ეკლესიის დახურვა უბრძანებია. დიდი და პატარა ფეხზე დამდგარა, ევედრებოდნენ ხელისუფლების წარგზავნილ პირებს, არ დაეკეტათ სოფლის ერთადერთი ეკლესია, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა ბოლშევიკები. ხალხის დასამინებლად იარაღი მოუმარჯვებიათ, თუ არ დაიშლებით, ცეცხლს გაგიხსნიით! — დამუქრებია.

არქივში შემონახულია 1923 წლით დათარიღებული წერილი, რომლის ავტორი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დავით კვაჭახიძეა, ადრესატი კი — ხელისუფლების თავკაცი მიხა ცხაკაია. „მე თქვენ გიცნობდით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისის სემინარიაში ვსწავლობდი, როდესაც თქვენ მოსწავლეთა შორის სთესავდით სოციალიზმის თესლსა. სუფთა რელი-

გია თავისთავად სრულიადაც არ უშლის ხელს კომუნისტური ურთიერთობების დამყარებას, მით უფრო სახარებისებრი ქრისტიანობა. არა ჯერ არს მღვდელთა და ღვთისმეტყველთა ნაკლუვანება — შეცოდებათა გადატანა თვით საწმინდოებაზე! ადამიანის და კაცობრიობის დღევანდელი ფსიქიკა აუცილებლად მოითხოვს, დაკმაყოფილებულ იქნას მისი მისტიურ-რელიგიური მოთხოვნილებაც. კომუნისტების გაძლიერებისთვის უმჯობესია, საბჭოთა ხელისუფლებამ უმადლესი საერო მთავრობის №25-ე დეკრეტი საწმინდოების შესახებ დაიცვას. ხოლო თუ საეკლესიო წესებში და სამღვდლოებში რამეა დასაგმობი, მიზეზი თვით რელიგიაში — ქრისტიანობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თავად სამღვდლოებაა გასაჩოქი“, — ასე ცდილობდა ეპისკოპოსი ხელისუფლების მოქცევას.

ასეთი შინაარსის მიმართვა, თხოვნა და წერილი არაერთი გაგზავნილა მთავრობის სახელზე, მაგრამ ეკლესია-მონასტრების ადგილას მაინც იხსნებოდა კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სკოლები... სულ მალე გენუის გაზეთ „კაპარაში“ დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას ვრცელი წერილი, სადაც ის დეტალურად აღწერდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას და გმობდა ბოლშევიკების მცდელობას, მიწასთან გაესწორებინათ ქართველი ერის თვითმყოფადობა. „ხალხს ართმევენ ქონებას, რომელიც მათ წინაპართაგან ერგოთ. ცდილობენ დაავიწყონ ხალხს მშობლიური ენა და დაგვიმახინჯონ ნაციონალური კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. შეურაცხყოფენ ქართველი ხალხისთვის ყველაზე ძვირფას განძს — რწმენას და ხალხს უკრძალავენ, დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილებები. ასე რომ, ერი დიდ განსაცდელშია!“ — ასე ცდილობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავისი სამწყსოს შევიწროებული ყოფა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებამ მიეღწა. წერილს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ კათოლიკოს-პატრიარქი დააპატიმრა. დიდხანს ჰყავდათ პატიმრობაში. მართალია, სულიერად ვერ გატეხეს, მაგრამ ფიზიკურად ისე დაასუსტეს, რომ გათავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი ასეთი სიტყვები დაუტოვა კომუნისტებს: „სული ჩემი ღმერთს ეუფთვნის, გული — ჩემს სამშობლოს, მძორი, ჯალათებო, თქვენ, და რაც გინდათ, ის უყავით“...




მღვიმის მონასტრის დედათა კრებული. XX საუკუნის დასაწყისი

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი. თერთმეტი დაპატიმრებული მღვდელმსახურიდან ხუთი — ისინი, ვინც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებად მიიჩნია ხელისუფლებამ, რადგან სასტიკი წამების შემდეგაც არ თქვეს უარი მღვდელმსახურებაზე, ბოლშევიკებმა სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის იყო 5 წლის მიტროპოლიტი ნაზარი ლუჟაყაძე.

XI საუკუნის დროინდელი მღვიმის დედათა მონასტერი, ფარღალალა ხის სენაკებით, ჭიათურიდან სამი ვერსის მოშორებით, მიუყვალ, კლდოვან ადგილას იდგა. მონაზვნებს აქ წისქვილი და სახნავ-სათესი პატარა მიწა ჰქონდათ. საბჭოთა მთავრობამ მონასტერს ქონება ჩამოართვა, ხოლო 25 მონაზონი, რომლებსაც სიცოცხლის დიდი ნაწილი აქ ჰქონდათ გატარებული, საზრდოსა და თავშესაფრის გარეშე დატოვა.

საქართველოს ყველა კუთხეში, ეკლესია-მონასტრების გადასარჩენად ხალხი ხელმოწერებს აგროვებდა, მაგრამ უშედეგოდ.

არქივში დაცულია თელავის მაზრის სოფელ ახალგავაზის მღვდლის რაჟდენ თურქაძის წერილი, რომელიც რევოლუციური კომიტეტისთვის



ეკლესია-მონასტრების გადასარჩენად შეგროვებული ხელმოწერები

უსიყვარულო მოჩონება

სტატისტიკის მიხედვით, უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახების უმეტესობა ინგრევა, მხოლოდ ერთეულები თუ ეგზეციბიან ბედს და მთელი ცხოვრება „სიყვარულს თამაშობენ“, სხვებს კი წლების განმავლობაში უფრო და უფრო უყვარდებათ ერთმანეთი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელია და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ მოზარდს ნაჩქარევად და გაუაზრებლად ოჯახის შექმნას არავინ ურჩევს.

ჩემი რესპონდენტები რამდენიმე თვის წინ თავადვე დამიკავშირდნენ. თავდაპირველად, თითოეული მათგანი (ქალბატონი ვენერას გარდა) თქვენგან რჩევას ითხოვდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვილაპარაკეთ, გადაწყდა, რომ მათი სატყვიფრისა თუ სიხარულის მკითხველისთვის გაზიარება ინტერვიუს სახით სჯობდა. იმედია, მათ მაგალითზე მოზარდები მზავს შეცდომას აღარ დაუშვებენ.



ლიკა ქავია

ანუ ეამპიტლქული და ეაყმაპიტლქული იქლი

მანანა, 52 წლის:

— ჩემს ბავშვობაში ამდენი გასართობი ადგილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ისიც გვაკმაყოფილებდა, რაც გვექონდა. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიცოდით, ვთქვათ, უკეთესი საქანელებიც თუ არსებობდა. კინოთეატრში სიარული ყოველთვის მომწონდა, რადგან სოფლის ახალგაზრდობა იქ მხოლოდ ფილმის სანახავად კი არ დადიოდა.

— აბა, კიდევ რისთვის?

— ბიჭების გასაცნობად, სალაზღანდაროდ. შეყვარებულები ერთმანეთს პაემანს სწორედ კინოთეატრში უნიშნავდნენ.

— კი, მაგრამ ეს ყველაფერი თქვენს გათხოვებასთან რა კავშირშია?

— პირდაპირ კავშირშია, გენაცვალე, პირდაპირში. კინოთეატრის დირექტორმა თვალი დამადგა და დაუფარავად მითხრა კიდევ, კარგი ბიძაშვილი მყავს. მითხარი, აქ კიდევ როდის მოხვალ და იმ დღეს ჩამოვიყვან შენს სანახავად. იმ კაცს დავცინე, ნამეტანი კარგი ბიჭი იქნება, საცოლის ამორჩევის შნო თუ არა აქვს-მეთქი. დამემუქრა, გაჩვენებ, რა შნოც აქვს და მერე სულ ფხებს დამიკოცნიო. მაგას ვერ მოესწრებ-მეთქი და კარგადაც მივანყველე. შემდეგ კინოში წასვლისგან თავს ვიკავებდი. ერთ დღეს გავიგეთ, რომ ახალი ინდური ფილმი ჰქონდათ მოტანილი და ბილეთი დაქალს ავალბებინე. კინოთეატრში მეგობრებთან ერთად წავედი. შუა სენსის დროს შენობის დარაჯმა გარეთ გამიხმო, ვილაცხები გეძახიან, შვილო, მგონი, შენი ნათესავები უნდა იყვნენო. ეზოში დაუფიქრებლად გავედი და სწორედ აქ დავუშვი შეცდომა, — კინოთეატრის დირექტორის

ბიძაშვილმა, მანუჩარმა მომიტაცა. სვანეთში ამიყვანა და როცა ლამის თავი მოვიკალი ტირილით, თქვა, ამ გოგოს ცოდვას ვერ დავიდებ, სახლში უნდა დავაბრუნოო. ეს რომ გავიგე, გახარებული ვეტაკე და ხელები დავუკოცნე. მითხრა, ერთი ნახვით შემიყვარდი, მაგრამ თუ არ დარჩები, რა გაწყობა, სახლში დავაბრუნებ, მე კი შინ დავბრუნდები და თავს ჩამოვიხრჩობო...

— და, ალბათ, ამან იმოქმედა თქვენზე, მერე კი ცოლადაც გაპყვიო, არა?

— ჰო, ასე იყო. თავში ტვინი არ მქონდა და ჩემი უბედურებაც ეს იყო. მასთან დავრჩი და ამას მთელი ცხოვრება ვნანობ.

— მისი შეყვარება დღემდე ვერ მოახერხეთ?

— იცი, ყველანაირად ცდილობდა, ჩემი გული მოეგო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ახლა კი ცდილობს, ტანჯვა მომაყენოს და სამაგიერო გადამიხადოს.

— სამაგიერო რისთვის?

— იმისთვის, რომ ვერ შევიყვარე, იმისთვის, რომ შვილი ვერ გავუჩინე, რომ მისგან არ წავედი მაშინ, როცა შემომთავაზა, შინ დავაბრუნებო. მოკლედ, თუ ჩხუბი გინდა, მიზეზს რა გამოლევს?!

— ოჯახის დანგრევაზე არასდროს გიფიქრობ?

— გათხოვებიდან დღემდე მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ დადგეს დღე, როცა თავისუფალი ვიქნები, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, საოცრად უმწეო ვხდები. მეცოდება ჩემი მეუღლე, რადგანაც ვერ მივანიჭე ის ბედნიერება, რომელიც ოჯახის შექმნას მოაქვს. ჰოდა, ჩემი უმწეობის წყალობით თავადაც ვიტანჯები და ქმარსაც ვტანჯავ. მისგან რომ წავსულიყავი, სხვას

შეირთავდა და დღეს ბედნიერი იქნებოდა. შესაძლოა, ოდესმე მეც მწვეოდა სიყვარული... ახალგაზრდებო, ნუ დაუშვებთ შეცდომას და ნურაფერს გააკეთებთ მშობლების დაუკითხავად. ტვინი რომ მქონოდა, კინოთეატრში მმასთან ერთად წავიდოდი, მე კი ეს ვითაკილე და აი, შედეგიც — ძალიან ვიტანჯები...

ბელა, 30 წლის:

— პირველად 12 წლის ასაკში შემიყვარდა და თავი ძალიან მაგარი მეგონა. ამაყად დავაბიჯებდი შეყვარებულთან ერთად, მშობლების ნათქვამს კი არად ვგაძებდი, — მათ ჩემი სიყვარულის ამბავი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. მე და ბექა კი დაოჯახებაზე ვფიქრობდით. თავიდან ვამბობდით, რომ სკოლის დამთავრებამდე უნდა მოგვეცადა, მაგრამ 14 წლის ასაკში ცდუნებას ვერ გავუძელით და გავიპარეთ. ჩემი მშობლები ისე გაბრაზდნენ, 1 წლის განმავლობაში ჩემი ამბავი არც უკითხავთ. ბექას ოჯახმა „ვინ უყენი“ მიგვილო. უფროსები ჩვენს საქციელს არ ამართლებდნენ, ბევრჯერ გაგვიცხეს კიდევც, მაგრამ ეს დიდად არ გვადარდებდა.

ჩვენი გაპარვის დღიდან ზუსტად წლისთავზე ბიჭი გავაჩინე. ბავშვის აღზრდაში მშობლები გვეხმარებოდნენ.

— ეი, მშობლები, ბოლოს და ბოლოს, შეგირგდნენ?

— აბა, რა ექნათ? სამუდამოდ ხომ არ დამკარგავდნენ!.. მაგრამ ბავშვის დაბადების შემდეგ ბექას ჩემ მიმართ გული გაუცივდა, შინ გვიან მოდიოდა და თუ ვუსაყვედურებდი, მეუბნებოდა, — ჯერ პატარები ვიყავით საიმისოდ, რომ შვილი გვეყოლოდა. არ შემიძლია, თავადაც ბავშვმა ჩემზე პატარაზე ვიზრუნო... სიმართლე გითხრათ, ბავშვთან ყოფნას მეც გა-

რეთ ნანწალი მერჩინა და ამიტომაც პატარას ბებია-ბაბუებს ვუტოვებდი, თავად კი იმ კლუბში მივდიოდი, სადაც ქმარი მეგულბოდა. ერთ დღეს გავიგე, რომ ბეჟა საერთო მეგობართან მლაღატობდა და ნივილ-კვილი ავტეხე. თითქოს გონს მოეგო და ცოტა ხნით ისევ ჩემი გახდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ის არც მე მიყვარდა. ჰოდა, ჩვენს ერთად ყოფნას რაღა აზრი ჰქონდა?! 16 წლის ასაკში გავიყარეთ.

— მერე, ბავშვის გაზრდა ვინ იცისრა?

— მას დედაჩემი ზრდიდა და დღემდე უვლის. მე კი ახლა საბურძნეთში ვცხოვრობ ჩემს ბერძენ მეუღლესთან ერთად, რომელსაც 1 წლის წინ გავყევი ცოლად და ახლა ზუსტად ვიცი, რომ ოჯახს არასდროს დავანგრევე. ოჯახი ის ციხესიმაგრეა, რომელიც ზრდასრულ ასაკში უნდა ააგო და სადაც უცხო პირმა ვერ უნდა შემოაღწიოს.

— შვილი ბერძენ მეუღლესთანაც ხომ არ გეყოლა?

— მყავს 2 თვის ნინია, რომელზეც ჭკუა მეკვებება.

— პირველი შვილისგან განსხვავებით, არა?..

— იცი, ნინია ნამდვილი სიყვარულის ნაყოფია. თანაც, ჩემი გოგონა გაცნობიერებულად გავაჩინე, ვაჟიშვილის დაბადებას კი ჩემთვის სიხარული ნამდვილად არ მოუტანია.

— როგორ ფიქრობ, როდის დაუშვი პირველი შეცდომა?

— მაშინ, როცა ვიფიქრე, რომ ბეჟა მიყვარდა და ცოლად გავყევი. გვიან მივხვდი, რა განსხვავებაა სიყვარულსა და ვნებას შორის. ჯერ კიდევ ბავშვს გგონია, რომ გათხოვილს გექნება ის, რაზეც ოცნებობ, მაგრამ მერე იმედი გიცრუვდება, მოტყუებული რჩები და ამის გამო ან ოჯახს ანგრევე, ან უფრო ცუდი — საკუთარ ბედნიერებასა და სიცოცხლეს, ჯანმრთელობას სასწორზე დებ. ჯოჯოხეთში ცხოვრებას ქმრისგან წამოსვლა ვარჩიე და ამით არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ბეჟაც და ჩემი

ვაჟიშვილიც დაღუპვისგან გადავარჩინე.

— შვილს რამდენად ხშირად ნახულობ?

— გამოგიტყდებით და მის სანახავად იშვიათად ვივლი.

— შენ რომ მოგტყეოდა ასე დედაშენი?

— (მანყვეტილებს) აუცილებლად მოვკლავდი!.. რა ვქნა, აფერისტობა არ შემეძლია და რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

მიმოზა, 24 წლის:

— მშობლები ისე მზრდიდნენ, ცივ ნიავს არ მკარებდნენ. დამჯერი ბავშვი ვიყავი, დედ-მამას პატივს ვცემდი და, ალბათ, ამიტომაც მათგან ხმაალაღი სიტყვა არ გამიგონია, მაგრამ ერთხელ ძალიან გამიჯავრდნენ, რადგან შინ მისვლა დამავიანდა. მაშინ 16 წლის ვიყავი და გადანყვეტილება ცხელ გულზე მივიღე, — ჩემს თაყვანისმცემელ ზაურს გავყოლოდი და მშობლებისთვის სამაგიერო გადამეხადა იმ ტკივილისთვის, რომელიც მომაყენეს. ჩემი ამ სულელური გადანყვეტილებით გული არა მარტო მშობლებს ვატყინე, არამედ თავიც დავღუპე... იმ საღამოს სახლიდან გავიპარე და ზაურს შინ მივავითხე. ის ჩემზე 9 წლით უფროსი იყო. ყველაფერი ვუამბე და ბოლოს ვუთხარი, — შენგან არსად წავალ. მიმსახურე, თუ გინდა, კერძადაც კი მოგიმზადებ მეთქი. გაეცინა, ამას სხვა რაღაც მირჩევნიაო და მის სანოლში აღმოვჩნდი. ზაურმა დილით მითხრა, სასწრაფოდ ადექი, სახლში წადი, თორემ ძებნას დაგინყებენო. მე წინა ღამის დანაპირები შევახსენე, — მე ახლა შენი ცოლი ვარ, თანაც, უკვე ქალწულობაც დავკარგე-მეთქი. მან კი დამცინავად შემომხედა და მითხრა, მე შენთან არ მოვსულვარ, თავად მონინდომე ჩემთან დანოლა. ასე რომ, შენს ერთგულებასა და პატიოსნებაში ეჭვი მეპარებაო... სახლში მისულს მშობლებიც ღამის ნიხლით შემდგნენ, ღამე სად გაათიეო? მაგრამ ხმაც არ ამომიღია. ეს ამბავი დღემდე არავინ

იცის და ძალიან მეშინია იმ დღის, როცა ჩემი საყვარელი ადამიანი აღმოაჩენს, რომ ქალწული არა ვარ.

— საქმრო გყავს?

— მთლად საქმროს ვერ დავარქმევ, მაგრამ შეყვარებული ნამდვილად მყავს. ის სიცოცხლესაც კი მირჩევნია.

— არ სჯობს, სიმართლე ახლავე გაუშვილო?

— ძალიან მეშინია. არა მგონია, გამიგოს.

— მაშინ მასთან ურთიერთობას რა აზრი აქვს?

— რა ვიცი, მომავლის იმედით ვცოცხლობ. ერთხანს ქალწულობის აღდგენაზეც კი ვფიქრობდი, მაგრამ მერწმუნეთ, სიცრუეში ცხოვრება ძალიან ძნელია, ამას ვერ შევძლებ.

— ზაურს იმ დღის შემდეგ არსად შეხვედრიხარ?

— სამწუხაროდ, მისი ნახვა ხშირად მიწევს. ზაურის დანახვას სიკვდილი მირჩევნია, რადგან გამუდმებით მამანტაჟებს და მასთან დანოლას მთავაზობს. ამას არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენ. თუნდაც ეს ამბავი გასკდეს, არ მენადვლება, მე ხომ მალე ისედაც ყველაფერს დავკარგავ!

— იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან..

— ჰო, შენს პირს შეაქარი, მეც ამის იმედი მაქვს... მე რომ ტუტრუცანა არ ვყოფილიყავი, ასეთი რამ ხომ არ დამემართებოდა? ვერ ავიტანე მშობლების ყვირილი და დავუშვი შეცდომა, რომელმაც არა მარტო ჩემს ცხოვრებას, არამედ ფსიქიკასაც დაასვა დალი.

ვენერა, 62 წლის:

— მე, ბებია, გარიგებით გავთხოვდი. 18 წლის შევლივით გოგო ცარიელი ტაქსით დავდიოდი. ჰოდა, ჩვენს ოჯახში მაჭანკალი მოვიდა და საქმე სწრაფად გაამანშალა. ჩემს საქმროს სულაც არ ვიცნობდი, მაგრამ მშობლების წინააღმდეგ ნასვლაც არ შემეძლო. ჰოდა, გავაგებინე შეყვარებულს, ვთხოვდები, ჩემი იმედი აღარ გქონდეს-მეთქი. ის სულელი იმ ღამით შინ მომადგა. მთვრალი იყო და ღრიალებდა, — ვენერა, შენ ჩემი პლანეტა ხარ და ამ პლანეტას ვერავის დავუთმობო. მამაჩემი გადაირია, ვინაა ეს აბდალიო და სულ პანდურებით გაუმასპინძლდა.

— შეყვარებული ასე როგორ გაიმეტეთ? ეტყობა, არ გიყვარდათ?

— ჭკუა ვქენი, რომ მოვიშორე, თორემ ვიქნებოდი ახლა ლოთი კაცის ქვრივი — ის სანყალი ღვინომ და სპირტმა ნადრევად გაათავა.

— მაგრამ მაშინ ხომ არ იყო ლოთი?

— მაშინაც უყვარდა ქეიფი და თამაღობა. ჰოდა, ამით ჩემი შეცდენა



უნდოდა. რომ არა ის მაქანკალი, ცოლად შეყვარებულის გარდა არავის გაყვებოდი, მაგრამ ის ქალი საქმის კარგი სპეციალისტი აღმოჩნდა და მეც გადამიყვანა ჭკუიდან.

— ასეთი რა გითხრათ?

— ბიჭი ისე დამიხასიათა, სულ ცრემლები ვაღვარღვარე, ასეთზე ოცნებასაც ვერ გავბედავდი-მეთქი. თან, უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული და ეს ბევრს ნიშნავდა. ძველ დროში ყველაფერი ასე გაუფასურებული კი არ იყო!

— ეი. შეყვარებულს დიპლომიანი კაცი ანაცვალეთ?

— დიას და სწორადაც მოვიქეცი! ამ დიპლომიანმა კაცმა ისეთი რაღაცები მაჩუქა, რაზეც ვერც ვიოცნებებდი, მთელი საქართველო და რუსეთი მომატარა, ანგელოზი შევიღებე და შვილიშვილები მაჩუქა და დღემდე ხელისგულზე მატარებს. მშობლების რჩევებისთვის რომ არ დამეგდო ყური, რას მივიღებდი? — მხოლოდ იმ კაცის სიყვარულს, რომელიც ღმერთმა უწყის, მართლა მიყვარდა თუ არა.

— მაქანკალი რით დააჯილდოეს?

— ჩემმა ქმარმა ოქროს საყურე უყიდა, დედამთილ-მამამთილმა კი ფული აჩუქა. სხვათა შორის, ის ქალი დღემდე ცოცხალია და ისევ ამ ხელობით შოულობს პურის ფულს. ღმერთმა ბევრი მისცეს და დიდხანს აცოცხლოს, მართლა კარგ საქმეს ემსახურება.

— თქვენ მითხრით, ღმერთმა იცის, ის ბიჭი მიყვარდა თუ არაო...

— აბა, რომ მიყვარებოდა, სხვაში როგორ გავცვლიდი? ამ ასაკში ბავშვებს ჰგონიათ, რომ ვიღაც უყვართ, მაგრამ სინამდვილეში ეს გატაცებაა.

— ქმრის შეყვარება მალევე მოახერხეთ?

— თავიდან მივეჩვიე, მერე კი შემეყვარდა და ახლა მხოლოდ იმას ვოცნებობ, რომ ჩემმა შვილიშვილებმაც გამოცადონ ისეთი სიყვარული, როგორც მე და ჩემს მუუღლეს გვაქვს. მართალი უთქვამს იმ ჭკვიან კაცს, ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდაო, მაგრამ რა ასაკშიც უნდა იყო, საკუთარ საქციელს კარგად უნდა დაუფიქრდე, ყველაფერი ანონ-დანონო და მხოლოდ მერე იმოქმედო.

— როცა თხოვდებოდით, თქვენ ყველაფერი აწონილ-დანონილი გქონდათ?

— შენ როგორ ფიქრობ?..

— საინტერესოა, იყავით თუ არა დარწმუნებული იმაში, რომ ქმრის შეყვარებას შეძლებდით?

— ვიყავი და მართალიც აღმოჩნდა. თუ ქალი რაიმეს დაისახავს მიზნად, აუცილებლად მიაღწევს! მთავარია, მოინდომო და ხესაც შეიყვარებ!



მარლინო:

„გამარჯობა „გზა“. ძალიან მომენატრე. ზაფხულში დასასვენებლად საზღვარგარეთ ვიყავი და შენს ყიდვასაც ვერ ვახერხებდი. მშობლებმა რამდენიმე ჟურნალი კი დამახვედრეს, მაგრამ მე ყველა ნომრის წაკითხვა რომ მიინდოდა?! არა უშავს, ანი მეცოდინება, როგორც უნდა მოვიქცე, — ფულს მეგობრებს დავუტოვებ და ისინი აუცილებლად შემისრულებენ თხოვნას.

— P.S. ჰო, შენი ახალი იმიჯი ძალიან მომეწონა. კარგია, „გზავნილები“ სხვა მასალებში რომ გათქვიფე, თორემ რაღაცნაირად შენს გულს მოშორებული იყო და ეს მალიზიანებდა კიდევ. აბა, შენ იცი, სულ ასეთი ახალ-ახალი იმიჯით მოგვევლინე სხვების გულის გასახეთქად“.

იკუშკები:

— ლიკა, შემძრა შენი წინა რესპონდენტების ტკივილიანმა ცხოვრებამ. მათ ბედზე დიდხანს ვფიქრობდი. ამ ახალგაზრდების ამბავი იმდენად განვიცადე, რომ საშინელი სიცარიელისა და უბედურების განცდა დამეფუფლა.

მინდა 17 წლის ნიკა გამოვარჩიო. ეს ბიჭი იმდენად ნიჭიერი და სიცოცხლით სავსეა, ისეთი ადამიანური და მოსიყვარულე, რომ ნამდვილად იმედის სხივით გამითბო გული. ნიკა, ჩემო კარგო, შენ ძალიან, ძალიან ძლიერი პიროვნება ხარ. მოვიხიბლე შენი აზროვნებითა და გონიერებით. აღფრთოვანებული ვარ იმ ძლიერი ხასიათით, რომელიც შენ გაქვს. ვერც კი წარმოვიდგენდი, შენნაირი შესანიშნავი და ლამაზი სულის ადამიანები კიდევ თუ არსებობდნენ. შენი ინტერვიუ ბევრჯერ წავიკითხე. მინდოდა შენი სიძლიერე და იმედისმომცემი განწყობილება მეც გადამომდებოდა. იმდენად რეალურად და კარგად აზროვნებ, რომ

შენგან შესანიშნავი ფსიქოლოგი დადგება. შენს სიტყვებს საოცარი იმედი მოაქვს სხვებისთვის, მინდა ლამაზი ოცნებების ასრულება გისურვო. უფალი იმდენად დიდი და სამართლიანია, მჯერა, აუცილებლად გადმოგხედავს მოწყალე თვალით და დიდ სიხარულს, ჯანმრთელობას გაჩუქებს. იცოდე, ყოველთვის ვილოცებ შენთვის, შენს სახელზე ყოველთვის დავანთებ სანთელს, რათა უფალს ვთხოვო შენი კეთილი გულისა და საოცრად სუფთა, ადამიანური სულის გამო დიდი სიხარული მოგანიჭოს. მჯერა სასწაულების.

— P.S. შენით მართლა აღფრთოვანებული ვარ“.

მათე ბიჭი, 20 წლის:

„რა საოცარია სამყარო, არა? ქვეყნად უამრავი ჟურნალ-გაზეთი არსებობს, მაგრამ ჩემი შეყვარებული „გზასა“ მიჭიჭინებული და მისი ხათრით მას მეც ვკითხულობ. თუმცა, არა, თქვენმა ჟურნალმა უკვე ისე ჩამითრია, ნინიმ რომც გიღალატოთ, მე ვეღარ დაგთმობთ. ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია „გზა“. ამ ბოლო დროს კი კიდევ უფრო საინტერესო გახდა და იმედი, მომავალში პრიალა გვერდებიც გაიჩითება. ნუ, ასეც რომ არ მოხდეს, ბევრი არაფერი დაშავდება, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ჟურნალის წაკითხვის შემდეგ არა მარტო ხელები, არამედ სახეც კი გვიშავდება („გზავ“, დავიჯერო, ჩვენი გაშავება გაქვს გადაწყვეტილი?“)

ცუცნა:

„მოგესალმებით საბერძნეთიდან, „თინეჯიკული პონტები“ მე და ჩემს მეგობრებს ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარა და დიდი მადლობა ამისთვის. ლიკა, არ გენწყინოს, მაგრამ „გზა“ რომ მაგარია, ეს შენი და შენი კოლეგის — მარი ჯაფარიძის დამსახურება კი არა, ალბათ, მთავარი რედაქტორის, ბატონი ზურაბ აბაშიძის დამსახურება უფროა. რატომ? — იმიტომ, რომ ის არჩევს მასალებს, რომლებიც ჟურნალში უნდა გავიდეს. ჰოდა, რომ არა ბატონი ზურაბის კეთილგონიერება, არც შენი რუბრიკა იარსებებდა და არც მარის „გზავნილები“ (ოღონდ ჩანართს არ ვგულისხმობ). ხომ მართალი ვარ? ამიტომაც, პირველ რიგში, მოვიკითხავ თქვენს რედაქტორს, მერე კი მთელ იმ ჯგუფს, რომელიც ჟურნალის შექმნაზე მუშაობს, შენ და მარის კი ბევრ „პაჩის“ გიგზავნით. ყველანი ძალიან მიყვარხართ. „გზა“ მსოფლიო მასშტაბით უმაგრესი ჟურნალია!!!“



ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რას ვაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

ჩოგოჩოს ბინდა

მარი ჯაფარიძე

„რატომღაც ყველა მამაკაცს მიაჩნია, რომ თუ ქალისთვის პირველი იქნება, მას კუბოს კარამდე ეყვარება და ემასხოვრება. ეს ჩემზე ნათქვამი არ არის: მე მეყვარება და ემასხოვრება ის ადამიანი, ვისაც ვჭირდები...“

ღმერთო, რა საშინელი სიტუაციაა! უნივერსიტეტში ისეთი მონაცემილობაა, რომ სიარული და ფიქრიც კი მეზარება. გაზაფხულია... ყველა მის ძალაში შესვლას ელის, რადგან გაზაფხულზე ადამიანები უფრო მეოცნებები, რომანტიკულები, კეთილები და შეყვარებულები არიან... მაგრამ არც ესაა ჩემზე ნათქვამი. ნუთუ მხოლოდ მე ვარ ასეთი უბედური?! მიღალატეს, მომატყუეს, მიმატოვეს... მე კი ის მიყვარდა... მე ის მიყვარდა?! მძულს. ვერც წარმომედგინა, რომ ვიღაცას შეეძლო, ასე მომტყუოდა. არავის მივცემ იმის უფლებას, რომ ჩემი ცხოვრება მართოს. ისე ვიცხოვრებ, როგორც მინდა! მზე, სინათლე და მე და — მთელი სამყარო ჩემია! აი, ასე ვიცხოვრებ დღეიდან!“

ის ტროტუარს მიუყვებოდა: თმა მოკლედ შეჭრილი და აჩეჩილი ჰქონდა, გახეხილი ჯინსი, ტყავის მოკლე ქურთუკი ეცვა და თასმების ნაცვლად, ბოტასებში ფართო, ცისფერი ატლასის ლენტის ჰქონდა გაყრილი. გზის მეორე მხარეს შავი „ტოიოტა“ გაჩერდა. დამუქებული მინა ჩამოიწია და გოგონამ 3 მოკლე სიგნალის ხმა გაიგონა, რომელიც აშკარად მას უხმობდა. სიგნალის ხმაზე ანგარიში-უცემლად მიიხედა. ფანჯარაში ქერათმიანი თავი მოჩანდა, რომელიც გოგონას გულლიად უცინოდა და ხელს უქნევდა.

„რა „ნაგლია“, — გაიფიქრა გოგონამ და გზა განაგრძო. 2 ნაბიჯი გადადგა თუ არა, უეცრად გაელვებულმა აზრმა შეაჩერა და სანინააღმდეგო მხარეს უბიძგა, — იქნებ ბედი? რაც არის, არის!“

გზაზე გადაიბრძინა, მანქანის კარი გაბედულად გამოაღო და მძღოლის

გვერდით სავარძელში მოკალათდა.

— გამარჯობა, — მიესალმა მანქანის პატრონი. ახლოდან ის ცოტა უფრო ასაკოვანი ჩანდა, ვიდრე თავიდან. ასე, 30 წლის იქნებოდა.

— გაგიმარჯოს, — გაუღიმა გოგონამ, — დამიძახე?

— კი, დაგიძახე, შენი გაცნობა მინდოდა.

— მე დიანა ვარ.

— დიანა, — რალაცნაირად, დამარცვლით წარმოთქვა მამაკაცმა, — მე ირაკლი მქვია, ვარ 33 წლის, ვმუშაობ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, აღმასრულებელ დირექტორად. ჩემს ცოლს ნათია ჰქვია, შვილი დიტო, 5 წლისაა. მინდა, ჩემი მეგობარი გახდე.

დიანამ მეტყველების უნარი დაკარგა. ასეთი რამ არასდროს გაეგონა, რომ მამაკაცს ასე პირდაპირ ეთქვას ყველაფერი და „მეგობრობაც“ შემოეთავაზებინოს. „შეიძლება, გაგიჟდე!.. მე ხომ ჯერ 18 წლის ვარ!.. მე რა, მისი საყვარელი უნდა ვიყო? ჩემი აზრით, ეს შეურაცხყოფელია“.

ირაკლი კვლავ ლაპარაკობდა. ის ახლა უკვე საფრანგეთში თავისი ბოლო მოგ-



ბაურობის შესახებ უყვებოდა. სიგარეტ-იც შესთავაზა და დიანამაც უარი არ თქვა. მამაკაცმა სანთებელას თითი გაპკრა და ცეცხლი სიგარეტთან მიუტანა. ამ დროს ხელით გოგონას ლოყას ოდნავ შეეხო. რბილი, თბილი თითები ჰქონდა და ის სურნელი ასდიოდა.

— ტელეფონი გაქვს? — ჰკითხა გოგონას.

დიანამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— კარგი. ახლა, სადაც მეტყვი, იქ მიგიყვან და ზეგ 2 საათზე ისევ აქ შევხვდებით ერთმანეთს. კარგი?

— კარგი, — ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც გოგონამ საუბრის დაწყების შემდეგ წარმოთქვა.

გზად ირაკლიმ ერთ ადგილზე მანქანა გააჩერა, გოგონას უბრძანა, დალოდებოდა, თვითონ კი 15 წუთით გაუჩინარდა. უკან დაბრუნებულს ხელში მომცრო ზომის ყუთი ეჭირა.

— ეს ტელეფონია, ნომერიც შეგ დევეს, — მიაწოდა გოგონას.

დიანამ მხოლოდ შეხედა. მამაკაცმა ყუთი მუხლებზე დაუდო.

ამის შემდეგ ხმა არც ერთს არ ამოუღია. ერთმანეთს არც კი დამშვიდობებინა. დიანა მანქანიდან გადმოვიდა, მამაკაცმა კი ხელი დაუქნია — ეგ იყო და ეგ.

ორი დღე მიიზღაზნებოდა. დიანა ბევრს ფიქრობდა მომხდარზე. ირაკლის არც დაურეკავს. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი თანატოლები გამოუცდელეები, არასაიმედონი არიან და საინტერესო იქნებოდა, უფროსი ასაკის მამაკაცთან შეხვედრა, მაგრამ მას ხომ უბრალოდ, მეგობრობა ან „შეყვარებულობანა“ კი არა, არამედ დიანას საყვარლობა უნდოდა?! საბოლოო



ბიზნესი

ჯამში, ინტერესმა შიშზე გაიმარჯვა.

2 დღის შემდეგ თავის საუკეთესო კაბაში გამოწყობილი და გამოპრანჭული დიანა იმ ადგილას იდგა, სადაც ირაკლის პირველად შეხვდა. ირაკლი ზუსტად 2 საათზე მოვიდა. გზაში ის ისევე მხიარულ ამბებს უყვებოდა...

პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ბინა ხის მასალით იყო მოპირკეთებული. ირაკლი გოგონას პალტოს გახდაში მიეხმარა, სავარძელში ჩასვა და შამპანურის ბოთლი გახსნა.

— ეს ბინა ცოტა ხნის წინ საგანგებოდ ჩვენთვის ვიყიდე. შენ ჩემი პირველი საყვარელი ხარ.

მათ ურთიერთობაში ეს სიტყვა პირველად გაისმა და სიჩუმე სხვანაირად გარღვია. საოცარი კი ის იყო, რომ დიანამ შიშის ნაცვლად სიამაყის გრძნობა განიცადა. შიში და შებოჭილობა სადღაც გაქრა. დიანამ საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონად იგრძნო თავი.

— წამოდი, სამზარეულოს გაჩვენებ, — უთხრა ირაკლიმ და ხელჩაკიდებული გაიყვანა.

ისინი ვინრო დერეფანში, სამზარეულოს კართან შეჩერდნენ და დიანამ კისერზე მამაკაცის ტუჩების შეხება იგრძნო.

„აღბათ, ასე უნდა იყოს, — გაიფიქრა მან. საინტერესოდ მოეჩვენა ეს ყველაფერი, — რაც არის, არის“, — გაიფიქრა და მამაკაცის კოცნას კოცნითვე უპასუხა.

საოცარი შეგრძნება დაეუფლა. ინტერესი სურვილს აღძრავდა...

შემდეგ ის დივანზე იჯდა და ლოყით მამაკაცის შიშველ მკერდს ეკვროდა, ირაკლი კი იტალიაში მოგზაურობის ამბავს უყვებოდა.

გოგონა მის ხმას უსმენდა და კედელზე მიმაგრებული საათის ნიკნიკს ყურადღებას არ აქცევდა. ისარი კი დროს გამალებით ითვლიდა.

— დროა, — თქვა მამაკაცმა და დიანას იმ სავარძლისკენ უბიძგა, სადაც მისი ტანისამოსი იყო დაყრილი.

კარში გასვლისას კი ფულის საკმაოდ მოზრდილი დასტა გაუწოდა:

— ამით ნაყინი იყიდე.

დიანას ტანში დაჰბურძღვლა: „მან გამოიყენა! ისე გამოიყენა, როგორც ბოზი! ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი?!“ — თავში მხოლოდ ეს უტრიალებდა გოგონას.

— გამომართვი, — ფული ლამის ხელში შეაჩეჩა მამაკაცმა.

— მე ამას ვერ ავიღებ, — ძლივს ამოთქვა გოგონამ.

— აილე-მეთქი, — როგორც ჩანს, სახეზე ამოიკითხა ის, თუ რას ფიქრობდა დიანა.

მამაკაცმა მისი ჩანთა გახსნა და ფული შიგ ჩადო. შემდეგ, მთელი გზა ისევე ჩუ-

მად იყვნენ. როდესაც გოგონა მანქანიდან გადადიოდა, ირაკლიმ ხელი დაუჭირა და თვალებში ჩახედა:

— შენ ყველაზე ლამაზი, თბილი და საყვარელი გოგო ხარ, ვისაც კი ვიცნობ. ხვალ, 4 საათზე ისევ აქ გელოდები, შენი დაკარგვა არ მინდა.

დიანამ შეხედა. მის თვალებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა წყენა, მაგრამ უკვე სხვანაირი სინათლე ჩამდგარიყო.

— მართლა?

— მართლა, — მისი ხელი თავის ხელეში მოიქცია მამაკაცმა, — ყველაფერი მხოლოდ ისე იქნება, როგორც შენ გინდა.

როდესაც დიანა მანქანიდან გადავიდა, შვებით ამოისუნთქა და თავი ბედნიერად იგრძნო. თითქოს გაიზარდა და



დაქალდა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ის ვილაცისთვის სასურველი იყო, ვილაცას სჭირდებოდა. ქალს კი ამის მეტი არაფერი სჭირდება ბედნიერებისთვის.

ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. ირაკლის ლაპარაკი უყვარდა, დიანას კი — მოსმენა. ის ბევრს ლაპარაკობდა თავის ოჯახზე, მაგრამ დიანას ეს არ აღიზიანებდა. მათ შორის ძალზე ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ისინი ერთმანეთს იმასაც კი უყვებოდნენ, რაზეც სხვასთან არ ილაპარაკებდნენ.

— შეყვარებული გყავს? — ჰკითხა ერთხელ ირაკლიმ.

— არა, უფრო სწორად, მყავდა, მაგრამ ვიჩხუბეთ.

— უნდა შეურიგდე.

— რატომ? — ვერ მიხვდა დიანა.

— მე არ უნდა შეგიყვარდე. ძალიან მომწონხარ, შენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მინდა, რომ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდეს. შენ რომ შეგიყვარდე, შენთვისვე მტკივნეული იქნება, გესმის?

— ჰო.

...და დიანა შეურიგდა თავის შეყვარებულს. ცხოვრება გაორდა: ერთთან ის მხიარული, უდარდელი გოგონა იყო, მეორესთან — ყურადღებიანი ქალი, რომელიც ყველაფერს ახალს ღრუბელივ-

ით ისრუტავდა. გაორებული ცხოვრება მოსწონდა კიდევ...

ამასობაში 6 თვე გავიდა. ირაკლის კვირაში ორჯერ ხვდებოდა. ის ხშირად მიდიოდა მივლინებაში და დიანასთვის საჩუქრები და ახალი ამბები ჩამოჰქონდა.

ერთხელ დიანამ შეყვარებულთან ისევე იჩხუბა. ის უკვე მობეზრებული ჰყავდა და საბოლოოდ დაშორდა. დიანამ უკან დასახევი გზაც მოიჭრა და ისიც კი უთხრა, რომ მას საყვარელი ჰყავდა.

არასოდეს უნანია ამ ნაბიჯის გამო. ამის შემდეგ ირაკლის სხვა თვლით შეხვდა. ფიქრობდა, რომ ეს იყო მამაკაცი, რომლის შეყვარებაც შეიძლებოდა...

ირაკლის მივლინებები გახშირდა, მათი შეხვედრების სიხშირემ იკლო. ან იქნებ, ასე ეჩვენებოდა?..

ახლა ის მისი საყვარლების სიაში პირველი იყო, მაგრამ ერთადერთი — ალარ.

დიანა რაღაცას გრძნობდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. სიმაართლე კი თვითონ ეჩხირებოდა თვალში. დიანამ სხვა მამაკაცზე გადაიტანა ფიქრი... ამის შემდეგ მამაკაცებს ხშირად იცვლიდა, იმისათვის, რომ საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონად ეგრძნო თავი.

ერთხელ დიანა მიხ-

ვდა, რომ დაიღალა. თვითონ დაურეკა ირაკლის და შეხვედრა სთხოვა.

ისინი იმავე ბინაში ისხდნენ, მაგიდაზე ხილი და შამპანური ეწყო. დიანას თავადვე უკვირდა, მაგრამ იმ დღეს მხოლოდ ის ლაპარაკობდა. ეს სიტყვები უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა მოფიქრებული და ეგონა, ამის თქმას ვერ მოახერხებდა, მაგრამ იმ დღეს მშვენივრად გამოსდიოდა.

— მინდა, მადლობა გადაგიხადო.

— რისთვის? — ირაკლის მისი ხელი თავის ხელეში ჰქონდა მოქცეული.

— იმისთვის, რაც მასწავლე, რაც მომეცი, შენი ყურადღებიანი მზერისა და კიდევ იმისთვის, რომ მე შენ გჭირდებოდი.

დიანას თვალები აუნწყლიანდა:

— მშვიდობით!

— მშვიდობით, — უპასუხა მამაკაცმა.

დიანა უკვე კარს მიეფარა, როცა ირაკლის ხმა გაიგონა:

— გახსოვს, ერთხელ გითხარი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა-მეთქი?

— ჰო, — დაეთანხმა დიანა.

— ასეც იქნება. შენ შენი ცხოვრების დედოფალი ხარ!

„პიარშიკი“ ხანუმა...

ინგა ჯაყელი

თინას ადრე მაჭანკალი ერქვა, შიგადაშიგ ხანუმასაც ეძახდნენ — რაც მას კოჭლი, კუზიანი და ელამი ქალი ჰყავს გასაღებული, ტყუილად არ იტრაბახოს სხვამ. გაშლიდა ენას და ისეთ რამეებს იტყოდა, შიშს გაუჩენდა სასიძოს: — არ დავიღუპო და სხვამ არ მომასწროს ამ ქალის დასაკუთრება, მერე რა, რომ ელამია (ან კოჭლი თუ კუზიანი), მთლად უნაკლო არც მე ვარო!..

რეალობა, რა თქმა უნდა, სხვაგვარი აღმოჩნდებოდა ყოველთვის; დაპირებული „დედალიც“ არასოდეს დებდა „ოქროს კვერცხებს“, მაგრამ... შექმნილი ოჯახი ბევრს აღარ დაუზღვევია და მოტყუებულებიც ყოველთვის ეგუებოდნენ ბედს. თინა კი მუდამ მოგებული რჩებოდა, რადგან ყველა ქორწილში სუფრის თავში იჯდა და დაპირებულ საჩუქარსაც იმ დღესვე იღებდა...

ახლა დროება შეიცვალა. თინას მაჭანკალი კი არა, დაოჯახების მსურველთა „პიარშიკი“ ჰქვია და დასაპირებელიც ქალზე მეტი, კაცი გაუხდა...

არეულ დროს და სიტუაციას, კარგად მოგეხსენებათ, ქალებმა უკეთ აუღეს ალლო — ვინც საქართველოში ვერ ააწყო საქმე, საზღვარგარეთ გავიდა და არც სხვათა მოსამსახურება ითაკილა. შინ დაბრუნებულებმა ბინებიც იყიდეს, ავტომობილებიც, მერე ბიზნესიც ააწყვეს და სასურველ საპატარძლოებად იქცნენ.

კაცებს კი, როგორც არასდროს, ისე გაუჭირდათ, რადგან მთავარი — მარჩენლის ფუნქცია დაკარგეს. კაცს მაშინ ჰქონდა ფასი, სახლს რომ აშენებდა და ცოლს მყუდრო კერას ახვედრებდა, თვის ბოლოს ალებულ ხელფასს კი ბოლო კაპიკამდე უთვლიდა თანამეცხედრეს; უმიზეზოდ არც ქეიფობდა და არც თვრებოდა...

ახლა კი ბირჟაზე მდგომები იაფფასიანი არყით რომ ითუთქავენ გულ-მუცელს და გაუპარსავი თავპირით უსახლკარო მანანწალებს დაემსგავსნენ, რომელი ქალი ინატრებს ასეთი კაცის ქმრობას და მით უმეტეს, საკუთარ სახლში შემვებას?!

ჰოდა, დღე ერთია და 3-4 კაცი მაინც მიადგება კარზე თინას, —

გვიშველე რამე, თინა, დაგვაპიარე, მოგვანახიე სახვე ოჯახი და ქალი, თუ გინდა, ორივე ფეხით კოჭლი იყოს, არც განათხოვარს ვინუნებთო...

— განათხოვარი და გამოცდილი შენნაირ უსაქმურს შეუშობს სახლში?! — თვალმოწკურული გახედავდა თინა კლიენტს, — მერე მე რაი მაგით?!

— ოღონდ პატრონი მომიტეხნე და სულ მცირე, 500 დოლარს გიფეშაშებ, — თავი გამოიღო დიტომაც, რომელმაც 40 წელს მიაღწია და ამდენი ლოთობით გულმაც „დაუტოკა“, — არ მინდა, ისე გამძვრეს სული, წყლის მომწოდებელიც არ მყავდეს გვერდზე...

— სანამ თმა გქონდა კინკრისოზე, მანამდე რატომ არ იფიქრე ოჯახზე? ახლა ვის უნდისარ უნიფხვო და უთმო?! — არ დაინდო თინამ, — თან, 500 დოლარს რომ მპირდები, ვინ მოგაშავა მაგდენი?!

— რაც მე გამიტანია და გამივალეობა ძმაკაცებში, დევიჯერო, ისე დაკარგავენ ნამუსს, 500 დოლარსაც არ მომიბრუნებენ ქორწილში?! კაპიკს არ დევიტივს ჩემთვის! — იფიცებდა დიტო ცოცხალს და მკვდარს.

დიდხანს უარობდა თინა:

— შემეშვი, არ არიენ ახლანდელი ქალები მასე ადვილათ გასაბრიყვებლები! — მაგრამ არ მოეშვა დიტო და ცოტა ხნის წინ ქალაქში ხმა გავარდა, თინამ დიტო ქერის ორმოში ჩააგდოო!..

მართალია, პატარძალი — იამზე დიტოზე 5 წლით უფროსი და შვილიანი აღმოჩნდა, რომლის ქალიშვილის მამის ვინაობას თავის დროზე ლამის მთელი ქალაქი იკვლევდა, ქალსაც არც ისე კარგი სახელით მოიხსენიებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იამზემ 10 წელი საზღვარგარეთ გაატარა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა ისეთი ბიზნესი დაატარა, მის მილიონებზე ჭორაობა დაიწყეს, ვინ ოხერი გაუბედავდა წარსულის შესენებას?! ეგ კი არა, მისი ნაბუშარი გოგო ისეთმა ოჯახმა ითხოვა, მართლა ბუზს რომ არ აიფრენდნენ ად-



ვილად და საპატარძლოებს გამადიდებელი შუშით ეძებდნენ...

ქალიშვილის გათხოვების შემდეგ კი აღარც იამზემ ინდომა მარტოობა და ამ დროს ჩაერია სწორედ საქმეში „პიარშიკი“ თინა, წინ დიტოს სურათი დაუდო:

— ახალგაზრდაა, 5 წლითაა შენზე პატარა და სამუშაო ვერ იშოვა, თვარა, 25 წლის გოგოები უპრანავენ თვალებს...

— ცხვირი რომ ლოთივით გასივებული და წითელი აქვს?! — დაეჭვდა იამზე.

— უიმე ჩემი სიკვდილი, დიტო და სიმთვრალე?! — ურცხვად იცრუა თინამ.

— თმაც რომ არ შერჩენია?! — ახლა ნიკელივით მოპრიანებულ თავზე დაადო თითი იამზემ.

— მე თუ მყავს ქოჩორა ქმარი, მიტო ამავსო ოქროს კვერცხებით!.. ახლა მოდაშიც კია თავტვლითა კაცები. მენი აქეთ! — თითით მოუხმო იამზე თინამ და კაცმა არ იცის, რა უჩურჩულა ყურში ასეთი, მაგრამ... იამზემ გადაიკისკისა და კაცის გაცნობაზე დათანხმდა...

როგორც გითხარით, გაცნობას ქორწილიც მოჰყვა და დიტომ იმავე დღეს ჩაუთვალა თინას დაპირებულე 500 დოლარი... თუმცა, ხმაც მალე გავარდა: იამზე მოსაკლავად ეძებს თურმე თინასო! როგორც ჩანს, არც ის „ყურში ნაჩურჩულები“ აღმოჩნდა სიმართლე, მაგრამ თინას მუქარის რომ შინებოდა, აქამდეც გაიქცეოდა სადმე...



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

გორა მანველიძე

დასაწყისი

დღე მძიმე აღმოჩნდა. ისევ იარე-ბი... სისხლი... საოპერაციოში გა-ტარებული საათები...

პირველი პაციენტი მიმღებში დილითვე გამოჩნდა. ახალგაზრდა კაცი იყო. მანქანა დასჯახებოდა. ავარიის შემდეგ მძლოლი გაქ-ცულიყო და ძლიერად დაშავებუ-ლი ახალგაზრდა უმწეოდ მიეტოვე-ბინა.

ახალგაზრდას ორივე ფეხი მო-ტეხილი ჰქონდა. გაუსაძლისი ტკივილისგან შოკში იყო ჩავარდ-ნილი. გოგას სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო, პაციენტი შოკიდან გამ-ოიყვანა და ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანა. ამასო-ბაში მიმღებში სხვა პაციენტებიც შემოიყვანეს...

ისინი ორნი იყვნენ. ოცი-ოცდარეო წლის ახალგაზრდები იქნებოდნენ. ორივე ტყვიით იყო დაჭრილი. ერთს, რომელსაც სიც-ოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყო-ბოდა, ტყვია თავში მოხვედროდა. ჭრილობა გამჭოლი იყო. შუბლში მოხვედრილი ტყვია კეფაში გასვ-ლოდა. მეორე ახალგაზრდა მუცელ-ში იყო დაჭრილი. ჭრილობებიდან ღვარად სდიოდა სისხლი. გონებაც დაჰკარგვოდა. რამდენიმე წუთიც და დაიღუპებოდა, ამიტომ გოგა უმაღვე შეუდგა საქმეს.

ოპერაცია თითქმის ორი საათი გაგრძელდა. ქირურგებმა ბოლომ-დე იბრძოლეს და დაჭრილის გადა-რჩენა შეძლეს. აი, მეორე ახალ-გაზრდა კი დაიღუპა.

გოგას ამის შემდეგაც არ მიეცა სულის მოთქმის საშუალება. საოპ-ერაციოდან გამოსულს, პოლიციის ოთხი თანამშრომელი დახვდა, რომ-ლებმაც ნამდვილი დაკითხვა მოუწ-

ყვეს. პოლიციელთა შორის მისი ძვე-ლი ნაცნობი, დავითიც ერია. გოგა წინასწარ ხვდებოდა მათი გამოჩე-ნის მიზეზს, ამიტომაც სტუმრები საორდინატოროში მიიწვია, სადაც თავისუფლად შეძლებდნენ საუბარს. გოგამ სტუმრებს ანიშნა, და-სხედითო. თავად ხელები გადაიბა-ნა, სახე წყლით გაიგრილა. მერე მაგიდას მიუჯდა და დავითს მიაპყ-რო მზერა.

— გაიცანი... ჩემი თანამშრომ-ლები არიან... ეს კი განყოფილების ახალი უფროსი, რამაზ ირემაძეა, — თქვა დავითმა.

გოგამ უხმოდ დაუქნია თავი პოლ-იციელებს.

— იმ ბიჭების თაობაზე ვართ მოსული, — განაგრძო დავითმა.

— ვხვდები, მაგრამ რით დაგეხ-მართო?! ერთი საავადმყოფოში მოყ-ვანამდე გარდაიცვალა. მეორეს რთული ოპერაცია ჩაუტარდა და სიმართლე რომ გითხრათ, გადარ-ჩენის მცირე შანსი აქვს, — თქვა გოგამ.

— დახმარება რომ გნდომოდა, აქამდე უნდა მოგეხერხებინა! — ბრაზით ჩაურთო ირემაძემ.

— უკაცრავად... — გოცებით გახედა გოგამ, — რას გულისხმობთ?

— სად გაქრა ის ხალხი, ვინც დაჭრილები საავადმყოფოში მოიყ-ვანა?! — ხმას აუწია რამაზმა.

გოგას უმალ თვალწინ დაუდგა მიმღებ განყოფილებაში შემოჭრილი სამი ახალგაზრდა. ისინი ყვირილით მორბოდნენ დერეფანში და გაფი-თრებულები ექიმს ითხოვდნენ. როგორც კი გოგა გამოჩნდა, ერთ-ერთმა მათგანმა პისტოლეტი მიუშ-ვირა და დაემუქრა, თუ მის მეგო-ბრებს დროულად არ მიხედავდა, ამ იარაღით გაუხვრეტდა შუბლს. რა მოხდა შემდეგ, მისთვის უცნობი იყო. დაჭრილები მაშინვე საოპერაციო-ში გადაიყვანეს. ოპერაციის შემდეგ

კი გოგას ახალგაზრდები აღარ უნ-ახავს.

— ის ნაბიჭვრები იარაღით გე-მუქრებოდნენ და შენ აქედან წასვ-ლის საშუალება მიეცი?! — ბრაზით განაგრძო რამაზმა.

— იარაღით?! — მწარედ ჩაიცი-ნა გოგამ, — ისე მელაპარაკები, თითქოს პირველად შემოდგი ფეხი „არამიანცში“ და აქამდე არ იცო-დი, რაც ხდება აქ!.. ერთი კაცი პისტოლეტით კი არა, მთელი ხრო-ვა შემოვარდნილა. იარაღიც დაუმი-ზნებიათ, უსვრიათ, პერსონალი დაუ-ჭრიათ კიდეც და მორფიც გაუტა-ციათ!.. მაშინ სად ბრძანდებოდით, ბატონო პოლიციელო?!

— მე არ მაინტერესებს, რა მოხ-და გუშინ და გუშინწინ. მიპასუხე, რატომ არ აცნობე პოლიციას იმ დაჭრილების შესახებ?! — შეუბღვირა რამაზმა.

— ვერ მოვასწარი, — მშვიდად უპასუხა გოგამ, — ერთი ახალგაზრ-და უკვე დაღუპული იყო. მეორის სიცოცხლე ბუნებურად ეკიდა!

— ბუნებურად?! — ავად ჩაილ-აპარაკა რამაზმა, — მაგ ნაბიჭვრებმა ვაკეში პოლიციელი მოკლეს!.. ახლა შენი უთავბოლობით მაგათმა „პადელნიკებმა“ მოხიეს. ერთი უკვე დაიბრდა. მეორეც მის გზას რომ გაჰყვეს, სად ან რალა მოქებნის მა-გათ „პადელნიკებს“?!

— არ ვიცი. პოლიციელობა რომ მნდომოდა, ახლა აქ არ ვიქნებოდი, — მიუგო გოგამ, — უკეთესი იქნე-ბა, თუ ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს გა-ვაკეთებთ. მე ექიმი ვარ და ამ შემთხ-ვევაში რაც შემიძლო, ყველაფერი გააკეთე!.. თქვენ კი პოლიციელი ბრძანდებით და რახან ეს პროფე-სია აირჩიეთ, თავად გადანყვიტეთ, როგორ მოქებნით მათ „პადელნიკე-ბს“!

— ბიჭო, შენ ხომ ვაკელი ხარ? — ადგილიდან წამოიწია ირემაძე.

— ვაკელი ვარ და მაგით რა?!

— იქნებ იცნობ იმ ნაბიჭვრებს და შეგნებულად მიეცი წასვლის სა-შუალება?!

— არ გინდა, რამაზ, — ჩაურთო დავითმა, — კარგად ვიცნობ. არაა მაგის გამკეთებელი.

— არ მაინტერესებს, როგორ იც-ნობ. რასაც ვხედავ, ისიც საკმარის-სია!.. ახლა კი დასვი და ახსნა-განმარტება ჩამოართვი, რა მოხდა აქ! — ბრაზით წამოისროლა რა-მაზმა და საორდინატოროდან გა-ვარდა.

— არ გენყინოს, — გოგას მიუ-ბრუნდა დავითი, — ახალი კაცია. მთელი ცხოვრება სამინისტროში გაატარა. „კაზინეტნი“ ტიპია და

ქუჩის აზრზე არ არის.

— მე რა უნდა მენციონოს, შენ უნდა იმუშაო მაგასთან... — ჩაილაპარაკა გოგამ.

— ჰო, რაც იყო, იყო. მოდი, ახლა იმ ტიპებზე მომიყევი — როგორ გამოიყურებოდნენ, რა ასაკის იყვნენ... მოკლე, თვითონაც ხვდები, რაც მაინტერესებს, — თქვა დავითმა და ფურცელი და კალამი მოიმარჯვა.

პოლიციელები წავიდნენ თუ არა, საორდინატოროში გოგას კოლეგა და მეგობარი, ირაკლი ჩაფიქე შემოვიდა.

— რაო, რა უნდოდათ? — იკითხა სტუმარმა, როგორც კი გოგას გადალღილ მხერგს მოჰკრა თვალი.

— დავილაღე... არავინ გვინვეს ანგარიშს. მოვლენ, ნერვებს მოგიშლიან და საერთოდ არ ფიქრობენ იმაზე, რომ ხუთი წუთის შემდეგ შეიძლება, საოპერაციოში მოგიწიოს შესვლა!

ირაკლი უსიტყვოდ მიუბრუნდა კარადას, კონიაკის ბოთლი და ჭიქა გამოიღო. ჭიქა შეავსო, გოგას წინ დაუდგა და ანიშნა, მოსვიო.

— არ მინდა, — გოგამ გვერდზე გასწია ჭიქა, — ეგ ვერ მიწამლებს.

— ბოლო დროს ცუდად გამოიყურები. ჩანს, მართლაც გადაიღალე. ჯობდა, შევბუღებო აგელო. ზაფხულია. ზღვაზე ან მთაში წადი, დაისვენე, — ურჩია ირაკლიმ.

— მაგაზეც ვიფიქრე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ეგ არ მიშველის. სადაც უნდა წავიდე, დაღლილობა ყველგან გამყვება.

— ვაა... შენი ვერაფერი გამიგია. რა გინდა? რას დაუქებ?... ოცდახუთი წლის ბიჭი ხარ, ცხოვრება საათივით გაქვს აწყობილი: კარგი ბაითი, კარგი მანქანა, კარგი საახლობლო. ჩალიჩა მამა... ცოტა ხანი მოითმინე და მამაშენი ამ „არამიანცას“

მოგაშორებს და რომელიმე კარგ კლინიკაში გაგჩი თავს.

— კაი ბიჭი ხარ, ირაკლი, მაგრამ შენც არ გესმის ჩემი... ბიჭო, მარტო მანქანა, ბაითი და ჩალიჩა მამა „საათივით აწყობილი ცხოვრება“?

— მაშ, რა არის?... მე ვერ ვხვდები, შენ რა გინდა ცხოვრებისგან, მაგრამ ნორმალური ადამიანები ზუსტად მაგისთვის წვალბენ, — გაიცინა ირაკლიმ.

— მაზოხისტი მეც არა ვარ. მიწურს კარგი ბინა მირჩენია, „ჟიგულის“ — „მერსედესი“ და კარგი კლინიკა — სოფლის ვეტერინარობას. მაგრამ ვერ ხედავ, რა ხდება ქვეყანაში?! აქ გინდ გქონია კარგი ბინა და კარგი მანქანა და გინდ — არა. ერთ წამში შეიძლება ყველაფერი დაკარგო. მანქანასა და ბინას ვინ ჩივის, თავიც შეიძლება წააგო!.. იცი, რაზე იყო პოლიცია მოსული?

— დაახლოებით, — უპასუხა ირაკლიმ.

— დაახლოებით, ყველაფრის ცოდნა არ არის საჭირო, — განაგრძო გოგამ, — ის ბიჭები ვილაცას მანქანას ართმევდნენ. ის ვილაც პოლიციელი ყოფილა. თავიდან დაანება მანქანა, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დაიძრნენ, უკნიდან ტყვიები დაადევნა. ერთი მოკლა, მეორე დაჭრა, მაგრამ თავადაც ვერ გადარჩა. ის ბიჭებიც არ ყოფილან მარტონი. უკან მეგობრები მოჰყვებოდნენ და პოლიციელი მათ მოკლეს!

— ეგეთი რამ ადრეც მომხდარა, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— როდის?! სად?! — სწრაფად გახედა გოგამ.

— რაც კომუნისტები დააცურეს, სულ ეგეთი ამბები არ ხდება?!

— რა შუაში არიან კომუნისტე-

ბი? ხალხი ხომ იგივე დარჩა... ჩვენი ხალხი!.. განა ეს ის საქართველო არ არის, ცხრა აპრილს სისხლს რომ ღვრიდა?!

— ის ხალხია, — უხალისოდ დაეთანხმა ირაკლი.

— და თუ ის ხალხია, რატომ ვეღარ ვცნობ? — გოგა მცირე ხანს ჩაფიქრდა და მერე განაგრძო, — ცოტა ხნის წინ ბიჭებმა პურის ქამა გადავწყვიტეთ. ცხელი დღე იდგა, ქალაქგარეთ გავედით. რუსთავის მხარეს ერთი პატარა რესტორანია. პატარა, მყუდროდ მოწყობილი ეზო აქვს. გარედან ვერავინ გხედავს და შენც არავის უშლი ხელს. იქ მივედით, მაგრამ ეზო სხვებს ჰქონდათ დაკავებული. რესტორნის პატრონი ნაცნობი კაცია. ვთხოვეთ, შეგვიშვი, საერთოდ, არ გვაინტერესებს შენი სტუმრები, ეზოს ბოლოში დავსვდებით და წყნარად გავტყებთ ლუქმას-მეთქი. ის კიდე გვიმტყიცებდა, არ გინდათ, შეიძლება, თქვენ არ გაეკაროთ, მაგრამ ისინი არ მოგეშვენენ. რაიონში ახალი პოლიციის უფროსი დანიშნეს და თავისი ძმაცაცებით არის მოსული. ბოლოს მაინც დავითანხმეთ. პირობა ჩამოგვართვა, რომ იმ ხალხისკენ არც კი გავიხედავდით და ისე შეგვიშვა რესტორანში..

— მერე... რამე ხომ არ მოხდა? — დაინტერესდა ირაკლი.

— არა, ისეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთი რამ კარგად დამამახსოვრდა. მაშინ ვინანე, რომ ქირურგიული ფაკულტეტი დავამთავრე და არა ფსიქიატრიული. ძალიან მომინდა იმ პოლიციის უფროსის თავის ქალაში ჩახედვა...

— ვაა... — ხელები გაშალა ირაკლიმ, — შენ რა კაცი ხარ. თან ამბობ, არაფერი მომხდარაო და თან, იმის თავის ქალაში ჩახედვა მომინდაო!

— ბიჭი ხარ და ნუ მოგინდებოდა. მაგრამ დათვრა ის პოლიციის უფროსი და მერე მთელი რესტორნის გასაგონად ღრიალებდა, ადვოკატი ტერაზინი ვარო!..

— ვინ? — დაიბნა ირაკლი.

— ადვოკატი ტერაზინი... იტალიური სერიალი გადიოდა... „რვაფხა“, იმ სერიალის პერსონაჟია...

— ჰო, გამახსენდა, — თავი დაუქნია ირაკლიმ, — ადვოკატია და თან, მაფიის ბოსი.

— ჰო... ის პოლიციელი კი ყვიროდა, ტერაზინი ვარო! იმის მაგივრად, — კომისარი კატანი ვარო!.. გესმის, რაზე ფიქრობდა ის კაცი, როცა პოლიციის უფროსად ინიშნებოდა? იმას მაფიოზური ბოგინი



ზიგლუსი

უნდოდა და არა — პოლიციელობა!
— ეე, მოგცლია, რა! ყველას თავისი ცხოვრება აქვს. რას გიშლის შენ ერთი ბრიყვი პოლიციელი?! გინდ ტერაზინივით იცხოვროს და გინდ — კომისარ კატანივით!

— მიშლის... შენც გიშლის და ყველასაც უშლის. ადამიანმა თავისი ადგილი და დანიშნულება უნდა იცოდეს. თავის ადგილას იყვნენ ქართველები ცხრა აპრილს. მართლაც, მტრის შემოსევადა აღიქვს დამსჯელი ჯარის ქალაქში გამოჩენა. ვილაცამ მანქანა გადაუყენა წინ რუსულ ტანკს და ამით სცადა მისი შეჩერება, ვილაც თვითონ დაუდგა წინ, ვილაც ხის კეტით შეებრძოლა. ერთი შეხედვით ხომ უსუსური და არაფრის მომცემი იყო ასეთი თავგამოდება, მაგრამ იმ დღეების ბრძოლამ თავისი შედეგი მაინც გამოიღო, იმიტომ, რომ ქართველი კაცი იმას აკეთებდა, რაც მართლაც გასაკეთებელი იყო და მის მაგივრად, ამას სხვა ვერც და არც გააკეთებდა!.. რა მოხდა შემდეგ?... ჯოჯოხეთური მანქანისგან გათავისუფლებულნი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდით და იმის მაგივრად, რომ ერთმანეთისთვის გაგვეწვდინა ხელი და მთელი ძალა ქვეყნის აღმშენებლობისთვის მოგვეხმარებინა, ერთმანეთს დაეჭყეტო სროლა. ჩემთვის შეურაცხყოფელი და დამტრფუნველი იმის შეგნება, რომ აქამდე მხოლოდ კომუნისტური მარნუხები გვაკავებდა და როგორც კი ის მოიხსნა, ჩვენი ნაწილი აქამდე სულის სიღრმეში მიმალული მახინჯი ოცნებების აღსრულებას შეუდგა. ვინ ტერაზინობა მოინდომა, ვინ — ჩიკატილოობა. ვილაცამ აღმოაჩინა, რომ ესკობარის გზით უნდა ევლო. ამან ნაბილწა ის მთავარი იდეა, რომელმაც ამდენი გულანთებული ქართველი შეიწირა. ვეღარ ვცნობ იმ ხალხს, რომლის გვერდითაც ვცხოვრობდი ამდენ წელიწადს. დროდადრო თავს კითხვას ვუსვამ. იქნებ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს და მე არ მესმის რაღაც? იქნებ ისეთ სათბურში აღვიზარდე, რომელშიც არასოდეს მინახავს ჩემი ხალხის რეალური სახე?... კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს და იმავეს ვპასუხობ... სისულელეა!.. ჩემს ხალხს არაფერი აქვს საერთო იმ არაკაცებთან, რომლებიც საავადმყოფოში მისი მომიჯივრებულნი და ავადმყოფებისთვის განკუთვნილ მორფს დედის გინებითა და იარაღის შუბლზე მოხვედრით მთხოვდნენ და არც იმათთან, რომლებიც მეორე დღეს იმ არაკაცებს „სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებად და მამულიშვილებად“ მაცნობდნენ. არც იმ პოლიციელებთან, რომლებიც მორცხვი ლიმილით მეუბნებოდნენ, კარგი, ბიჭო, რამ გაგაჯიუტა?! ვის უნდა მაგათთან ჭიდაობა. ვერ ხედავ, რომ ეს მთავრობა მაგ ხალხზე დგასო!..

— მესმის. გიყს თუ მოენონება, რაც ახლა ხდება, მაგრამ რა უნდა ვქნათ?! უკეთესი იქნება, თუ საერთოდ არ იფიქრებ მაგაზე. აკეთე შენი საქმე და იცხოვრე უკეთესის იმედით, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— როგორ ვაკეთო ჩემი საქმე, როცა ამ ცხოვრებაში ჩემი ადგილი დავკარგე?! — ამოიოხრა გოგამი, — ექიმობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. მე მამაჩემის გზას არ გავყოლივარ. მართალია, მას სურდა ეს, მაგრამ არჩევანი თავად გავაკეთე. არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც იმ დღეს, როცა სტუდენტი გავხდი. მერე იყო პირველი სამუშაო... „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადაში. ჩემთვის ეს შეუცნობელი სამყარო იყო, მაგრამ ის სამყარო, რომელზეც მუდამ ვოცნებობდი. გამოძახება დღისით, გამოძახება ღამით. ბავშვები, ქალები, მამაკაცები და იმის შეგრძნება, რომ მათი დახმარება, ტკივილისგან გათავისუფლება და ხანდახან სიკვდილისგან დახსნაც შეგიძლია. რა უნდა იყოს ამაზე სასიხარულო და საამაყო?! მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელბულა. სამოქალაქო ომმა ყველაფერს ბოლო მოუღო. მაშინ ვიხილე ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის დახმარების მაგივრად, გასაოცარი მონდომებით ხოცავდნენ და ასახიჩრებდნენ ერთმანეთს. იმ დღეებში რაღაც დრო უზენაესში გავაბარე...

— უზენაესში?! — გაოცებით შეაწყვეტინა ირაკლიმ, — როგორ მოხვდი იქ? შენთვის არასდროს შემიმჩნევია „ზვიადისტური“ განწყობილებები.

— ყველა სიგიჟეს შორის, „ვილაცისტობა“ ყველაზე დიდ სიგიჟედ მიმაჩნია. მწამს იდეის და არა — რომელიმე პიროვნების. უზენაესში კი, როგორც „სასწრაფო დახმარების“ ექიმი, ისე მოვხვდი. არსად და არასოდეს მინახავს ისეთი საშინელება, რაც იქ ვიხილე. ნაწილობრივ დანგრეული, ნახანძრალი შენობა. უამრავი ადამიანი, რომელთა უმრავლესობას არც კი ესმის, რისთვისაა იქ. ქაოსი, ყველას მიმართ ეჭვი. მანიით შეპყრობილი ადამიანები ყოველ უცხოში რუსეთისა თუ მანჯურიის თაღლითებს ხედავენ. ეზოში შეტაკებებში დაღუპულთა ოცამდე ცხედარი. სხვადასხვა მდგომარეობაში გაშემებული გვამები ერთ მდუმარე

მწკრივში წვანან. ვილაცის ქმრები, მამები, შვილები და ძმები უჭირისუფლოდ იფარებიან ღამით მოსული თოვლით. ისინი აღარავის მომხრეები აღარ არიან. სიკვდილმა შეარიგა ყველა და უბრალოდ, დაღუპულ ქართველებად აქცია. მაგრამ ისინი ცოცხლებისთვის გავკეთილად ვერ იქცნენ. არავინ ამბობს, რას ვაკეთებთ, რატომ და რისთვის ვანადგურებთ ერთმანეთს და ამასთან ერთად, ჩვენს საერთო მომავალს!.. ამის მაგივრად ისმის მონოდებები: გაუმარჯოს საქართველოს და სიკვდილი ყველას!.. იგივე მონოდებები ისმის გარედანაც და გრძელდება ომი!.. ვითომდა დაღვინებული და გონიერი კაცები ყმანვილებს იარაღს აჩეჩებენ ხელში და მათივე თანატოლებს დასახოცად გზავნიან. ქირურგი ვარ. ჩემთვის უცხო არაა სისხლის მწკლარტე სუნი, მაგრამ ყველაზე მძაფრად იქ, იმ შენობაში შევიგრძენი ეს სუნი. თავიდან მეგონა, რომ დაძაბულობამ შეგრძნებები გამიცხოვლა, მაგრამ მერე მივხვდი ნამდვილ მიზეზს. სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, უზენაესში მყოფთ სასადაილოში იმპროვიზებული ლაზარეთი მოუნყოთ. ყოველი შეტაკების შემდეგ იქაურობა საველე ჰოსპიტლად იქცეოდა. ექიმები პირდაპირ სასადაილოს მაგიდებზე აჭირებდნენ ოპერაციებს. მათმა ხილვამ შემახსენა, ვინც ვიყავი და რისთვისაც ვდებდი ჰიპოკრატეს ფიცს. ოპოზიციონერები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. ისინი გარედან უტყვედნენ უზენაესს, ქალაქსაც, პრაქტიკულად, ისინი აკონტროლებდნენ და თავიანთი დაჭრილები დაუყოვნებლივ გადაჰყავდათ საავადმყოფოებში. შენობაში გამომწყვდეულთ კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ და ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდათ დაჭრილთა გადასარჩენად ბრძოლა. ამიტომაც დავრჩი იქ... ვერ ვიტყვი, რომ სანაწილები გამიხდა ეს გადანყვეტილება. ასეთი იყო ჩემი არჩევანი და რაც უნდა მომხდარიყო, სხვას მაინც ვერ დავადანაშაულებდი, მაგრამ ცხოვრების ერთ-ერთ ცუდ მოგონებად მაინც შემომჩნა. დამთავრდა ის ბრძოლა. მთავრობამ შენობა დატოვა და საქართველოდან წავიდა. მეც სახლში დავბრუნდი. მეგონა, მეორე დღეს ჩვეულებრივად დავბრუნდებოდი სამსახურში, მაგრამ... გაოგნებული დავრჩი, როცა „ზვიადისტობა“ დამნამეს. ამის მიზეზი მხოლოდ ჩემი უზენაესში დარჩენა იყო. ვახტანგ კილაძის შვილი რომ არ ვყოფილიყავი, შეიძლებოდა, ეგ ამბავი უფრო ცუდად



დამთავრებულიყო. მე თავის დაცვა არც მიცდია. უბრალოდ ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. დიახ, დავრჩი და ეს სწორი გადანყვებილება იყო-მეთქი! ამით იმის თქმა მინდოდა, როგორც ექიმს სხვა ნაბიჯის გადადგმა არ შემეძლო-მეთქი. მათ კი სხვანაირად გაიგეს. „თქვენი მტერი ვარ და უზენაესში მხოლოდ თქვენი სისხლის საღვრელად ვიმყოფებოდი-მეთქი!“ ვახტანგი მიხვდა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა და დროულად ჩაერია საქმეში. მაგრამ ყველაფერი მანაც ვერ მოაგვარა და სამსახურიდან წამოსვლამ მომიწია... ამის მერე მოვხვდი „არამიანცში“, მაგრამ ის გარემო და ვითარება ხომ არსად გამქრალა. მე ვეღარ გავთავისუფლდი უზენაესის განცდებისგან და მგონია, რომ ისევ იქ ვარ. თბილისში ისევ დართეშობენ თავზე ხელაღებული ბრბოები. ისევ ისეთივე გამეტებით უშენენ ერთმანეთს ტყვიებს. ჩემთან ისევ მოჰყავთ დაჭრილ-დასახიჩრებული ხალხი. ზოგს ვშველი, ზოგს — ვერა. მერე კი იმ ხალხს უკან მოჰყვება ან მათი საქმაცო, ან პოლიცია, რომლებიც რაღაცაში მადანაშაულებენ და ვერ მივმხვდარვარ — რაში?.. დღესაც იგივე მოხდა. მოიყვანეს ბიჭი, რომელსაც პოლიციელი მოუკლავს და სხვა პოლიციელებს ეჭვი აქვთ, რომ მისი ამხანაგები შეგნებულად გავაპარე საავადმყოფოდან. დღეს მხოლოდ მცირე ახსნა-განმარტებით დაკმაყოფილდნენ, მაგრამ ხვალ თავისთან ვყავარ დაბარებული, რომ ოფიციალურად დამკითხონ.

— კი, მაგრამ რას მისცემს შენი დაკითხვა? განა თვითონ ვერ ხვდებიან, რომ ხელჩასაჭიდს ვერაფერს ეტყვი?!

— ხვდებიან, მაგრამ ეს მათთვის

მცირე შურისძიებაა. შურისძიება და გაფრთხილება, რომ მეორედ იგივე შეცდომა არ დავუშვა. ისე კი, ის ხალხი ჩემ გარდა, ოცამდე კაცმა მაინც ნახა, ვინც იმ დროს მიმღებ-ის სიახლოვეს იმყოფებოდნენ. ცოტ-ცოტა ისინიც დაჰკითხეს, მაგრამ ჩემ გარდა, არავინ დაუბარებიათ პოლიციაში.

— დროის ამბავია, გოგა. როგორც ჩანს, საქართველომ ომების ეპოქაში შეაბიჯა. კომუნისტებისგან მცირე სისხლით დავისხენით თავი. მაგრამ მივიღეთ ომი სამაჩაბლოში, მერე სამოქალაქო ომში აღმოვჩნდით ჩათრეულები... ისე, სიტყვამ მოიტანა და, იქაც ხომ არ ყოფილხარ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— იქ როგორ უნდა მოვხვედრილიყავი?

— იმ პერიოდში ჯანდაცვამ ექიმების მცირე მობილიზაცია ჩაატარა. ბუნებრივია, ძირითადად, ქირურგებს არჩევდნენ.

— არა, ჩემთვის არაფერი შემოუთავაზებიათ, მაგრამ რომც შემოეთავაზებინათ, უარს ვიტყვოდი.

— რატომ? — გაუკვირდა ირაკლის, — განა ისევ დაჭრილთა დასახმარებლად არ დარჩი უზენაესში?

— როგორ გითხრა... მოკლედ, ბუნებით პაციფისტი ვარ და მინდა, ყოველთვის ასეთი დავრჩე. ომი კი არ მოგცემს ამის საშუალებას.

— არა მგონია, ეგ შეძლო, — შენიშნა ირაკლიმ.

— რატომ?.. ვინ მაიძულებს, გავაკეთო ის, რაც არ მინდა?!

— ის, რაც წელან ახსენე — გარემოება და ვითარება.

— რას გულისხმობ?

— ხომ გითხარი, საქართველომ ომების ეპოქაში შეაბიჯა და მართო საქართველომ არა. შეხედე, რა ხდება ჩვენს სამეზობლოში: ინგუშები

ოსებს წაევიდნენ, ჩეჩნები — რუსებს, სომხები — აზერბაიჯანელებს... სამი მეზობელი ქვეყანა ომშია ჩათრეული. ყველა რაღაცით უკმაყოფილოა და ყველა ყველას ებრძვის. ეს ომები საქართველოსაც არ ჩაუვლის გვერდს.

— როგორ შეგვეხება სომხებისა და აზერბაიჯანელების ან ჩეჩნებისა და რუსების ომი, შენ რა, სერიოზულად ფიქრობ, რომ ამ ომებში საქართველო ვინმეს მიემხრობა და მეორე მხარეს ომს გამოუცხადებს?

— არა, ეგ არ მიგულისხმია. მაგრამ რახან ჩვენმა მეზობლებმა გამონახეს საომარი მიზეზები, ჩვენც მოვახერხებთ ამას. ისე ეკ, საიდუმლოდ გეტყვი: ქართველებმა უკვე მონახეს მოკავშირეები, ოღონდ ის არ ვიცი, რამდენად გონივრული იყო ასეთი არჩევანი... — ირაკლიმ პაუზა გააკეთა და მერე დაამატა, — ჩემმა ერთმა მეგობარმა საკუთარი თვლით ნახა, როგორ წვრთნიდნენ და აიარალებდნენ თბილისში ინგუშებს, რომლებიც შემდეგ ჩრდილო ოსეთში საბრძოლველად უნდა გამგზავრებულიყვნენ. ჩეჩნებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მესმის, რომ ყოფილი მთავრობა ცხრა აპრილისა და სამაჩაბლოში მოწყობილი სისხლის ღვრისთვის რუსეთს უხდიდა სამაგიეროს, მაგრამ ვინმემ გაითვალისწინა ის, რომ რუსეთს ჩვენთვის ხურდის დაბრუნების უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს! მაგალითად, აფხაზეთში; და ისიც გასაგებია, რომ აფხაზეთიც მიესალმებიან ჩვენთვის იმ ხურდის დაბრუნებას!

— რუსებისგან არაფერია გამორიცხული. ასეთი კონფლიქტი ძალიან ძლიერი დარტყმა იქნება საქართველოსთვის. მით უმეტეს, ასეთი ხელისუფლების პირობებში. ესენი ძალიან იოლად იღებენ იარაღს ხელში და მაშინვე სროლაზე გადადიან.

— ცუდი პერსპექტივაა, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— მოდი, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე. ეს დღე თავიდანვე ცუდად დაიწყო. მეც „დავიგრუზე“ და შენც აგიყოლიე. მოდი, რაიმე კარგზე გადავერთოთ... თუნდაც თითო ჭიქა დავლიოთ, — გოგა ბოთლს დასწვდა, რომ თანამოსაუბრისთვისაც შეეღოსო ჭიქა, მაგრამ ვიდრე ამას მოიმოქმედებდა, ტელეფონმა დარევა.

ყურმილი ირაკლიმ აიღო, მცირე ხანს უსმენდა, მერე გოგას მიუბრუნდა და დაძაბულმა თქვა:

— შენ გკითხულობენ. მგონი, რაღაც მოხდა შენს ოჯახში!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი — „გზა“, №38-36

მარი ჯაფარიძე

ზარის ღილაკს თითს არ ვუშვებდი, მაგრამ შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარს არ გვიღებდნენ, ფანჯრებიდან კი სინათლე გამოდიოდა. შინ აშკარად ვიღაც იყო.

— მოდი, ის პირობითი ზარი გამოვიყენოთ, რომელიც ჟორასთან მიმსვლელებს აქვთ, იქნებ ამან გაჭრას? — რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად გაგვიღებდნენ კარს.

ვასიკომ მაშინვე დამიჯერა და ზარი დარეკა. რამდენიმე წამში შიგნითა კარის ხმა გავიგონეთ. მალე ალაყაფის კარიც გაიღო. ახალგაზრდა მამაკაცი იდგა კარში და გაცემული გვიყურებდა.

— რომანთან ვართ, — მოკლედ მოჭრა ვასიკომ, მამაკაცი გვერდით გასწვია და ეზოში შეაბიჯა. მეც მივყევი. სახლისკენ მდუმარედ მივდიოდით, იქაურობას ვზვერავდით. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სადაც იყო, ვიღაც თავს დაგვესხმოდა. შინაგანად დავიძაბე. ყველა კუნთი დამეჭიმა. თუმცა, სახლში ისე შევედით, რომ ზედმეტი არც ხმაური გაგვიგონია და არც იმ კაცს გაუკეთებია მკვეთრი მოძრაობა, რომელმაც კარი გაგვიღო და ახლა უკან მოგვევებოდა.

რომანი სამზარეულოში იჯდა და ვახშამს შეექცეოდა. ჩვენს დანახვაზე წამოდგა, ორივეს ხელი ჩამოგვართვა და მშვიდი სახით განაგრ-

ძო ჭამა. თან შუახნის ქალს, რომელიც, როგორც ჩანს, მოახლის მოვალეობას ასრულებდა, ჩვენთვის თევშების მოტანა უბრძანა.

— რამ შეგანუხათ? — რალაცნაირი, მედიდური ტონით გვეითხა. ვასიკომ გადმოიმხედა და თვალით მანიშნა, ერთი ამას უყურეო.

— რამ შეგვანუხა და დღეს სალამოს ამოგენურა ვადა. დღეს უნდა მოსულიყავი და ყოველთვიურ თანხაზე შევთანხმებულყავით. ასე არ იყო?

— ჰო, მაგრამ ჯერ კიდევა დრო. ახლა ვაპირებდი თქვენთან წამოსვლას.

არაფერი რჩება? რატომ ცდილობდი ჩემს მოტყუებას?

— ერთი წუთით გარეთ გავალ, მანქანას დავხედავ, — ხმადაბლა ჩავილაპარაკე და წამოვდექი.

— გაჰყევი, — უბრძანა იმ მამაკაცს, რომელმაც კარი გაგვიღო.

— არაა საჭირო, გავალ, დავხედავ და დავბრუნდები, — ლამის ხელით შევაჩერე.

უკანმოუხედავად გამოვედი. ეზოში გამოსულმა ჭიშკარი ხმაურით გამოვალე, რომ ხმა გაეგონათ. უკან კი ფეხაკრეფით შევბრუნდი. სახლს შემოვუარე და უკანა მხარეს აივანზე ავქვერი. უამრავი ოთახი იყო,

ეზოში გამოსულმა ჭიშკარი ხმაურით გამოვალე, რომ ხმა გაეგონათ. უკან კი ფეხაკრეფით შევბრუნდი

— მანამდე ჟორასთან ხომ არ აპირებდი გავლას? — უცნაოდ ვაჯახე მე.

რომანის სახეზე მედიდური იერი გაქრა და ჩანგლის წვერი თევშზე ჩამოდო.

— კი მივხვდი, რომ რალაც იცოდით, ზარმა მიმახვედრა, — ჩაილაპარაკა მერე.

— ხომ იცი, რომ დამალული

ყველა დავათვალიერე, მაგრამ საექვო ვერაფერი შევნიშნე. ისევ აივნიდან ჩამოვქვერი და ოთახში დავბრუნდი.

ვასიკო და რომანი ისევ იმ თემაზე ლაპარაკობდნენ. ვასიკოს ვანიშნე, რომ ვერაფერი ვიპოვე და გვერდით მივუჯექი.

— ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე: სადაა ის გოგო, რომელიც

მოსკოვიდან შენი ბრძანებით ჩამოიყვანეს?

— ჩამოყვანა არ მიბრძანებია. ან რომელი მბრძანებელი მე ვარ? ბრძანებებს თქვენ იძლევი, ბატონო ვასიკო, მე უბრალო კაცი ვარ.

— მოკვებ, — კბილები გააღრქიალა ვასიკომ.

— თუ მოკვებ, თავი როგორ ვიმართლო?

— თავის მართლებას ის ჯობია, სიმართლე თქვა, ეს უფრო მარტივია, — ვასიკოს ისეთი სახე ჰქონდა, მეც კი შემეშინდა, — შენი ძმაცაი ახლა ტყეშია, ხეზე მიბმული და რა მოუვა, ღმერთმა იცის. სწორედ იმან გვითხრა, რომ შენი ბრძანებით ჩამოიყვანა ის გოგო. სანამ შენც მისი ბედი გეწევა, თქვი!

— ტყუილია, მე არავითარი გოგოს ჩამოყვანა არ მიბრძანებია. იმას თვითონ უნდოდა მაგ გოგოს ჩამოყვანა და მე მანქანა მთხოვა.

— აბა, ის გოგო შენს სახლში რატომაა?

— ეგეც იმან გითხრა? — ამოიკენესა რომანმა.

— ჰო, — თავი ერთდროულად დაუჭინეთ მე და ვასიკომ.

— ეგეც ტყუილია, ის გოგო მე მაგის სახლში ვნახე.

მე და ვასიკომ ერთმანეთს გადავხედეთ.

— გაიგე ახლა, რომელი ამბობს მართალს და რომელი — ტყუილს, — ჩაილაპარაკა ვასიკომ, — ამიტომ ახლა ადგები და ჩვენთან ერთად წამოხვალ, იქ გავარკვევთ ყველაფერს.

რომანი წელმონყვეტილივით წამოდგა და უკან მორჩილად გამოგვეყვა.

გზაში ხმა არ ამოუღია. მარტო ვასიკო ლაპარაკობდა, ხმამალა მსჯელობდა და გეგმას აწყობდა, როგორ დასჯიდა დამნაშავეს.

ჯერ ჟორას სახლთან მივედით, რადგან ვასიკოს სჯეროდა, რომ ის უკვე შინ დაგვხვდებოდა.

არ გამართლდა მისი იმედი. იძულებული გავხდით, ტყეში წავსულიყავით და იქ მოგვეძებნა, სადაც დავტოვეთ.

ძლივს მივაგენით იმ ადგილს, მაგრამ ჟორა არც იქ დაგვხვდა.

— ახლა სიმართლე უნდა დაფქვა, რომ ამ კაცსაც მივაგნოთ და გოგოსაც, თორემ იცოდე, სანანებლად გაგიხდი საქმეს. მთელი შენი ბიზნესი ქარს გაჰყვება, შენს ოჯახს დავანიოკებ და ცოცხალს არავის დავტოვებ, — თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა ვასიკო. საქმესთან მჯდომი მიბრუნდა, რომანს საყელოში ხელი ჩაავლო და თავისკენ მოქაჩა.

— რაც გითხარი, იმის მეტი მართლა არაფერი ვიცი, — თვალები გადმოკარკლა რომანმა.

— აბა, გამიმეორე!

— ამ 2 თვის წინ ჟორას დაურეკა თავისმა ყოფილმა საყვარელმა. ის ქალი თბილისიდანაა ჩამოსული და აქ თავის ახალ საყვარელთან ცხოვრობს. ჰოდა, თურმე იმ ახალ საყვარელს კიდევ სხვა საყვარელი ჰყოლია ანუ ეს გოგო. იმ ქალმა, თუ არ ვცდები, მეღანო უნდა ერქვას, სთხოვა ჟორას, რომ ის გოგო რამენაირად ჩამოეცილებინა.

მეღანოს სახელის გაგონებაზე ოფლმა დამასხა და თითქოს დამბლა დამეცაო, ისეთი უმოძრაო გავხდი.

— ჰოდა, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ორი ქართველი კაცი „კერავდა“ ამ გოგოს, რომ თავისი ნებით გამოჰყოლოდა და მერე ჩამოიყვანეს.

ცხოვრებამ და დედის უზნეო საქციელმა მას მხოლოდ სხეული კი არა, სულიც წაუბილწა

— კი, მაგრამ რატომ წავიდა ამ საქმეზე ჟორა, ყოფილი საყვარლის გამო? — ნერწყვი ძლივს გადავყლაპე და გამშრალი ყელიდან ამოვიხავლე.

— იმიტომ, რომ საქმეში ერთად არიან. იმ ქალმა გაჭრა წამლის „კანალი“.

— რაა? — კიდევ ერთი შოკი მივიღე.

— ჰო, ასეა და თან როგორც ჩანს, დიდი გაცვეთილი ვინმეა ებ ქალი, მის გარეშე არაფერი კეთდება, ბოლომდე არ ამხელს ინფორმაციას, რომ საქმეს არ ჩამოაშოროს ჟორამ.

— შენ გინახავს ის? — მაინც იმედს ჩავებლაუჭე და ვიფიქრე, იქნებ სხვა მეღანოა-მეთქი, მაგრამ სულელიც კი მიხვდებოდა, ამდენი დამთხვევის შემდეგ „სხვა მეღანო“ არაფრის დიდებით არ იქნებოდა.

— კი, ნანახი მყავს, შავი, გრძელი, ხეული თმა აქვს, ნამდვილი ნადირის გამოხედვა და ძალღის ყნოსვა. ერთი სიტყვით, მაგარი ვინმეა. კაცს მარტო მზერით გადავრეეს.

ვასიკო მაშინვე მიხვდა, მეღანო ვინ იყო. უხმოდ ისმენდა რომანის ნაამბობს და თვალბეჭდით მიყურებ-

და, ჩემი რეაქცია აინტერესებდა.

გონს ვერ მოვდიოდი. კარგი, ვთქვათ, ეჭვიანობამ დააბრმავა და ნიცას ჩამოშორება გადაწყვიტა... ნარკოტიკებით ვაჭრობას კი უკვე ვეღარ ვათავსებდი მასთან. როგორც ჩანს, ყველაფერზე წამსვლელია ფულის გამო. ცხოვრებამ და დედის უზნეო საქციელმა მას მხოლოდ სხეული კი არა, სულიც წაუბილწა.

— ახლა რა ვქნათ? სად ჰყავდათ ის გოგო? — ვკითხე რომანს.

— ჟორას სახლში ჰყავდათ, მეორე სართულზე, ერთ ოთახში გამოკეტილი. მე როგორც ვიცი, კარგად ექცეოდნენ. ეგაა, ეჭვი მაქვს, წამალზე დასვეს და ესეც იმ ქალის მოთხოვნით.

— ნაბოზარი, — კბილებში გამოვცერი, — წავიდეთ, დავბრუნდეთ ჟორას სახლში და ნიცა იქ მოვძებნოთ.

რამდენიმე წუთის მერე ყველა

ოთახი გაჩხრეკილი გვექონდა, მაგრამ ვერავის მივაგენით. როგორც ჩანს, ჟორამ თავი გაითავისუფლა თოკისგან, შინ დაბრუნდა და ნიცასთან ერთად სხვაგან წავიდა.

რომანი იქვე დავტოვეთ, მისი წამოყვანით თავი არ შევიწუხებთ და როსტოვში, ვასიკოს ბინაში დავბრუნდით. შევედი თუ არა, მაშინვე ტელეფონს დავწვდი და ნიცას მამის ნომერი ავკრიბე.

ყველაფერი მოუწყვეი და ვთხოვე, მეღანოსთვის მეთვალყურე მიეჩინა, რადგან არ იყო გამორიცხული, რომ ჟორას სწორედ მოსკოვში ჩაეყვანა ისევე.

ვალერი მდუმარედ მისმენდა.

— დიდი სამუშაო ჩაგიტარებია, ყველაფერი გასაგებია და აქ მე მივხედავ. მანდ დახმარება თუ გჭირდება, მითხარი და მილიციას ჩავრთავ.

უარი ვუთხარი და დავემშვიდობე.

— ახლა აქ როგორ მოვიქცეთ, ის დავგეგმოთ, — ვასიკომ ბარიდან კონიაკი გამოიღო და ჭიქებში ჩამოასხა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



წითელი ფანტაზია

სამება კვარაცხელია

წანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-36

გიგი დარეტიანებულივით იდგა შუა ოთახში და შერხევასაც ვერ ბედავდა. ცხადია ეს თუ სიზმარი? მირაჟი, თუ სინამდვილე? მას შვილი ჰყავს... უკვე თვეების გოგონა და დღემდე არაფერი იცოდა მის შესახებ! ნუთუ მის თავს ხდება ეს ყველაფერი? უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ თითქოს ხმა წაერთვა, ვერც სიტყვებს პოულობდა საუბრის გასაგრძელებლად.

ნამ ჩვილი ლოგინზე წამოაწვინა და საფენები გამოუცვალა. ღმერთო, პამპერსიც არა აქვს... თურმე როგორ უჭირს, მე კი... — გაიფიქრა სიხარულისა და ტკივილისგან ერთდროულად თავზარდაცემულმა მამაკაცმა და სიმწრისგან კბილს კბილი ისე დააჭირა, ყბები ეტკინა.

არავინ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა გაუსაძლისი სიჩუმე, ანაც კვლავ ტირილი რომ არ დაეწყო.

— ჭამის დრო აქვს, — თავისთვის ჩაილაპარაკა ნიამ, — უნდა მივხედო. თუ ჩემთან სხვა საქმე არაფერი გაქვს, შეგიძლია ნახვიდე, არ დაგაკავებ... — ამ სიტყვებით მოტრიალდა და არაფრის მთქმელი მზერა ესროლა მოულოდნელ სტუმარს.

რადაც უნდა დაუჯდეს, ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე. თუ განერვიულდა, შეიძლება რძე გაუშრეს. არამც და არამც. ღვთის მადლით, ჯერჯერობით, ყველაფერი რიგზეა, ბავშვს ხელოვნური კვება არ სჭირდება, რატომ უნდა გაირთულოს საქმე? გიგის გამო? რა სისულელეა, მისგან ისედაც არ აკლია პრობლემები. კიდევ კარგი, პრეტენზიებით არ მოვიდა, თორემ ვერც ნია მოითმენდა. აჯობებს, ნაკლებად მიიტანოს გულთან მისი გამოჩენა.

ქალმა ჩვილი მოხერხებულად გადაინვინა მკლავებზე, დილეზიანი ზედატანი შეისხნა, მკერდი გაიღელა და პატარას მარცხენა ძუძუ პირში ჩაუდო. იმანაც კრუტუნით დაინყო ნოვა და მაშინვე დაშვიდდა. დედამ თავზე გადაუსვა ხელი შვილს და რაღაც აღერსიანად უჩურჩულა.

გიგი კვლავ გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე. ნია გრძნობდა, როგორ ევსებოდა მოთმინების ფიალა, მისი სიმშვიდე ნელ-ნელა სიბრაზეში გადადიოდა. მამაკაცი კი გაოგნებული სახით მისჩერებოდა დედაშვილს, ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. ეს

არც იყო გასაკვირი. სხვას რას შეიძლება გრძნობდეს ადამიანი, რომელიც სრულიად მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ჰყავს შვილი, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა?

— შეგიძლია მშვიდად გაუდგე გზას, გიგი, — გულგრილად წარმოთქვა ნიამ, — შენ ხომ ამდენი თავისუფალი დრო არა გაქვს, საქმეები გელოდება. ნუ გეშინია, არანაირი პრეტენზიების წამოყენებას არ ვაპირებ. ალიმენტი რომ აღნიშნა, იმასაც არ მოგთხოვ. ანაც უშენოდაც მშვენივრად გავზრდი, არაფერს გაუჭირვებ... და როგორც კი მუშაობას დაიწყებ, მაშინვე შევუდგები გარკვეული თანხის ცალკე გადადებებს, რომ ვალი ეტაპობრივად დაგიბრუნო.

მამაკაცს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— ძალიან ბევრი ვინვალე შენს მოსაძებნად, ნი... ქვეყანა შევანრიალე, — ჩუმი, დაძაბული ხმით წარმოთქვა.

ქალმა წარბები აზიდა.

— არ მეგონა, ასე თუ გჭირდებოდა ის ფული, თუმცა მაინც ვერაფერს გავწყობდი, ჯერ არ მაქვს მაგდენი საშუალება. კიდევ უნდა მაცალო ცოტა.

ახვლედიანს ნერვიულად აუთამამდა ძარღვი ყელზე. იმედგაცრუება გამოეხატა სახეზე, მაგრამ ნიას ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იმავე ტონით გააგრძელა:

— იცი, როგორ მოვახერხე შენი პოენა? საქართველოს მოსახლეობის ლამის მთელი არქივი გადავქექე. ყველა ქალაქის და რაიონის სარეგისტრაციო ჩანაწერები მოვიძიე... დაბადება, ქორწინება,

გარდაცვალება... ლამის კერძო დეტექტივებიც კი დავიჭირავე, — მამაკაცს ტკივილისგან სახე მოეღრიცა, — რატომ?... რატომ არაფერი მითხარი?

ქალმა კვლავ გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი და მისი პანანინა სხეული გულზე მიიხუტა.

— როგორ შემეძლო? — თქვა ბოლოს, მისი ხმა თითქოს შორიდან ისმოდა, — შენ არ მეუბნებოდი, თავის მოსაწყობის მიზნით ათასწიარ სულისშემძვრელ ისტორიას იგონებო?

გიგიმ ხელი მომუშტა და კედელს მთელი ძალით დაარტყა. მოულოდნელობისგან ნია ისე შეკრთა, მიტკლისფერი დაედო სახეზე. მამაკაცს ტკივილი და სინანული ერთდროულად გამოეხატა სახეზე.

ხმაურზე პატარა ანაც კი შეშინდა, ჭამა მიატოვა და თვალები დააჭყიტა.

— მე მეგონა, შენ თბილისში საყვარელთან ერთად ჩამოხვედი, თურქეთშიც მასთან ერთად იმოგზაურე, მერე კი მიგატოვა. ვიფიქრე, ბუნებრივია, კარგ ცხოვრებას მიჩვეულმა ვერ გაუძლო გაჭირვებას და ფულის სესხებასაც ამიტომ მიეჩვია-მეთქი. დარწმუნებულად ვიყავი, სწორედ ამის გამო დაიწყე ჩემთან ურთიერთობა. მამაკაცი... მე... მე სიმართლე არ ვიცოდი, არც შენ მეუბნებოდი არაფერს, — დახშული ხმით ძლივს ამოთქვა მამაკაცმა და რამდენიმე წუთით გაჩუმდა, შემდეგ კვლავ გააგრძელა.

— ახლა მაინც მომიყვები, რა ხდებოდა სინამდვილეში... ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ვიცოდე სიმართლე? იქნებ ამჯერად ვირწმუნო? შენც მოგეშვება გულზე...

ნია კარგა ხანს ხმას არ იღებდა, ჩვილს ევერებოდა მხოლოდ, წამითაც არ შეუხვდავს ახვლედიანისთვის.

— არ მეტყვი? — ძალიან ხმადაბლა იკითხა გიგიმ და ფრთხილი ნაბიჯებით ფანჯარას მიუახლოვდა, გარეთ რომ გაეხედა.

მოულოდნელად მისი ყურადღება ფანჯრის რაფაზე დადებულმა წითელმა ფეხსაცმელმა მიიქცია... ეს სწორედ ის ფეხსაცმელი იყო, რომელიც პირველად აჩუქა ნიას და რომელსაც გოგონა, როგორც ჩანს, აქამდე ვერ შეელია. ალბათ, მას შემდეგ არც სცმია, ისევე ისეთი იყო, როგორც ბოლოს ნახა გიგიმ, თითქმის ახალი.

— ეს ფეხსაცმელი კიდევ ცოცხალია? — თავი მოაბრუნა და ღიმილით მიაჩერდა ქალს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.

— ეს ჩემი სამუზეუმო ექსპონატია... ან აქ სად უნდა ჩავიცვა ასეთი? წვეულებებზე არ დავდივარ, დიდი ხანია...

— საერთოდ, სახლიდან გადისარ კი?

— იშვიათად... ჯერ კიდევ ბურანში ვარ. რამდენიმე თვის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, დედა რომ გავხდებოდი, ამისთვის არ ვიყავი მზად. როცა ფაქტის წინაშე დავდექი, ძალიან შემეშინა-

და. გაუძლებდი კი იმ გამოცდას, რაც ბედისწერამ მარგუნა? ან კი შევძლებდი, კარგი დედა ვყოფილიყავი? გარეთ კი არა, დათრგუნვილი, ერთხანს ოთახიდან ოთახში ვერ გავდიოდი, ისე მეშინოდა...

— ახლა?
— ახლა არავისი და არაფრის არ მეშინია. ანას გულისთვის ყველა სიძნელეს გაუშვებოდა, რადაც უნდა დამიჯდეს ეს.

ამ სიტყვებზე მამაკაცმა თვალები დახუჭა და ამოიგმინა. რა დღეში ჩააგდო უდანაშაულო ქალი, როგორ გააუბედურა...

უცებ ნიამ თავი ასწია, უმისამართოდ გაიხედა წინ და ჩუმი ხმით მოყოლა დაიწყო:

— მამა არ მასხოვს... როცა დედა დაორსულდა და მამაჩემს ამის შესახებ უთხრა თურმე, მან არც კი მოუსმინა. ცოლად ვერ შეგირთავ, ამიტომ აჯობებს, ეგ ბავშვი მოიცილოო. დედას სასტიკი უარი განუცხადებია, მაგრამ რომ გამაჩინა, გაუჭირდა ჩემი რჩენა, ამიტომ კიდევ ერთხელ მიაკითხა თურმე მამას ოფისში, დამეხმარეო, უფროსებთანაც კი შესულა. კინწისკვრით გამოაგდეს იქიდან. ჯერ ის დაამტკიცე, რომ ბავშვი მართლა მისგან გყავსო... მას შემდეგ დედას მისკენ აღარ გაუხედავს...

დედა წელებზე ფეხს იდგამდა, ოღონდ მე არაფერი დამკლებოდა. მამაზე არასადროს სიტყვა არ დაუძრავს, ამიტომ დიდხანს არც არაფერი ვიცოდი მისი არსებობის შესახებ. როგორ ვნატრობდი ბავშვობაში, ჯადოსნური ჯოხი მქონოდა, რათა ყველა სურვილი ამსრულებოდა. ძალიან დიდხანს მჯერო-

და, რომ ერთხელაც მოვიდოდა ჩვენთან თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი და მე და დედას ზღაპრულ ქვეყანაში გაგვაქანებდა, სადაც ბედნიერად ვიცხოვრებდით სამივე. მაგრამ წლები გადიოდა და ჩვენთან არავინ დაიწყო მუშაობა სამმართველოში დაიწყო მუშაობა ბულალტრად, ერთხანს მეც თავისთან წამიყვანა და მდივნად მომანყო, რომ სამუშაო სტაჟი დამეგროვებინა... ბევრი რამ გადავიტანეთ... ჩემი გულისთვის სახლი გაყიდა და თბილისში მიყიდა ბინა, ნაქირავეები რომ არ მეცხოვრა. თვითონ აქ გადმოხარგა, მაგრამ დროებით, რადგან მალე ავად გახდა და იძულებული გახდა, ჩემთან, თბილისში წამეყვანა. მე მისთვის ერთადერთი იმედი ვიყავი, ამიტომ გაუჭირდა უჩემოდ, თან ავადმყოფობამაც დარია ხელი, ძველებურად აღარ მოსდევდა ჯანი. არც თბილისში გაჩერებულა უსაქმოდ, მარკეტში დაიწყო მუშაობა გამყიდველად...

რაც შეეხება სიყვარულს, იყო ერთი... პირველ კურსზე ვიყავი, რომ გავიცანი... ჩვენ გვერდით კორპუსში ცხოვრობდა, ავტოსალონში მუშაობდა... რა ვიცი, მგონი, ვუყვარადი, მაგრამ რატომღაც ვერ გავუგე. რასაც ის ითხოვდა, ჩემთვის მიუღებელი იყო... თუმცა, მომწონდა მის გვერდით ყოფნა. საერთოდ, ძალიან ბევრი თავყვანისმცემელი მყავდა, ბიჭები ჩემი გულისთვის თავპირს ამტვრევდნენ ერთმანეთს... მე კი ის ერთი ავირჩიე რატომღაც... ბევრად უფროსი იყო ჩემზე და ვიფიქრე, ოჯახის ფასი უკეთ ეცოდინება-მეთქი.

ამასობაში ოცი წლის გავხდი. რაც დღე გადიოდა, მით უფრო არ მასვენებდა იგი... გინდა თუ არა, ერთად ვიყოთ და თუ მოგვეწონება ერთმანეთი, მერე დავექორწინდეთო... როცა ვუთხარი, ქალიშვილი ვარ-მეთქი, სახე შეეცვალა, არ მოელოდა. ერთხანს დაიკარგა, ახლოს აღარ მეკარებოდა. მერე ისევ გამოჩნდა... რუსეთში ვაპირებ ნასვლას და იქ ბიზნესის წამოწყებას, მინდა, შენც თან წამიყვანო, სწორედ ის ქალი ხარ, რომელიც ცოლად გამომადგებო... აბა, დედას ხომ ვერ დაეტოვებდი, ამიტომ უარი ვუთხარი. ჩემ გამო დროებით თვითონაც გადაიფიქრა ნასვლა იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც თან გავყვებოდი.

ამასობაში დედა ლოგინად ჩავარდა. იმ პერიოდში ისეთი უმწეო ვიყავი... აქეთ სწავლა, იქით სამსახური... მიჭირდა ყველაფრის ერთად მოსწრება... ექიმებში სიარულმა დაგვალა... სიმსივნე აღმოაჩნდა... ფილტვების... გაჭირვებულმა ცხოვრებამ თავისი დალი დააჩინა საწყალ ქალს. არადა, დროზე რომ მიეხედა თავისთვის, იქნებ შევლებოდა რამე... ჩემ გამო არ გააკეთა ეს, რათა მე არ დამკლებოდა არაფერი...

ქიმიოთერაპია საშინელი გამოცდა გამოდგა მისთვის. პროცედურები რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. ძალიან გახდა... ერთხელაც მკურნალმა ექიმმა გამ-

ომიცხადა, არაფერი ეშველება, მაქსიმუმ, ერთი წელი იცოცხლოსო... სწორედ მაშინ გამიელვა ერთმა აზრმა... მის განხორციელებაში მავა დამეხმარა. ყველაფერი გაყვიდე, რაც გამაჩნდა — ავეჯი, ჭურჭელი, ოქროსოვლობა... ცოტაოდენი თანხა ბანკშიც მქონდა შენახული... მაკამაც მასესხა ფული და დედა თურქეთში წავიყვანე. ვიფიქრე, სანამ ცოცხალია, ბედნიერ დღეებს მაინც ვაჩუქებ-მეთქი. იმ პერიოდში ყველაზე მეტად მჭირდებოდა გვერდით საყვარელი მამაკაცი. როცა მას ამის შესახებ ვუთხარი, გაგიოცა. რაში ყრი ამდენ ფულს, დედაშენს მაინც არაფერი ეშველებაო... ვერ გამიგო... მიუხედავად მისი პროტესტისა, ჩემი მაინც გავიტანე, მას კი სამუდამოდ დავშორდი...

ერთი თვე დაეყვით თურქეთში, სამვარსკვლავიან სასტუმროში დავბინავდით. არაფერი დამიკლია დედაჩემისთვის, საუკეთესო დრო გავატარებინე... ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ თავი კომფორტულად ეგრძნო... ბოლოს ძალიან დაუშინა მდგომარეობა. როცა თბილისში დავბრუნდით, უკვე ძალზე ცუდად იყო, სუნთქვა უჭირდა... ორი კვირა საავადმყოფოში გავატარეთ... ჩემს ხელში დალია სული... სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც არაფერს გიყვებოდი ჩემი წარსულის შესახებ. იმ დღეების გასხენება გაუსძლის ტკივილს მაყენებს დღემდე... არა და არ განეღდა ეს ტკივილი... თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი... დედამ საკუთარი ჯანმრთელობა განირა ჩემი კეთილდღეობისთვის, მე კი ვერაფერი გავაკეთე მისთვის...

დედის გარდაცვალების შემდეგ დეპრესიამ დამარია ხელი... რომ არა მავა, არ ვიცი, რა დამემართებოდა. ის გვერდიდან არ მშორდებოდა, ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის. ამიტომაც ვთვლიდი თავს ვალდებულად, როცა გაუჭირდა, თავადაც დავხმარებოდი. ის იყო იმ პერიოდში ჩემი ერთადერთი დასაყრდენი, ჩემი იმედი. მის გარეშე აღბათ დავიღუპებოდი. მარტო სკოლის ხელფასი არაფერში მყოფნიდა, ვალის გადახდას ვერ ავუდიოდი. დიდი ხანი დამჭირდა, მაკასთვის სესხად აღებული თანხა დამებრუნებინა... მერე მორჩია, მცირე ბიზნესი წამოიწყე... სწორედ მაშინ მასესხა ხელმეორედ ფული, ოღონდ ამჯერად კახასთვის უთხოვია. მე რა ვიცოდი? მომიტანა სამი ათასი დოლარი და მეც გამოვართვი. მეორადების მალაზია გავსენი... ბევრი არაფერი... ჩემი შემოსავალი დიდად არ გაზრდილა, ვალის დაბრუნება კი გამიჭირდა. სწორედ მაშინ იყო, შენ რომ შეგხვდი... სულ ეს არის ჩემი თავგადასავალი.

ახლა კი, რაც ანა გაჩნდა, სხვა აზრი მიეცა ჩემს ცხოვრებას. ვიცოდი, რომ წინ ბევრი წინააღმდეგობა მელოდა, მათ შორის მატერიალურიც, მაგრამ არ ვნაღვლობდი, რადგან მისი გულისთვის ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი და უკან



ზიგლუსი

არაფერზე დავიხვედდი. ახლა უკვე აღარაფერი მაშინებს. მერე რა, რომ ანას მამა არ ჰყავს, მეც ხომ უმამოდ გავიზარდე, დამავლდა რამე? ერთადერთი, რასაც განვიცდი, ის არის, რომ დედა არ მყავს გვერდით. რა მოხდებოდა, შვილიშვილს მოსწრებოდა... — დაამთავრა ნიამ და თავი ჩაღუნა.

გიგი მიუახლოვდა, თავი აუწია და თვალებში შეხედა.

— ეს სახელი დედაჩემის პატივსაცემად დავარქევი, — ქალის თვალებში ცრემლი გაბრწყინებულიყო.

— როცა შენ გექვდი, არქივში დედაშენის გარდაცვალების ცნობები მოვიძიე... იმ საავადმყოფოშიც ვიყავი, სადაც ბოლოს იწვა. ორივენი კარგად ახსოვხართ იქ... ბევრი რამ მიაიმბეს... მე ვამაყობ შენით, პატარავ, ასეთი რამის გაკეთება ბევრ ქალს არ შეუძლია, თუნდაც, დედის გულსთვის.

ნიას მწარე კენესა აღმოხდა. გიგი უფრო ახლოს მივიდა მასთან და ბავშვისკენ დაიხარა.

— შეიძლება შევხედო?

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი. მამაკაცის თითები ფრთხილად შეეხო ჩვილის ჯერ კიდევ თოთო თავს, რომელიც რბილი, ბუმბულივით ღინღლით იყო დაფარული. ნიას მოეჩვენა, რომ გიგის ხელი უკანკალბდა. რალაც მომენტში ახვლედიანი ქალის მკლავსაც შეეხო შემთხვევით. ნია დაიძაბა. ყრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში. რაც მეტად ეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს, არ გაეღვიძებინა მიძინებული გრძობები, მით მეტად უჭირდა ამის გაკეთება. გიგი კვლავ ჯიქურ მიინევდა მისი გულისკენ. მამაკაცი თვალს არ აშორებდა ნიას, ამავდროულად, გული ეწურებოდა ტკივილისაგან...

მისი შვილი... პანანინა არსება, დედის მკერდს რომ მიხუტებია... ტკივილი, სიხარული, სიამაყე... სამივე გრძობამ ერთად გაუთბო სული. უცებ ხელზე რალაც დაეწვეთა. თავი ასწია და...

— ღმერთო ჩემო, ნია... ნუ ტირი... გთხოვ...

მამაკაცმა მკლავი მხარზე გადახვია ქალს და თავისკენ მიიზიდა.

— გთხოვ, არ იტირო... ოღონდ ეგ არა!.. გხვეწები, არ დამანახვო შენი ცრემლები.

ამის თქმა და ნიას ქვითინი წასკდა. მთელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში დარდისგან დაგროვილმა ცრემლებმა დრო იხელთეს და ნიაღვარივით მოასკდნენ მის მწვანე თვალებს.

— ნუ, ნუ... — ჩურჩულით ანუ გემუბდა გიგი ტირილისგან აცახცახებულს, — შეხედე, როგორ გიყურებს ანა, მგონი, მორჩა ჭამას...

მართლაც, ჩვილმა ჭამა შეწყვიტა და გაფართოებული თვალებით ჯერ დედას მიაჩერდა, მერე კი გიგის შეხედა. რამდენიმე წუთის განმავლობაში პატარა თითქოს ყურადღებით აკვირდებოდა მამას, მერე უცებ გაიღიმა და

პანანინა თათუნა მისკენ გაიშვირა. დაბნეულმა გიგიმ საჩვენებელი თითი ხელისგულში ჩაუდო ბავშვს, იმანაც მსწრაფლ ჩაიჭირა თავის რბილ თითებში. მამაკაცმა აღფრთოვანება ვერ დაფარა.

— გამაჯობა, ანუშვი, — ენამოჩლეკით მიესალმა მამა.

ბავშვი ცოტა ხანს კიდევ მისჩერებოდა უცხო ადამიანს, მერე მისი თითი პირისკენ გააქანა და ახლა მისი წოვა დაიწყო, მაგრამ როგორც კი მიხვდა, რომ იგი დედის რძესავით ტკბილი არ იყო, დაიჭყანა.

ნიამ სიცილი ვერ შეიკავა.

— უნდა დავანვინო, ძილის დროა უკვე, — თქვა ქალმა და ბედნიერებით გაცისკროვნებული მზერა ესროლა გიგის.

მამაკაცი წელში გასწორდა და ოდნავ უკან დაიხია. ნია წამოდგა და ჩვილი ჰაერში ასწია.

— აი, ხედავ, სიხარულო, ჩვენ ისევ ბედნიერები და კმაყოფილები ვართ, — მხიარულად წამოიძახა და ბავშვი ლოგინზე მიანვინა.

მისი ნათქვამი თითქოს ექოდ განმეორდა გიგის გონებაში... ქალმა შეუცნობლად წარმოთქვა იგი, თუმცა იმ მომენტში ეს უბრალო სიტყვები სწორედ რომ შექმნილ სიტუაციას მიესადაგებოდა. ნიამ მამაკაცის მზერა დაიჭირა და იგრძნო, როგორ მოაწყდა ვნებისა და სიყვარულის ტალღა მის სულს... და მიხვდა, რომ უძლური იყო ამ ტალღის წინაშე, ვერაფერს გააწყობდა მასთან...

თითქოს დრო გაჩერდა. ახვლედიანი გახვევებული იდგა და საყვარელ ადამიანს მისჩერებოდა. როგორც იქნა, კვლავ შეხვდა მას. ამიერიდან მის ცხოვრებაში არც დარდი იქნება, არც ტანჯვა და არც სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული წუხილი.

— ოდესმე შეძლებ პატიებას? როგორც უკანასკნელი არამზადა, ისე მოვიქეცი. გგონია, ვერ ვხვდები? ერთი ხელის მოსმით გაგაძვეე ჩემი ცხოვრებიდან. მაგრამ... მაშინ გააზრების უნარი დაკარგული მქონდა. როცა შენი ვალების ამბავი გავიგე, ჭკუა გადამეკეტა. არაფრის გაგონება არ მსურდა, მეგონა, თამაშობდი და ანგარების გამო იყავი ჩემთან.

— არადა, წამითაც არ გამივილია გულში მსგავსი რამ. იმიტომ არ გეუბნებოდი იმ ფულის შესახებ, რომ ჩვენი ურთიერთობა არ გამეფუჭებინა. მაგრამ როცა გითხარი, შენ აღარ მომიხსინე.

— რაც შენ ნახვედი, მას მერე მოსვენება დავკარგე, — აღიარა გიგიმ, — თავიდან მეგონა, მალევე გამოიჩნდებოდი, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, თვითონაც არ ვიცი, რატომ, მაგრამ შევცდი. შენ არც მეორე დღეს დაბრუნდი, არც მეორე თვეს და... საერთოდ, აღარასდროს დაბრუნდი. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ სამუდამოდ ნახვედი ჩემგან და უკან დაბრუნებას აღარ აპირებდი. აი, მაშინ

დამერხა... სწორედ მაშინ გავხდი ყველაზე ცუდად, რადგან მე თვითონ გაიძულე, მიგეტოვებინე... ერთი პერიოდი ვცდილობდი, ჩამეგონებინა ჩემი თავისთვის, რომ ასე ჯობდა, რომ შენი წასვლა ჩემთვის საუკეთესო გამოსავალი იყო, მაგრამ ვხვდებოდი, რომ თავს ვიტყუებდი. უშენობამ დამტანჯა, ნია, დღემდე მაკლიხარ... დღევ მენატრებოდი და ლამეც... ვერც ერთმა ქალმა ვერ შეძლო იმ სიცარიელის შევსება, რომელიც შენი წასვლის შემდეგ დამრჩა გულში... მითხარი, როდის მიხვდი, რომ ორსულად იყავი?

— სიმართლე გითხრა, ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა, იმ ღამეს ცუდად რომ არ გავმხდარიყავი და ექიმი არ გამოგეძახებინა, — ღრმად ამოიოხრა ნიამ, — როცა გამომკითხა და ვარაუდი გამოთქვა, შეიძლება ორსულად იყო, არ დავიჯერე. მერე და მერე, თავბრუსხვევები და ლებინება რომ არ შემინცდა, დავრწმუნდი, რომ მართლაც ასე იყო. ამიტომ მუშაობა მივატოვე, ბინა გავაქირავე და აქეთ წამოვედი. იქ თავი არ გამომეყოფოდა, რას იტყვოდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები... გარდა ამისა, შენი რისხვისაც მეშინოდა. ჩემი დაორსულების ამბავი რომ გაგეგო, გაბრაზდებოდი. იფიქრებდი, რომ სპეციალურად გავაკეთე ეს.

— ნია, ნია... შენი მოძებნა რომ არ დამენყო, რა მეშველებოდა? რა მოხდებოდა მაშინ? არა მარტო შენ დაგკარგავდი, შვილსაც...

— მამატიე, რომ ასე მოხდა, მაგრამ ხომ გესმის, ჩემი ბრალი არ არის...

— საპატიებელი რა გჭირს, სულელი, წამითაც არ გავილო გულში ეგ. მესმის შენი, ძალიან კარგად მესმის. ჩემი უხეშობით მე თვითონ გკარი ხელი იმ დღეს. ძალიან გთხოვ, მეტჯერ აღარ იტირო. ისედაც ბევრი ტანჯვა გადიტანე ჩემ გამო, მაგრამ ვეცდები, გამოვისყიდო დანაშაული. დღეიდან არაფერი მოგაკლდება არც შენ და არც ჩვენს შვილს, თუ, რა თქმა უნდა, ამის ნებას დამრთავ. ერთი ცრემლიც არასდროს ჩამოგორდება შენი ღამაში თვალებიდან, გესმის? ერთიც კი... — მამაკაცი ოდნავ გადაიხარა და ქალს ნახად აკოცა, — მიყვარხარ, პატარავ, — ჩაიჩურჩულა, — ყოველთვის მიყვარდი, მაგრამ ბრმა ვიყავი და არ მინდოდა ამის აღიარება.

ნიამ თავი მკერდზე მიადო გიგის, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— იცი? მკაცრად მეც დიდად ვარ დავალებული... რომ არა ის, შენს ამბავს ვერასდროს გავიგებდი და არც შენს მოძებნას შევეცდებოდი, — თქვა უცებ მამაკაცმა.

— მკაცრად? — ნიამ მსწრაფლ ასწია თავი და გაოგნებული მიაჩერდა ახვლედიანს.

— ჯერ ყავა მომიდღულე და მერე მოგიყვები ყველაფერს, ცოტა აზრზე მოვიდე, კარგი? — თმაზე ხელი ჩამოაყოლა გიგიმ ქალს და თბილად გაუღიმა.



— ახლავე... ნამო, სამხარეულოში გავიდეთ.

ჯერ კიდევ დაბნეული ნია ყავის მოდულებას შეუდგა, გიგი კი იქვე სკამზე ჩამოჯდა და მოყოლა დაიწყო:

— სწორედ მან მითხრა დედაშენის შესახებ. არადა, მისი ნართაულების გამო უფრო დაგმორდი. მისი სიტყვები გონებიდან არ ამომდიოდა. გახსოვს, რესტორანში რომ ვეჩხუბე მაგის საყვარელს? მაშინ მელაპარაკა შენზე...

— მერე სადაღა შეხვდით?

— ერთ მეგობართან. შენზე გამომკითხა, სად არისო. ვუთხარი, დაგმორდი-მეთქი. გაუკვირდა. როცა მიზეზი აუხსენი, ლამის გაგივდა და ყველაფერი მიაბო... თავიდან ერთი სიტყვაც არ დავიჯერე. ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ ნამ და ამან ერთად გამოიგონეს კიდევ ერთი ისტორია ჩემს მოსატყუებლად-მეთქი... კარგად დაფიქრდიო, მითხრა... მაინც არ ვენდე, თუმცა, მალევე მივხვდი, რომ არ ტყუოდა. ჩვენ ხომ შემთხვევით მოვხვდით ერთად, მას ჩემი მოქებნა არ უცდია. დიდი ყოყმანის შემდეგ, გადაწყვიტიე, თავად გამერკვია სიმართლე... რა ხერხს არ მივამართე, სად არ ვიყავი... და მაინც დავადგინე, რომ მაკა არ მატყუებდა...

— ხომ არ იცი, სად არის, რას აკეთებს? ისევ იმ საშინელ კაცს ხედება?

— მაკას ხსენებამ ნიას დროებით გადაავინყა პირადი პრობლემები.

— არა, იმას დიდი ხანია, დაშორდა. მერე რუსეთში წავიდა. იქ ვილაც ბიზნესმენი გაუცნია და ცოლადაც გააპყლია... ამ ზაფხულს იქ იყვნენ, თბილისში. ლაშა გახსოვს, აბზიანიძე? მისი სასტუმროს გახსნაზე ერთად ვიყავით.

— როგორ გამიხარდა მაკას ამბავი...

მისგან ბევრი სიკვთე მახსოვს, — დანაებით ჩაილაპარაკა ნიამ და ყავის ფინჯანი წინ დაუდგა.

— მეც, სხვათა შორის. რომ არა ის, შენ ვერასდროს გიპოვიდი... ამიტომ ჩვენს ქორნილში აუცილებლად უნდა დავპატიუოთ.

ამის გაგონებაზე ქალი ადგილზე გახევდა, ტუჩები გაუფითრდა უცებ.

— ქორნილში?

გიგი წამოდგა, წინ დაუდგა ნიას, მხარზე ჩამოშლილი თმა უკან გადაუნია და გაღიმებული თვალებში ჯიქურ ჩააშტერდა.

— აბა? ცოლად უნდა გამომყვე. ამხელა გზა, როგორ გგონია, რისთვის გამოვიარე? ჩემთან უნდა წაგიყვანოთ ორივე. სანამ გნახავდი, მეგონა, მარტო შენი წაყვანა მომიწევდა, აქ კი ისეთი განძი დამხვდა... გაორმაგებული... — მომწუსხველად იღიმებოდა მამაკაცი, — მინდა ისევ ისე გიყვარდე, პატარავ...

— მე შენ მიყვარხარ, გიგი... ყოველთვის მიყვარდი... — ქალმა ფეხის წვერებზე აინია და ოდნავ შეეხო მამაკაცს ტუჩებზე, — და ყოველთვის მეყვარები...

ახვლედიანმა ქალის მხრებს ჩამოაყოლა მკლავები და წელზე მოხვია ხელი. მერე ძლიერად მოუჭირა თითები ნიას, ისე ძლიერად, რომ ქალს სუნთქვა შეეკრა.

სასტუმრო „მირაჟის“ რესტორნის დარბაზი სტუმრებით იყო გადაჭედებული... მხიარულ გადაძახილსა და ჩოჩქოლზე მიხვდებოდით, რომ რალაც ძალიან გრანდიოზული და ლამაზი საღამო დასასრულს უახლოვდებოდა.

გიგი ახვლედიანი ასეთი ბედნიერი არასდროს ყოფილა...

ნია? ნიაც დიდი ხანია, არ ყოფილა ასეთი ბედნიერი...

ყველა განსაკუთრებულ ხასიათზე იყო, ყველა, პატარა ანას გარდა. ის თვალებგაფართოებული მისჩერებოდა თითოეულ მათგანს, ვინც ხელში აიყვანდა და მიეფერებოდა. ვინც მოეწონებოდა, იმას გაუღიმებდა კიდევ... არადა, უკვე ძილის დრო უწევდა, თუმცა მისთვის არავის ეცალა, საყვარელ დედიკოსაც კი.

პატარძალი ყველასგან გამოირჩეოდა... არც სიძე ჩამორჩებოდა მას... კიდევ კიდევ ერთი ატმის ყვავილისფერ მოკლე კაბაში გამოწყობილი მალალი, მოხდენილი ქალი მოგხვდებოდათ თვალში... ეს მაკა იყო, რომელიც თავის ქერათმინან მუღღლესთან ერთად კმაყოფილი ღიმილით დადიოდა სტუმრებს შორის.

— მიხარია, ასე რომ დამთავრდა ყველაფერი, — ჩურჩულით გადაულაპარაკა მაკამ მოახლოებულ მეგობარს და ლოყაზე ნაზად აკოცა.

— მეც ბედნიერი ვარ, შენც რომ აგწყად ცხოვრება, მაკა, ახლა უფრო მშვიდად ვიქნები.

— მაგრამ მაინც მშურს შენი, — ეშმაკურად გაიღიმა მაკამ.

— გშურს? რა გჭირს ჩემი შესაშური, შვილი რომ მყავს? შენც გყ-

ოლება მალე, — მიამიტად გაუღიმა ნიამ.

— არა, ეგ არა... შენ ქართველი ქმარი გყავს, მე კი რუსი, — გადაიკისკისა დაქალმა.

— სამაგიეროდ, შენი ქმარი ჩემსაზე მდიდარია, — აპყვა ნიაც.

ამ დროს გიგი მიუახლოვდა გამხიარულებულ ქალებს.

— რა გაცინებთ?

— მიხარია მაკას ამბავი, — თქვა ნიამ, — დღეს ყველას ყველაფერი მიხარია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, — დაყოფილი ბოლოს.

— მე კი ეგოისტი ვარ და მხოლოდ ჩვენი ამბავი მიხარია... დღეს, — ხაზგასმით დააყოლა გიგიმ და ცოლს თვალი ჩაუჭკრა.

— ბავშვი სად არის? — მოულოდნელად შემოთვება გამოეხატა ნიას თვალებში.

— დაწყნარდი, ძიძამ წაიყვანა დასაძინებლად. კარგა ხანია, ეძინება, ჭუჭყუნებდა უკვე.

— მიეჩვია მეგის, იცი?

— სად წავა, მიეჩვევა ალბათ...

ამ დროს ვალსის მელოდია გაისმა.

— არ გინდა, ვიცევოთ? სანამ ყველანი ნასულან, ვუჩვენოთ დარჩენილებს კლასი, — მაცდურად გაუღიმა ცოლს გიგიმ და წელზე ხელი მძლავრად მოხვია. თანხმობის ნიშნად ქალმა უკან გადააგდო თავი და ქმარს მხარზე შემოაჭედო მკლავები...

დატრიალდნენ. წყვილს ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე...

— მითხარი, რომელ საათზე უწევს ჩვენს პატარას მორიგი ჭამა? — გიგიმ თვალები მოხუჭა და მრავლისმთქმელი მზერა მიაპყრო ქალს.

— ამაღამ აღარ ვაჭმევ, მინდა გადაეჩვიოს, დილის რვაზე თავისუფალია, — კეკლუცად გაიღიმა ნიამ.

— მაშინ... იმაზე ვიფიქროთ, უფრო სასარგებლო საქმეში როგორ გავიყვანოთ დილის რვა საათამდე დრო, — უჩურჩულა გიგიმ მუღღლეს და ვნებიანად აკოცა ყვრიმალზე.

ნიას ბედნიერებისგან თავბრუ ეხსმოდა. მას ახლა ყველაფერი ჰქონდა, ყველაფერი, რაც მის გულს მოესურვებოდა.

შუა დარბაზში მხოლოდ ერთი წყვილი ცეკვავდა — სიძე და პატარძალი... გიგი და ნია... რესტორნის დარბაზში მყოფი ფხიზელი თუ ნასვამი სტუმრები ალტაცებული მისჩერებოდნენ მათ...

ყოველ დატრიალებზე პატარძლის გრძელი, ბრილიანტებით განწყობილი თეთრი კაბა ფართოდ იშლებოდა. ლალისთვლებიანი საყურე და ყელსაბამი თვალისმომჭრელად ელავდა გაბდღვრილებული დარბაზის ფონზე...

ლალის თვლებს ჰარმონიულად ეხამებოდა ნითელი, მალაქქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელიც პატარძალს ეცვა... ნითელი ფეხსაცმელი ნიას თილისმა იყო...

დასასრული

შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ ხარკოვის ნიგნიდან „გენერალისიბუსი“



საინტერესოა, როდის შეიტყო სტალინმა სამხედრო შეთქმულების შესახებ — გამოძიების დროს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე თუ უფრო ადრე?..

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინა თავში მოყვანილი ცნობები სტალინისთვის, შეთქმულთა შეხვედრებისა და თათბირების ჩატარებიდან სულ ცოტა ხანში ხდებოდა ცნობილი. მიყურადების სამსახური გამართულად და შეუსვენებლივ მუშაობდა, აქტიურად მოქმედებდნენ სხვადასხვა ჯურის ინფორმატორებიც...

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-36

სამხედრო შეთქმულება

სტალინი გარკვეულ ხანს აყენებდა კიდეც: ტუხაჩევსკი 22 მაისს დააპატიმრეს, მაგრამ ლუბიანკაზე (კა-გე-ბეს ცენტრალური შენობა მოსკოვში) მხოლოდ 25 მაისს მიიყვანეს. სტალინი რისკზე წავიდა, დიდ რისკზე. ერთ-ერთი შეთქმულის ჩვენების მიხედვით, შეკრებისას ტუხაჩევსკი მაგიდაზე მუშტს უბრაგუნებდა და გაჰყვიროდა:

— მოცდა აღარ შემიძლია! თქვენ რა, გინდათ, რომ ყველანი, როგორც პიატაკოვი და ზინოვიევი, დაგვაპატიმრონ და კედელთან მიგაყენონ?!

სტალინმა უთუოდ ამის შესახებაც იცოდა. მაგრამ მარშლის დაპატიმრება ყველა წესის დაცვით გაფორმდა — პოლიტბიუროს გადანიყვებულებითა და გენერალური პროკურორის სანქციით.

დღეს გამუდმებით გაისმის: „სტალინი პირსისხლიანი ბოროტმოქმედი იყო, ათასობით უდანაშაულო ადამიანი გაანადგურა, წითელი არმიის სამეთაურო ნაწილი მოსპო, 40 ათასი ოფიცერი განწირა!“

მაგრამ იბადება კითხვა: მაშ,

მუშაკები, რომლებიც ტროცკისტთა ნაწილს წარმოადგენდნენ, — ოპოზიციონერები, შეთქმულები, რომლებსაც, სხვათა შორის, ამხელდა და უვნებელყოფდა ბერია. ისინი თავადაც აღიარებდნენ, რომ გამოძიებისას „ფიზიკურ მეთოდებს“ იყენებდნენ...

საერთოდ, საბჭოთა კავშირში რეპრესიების ორი პერიოდი იყო: პირველი — 30-იანი წლების შუა ხანამდე (ტროცკისტული), მეორე (სტალინისტული) — კიროვის მკვლელობის შემდეგ.

წამება და ბრალდებულებზე რაიმე სხვა ფორმით ზემოქმედება იმ ღია პროცესების დროს, რომლებიც კრემლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა, არ ყოფილა; იგივე ითქმის ტუხაჩევსკისა და მისი მომხრეების პროცესზეც. ამბობენ, სტალინი თვალყურს ადევნებდა ამ სასამართლოებსო. ფაქტებიც ამას მოწმობს. ის არა მარტო თვალყურს ადევნებდა, არამედ ხვდებოდა კიდევ ზოგიერთ ბრალდებულს — მისივე თხოვნით, წერილის პასუხად, სადაც ბელადს ძველ მეგობრობას ახსენებდნენ, ჩადენილ დანაშაულს აღიარებდნენ და იხანებდნენ...

ბოლო წლებში პრესაში არაერთხელ დაწერილა 40 ათასი რეპრესირებული მეთაურის შესახებ. ამასთან, იმდროინდელ მოვლენებს ისე აშუქებენ, თითქოს ყველა მსჯავრდადებული დახვრიტეს. იმასაც ირწმუნებიან, რომ კადრების განადგურება სტალინის მთელი მოღვაწეობის ხანას გასდევდა. მაგრამ დოკუმენტები და ფაქტები ამ ბრალდებას არ ადასტურებს.

მასობრივი რეპრესიების აზვირთება 30-იან წლებზე მოდის — იმ პერიოდზე, როდესაც რამდენიმე ათასი მეთაური, ფელდმანის, გამარნიკისა და სამხედრო შეთ-



ლუბიანკაზე (კა-გე-ბეს ცენტრალური შენობა მოსკოვში) მხოლოდ 25 მაისს მიიყვანეს



მარშალი გუსევი

ქმულების სხვა მონაწილეთა ხელით განადგურდა.


ვნახოთ, რას ამბობდა ერთ-ერთ პლენუმზე გამოსვლისას სტალინი:

„დროული და მართებული წმენდის შედეგად, ვოროშილოვსა და მის მოადგილეებს, შეიარაღებულ ძალებში შეღწეული უცხოური აგენტურის მხილებისას, ბევრი გადაცდომაც მოუვიდათ. იმ „ინფორმაციის“ სისწორეში დარწმუნებულები, რომელსაც მათ შინაგან საქმეთა ყოფილი სახალხო კომისარი ეჟოვი აწვდიდა, მათ 40 ათასი გამოცდილი მეთაური დაითხოვეს — თითქოსდა პოლიტიკური არაკეთილსამედობის მიზეზით. არადა, იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც შინსახკო-ში მხოლოდ იმის გამო აცხადებდა ხალხის მტრად სამხედროს, რომ მას ნაცნობობა აკავშირებდა მხილებულ აგენტთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეხებია მას.

ცხადია, შეიძლება, გავუგოთ ამხ. ვოროშილოვს: სიფხიზლის დაკარგვა ძალზე სახიფათოა. იმისათვის, რათა ფრონტზე წარმატებული ოპერაცია ჩატარო, ასიათასობით მებრძოლია საჭირო, ხოლო ამ საქმის ჩასაგდებად — გენერალურ შტაბში მოკვალათებული 2-3 გარეწარიც საკმარისია. და მაინც, რითიც უნდა ვამართლებდეთ შეიარაღებული ძალებიდან 40 ათასი მეთაურის დათხოვნას, ეს არა მარტო განსაკუთრებული, არამედ ძალზე მანკიერი ღონისძიებაა, ყველა თვალსაზრისით. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვოროშილოვს ამაზე მიუთითა.

1938 წლის იანვრისთვის არმიასა და ფლოტში 11 ათასი დათხ-

ოვილი მეთაური დავაბრუნეთ. ჩვენი უცხოელი მტრები ავრცელებენ ხმებს მასობრივი დახვრეტების შესახებ, რომლებიც თითქოს საბჭოთა კავშირში ხდება, და ნიანგის ცრემლებს ღვრიან ჩვენ მიერ მხილებული და დახვრეტილი აგენტების — ტუხაჩევსკების, ეგოროვების, იაკირების გამო... იმასაც ირწმუნებიან, — უცხოური აგენტურის მხილებამ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა დააქვეითა, ხოლო ქვეყანაში დახვრეტილთა საერთო რაოდენობამ მილიონსაც კი გადააჭარბაო. ეს პროვოკაციული ცილისწამებაა. 1937 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის სასამართლო ორგანოებმა სულ 841 კაცი გაასამართლეს, მათ შორის, 121 დაიხვრიტა. 1938 წელს ასევე კონტრრევოლუციური დანაშაულებისთვის 52372 კაცი დააპატიმრეს; სასამართლო ორგა-



ცხადია, შეიძლება, გავუგოთ ამხ. ვოროშილოვს: სიფხიზლის დაკარგვა ძალზე სახიფათოა

სომეხში იტოვით: 2 პოსტარი 3 საქმეებრიდან

შაჰაჰი თაჰაჰაჰის პარტიის მდიანი იბრაჰიმ რაჰიმის და კარგა ჯანაჰის ხარაბ...

არსენალი

სომეხისა და სომეხანაჰის ისტორია

თანამედროვე მხარიაჰი ავიაფრიაჰი

კომუნისტური წყაროებზე ნაშრომები

სომეხი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით

ზიგლუსი

ნობეში საქმეების განხილვისას, 2731 კაცს დაედო მსჯავრი, მათ შორის, 89 დაიხვრიტა, ხოლო 49641-ს ბრალი მოეხსნა. გამართლებულთა ასეთმა დიდმა რაოდენობამ ცხადყო, რომ ყოფილი შინსახკომი — ეჟოვი ბევრ ადამიანს უსაფუძვლოდ აპატიმრებდა, ცეკვას ზურგს უკან, თვითნებურად მოქმედებდა, რისთვისაც დააპატიმრეს კიდევ 1939 წლის 10 აპრილს, ხოლო 1940 წლის 4 აპრილს, უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენის შესაბამისად, პროვოკატორი ეჟოვი და მისი მოადგილე ფრანკოვსკი დახვრიტეს“.

ამას ამბობდა სტალინი დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენ ბოროტებას ჩაიდენდნენ ტროცკისტები (კარგად ორგანიზებულინი!), გერმანული და იაპონური არმიისთვის ხელშეწყობის მიზნით დასახული გეგმები რომ განეხორციელებინათ.

სტალინი რომ გაბედული ადამიანი იყო, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მტრების ზრახვების შეტყობისას მან აუცილებელი, მისი გაგებით, სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი ზომები მიიღო — შინსახკომის ორგანოებში „გამაჯანსაღებელი“ წმენდა ჩაატარა.

ეს, თავისი შინაარსით საშინელი დოკუმენტია, რომელიც ასეულათასობით ადამიანის დაღუპვას აფიქსირებს!



სტალინს კარგად ახსოვდა ებრაული კომუნისტური პარტიის ათიათასობით წევრი, რომლებიც მისი ნების საწინააღმდეგოდ ბოლშევიკურ პარტიაში მიიღეს. ეს სიონისტები დიდ ძალას ფლობდნენ, რადგან ყველა ჯურის ოპორტუნისტთან იყვნენ დაკავშირებული; ტროცკის თავკაცობით, ბევრი მათგანი შინსახკომში, პროკურატურაში, ბანაკე-



ბსა და პარტიულ ორგანოებში მაღალ პოსტზე „მოღვაწეობდა“.

სტალინს არაერთი ამ მოღვაწის გვარ-სახელიც კი ახსოვდა. ბუნებრივია, მათი შავბნელი საქმეებიც არ ავიწყებოდა, რასაც პარტიის გადანყვებილებები აბსურდის დონემდე დაჰყავდა და ჭეშმარიტ ბოლშევიკთა ბევრი კეთილი წამოწყების კომპრომეტირებას ისახავდა მიზნად. სტალინს ყველაფერი ახსოვდა... ამიტომაც მათ ყველაფერისთვის აგეს პასუხი...

1922-დან 1938 წლამდე განხორციელებული რეპრესიების მიზეზებსა და საფუძველზე მსჯელობის დასრულებისას, აუცილებლად მიმაჩნია, მკითხველს მივანოდო კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც თითქოს აისბერგის წყაქვეშა ნაწილს წარმოადგენს, სადაც ჯერჯერობით არავის ჩაუხედავს. ეს, თავისი შინაარსით საშინელი დოკუმენტი, რომელიც ასეულათასობით ადამიანის დაღუპვას აფიქსირებს!

„სრულიად საიდუმლოდ, ამხანაგ სტალინს

ცნობა

1919-დან 1930 წლამდე პერიოდში, საგანგებო კომისიისა და მთავარი პოლიტსამმართველოს ორგანოებმა 2,5 მილიონამდე ხალხის მტერი, კონტრრევოლუციონერი, მესაბოტაჟე და სხვ. დახვრიტა.

1930-დან 1940 წლამდე მთავარი პოლიტსამმართველოსა და შინსახკომის ორგანოებმა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში

მისცეს და, როგორც ხალხის მტრები, გაასამართლეს 1 მილიონ 300949 კაცი; მათ შორის, სასამართლოს განაჩენით, 892985 კაცი დაიხვრიტა, ამაშიადა სასჯელს იხდის 407964 კაცი.

რეპრესირებულებს შორის არიან:

კონტრრევოლუციონერები, ლენინური პარტიის ყოფილი ლიდერები, რომლებიც კონტრრევოლუციის გზას დაადგნენ; აქედან, 937110 კაცია მსჯავრდადებული, 686271 — დახვრეტილი;

კომინტერნის წევრები, რომლებიც კონტრრევოლუციისა და მავნებლობის გზას დაადგნენ; მსჯავრდადებულია 180300, დახვრეტილი — 95854 კაცი, სასჯელს 84446 კაცი იხდის;

ექიმ-მავნებლების საქმეზე 3959 კაცია გასამართლებული; დაიხვრიტა 1780, სასჯელს 2066 კაცი იხდის;

მწერალ-„ჰუმანისტთა“ საქმეზე გასამართლებულია 39870 კაცი, დაიხვრიტა 33000, სასჯელს 6870 იხდის;

წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეებსა და თავისუფალ დაქირავებულთა შორის, სამშობლოს ლალატიისათვის, როგორც ჯაშუში და ხალხის მტერი, 76634 კაცი გაასამართლეს, დახვრეტილია 35000, სასჯელს 37568 კაცი იხდის;

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს შორის, რომლებიც ამხილეს, როგორც ხალხის მტრები, გასამართლებულია 63079, დახვრეტილია 41080 კაცი, სასჯელს 22319 იხდის.

გასამართლებულ ხალხის მტრებს შორის 90% — ებრაული ეროვნების წარმომადგენელია.

მონაცემებში არ არის ასახული ბანაკებში დაფიქსირებული სიკვდილიანობა.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ლ. ბერია“.

ცხადზე უცხადესია, რომ სტალინი მარტო არ სჩადიოდა საშინელებებს. ამაში უდიდეს როლს ასრულებდნენ მისი ერთგული და მორჩილი თანამზრახველები: ვოროშილოვი, ეჟოვი, ბერია, მესხისი, ულარიხი — ერთი მხრივ, და ოპოზიციონერები — ტროცკი, იაგოდა, ბერმანი, ავეტერი, ფელდმანი და სხვები — მეორე მხრივ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ვნილები



მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასებო. როგორც უკვე იცით, „ზაფხულის არდადეგებზე“ ვარ და თბილისში არ ვიმყოფები. ჰოდა, ვერ წარმოიდგენთ, როგორი კმაყოფილი ვარ იმით, რომ როგორც იქნა, ჩემს კუთვნილ შევხულებას დანიშნულებისამებრ ვიყენებ. თუმცა, მუშაობა მაინც მიწევს, მაგრამ ახალ გარემოში სასიამოვნოც კია, საყვარელი საქმის კეთება. ვისარგებლე შემთხვევით, ჩვენი ბათუმელი მგ ზაფხულების მიწვევა მივიღე და „ქათქათა“ ქალაქს ვენვიე. SWEET-GIRL, ვერმახტი, მაესტრო, სუპერსთარი გავიცანი და ძალიანაც კმაყოფილი ვარ. მათთან ერთად მანაველიც, რომელიც ბათუმში ილინთან ერთად ისვენებს. ჩვენი შეხვედრის ამბებს დანწრილებით მომდევნო ნომერში „სიტუაციაში“ გაეცნობით. ახლა კი თქვენს ძველ და ახალ მესიჯებს გაგაცნობთ.

თავისუფალი თემა

საზონური სიყვარული და „პეს ბირჟა“ ანუ მათა არ არსებობს

ნაცოლები

„მოგეხსენებათ, რა ძნელია ათენში ყოფნა. ბიჭი ჩემ გარეშე დაოჯახდა და ახლა ქალიშვილმაც გამოიძისადა, დედიკო, შეყვარებული ვარო. სამწუხაროდ, მომავალი სიძე ცოლს გაცილებულია. მისთვის ჩემს შვილს ოჯახი არ დაუნგრევია, მაგრამ როგორც დედა, მაინც ვნერვიულობ და ჩემს შვილს ვეჩხუბები, რომ მას არ ნაჰყვეს. ყველაზე მეტად სიტყვა „ნაცოლები“ მტკუნს გულს. ჩემი შვილი ბავშვიც აღარ არის, პროფესიით — ექიმი. ძალიან ემოციური ვარ და სულ ვსაყვედურობ. როგორც ჩანს, ჩემმა შვილმა შეყვარებულთან რამე თქვა და ბიჭმა დამირეკა და მითხრა, თქვენს შვილს რატომ საყვედურობთ, მე ამ შეცდომისთვის მთელი ცხოვრება უნდა დავისაჯაო?! გთხოვთ, დედებმა და ახალგაზრდებმაც მიჩრჩიეთ რამე. ამდენი ჩხუბით რა ვქნა? ათენი“.

გულმა „მიწიკა“

„მარი, ისეთი ბედნიერი ვარ, მთელი სამყარო ჩემი მგონია კი არა და, ნამდვილად ჩემია. ბათუმელი, 16 წლის ქალიშვილი სამტრედიელი ქალბატონი გაგზავნილი.) გათხოვება გეგმის ბოლოშიც არ მქონია, მაგრამ გულმა „მიწიკა“. ჰო, ეგ დიდი არაფერი ყოფილა იმასთან შედარებით, რასაც ახლა განვიცდი. ამას დედობა ჰქვია. ჩემი პატარა ელენიკო 2 თვის მალე გახდება და ასე მგონია, მთელი ცხოვრება ჩემი შვილია და ერთად ვიზრდებით. უკვე ჭკვიანურად იყურება და კისკისებს. „გზავნილებს“ ვკითხულობ, მაგრამ არ ვამესიჯებდი. მოგიკითხავთ ყველას. იქნებ მეც ჩამოვრიოთ ჭორიკანობაში, ჰა? გკოცნით. თამთა-ლ“.

მთვარეული

„მაააარ, როგორ ხარ? ამას წინათ რომ მოგწერე, ბოლოს ხომ დავწყობე To Be Continued-მეთქი და აი, ბატონო, Continued. სოფელში მარისთან ერთად არაჩვეულებრივად დავისვენე (ეს ის მარია, ლენჩი კი არა და, ელჩი მამა რომ ჰყავს). რაც მთავარია, აღმოვაჩინე, რომ მარი მთვარეულია და ძილში ლაპარაკობს. :)

რა და როგორ მოხდა, ახლავ მოგწერ: სოფელი ძალიან მომეწონა, ძალიან თბილი ხალხი დამხვდა, მაშინვე შინაურად ვიგრძენი თავი. გვიანობამდე „ბირჟაც კი გავაშაგრეთ“. მოკლედ, დაღლილები შემოვედით, დაგვექით თუ არა, მარის მაშინვე ჩაეძინა, მე კი ჩემი ტელეფონის „ნიკებს“ ვუმკლავდებოდი (მესიჯს არ გზავნიდა).

უცებ, მარის საწოლიდან ლაპარაკის ხმა მომესმა. ჯერ ვიფიქრე, ტელეფონზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი, მაგრამ არც ტელეფონის ხმა გამიგონია. თან ყური

კარგად რომ დავუგდე, აი, რას ამბობდა: „ეს გოლი არ უნდა ჩაითვალოს, Play off იყო, გიოს გეფიცები, ასეა“. ეს რამდენჯერმე გაიმეორა, მერე კი ლოგინიდანაც წამოდგა და ბორიალი დაიწყო. ჯერ მეგონა, ჩემი შეშინება უნდამეთქი, მაგრამ გვარიანად რომ დავფეთდი და მარის ამაზე რეაქცია არ ჰქონია, შევეშინდი. არც შემოლანუნებამ უშველა, სხვათა შორის. მოკლედ, მარის ბებია და ბიცოლა გავაღვიძე და უცებ გამოაფხიზლეს, მაგრამ... მარის ბოღვა მარტო მე არ გამიგონია, ოჯახის წევრებმაც გაიგეს, გიოს რომ იფიცებდა და დაეჭვებულებმა იკითხეს, გიო ვინ არისო (გიო მარის სატრფოა, რომლის შესახებაც ოჯახმა არაფერი იცის)? მოკლედ, ძლივს დავაჯერეთ, რომ „ეს ის არ იყო, რაც მათ ეგონათ“ და მარის მამიდაშვილს, პატარა გიოს იფიცებდა. ასე შემაშინა მარამ ზაფხულის თავგადასავლის პირველივე ღამეს. მარად თქვენი ჩუპი“.

სურვილების ამსრულებელი

„ამას წინათ, როდესაც ჯერ კიდევ ბათუმში ვიყავი და ჩემს საყვარელ მგზავნელუკებთან ერთად ზღვაზე დავდიოდი, ეს ამბავიც მაშინ მოხდა. ბიჭები, მაესტრო და ვერმასტი კარტის თამაშით იყვნენ გართულები. მე, რადგან ჯოკერის თამაში არ ვიცო (ყოველ ზაფხულს ვსაზღვაო და მავინყდება), მათ თამაშს ვაკვირდებოდი. ცოლს ხანში ესეც მომწყინდა და ვიფიქრე, რამეს ვიცულღუტებ-მეთქი. ჩანთიდან ბლოკნოტი და კალამი ამოვიღე (რომელიც სულ თან მაქვს), ფურცელი ამოვიხე და შემდეგი ტექსტი დავწერე: „გავიცნობ სიმპათიურ ახალგაზრდას, განათლებულს, ჭკვიანს... სასურველია, იყოს ჭოკით მხტომელი. ვარ ასევე ჭკვიანი და განათლებული (უუუუს!). გიტოვებთ ჩემს ნომერს. მსურველები შეემხიანეთ. 12345678910 ანწყევთ და დამიქვითეთ. გელოდებით. თათა“. შემდეგ მე „გრაგნილი“ ბოთლში ჩავაგდე, როკოს მითითებისამებრ შიგ ცოტა ქვებიც ჩავამატე და ზღვის სიღრმეში მოვისროლე... იმით გულდამშვიდებულმა, რომ ამ ჩემს ბარათს რომელიმე გემზე აღმოაჩენდნენ (რა შორს მიმავალი სურვილები მაააქვს?! მშვიდად გავაგრძელებ ძველი საქმიანობა. ის იყო, წამოსვლას ვაპირებდით, რომ მოშორებით მყოფი ახალგაზრდების ყვირილი გავიგონეთ, რომლებსაც ჩემი „სურვილების ამსრულებელი“ ბოთლი ეჭირათ და უსირცხვილოდ კითხულობდნენ... თან იქვე მყოფებს გასძახოდნენ, მოდი, მოდი, გოგოს ნომერი ვითრიეთო. იმ ნომრის კი არა და ციფრთა წყობის დანახვის შემდეგ რა ქნეს, აღარ დავლოდებოვართ... იქნებ ახლაც აწყობენ? ვინ იცის... SWEET-GIRL“.

ოინბაზი მამა

„მსოფლიოში ყველაზე ოინბაზი მამა მყავს. ჩვენს უბანში კაცი არ დარჩენილა, მისთვის რამე ისეთი რომ არ მოეწყოს. აი, ერთ-ერთი ამბავიც, რომელიც გასულ წლებში მოხდა. ჩვენს ზედა უბანში ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად ოქრო (აცხონოს ღმერთმა). მოსკოვი მოუვლია და საქართველოში დაბრუნებულს, როგორც ქართველი მამაკაცების უმეტესობას სჩვევია ხოლმე, უბნის ბირჟაზე გასულს, თავი მოუწონებია თავისი დონჟუანობითა და ქალთა შებმის უზადლო ოსტატობით. მამაჩემსაც უსმენია, უსმენია და ერთი „წვეტიანი“ იდეა მოსვლია თავში, რომლის განხორციელებასაც მეორე დღესვე შეუდგა. ბიძაჩემის ალბომიდან რუსი ლამაზმანის ფოტო ანაპნა, რუსულ ენაზე წერილი გააშანშალა, კონვერტში ჩადო, ზედ გაუქმებული და ძველი ბუქდის შტამში დაარტყა და ამ ჩვენი მაქებრის ცოლს, ლოლას გაუგზავნა, თითქოს ერთ-ერთ რუს ნაშას გამოეგზავნა რუსეთიდან. წერილს ასეთი შინაარსი ჰქონდა: თითქოს ის ქალი, ამ ჩვენი ოქროსგან ბავშვს ელოდებოდა და სთხოვდა, სასწრაფოდ ჩამოდიო. ვინაიდან ამ წერილის ადრესატმა ლოლამ რუსული არ იცოდა, მეზობელს ნაულო გადასათარგმნად, მაგრამ გზაშივე იეჭვა, წერილში აღმოჩენილი ქალის სურათითა და ქალური ინტუიციით, რომ რალაც რიგზე ვერ იყო. როდესაც „მთარგმნელთან“ მივიდა და უკვე გადმოქართულებული ვერსია მოისმინა, მუხლისთავებზე ხელის ტყაპუნითა და წყველა-კრულვით გამოხატა უკმაყოფილება თავისი სასიკვდილე და არ გადასარჩენი ქმრის მიმართ. საღამოს ნაჯახიც გაუღესავს, თავი უნდა გავუპო, ოჯახს ანგრევსო. აქ კი მამაჩემს შეშინებია, მართლა რამე არ მოინიოსო და სხვისი პირით შეუთვლია თავისი ოინის ამბავი... იქ ამბავი ამტყდარა... ახლა ეს ჩვენი ლოლა ქმრისთვის გალესილი ნაჯახით უკვე მამაჩემს დასდევდა მოსაკლავად. ამ ამბის ორივე გმირი მკვდარია, მაგრამ ეს ამბავი ყოველთვის მხიარულად გვახსენდება ხოლმე. SWEET-GIRL“.

მათე არ არსებობს

„მოგესალმებით ყველას. ვფიქრობ, უფლება არ მაქვს, არ მოგიყვებ ჩემს დაუფინყარ სიყვარულზე, რომელსაც იხსენებენ ჩემს „სასტავში“. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჩემს სამეგობროში ყველას „ლოვე“ ჰყავს, ჩემ გარდა და 24 საათი მათზე ლაპარაკობენ. ამიტომ გადავწყვიტე, ყველასთვის ყბა ჩამომეგდო. მაშ ასე, თავდაპირველად დავინყე უცნაურად ქცევა. გონებაში შევქმენი „ვაუ-კაცი“, რომელზეც ყველა იოცნებებდა. უკვე ყველა შემფოთებული იყო ჩემი უცნაური საქციელით, რომ ერთხელაც გაცისკრონებული სახით მივედი

აბეზარი
თაყვანისმცემლები

და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ვთქვი: მაკოცა! რასაც დანვრილებითი ინფორმაცია მოჰყვება, ჩემს მოგონილ კაცზე და თვალბის შუბლზე ასვლაც. დროა, სიმართლე გაიგონ: მათე არ არსებობს, ბავშვებო, ვისუფრე და მამატივთ. მიყვარხართ. საბედისწერო ქალი“.

„ახ, ტი, ტრუს“

„ამ კვირის თემა არ ვიცი, მაგრამ ახლა ისეთი სასაცილო ამბავი გავიგე... ერთ ახლობელს ოსებთან ჩხუბი მოუვიდა და საქმის გასარჩევად და ოსურის გადასათარგმნად ბიძაშვილი წაიყვანა. ოსებმა დაუწყეს მისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკი, ბიძაშვილი კი უკუღმა უთარგმნინდა. ეუბნებოდა, ვითომ შერიგებას აპირებდნენ. ეს ჩემი ნაცნობი კი გადამიბეჭდა უყურებდა. ჰოდა, ნებისყოფადვარგულმა ოსმა უკიდურეს ზომებს მიმართა და „ახ, ტი ტრუს“, უთხრა. აქ კი დაეჭვდა ჩვენი გმირი და საქმე მთლად კარგად ვერ უნდა იყოსო, მუშტი უთავაზა და მოჰკურცხლა. თან ბლატაობდა, ნახეთ, რა მაგარი ვარ, პირველ შეურაცხყოფელ სიტყვაზე ვცემეო. მის თანმხლებს გაცინა და უთხრა — შე კაცო, ერთი საათი მთელი სანათესაო გიტრიალა და თავს უქნევდი და რალა მაინცდამაინც „ტრუს-მა“ გაგაბრაზაო? იქ კი მეორედ დასჭირდა მუშტის მოქნევა. ბოლო“.

„მოგიკვდა, ბებია“...

● ამ კვირაში 4 მგზავნილი გავიცანი და სიხარულით ჭკუაზე არ ვარ. ბელო, აბეზარა, მესტრო, ოლეგარიო, ძალიან კარგები ხართ, გული მწყდება, რომ საქართველოში არ ვარ და პირადად ვერ გაგიცნობთ. ბელო, თურმე ვინ ყოფილხარ, სიხარულო... შენი გაცნობა არ იქნება პრობლემა, მაგრამ ცუდია, რომ ჩემს ჩამოსვლამდე არ შეგხვედრივართ ერთმანეთს. შენს მეუღლეს პირადი საყვედური ჩემგან (ჭხუმრობ, რა თქმა უნდა, ყველანი ძალიან მიყვარხართ. მესტრო, უმაგრესი ადამიანი ხარ, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი გაქვს, შუალამისას გეძინება ხოლმე და კითხვებს პასუხგაუცემელს მიტოვებს. დაბოლოს, აბეზარა, გმადლობ... ძალიან საყვარელი და ყურადღებიანი ხარ. კიდევ ერთ მგზავნილს დიდი მადლობა, რომ აბეზარას ნომერი მომცა... სო-ნი.

● ვაიმე, Eko Boy, გენაცვალე, ჩემში მიძინებული სლები (კანონიერი ქურდის კლიკაა) გააღვიძე. შენა და, გვერდზე გამო, აბა... რამ გაგააგრესიულა პატარავ, არ მგონია, ვინმეს რაზე ჰქონდეს შენი დასაწუნი და მარის — მით უმეტეს. ყველას მაგრად ვფასებ, მაგრამ მარი იმენა მიყვარს! ნუ გენყინება ჩემო Eko Boy, მაგრამ სხვანაირი რეაქცია ვერ მექნებოდა შენს გამოსვლაზე! ვოტ ი ვისიო! ფეშენა.

● მოგესალმებით ყველას. გრუზინკა, ჩემო კარგო, აქ რაღაც გაუგებრობაა. ახლა ნავიკითხე გზა და მივხვდი, შეცდომითაა დაბეჭდილი სევდიანი ქალის მესიჯი. მას შენი ნომრის გაგება სურს, თორემ მამაკაცის გაცნობა კი არ უნდა, ახლა ვნახე, ლამის გავგიჟდი და ბევრივე ვიცინე. ეტყობა, შენც არასწორად დარეკე და სხვამან მოხვდი, თორემ რას ჰქვია, არ გიპასუხებდა? დიდი ხანია, გვინდა შენი ნომრის გაგება და ვერ მოვხებრებთ. ასე რომ, ვფიქრობ, მექანიკური შეცდომაა. დამირეკეთ, გელოდები. არ გინდა, ვიმეგობროთ? მე და სევდიანმა ქალმა კარგი მეგობრობა ვიცი. უბრალო სიტყვები არაა, ამას საქმით და ერთგულებით დავამტკიცებთ. მარი, გთხოვ, არ დამბლოკო. იდუ-

მალი ქალი.

● მარ, საყვარელო, გილოცავ შენ-ბულებში გასვლას. გამიხარდა, დასვენების საშუალება რომ მოგეცა. ნამდვილად იმსახურებ გემრიელ დასვენებას. ძალიან მენყინა, ასე უსაბრთლოდ და დაუმსახურებლად რომ გატყინეს გული. შენ ხომ იცი, ჩვენ როგორ გვიყვარხარ? ჰოდა, ნუ მიაქცევ ყურადღებას სხვის ნათქვამს. სასიამოვნო დასვენებას გისურვებ. იასამანი.

● მარიამულ, ძვირფასო, კარგ დასვენებას გისურვებ. ეპპ, შენ შეიძლება, ადამიანს არ უყვარდე? შენ ხომ ყველაზე ტკბილი და თბილი ხარ, ამქვეყნად. მიყვარხარ! გაკოცნი შენი ლუნა.



მიყვარხარ

● ლევან ქარსაულიძე, ამქვეყნად ყველაზე ძალიან მიყვარხარ და ყოველდღე ველოდები შენს დაბრუნებას. ლევ, უშენობა აუტანელია.

● მინდა, ჩემს სიცოცხლეს, კახუჩელას ვუთხრა: შენ ჩემი სიყვარული და სიცოცხლე ხარ და სულ მენატრები. იღუმალი-მაი.

● მე მენატრები ყველაზე ძლიერ, სურვილად მექცა შენთან შეხვედრა, იმ მთვარეს ვგავარ, ფიქრში რომ ათევს, ოცნებად რომ აქვს მზესთან შეხვედრა.

● ჩემო ქმარუკავ, მიყვარხარ ცხოვრებაზე მეტად. უშენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს. მადლობა უფალს, რომ შეგვავხედრა. შენი ბაჯბაჯა ცოლუკა, თ.დ.

● ნინწო და მანა, ძალიან მენატრები ჩემო ლამაზებო, მიყვარხართ. ევა.

● ვათუ, უზომოდ მიყვარხარ, უშენობა ვერ წარმომიდგენია. ჩემი უსაყვარლესი და ულამაზესი ბიჭი ხარ! შენი წურბე-ლა.

● მინდა, ჩემს სიყვარულს ვუთხრა: მალე ჩამოვალ და ერთად ვიქნებით. მას ეს ძალიან უნდა. ქეთი+გოგითა.

● ჩემო სიყვარულო, სიხარულო, სულ თვალწინ მიდგას შენი სახე, შენი თვალე-ბი, შენი ეშმაკური სიცოცხლე. მენატრება შენი ჩახუტება, შენი მოფერება, შენი გაგიჟება. მინდა დაგვოცნო შენი გულის ფეთქვა. არც ერთი დღე არ დაღამებულა და არც ერთი ღამე არ გათენებულა უშენოდ. როგორ მენატრება შენთან გატარებული დღეები. რა ბედნიერი ვყოფილვარ და თვალის დახამამებაში წაიშალა ყველაფერი. ამქვეყნად ყველაზე მტანჯველი სიყვარული ყოფილა. შენ ჩაკალი ჩვენი სიყვარული. არ შეგიძლია ჩვენი სიყვარულის დაცვა. მართო მე უძლური ვარ. შენ ჩემი სიყვარული ხარ და სიყვარულს არ ღალატობენ. შენ ჩემი მამო ხარ, ჩემი გიჟბაჟუნა. გეტუტუნე.



გილოცავ!

● დედიკო, გილოცავთ 11 სექტემბერს, 57 წლის იუბილეს. დიდხანს იცოცხლე, დევე! ჯანმრთელობას და სიხარულს გისურვებთ. ძალიან გვიყვარხარ, ჩვენო ლამაზო დედა-ლალა. შენი ხატია და გიორგი ხატისაშვილები.

● ინგა სარალიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 სექტემბერს. მეყოლე ჯანმრთელი და წარმატებული ქალი. გაიხარე შენს ტკბილ და საყვარელ ქმარ-შვილში. შენი დედა, ციური.

● 7 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ ივეტა თევზაძე-დოლონაძეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ქმარ-შვილთან და ახლობლებთან ერთად.

● ადამიანს, ადამიანთა შორის — მგზავრს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო კეთილო ადამიანო, ჯანმრთელი და ბედნიერი გვეყოლე ღვთის მადლით და წყალობით გამდიდრებული. ტირიფი73.

● გელა დარსალიას ფოთში გაბედნიერებას ულოცავ ახლო მეზობლები და ირაკლი კომახიანი. უსურვებენ ბედნიერ მომავალს და სიყვარულს.

● ჩემს ერთ დროს უახლოეს მეგობარს, ქეთი მალაფერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მართალია, ერთმანეთი დავკარგეთ, მაგრამ მე მინც არ მავიწყდება ჩვენი მეგობრობა.

● მინდა ჩემს დედიკოს, ნანა კბილაშვილს მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და უღვი სიხარული. დე, მიყვარხარ ძალიან, ძალიან. შალვა.

● ჩემს საყვარელ შვილს, მერი მაჩიტაძეს 17 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. გფარავდეს უფალი. გვეყრები და გკოცნი, შენი დედიკო.

● 17 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ გელა კოტრიკაძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, მეუღლესთან ერთად. გისურვებთ მრავალშვილიანობას. ლელა მამიდა.

● ნითელხევში 17 სექტემბერს მიშკა გენელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. გაიხარეთ, მიყვარხართ ყველა. ლელა.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ანას ვულოცავ დაბადების დღეს. გახარება და სიყვარული არ მოკლებოდეს. უფალმა დალოცოს. გკოცნი და გვეყრები, შენი მონატრებული დედა, თამილა.

● გორში გიორგი ქარელიძეს და თამთა ავაზენელს გაბედნიერებას ულოცავენ ბიძაშვილები, ესპანეთიდან. დღეგრძელობა, ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. გვენატრები.

● 10 სექტემბერს დაბადების დღეს

ვულოცავ ლაგოდეში პაატა კიკლაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, ცოლ-შვილთან ერთად. გფარავდეს უფალი. ელიკო.

● ნათია ნამგალაურს დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. საუკეთესო მომავალს გისურვებთ, ყველა შენიანთან ერთად, მამიდას სიხარულო. ელზა, გიორგი და ზუკა.

● 4 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ძმისშვილს, მონიკა ჩაკვეტაძეს. სასახელო ქალბატონი აღზრდილიყოს. კარგი მომავლით გაეხარებინოს მშობლები. მენატრები. ნინო.

● ჩემს დედიკოს, ლიანა გელაშვილს და დაიკოს, ნინო გელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 და 14 სექტემბერს. ვუსურვებ ყველაფერს კარგს. ფიქრია.

● მელო ბალავაძეს ვულოცავ 6 წლის შესრულებას. მედო, დედი გაიხარდე, სასახელო გოგო იყავი. ღმერთი გფარავდეს. შენზე უზომოდ მონატრებული შენი დედიკო, ხათუნა.

● აზა ჩუბინიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. უღვე სიხარულს და სიყვარულს ვუსურვებ.

● რუსთავეში თაზო მაჩაბელს დაბადების დღეს ვულოცავ. ყოველთვის გახარებული მენახე და დედის ამაგი დააფასე. გკოცნი, ჩემო სიხარულო. ანა დეიდა.

● ცირა ტულუშს, ნათია ლომიძეს და ირაკლი ბუიძეს ვუსურვებ ბედნიერ სტუდენტობას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. გილოცავთ თემური მშვილდაძის დედა, ია.

● დაბადების დღეს ვულოცავ 13 სექტემბერს, აზა ჩუბინიძეს. ვუსურვებ კარგად ყოფნას და უფლის მფარველობას. ცინარა შუბლაძე.

● დაბადების დღეს ვულოცავ არაგვისპირში, ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ლიზი მჭედლიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ლამაზ ბავშვობას, უღვე სიხარულს, ნათელ და ბედნიერ მომავალს. ბაბო.

● ჩემს ძმას, ბუხუტი კბილაშვილს: ბუკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 15 სექტემბერს. მრავალს დადესწარი, გაიხარე შენი მშობლებით, დედამიშვილებით. შენთვისაც მალე მოგველოცოს ბედნიერება. გფარავდეს უფალი. გაზაფხულივით ლამაზი, ზაფხულივით თბილი, შემოდგომასავით მდიდარი და ზამთარვით სუტაკი ცხოვრებით გველო. კახა და ირინა.

● მადონა სილაგაძეს ვულოცავთ 10 სექტემბერს, დაბადების დღეს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში და დიდ გამძლეობას. შენ ხომ ათენში მრავალი წელი ხარ? აქ ხომ სიკეთის მთესველი ხარ, ჩვენო მადო. ამიტომ ის დიდი ზეციური ძალა გფარავდეს. გკოცნით მარინა გოგელიძე და რუსუდან ყიფიანი.

● ათენში მყოფ მანანა ჩხაიძე-იობიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 სექტემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა და მფარველობა. გფარავდეს უფალი, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გკოცნი, მარინა გოგელიძე.

● ათენში მყოფ ნატო ხმელიძე-დვევიძეს ვულოცავ 12 სექტემბერს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს. ასე ლამაზად და სახელოვნად გველოს მთელი ცხოვრება, ჩემო ნატალია, რათა შენი სახელით ეამაყოს შენს ოჯახს. ღმერთმა ამირავლოს შენისთანა ადამიანები. დიდი სიყვარულით, მარინა გუმბერიძე-გოგელიძე.

● ქუთაისში მცხოვრებ ჩემს შვილებს, კახა და ლინა ქობალიებს ვულოცავთ 28 აგვისტოს პატარა მარიამის დაბადებას. პატარა მარიამ, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას და გახარებას. სასახელო გოგო გამოსულიყავი. წმინდა მარიამის კალთა იყოს შენი მფარველი. ჩემო კარგებო, ასევე გილოცავთ მარიამობას. მისი მადლი არ მოგკლებოდეთ. ძალიან გვენატრებით, ჩვენო საყვარლებო. გკოცნით უამრავს, თქვენგან შორს მყოფი მზია ბუბო და ლირა დეიდა.

● ოქროსქედში მცხოვრებ ნიკოლოზ ბაჯელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველაფერ კარგს, რაც კი არსებობს ამქვეყნად. აფენდიკო. ღვთისმშობელმა დაგიფაროს, ბეთანია გწყალობდეს, ნიკორწინდამ ჩაიხიფოს, გელათი კი გწყალობდეს. გფარავდეს უფალი ყველგან და ყველაფერში. ნესტანი.

● ნინო და გოგი კლდიაშვილებს ვულოცავ შვილიშვილის, თაზოს დაბადებას. ნინო, იმდენ შვილიშვილს გისურვებ, რამდენიც ვარსკვლავთა გალაქტიკაში. ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახს. ახალგაზრდა ბებოვ, სულ ასე ჯან-ღონით სასეე ყოფილიყავი. ნესტანი.

● ჩემს დისშვილს, ნატო ხმელიძე-დვევიძეს ვულოცავ 12 სექტემბერს დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ ქმარ-შვილთან და პატარა შვილიშვილთან ერთად. უფალი გფარავდეს. შენი დეიდა ჟუჟუნა ცუცქერიძე.

● ალექსანდრე ანანიშვილს: ჩემო ძმაო, გილოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიკეთე და ღვთის მადლი იყოს შენი და შენი ოჯახის თანამგზავრი. გკოცნი, შენი დაიკო.

● ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში მინდა ბედნიერება მივულოცო თონას და გოგიტა პაიტიძეს. იყავით მუდამ ბედნიერები და გიყვარდეთ ერთმანეთი. გამრავლდით და გაიხარეთ. გაახარეთ ყველა თქვენნიანი გული. თქვენი და, ეკა. ■

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუტში

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა

● „წითელი მზე, მწვანე ბალახი შავი ზღვის მაგივრად და თეთრი ტალღები სადღაა?“ ჩუმლაყელი.

● „ამ გოგოს უკან თავისი სახლია. რა ქნას, გაბატონებული თუ ცხოვრობს? მძლოლმა კიდევ დაუსიგნალა და გააღვიძა, უკანა ეზოში რომ ისვენებდა. ამას გოგოს რეაქცია მოჰყვა“. ლუპუს-ალექს.

● „წესიერი შეზღონგი მაინც წამომელო“. ელე.

● „სხვისი აზრი მკიდა“.

● „ჩვენ, ქალები, ბუნებით ანგელოზები ვართ, მაგრამ, როდესაც ფრთებს გვამტვრევენ, იძულებული ვხდებით, ცოცხით ვიფრინოთ“. ინანო.

● „სწრაფი მომსახურების ობიექტი“.

● „ყოველთვის ვოცნებობდი, რომ აქ დამესვენა და როგორც იქნა, ოცნება ამიხდა“. მარიშკუ.

● „რა ლამაზი ხედია, სად მოვა აქ ბათუმის ზღვა?“ გრუზინკა.

● „ვეძებ კაცს, ვინც ჩემთან ერთად დაისვენებს“. გრუზინკა.

● „ხმაურს გამოვექეცი, რა სიწყნარეა, ნამდვილი სამოთხე“. გრუზინკა.

● „ამისთვის ეს ბოლო გაჩერებაა, რა ქნას? ხელებს კი გამვლელი მანქანების „ზომებში“ იქნევს, იქნებ გაუმართლოს“. რაი.



„ბავშვობაში წიგნებს ქალდატანებით მაკითხებდნენ“



„თბილისში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იწყება“

თაშუა კინიკაპი

პაკლიტის მაგიერ

— ირაკლი, მარჯანიშვილის თეატრში მალე სეზონი იხსნება, დასვენება თუ მოასწარ?

— რომ გითხრა, კარგად დავისვენე-მეთქი, ტყუილი იქნება. ბოლო პერიოდი თბილისში შინდისიდან დავდივარ, იქ გადავსახლდი. ზაფხულში 1 კვირით ჩემს მშობლიურ კახეთსაც ვესტუმრე. ადრე დასასვენებლად ხმაურიანი ადგილები მიზიდავდა, ახლა სინყნარეში დასვენება მირჩევნია. დავებრდი თუ რა მჭირს, არ ვიცი (იცინის). ამ მხრივ, სოფელი საუკეთესო ადგილია, შენთვის მშვიდად ხარ და ენ. ცივილიზაციაც დიდად არ განუხებს.

— თბილისში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იწყება. ამის შესახებ რას გვეტყვი?

— დიას, ფესტივალი სექტემბრის ბოლოს იწყება. თბილისში 14 თუ 15 ქვეყნის დასი ჩამოდის.

— მათ მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრის სცენა უმასპინძლებს?

— არა, რამდენიმე თეატრის სცენაზე გამოვლენ. ბილეთები გაიყიდება. თუ არ მემლება, მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტია. ფესტივალი 3 კვირა გაგრძელდება და სანახაობრივად დატვირთული იქნება.

— სახლების ნუმერაცია პირველად XVIII საუკუნეში ლონდონში შემოიღეს. რით განისაზღვრებოდა მანამდე სახლის მისამართი ლონდონში?

— არ ვიცი.

— მფლობელის სახელითა და გვართ. „მარცვლეთის ღვინო“ — ასე უწოდებენ მას ჩვენში, ეგვიპტეში — „ხორბლის ნახარშს“. მას არაერთ ქვეყანაში ამზადებენ. რომელია ეს სასმელი?

— საქართველოშიც ამზადებენ?

მატყრული ლიტერატურა დიდად არ უყვარდა. ახსოვს, ბავშვობაში წიგნებს ძალდატანებით როგორ აკითხებდნენ. იმ დროს გაუნძრევლად ვდომაც აღიზიანებდა, ამიტომ შეეძლო, კითხვა ყველაზე საინტერესო ადგილას შეენწყვიტა და ის ნაწარმოები აღარც გაეგრძელებინა. დღეს უფრო სამეცნიერო ლიტერატურა იზიდავს. როცა კითხვას საყვარელ ავტორებზე ვუსვამ, დაუფიქრებლად მპასუხობს, — გრიგოლ რობაქიძე. დრამატურგებიდან კი იტალიელები, განსაკუთრებით — პირანდელი მოსწონს. მოხარულია, რომ ქართულ დრამატურგიაში თამამი ნაბიჯები შეინიშნება, ახალი პიესები იდგმება. ნოვატორული იდეები მოსწონს და სჯერა, რომ ხვალ და ზეგ ქართული დრამატურგია უკეთესი იქნება. წიგნს მოპარვის ფაქტს ვერ იხსენებს, აგონდება, სკოლაში წასულს, წიგნები შინ რომ რჩებოდა და მერე დახმარებისთვის კლასელებს მიმართავდა, — მასწავლებლისთვის საჩვენებლად მისთვის წიგნი ეთხოვებინათ. მაშ ასე, „ერუდიტი“ სტუმარი — მასიობი ირაკლი ჩიქოვანი გასლავთ.

— დიას.

— ლუდი.

— ამ მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებას უფოლოგია ეწოდება. რას შეისწავლის?

— უცხო სხეულებს, უცხოპლანეტელებს.

— რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?

— გონდოლა.

— რომელ დიდ მოგზაურსა და მკვლევარს უწოდებს პაპუასებმა „ადამიანი მთვარიდან“?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ: ეს მოგზაური მათ ცხოვრებას სწავლობდა.

— ვერ გიპასუხებ.

— მიკლუხო მაკლაი. რა ჰქვიათ ორგანიზმებს, რომლებიც სხვა ცოცხალ ორგანიზმზე ან მასში სახლობენ და მის სარჯზე იკვებებიან?

— ბაქტერიები, პარაზიტები, კიდევ რა ჰქვიათ?

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. ამჟამად რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ოშკის ტაძარი?

— თურქეთის ტერიტორიაზე.

— თუ წრენიროს სიგრძეს ორჯერ გაზრდიან, რამდენჯერ გაიზრდება მისი რადიუსი?

— ვაიმე! ეს რა მკითხე (იცინის)! ასეთ რამეებში ვერ ვერკვევი.

— მარტივი კითხვაა. წრენიროს რადიუსი ორჯერ გაიზრდება. რომელი უღელტეხილით უკავშირდება მესხეთი ზემო აჭარას?

— არ ვიცი.

— გოდერძის უღელტეხილით. აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?

— (ფიქრობს) მგონი, „გამზრდელი“ გვხვდება, არა?

— დიას. სად გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი?

— ვერ გიპასუხებ.

— განჯაში. რა არის გულანშარო „ვეფხისტყაოსანში“ — ქაჯეთის, ზღვათა სამეფოს თუ ხატაელთა დედაქალაქი?

— არ მახსოვს.

— ზღვათა სამეფოს დედაქალაქი. ამ ადამიანის მიერ დაწერილი წიგნით უამრავი თაობა აღიზარდა.

თავიდან მასში ხშირად ვხვდებით ბარბარიზმებს: ფეჩი, სტოლი, შკოლა, კარანდაში, სტაქანი; რომელია ეს ნიგნი?

- იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“;
- რა ქმნის რუკაზე გრადუსთა ბადეს?
- ვერ გიპასუხებ.
- მერიდიანებისა და პარალელების ერთობლიობა. რომელ კონტინენტს უწოდებენ დედამიწის ყველაზე ცხელ კონტინენტს?
- აფრიკას.
- აფრიკაში არის მყინვარწვერი?..
- (მანყვეტინებს) დიას, კლიმანჯარო.
- როგორი გეომეტრიული ფორმის მოედანზე თამაშობენ ბეისბოლს?
- რომბისებრ მოედანზე.
- რამდენ სართულადაა განლაგებული ვარძიის სამონასტრო კომპლექსი?
- არ ვიცი. ვარძიაში ნამყოფი არა ვარ.
- 13 სართულად. რას იყენებენ მხატვრები აკვარელის გასახსნელად?
- წყალს.
- რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარიბჭე — პარიზში, ბერლინში, ამსტერდამ თუ ვენაში?
- პარიზში არ არის (ფიქრობს)... ვერ გიპასუხებ.
- ბერლინში. რომელი ზღვების აუზებს განეკუთვნება საქართველოს მდინარეები?
- რა თქმა უნდა, შავი და კასპიის ზღვების.
- ვინ მეფობდა კოლხეთში, როცა არგონავტებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?
- არ შემახსენო, იმ მეფის სახელს გავიხსენებ (ფიქრობს). აივტი.
- რომელი ციხის აღებისას მოკვდა გირშელი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“?
- არ მახსოვს.
- ქორსატეველას ციხის. ეს პოლონელი კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებდა პოლონელ გლეხთა სიმღერებს. მისი ნაწარმოებები, მათ შორის სონეტები, საფორტეპიანო მუსიკის უდიდეს საგანძურს განეკუთვნება. იგი პარიზში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მაგრამ მანამდე გული ამოაცალეს, სამშობლოში ჩაიტანეს და ვარშავის ერთ-ერთი ეკლესიის კედელში ჩაატანეს. დაასახელე ეს კომპოზიტორი.
- შოპენი.
- რა სახელი ერქვა დავით აღმაშენებლის ყივჩაღ მეუღლეს?
- ხათუნი.
- ცდები, მას გურანდუხტი ერქვა. დაასახელე სპორტის სახეობა, რომლისთვისაც სათამაშო დრო არ არის განკუთვნილი.
- ასეთი არაერთია.

- ერთ-ერთი დამისახელე.
- (ფიქრობს) ფრენბურთი.
- რომელ საუკუნეში ვითარდება შემოქმედება დიუმას „გრადი მონტე-კრისტოში“?
- XIX საუკუნეში.
- ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი ამბობდა: „კეთილშობილი ადამიანი ფიქრობს მსოლოდ მომავალზე, სულმდაბალი კი...“
- მსოლოდ საკუთარ თავზე.
- „...მსოლოდ სარგებელზე“. რომელ მდინარეზეა „უინვალჰესი“?
- არაგვზე.
- ამ ცხოველს, მისი ელევანტურობით, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვითა და კაპასი ხასიათით ქალს ადარებენ. იგი აბრაამ ლინკოლნს — 3, ჯორჯო არმანის — 6 ჰყავდა. ამ ცხოველთან „მეგობრობდნენ“ ჰელმუტ კოლი და ბილ კლინტონი. დაასახელე ეს ცხოველი.
- კატა.
- ეს სახელგანთქმული მხატვარი უმეტესად ყვითელ მზესუმზირებს ან წითელ ვენახებს ხატავდა. გინესის რეკორდების ნიგნიში კი მოხვდა ტილოთი — „ექიმ გაშეს პორტრეტი“. ვინ არის ეს მხატვარი და რატომ მოხვდა გინესის ნიგნიში?
- ვან-გოგი, მაგრამ გინესის ნიგნიში რატომ მოხვდა, არ ვიცი.
- ყველაზე ძვირად ღირებულ ტილოდ არის მიჩნეული. ამჟამად რომელი ქალაქი მდებარეობს ანტიკური ქალაქის — დიოსკურიის ადგილას?
- სოხუმი.
- რომელი ქვეყნის პრინცი იყო ჰამლეტი?
- დანიის.
- რისი სახელებია: „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „თამარიანი“?
- არ ვიცი.
- დროშების. დედამიწაზე ხარობს ხე, რომელსაც ხანძრის არ ეშინია. რომელია ეს ხე?
- ალბათ ბაობაბი, არა?
- დიას, ეს ხე აფრიკაში ხარობს. „ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას“; ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
- ვერ გიპასუხებ.
- კონსტანტინე გამსახურდია. ამ ქვეყნიდან შეიძლება გადმოხედო მსოფლიოს, რადგან იქ უამრავი მაღალი მწვერვალი იჭრის თავს. მას „ყველაზე მაღალ სახელმწიფოსაც“ უწოდებენ; რომელია ეს ქვეყანა?
- ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.
- ნეპალი. მამაკაცის მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი XV საუკუნის ბოლოს შემოვიდა. ამ მოდის დამფუძნებელი საფრანგეთის მეფე — შარლ VII გახლდათ. რამ განაპირობა ეს სიახლე?
- არ ვიცი.
- მას ფეხებზე 6-6 თითი ჰქონდა. სადაური ფირმა „სიმენსი“?
- გერმანული.
- დაბოლოს, დაასრულე მონტენის გამონათქვამი: „ადამიანი, რომელიც ცოტას საქმობს, მეტისმეტად ყბედია, ვინც ცოტას ფიქრობს, იგი...“
- „...ბევრს ლაპარაკობს“.

იკუდი +

ნაპოლეონის პირადი ქართველი მცველი რუსტამი გვარად რაზმაძე იყო. თოგა მოციქული ლოცვის დროს ისრით მოკლეს.

1975 წელს საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის კოსმოსური ხომალდები ერთმანეთს კოსმოსურ სივრცეში შეხვდნენ და ეკიპაჟის წევრები ერთმანეთთან გადავიდნენ. მათ ხომალდებს „სოიუზი“ და „აპოლონი“ ერქვა. „რუსეთის გენერლებს შორის ყველაზე მეტად ერთი მაფიქრებს, ესაა ბაგრატიონი“, — ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტე.

თანამედროვე ტიპის პირველი გაზეთი საფრანგეთში გამოიცა. მას La gazette ერქვა და ტირაჟი 1200 ცალს შეადგენდა. მისი მფლობელი — თეოფრასტ რენდო კი მსოფლიოში პირველი გაზეთის გამომცემლად ითვლება.

გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გავაჩვით თვალს

1. რა არის თექურა?
2. დაასრულეთ ჰოლანდიური ანდაზა: „ღმერთმა შექმნა სამყარო, ჰოლანდიელებმა კი...“
3. რა ჰქვია გეოგრაფიულად ერთ გვაროვან დიდ სივრცეს?
4. რა არის წრბოლი?
5. რა არის დარაია?
6. რა არის ლისი?
7. რა არის გავოტი?
8. „999“ ინგლისის სამაშველო სამსახურის ნომერი გახლავთ. მობილური ტელეფონების მომრავლებასთან ერთად, ამ სამსახურში შემოსული ზარების რაოდენობამ მკვეთრად იმატა. რატომ?
9. დაასრულეთ უინსტონ ჩერჩილის სიტყვები: „ვფიქრობ, ისტორია ლმობიერი იქნება ჩემ მიმართ, რადგან...“
10. 1987 წლის 14 მაისს ნიუ-იორკში, კრისტის აუქციონზე 1873 წელს გამოშვებული 45-კალიბრიანი რევოლვერი „კოლტი“ რეკორდულ ფასად, 242 ათას დოლარად გაიყიდა. ასეთი მაღალი ფასი იარაღის სერიულმა ნომერმა განაპირობა. რა ნომერი ჰქონდა იარაღს?
11. ერთ-ერთი სპექტაკლის დადგმისას მოლიერი იძულებული გახდა, საკუთარი კომედიის პერსონაჟის, მსახური სგანარელის რეპლიკა — „ეს ღმერთის ნება-სურვილია“, შეეცვალა რეპლიკით: „ეს ზეცის ნება-სურვილია“. რატომ?
12. მიხეილ თუმანიშვილი გასტროლების დროს დასს იშვიათად დაჰყვებოდა. რატომ?

ანეკდოცენი

* * *

ფეხმძიმე დედა შვილს ეკითხება:



— ვინ გინდა, დაიკო თუ ძამიკო?
 — მე ცხენი მინდა!
 — ამ მაღაზიაში არ არის ცხენები. ასე რომ, ამოირჩიე, დაიკო გინდა თუ ძამიკო?
 — ხომ გითხარი, ცხენი მინდა!!!
 — საყვარელო, გიმეორებ, ამ მაღაზიაში ცხენები არ იყიდება!
 — ჰოდა, თუ არ იყიდება, წაიდა აბორტი გაიკეთე!

* * *

ექთანს ავადმყოფი გორგოლაქებიანი სავარძლით მიჰყავს. ავადმყოფი კვნესის:
 — დაო, იქნებ ნემსი გამიკეთოთ, ძალიან მტკივა.
 — არა.
 — იქნებ რეანიმაციაში მაინც ამიყვანოთ!
 — არა. ექიმმა მითხრა, რომ შენთვის მორგი უფრო შესაფერისი ადგილია!

* * *

მამა შვილს ეუბნება:
 — შვილო, როგორ შეგიძლია, ცხოვრების თანამგზავრი კომპიუტერის საშუალებით ეძებო? ეს ხომ ამორალურია!
 — შენ როგორ გაიცანი დედა?
 — როგორ და, კარტში მოვიგე!

* * *

— რა ღირს ღვიძლი?
 — 12 ლარი.
 — გადასანერგად კი არ მინდა, შე კაცო!

* * *

— რას იცინი?
 — ბიჭი შემეძინა!
 — ვაა, გილოცავ!
 — ხმადაბლა ილაპარაკე, ცოლმა არ იცის!

* * *

— რით განსხვავდება პატრიოტი ჩვეულებრივი ადამიანისგან?
 — ჩვეულებრივს დედ-მამა აკეთებს, პატრიოტს — მთელი ქვეყანა.

* * *

ცოლი ქმარს ეუბნება:
 — აი, გამოვაკრავ ჩვენი სანოლის თავზე განცხადებას, დეგენერატი რომ ხარ და ნახავ, მთელი ქალაქი გაიგებს!

* * *

— იდეალური მამაკაცი არ ეწევა, არ სვამს, არ იგინება, არ ჩხუბობს, არ იგვიანებს და არც არსებობს.

* * *

იყიდება ცოცხალი თევზი კასრში.
 — თევზი ახალია? — კითხულობს მიხო.
 — ახალი კი არა, ვერა ხედავ, ცოცხალია.
 — მერე რა, ჩემი მაროც ცოცხალია, მარა ახალი კი არ არის!





* * *

ჭარბწონიანი ქალბატონი ექიმთან მივიდა:

— ექიმო, იქნებ მირჩიოთ, წონაში როგორ დავიკლო?

— ძალიან ეფექტური ვარჯიში ვიცი: თავი უნდა ამოძრაოთ მარჯვნივ და მარცხნივ. აი, ასე — ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს!

— და როდის შევასრულო ეს ვარჯიში, დილას თუ საღამოს?

— ყოველთვის, როცა რაიმე საჭმელს შემოგთავაზებენ.

* * *

— სიცოცხლე, ძალიან გიყვარვარ?

- კი, ძალიან.
- როცა მოვკვდები იტირებ?
- კი.
- აბა, მაჩვენე, როგორ იტირებ?
- შენ ჯერ მოკვდი და...

* * *

— რა განსხვავებაა ქმარსა და შვილს შორის?

— შვილი შეგიძლია ძიძასთან მარტო დატოვო, ქმარი კი — არა!

* * *

პატარა ბიჭი თავის სასქესო ორგანოს ათვალერებს:

- დედიკო, ეს ჩემი ტვინია?
- არა, შვილო, ჯერ არა.

* * *

ბიჭს გოგო საწოლი ოთახისკენ მიჰყავს.

— იქნებ ეს ქორწინების შემდეგ გაგვეკეთებინა?! — ამბობს გოგო.

— არა, რას ამბობ, შენი ქმარი ეჭვიანი რომ გამოდგეს?!

* * *

- თიკო რატომ არ თხოვდება?
- იდეალურ მამაკაცს ელოდება.

— და როგორია მისი იდეალური მამაკაცი?

— რომელიც ცოლად მოიყვანს.

* * *

— ყურზე დათვმა ხომ არ დაგაბიჯა?

— არა, რას ამბობ, აბსოლუტური სმენა მაქვს!

— სმენა რა შუაშია, სარკეში ჩაიხედე!

* * *

— გუშინ კინოში ვიყავი, შუქი ჩაქრა და ნახევარი საათი მთელი დარბაზი სიბნელეში ვიყავით.

— წარმომიდგენია, რა პანიკა ატყდებოდა...

— კი, ოღონდ, ნახევარი საათის შემდეგ, როცა შუქი აინთო.

* * *

- რამდენი წლის ხარ, გოგონი?
- მალე რვის გავხდები, ჯერ კი სამის ვარ.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი.
2. „ჰოლანდია“.
3. მასივი.
4. „წრბოლი“ და „ლორწო“ სინონიმებია.
5. აბრეშუმის ქსოვილი.
6. ჭაობის მცენარე.
7. ფრანგული ცეკვა.
8. სწორად პატრონებს ტელეფონის კლავიატურა დაუბლოკავი რჩებოდათ და ამის გამო ამ ნომრის უნებლედ აკრება ხდებოდა.
9. „თავად ვაპირებ დავწერო იგი“.
10. №1.
11. სცენიდან ლმერთის სახელის სხენებას ეკლესია კრძალავდა.
12. ქართველ რეჟისორს პანიკურად ეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობის.

რენიფოსტო მანია



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

მწვანე სამყაროს მარტოხელა ბინადარი და ჩაპოტაჟი ოთახის მცენარეების სხლიდან



ამ უცნაურ, სხვებისაგან გარეგნობითაც კი განსხვავებულ ადამიანს ვაკის ბაზრობაზე შევხვდით. როგორც შევეიცვით, ის კვირაში რამდენჯერმე აქ თვითნაკეთი ველოსიპედით მოდის და წლების განმავლობაში ნასათუთებ და შვილივით გაზრდილ ოთახის მცენარეებს ყიდის. „გაჭირვებას რა ვუთხარო, თორემ ამის გაყიდვა როგორ შეიძლება, ზოგიერთ მშობელს შვილზე არ ექნება ისეთი ამაგი, მე რომ ამათზე მაქვს“, — მითხრა მოხუცმა ალბინოსმა და ვარდისფრად გადაფთქულ „ციცინათელას“ მზრუნველად გადაუსვა ხელი...

მეორე სართულზე სვეული რკინის კიბით ავედით, ასასვლელთან, პატარა მინის ნაკვეთზე, სხვადასხვა ფერისა და სახეობის ყვავილები ხარობს, ოთახის შესასვლელი კი მთლიანად მცენარეებს აქვს დათმობილი.

ლალი პაპასკირი

„არ შეგეშინდეთ“, — ღიმილით გამაფრთხილა მოხუცმა და მწვანე სამყაროში შემოიღვა. დიდ ოთახში მცენარეების გარდა, არაფერი ჩანდა: ავეჯის, კედლების, ჭერისა და იატაკის დიდი ნაწილი ათასგვარი მცენარის ტოტებით, ფოთლებითა და ყვავილებით იყო მოფენილი... აქ როგორ დადისარტ-მეთქი? — წამომცდა გაოცებისგან და იმ წუთსავე ჩემი უტაქტო შეკითხვის მომერიდა. კითხვაზე მასპინძელს გაეღიმა, — აქ მე კი არა, ყვავილები დადიან; ისინი ამ სახლის მთავარი ბინადრები არიან, მე კი სტუმარი ვარ, დილას გავედივარ და საღამოს შემოვდივარ, ისინი კი დაბადებიდან

აქ არიან, „ფეხი არ მოუცვლიათ“... როცა ამ უცნაური სახლის უცნაურადვე მოსაუბრე პატრონს ვუსმენდი, რამდენიმე წუთი ზღაპრულ სამყაროში მეგონა თავი. ალბინოსმა კი, თითქოს ჩემი აზრები ამოიკითხაო, ფართოდ გამიღიმა და მითხრა: ცოტა ამოისუნთქე, შვილო, და შემდეგ უცნაურობათა სამყაროს მეორე ოთახს ვესტუმროთ.

კარი ყველგან ღია იყო და ზედ გადაფენილი მწვანე, იასამინისფერი და თეთრზოლიანი „ჭორიკანას“ ფოთლები, ჭერიდან და კედლებიდან დაშვებული, ჩემთვის უცხო მცოცავი ყვავილების ტოტებში იყო ჩახლართული. მართალია, ჩიტების ჭიკჭიკი და წყლის ხმაური არ ისმოდა, მაგრამ საერთო სურათი მაინც ქმნიდა ტყის ეფექტს. ოთახებში ფეხაკრეფით მოსიარულე მასპინძელს ფრთხილად დავეყვებოდი და ვცდილობდი, უცნაური სახლის „მთავარ ბინადრებს“ არ მივკარებოდი.

— სწორად იქცევით, — მითხრა თეთრწვერა მოხუცმა, — გარდა იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ძალიან ნაზია და შესაძლოა, ერთ მიკარებაზე ღეროები დაემტვრეს, ფერიც გადასდით და აღერგისაც იწვევენ. ძალიან ძნელი მოსაველეა. როცა ძალა მქონდა, დღე და ღამეს ვასწორებდი, რომ არაფერი მომეკლო: მიწას ვუცვლიდი, სასუქს ვუყრიდი, ზოგს შაქრიანი წყლით ვრწყავდი, ზოგს კი — იოდნარევით. ტყვეობაში მყოფი მცენარე მაშინ არის ლამაზი, როცა მოვლილია. ეს მცენარეები ველური ბუნების კლიმატს ვერ უძლებენ, ნაზები არიან და იმიტომაც ჰქვიათ ოთახის მცენარეები, — ჰყვება მოხუცი ალბინოსი.

— მზრუნველი ხელი ეტყობათ; ისე გაგიხარებიათ, არც ერთი მცენარის ქოთან არ ჩანს...

— კი, ვცდილობ, ძალ-ღონე არ დავიშურო. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩინური ვარდი თავისი ბუნებით ლამაზ ქალს მაგონებს, ყველაფერი საუკეთესო უნდა, იმისათვის, რომ ერთი ცალი „ღიმილი (ყვავილი) გაჩუქოს“, სულ უნდა ეფოფინო. ყოველ დილას ფოთლებს სველი ჩვრით ვუწმენდ და ვცდილობ, სხვებს გავარიდო: არ უყვარს, როცა ეხებიან და ამას გამოხატავს კიდეც.

— როგორ გამოხატავს?

— მოილუშება და ტოტებს ჩამოყრის. ძალიან მგრძობიარეა. ასევე კანადური „ტიტლი“, რომელსაც უცნაური აგებულების გამო ადგილობრივები ტეხილასაც ეძახიან. ეს მცენარე საფრანგეთში წაიღეს ლუდოვიკო XIV-ს დავალებით და მისი საყვარლები სუნამოებს იმზადებდნენ. ტიტლი ყველაზე იოლი მოსაველეა, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი სჭირდება. სულ ცდილობს, ვიღაცას „ჩაეხუტოს“, მაგრამ ისე მჭიდროდ ეყრდნობა სხვებს, რომ რამდენიმე დღეში ახმოებს. ამიტომაც ვცდილობ, კედელთან „მივაყენო“.

— ოთახის ყვავილებს, ალბათ, ტემპერატურაც შესაბამისი სჭირდება.

— რალაც განსხვავებული — არა; მთავარია, ზამთარში არ შესცივდეთ. 90-იან წლებში დენი და გაზი არ იყო და ასობით მცენარე გამიხიბა. კინალამ გავგიჟედი, საკუთარ თავს ვინ ჩიოდა, მცენარეებზე ვნერვიულობდი... არანორმალური არ გეგონოთ — უბრალოდ, ყველას თავისი გატაცება და ჰობი აქვს, მერე კი, სოციალური თუ გარემო პირობების გამო, თავიანთ გატაცებას თავს ანებებენ. მე პირიქით დამემართა — ჩემი ცხოვრების წესმა მცენარეებს მიმაჯაჭვა... საერთოდ კი, მცენარეებით ჩემი გატაცება ბებიამჩემის დამსახურებაა. რახან ჩემი უცნაური ცხოვრების წესით დაინტერესდით, ჩემი ბიოგრაფიიდან რალაცებს მოგიყვებით. განსაკუთრებული არაფერი შემოძლია გითხრათ, გარდა იმისა, რომ მე და ჩემი ოჯახი უკუღმართი საბჭოთა ეპოქის მსხვერპლი გავხდით: რამდენიმე თვის ვიყავი, როცა დედ-მამა 1937 წელს ციმბირში „გაანანილეს“ და იქიდან ცოცხლები აღარ დაბრუნდნენ. სანამ „ყვავილების მამა“ გავხდებოდი, დიდი ხნის განმავლობაში ფოსტალიონად ვმუშაობდი და სწორედ ამ წლებში მივიღე მშობლებისგან ერთადერთი წერილი. ბარათი ჩვენს მისამართზე იყო გამოგზავნილი, მაგრამ გამომგზავნის მისამართი არ ეწერა. როგორც შემდეგ გავარკვიე, გაყვითლებული კონვერტი გადასახლებიდან დაბრუნებული პატიმრე-

ბის ეშელონს ჩამოჰყვა... ბებიჩე-მისთვის წერილი არც მინახვებია, რადგან გაგანია საბჭოთა რეჟიმი იყო და შემეშინდა, აღელვებულ მოხუცს „მამა-მარჩენლები“ ლანძღვა-გინებით არ აეკლო.

— ამის გამო, საფრთხე თქვენც გემუქრებოდათ?

— რა თქმა უნდა. ერთხელ ლენინზე ნახევრად იუმორით ვთქვი, — დამარხონ ეს საცოდავი, მკვდარს რაღას აწვალენ-მეთქი — და სამსახურში სასტიკი საყვედური გამომიცხადეს: როგორ გაბედე და ხალხის ბელადს მკვდარი უწოდო?! ეს მაშინ ანტისაბჭოურ გამოსვლად მიიჩნეოდა. წარმოიდგინეთ, ბებიჩემის საყვედური ვინმეს რომ მოესმინა, რა დღეში ჩაგვყრიდნენ, თანაც გადასახლებულთა ოჯახის წევრები ვიყავით და არც ის იყო გამორიცხული, ჩვენც გავეციმბირებინეთ.

— საინტერესოა, რა ეწერა წერილში... თქვენს სახელზე იყო გამოგზავნილი თუ ბებიის?

— ჩემს სახელზე იყო და ასე იწყებოდა: „ჩვენს თითქმის უცნობ, მაგრამ უფალივით ახლობელ და ძვირფას შვილს“... სულ რამდენიმე წინადადებისგან შედგებოდა, მაგრამ ლოცვასავით ყოველდღე ვკითხულობ... ნუ მომთხოვთ მისი შინაარსის მოყოლას, ეს იმდენად პირადულია, რომ ამ თემაზე საუბარიც კი მიჭირს... ცხოვრებაში უამრავი განსაცდელი გადამიტანია, მაგრამ ამიტანია, ამ წერილის მოსვლის საიდუმლოდ შენახვა კი ძალიან

გამიჭირდა. ბებია იმ დროისთვის ძალიან განათლებული ქალი იყო, სულ კითხულობდა. მისი ოჯახიც (მშობლებსა და ძმებს ვგულისხმობ) გადასახლებაში მოყვა და ჩემ გარდა არავინ ჰყავდა. მკაცრი ცხოვრება მის ხასიათზეც აისახა — მესაკუთრე და ეჭვიანი გახდა, ადამიანებთან ურთიერთობას ერიდებოდა. მე ვყავდი და ყვავილები, რომელზეც ისე იყო გადამკვდარი, როგორც ახლა მე. მათი ფოთლებისგან მალამოებსა და კრემებს ამზადებდა, შემდეგ ახლობლებს ჩუქნიდა. ეს საქმე საკმაოდ კარგად გამოსდიოდა, მაგრამ გაყიდვას ვინ გაბედავდა?! შეიძლებოდა, ეს სპეკულანტობად ჩაეთვალიათ და დაეპატიმრებინე... როგორც სხვებს, ჩვენც გვიჭირდა. ამიტომაც, ჯერ კიდევ მესამე კლასში სწავლისას ფოსტალიონობა დავიწყე. პირველი წლები ზურგზე ჩანთამოკიდებული ვატარებდი მაშინდელ პრესას, შემდეგ უკვე ველოსიპედი გადმომცეს, რომლითაც ახლა ოთახის ყვავილები დამაქვს გასაყიდად... თანამედროვე ბეჭდური პრესა ძალიან მრავალფეროვანია, მაშინ ასე არ იყო. „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ლიტერატურული საქართველო“, „დილა“, „ცისკარი“ და კიდევ რამდენიმე, სულ თითზე ჩამოსათვლელი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა. სატარებლად მძიმე იყო, რადგან ნახევარი თბილისი მებარა. ყოველ დილას ალიონზე ვდგებოდი, პირველი გაკვეთილისთვის რომ მიმესწრო. სკოლის გასახდელში ვტოვებდი ჩანთას და გაკვეთილების შემდეგ ისევ ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდი. უამრავი „შრომაში წარჩინებულის“ მედალი მაქვს მიღებული, მაგრამ მათ დროის გამოცდას ვერ გაუძლეს და ამჟამად, ძველ პრესასთან ერთად, ჩემი სახლის სარდაფს „ამშვენებენ“.

— რას ნიშნავს „დროის გამოცდას“ ვერ გაუძლო“?

— დიას, იმ წუთში იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი მედლები და „პაჩოტნი გრამოტები“, ახალგაზრდა ვიყავი და მიხაროდა, — ქვეყნის ხელმძღვანელობა ჩემს შრომას აფასებს-მეთქი, მაგრამ მერე, როცა ჩემი ოჯახის ბედი გავაანალიზე, მივხვდი, რომ საბჭოთა

სისტემა საშინელი მოსტრი იყო, რომელმაც უამრავი ჩემნაირი ადამიანის ცხოვრება შეინირა.

— რამდენადაც ვიცი, საბჭოთა წლებში გამოსული პრესის ყველა გამოცემა და ყველა ნომერი შენახული გაქვთ...

— დიას, მხოლოდ იმ წლების, როცა ფოსტალიონად ვმუშაობდი. 30 წელზე მეტი სტაჟი მაქვს. სარდაფში დიდი ხანია, არ ჩავსულვარ და შესაძლოა, მღრღნელებს



ჩინური ვარდი

ჩემი არქივი განადგურებული აქვთ. უჰაერობას ცუდად ვიტან და სარდაფში ძალიან იშვიათად ჩავდივარ, ამიტომაც ვერ გავრისკავ ვერც თქვენ დაგპატიჟებთ, თუმცა კი საინტერესო იქნებოდა, გვენახა, რას წერდნენ მაშინ თქვენი კოლეგები... ამას წინათ, როცა ყვავილს ქოთანს ვუცვლიდი, მასზე შემოხვეული ძველი „კომუნისტი“ მომხვდა ხელში. დრო მქონდა და თვალი გადავახვე. ძალიან ვიხალისე. ეს სისტემა ისე აბრიყვებდა ხალხს, რომ სპილოს ბუზად მოგაჩვენებდა, ბუზს კი — სპილოდ. არაფერი გულწრფელი და უანგარო არ არსებობდა. ერთი სტატიის შინაარსს მინდა მოგიყვებ, სადაც ბამბის ქარხნის თანამშრომლების ჯაფას გადმოგვცემენ. ავტორი ჰყვებოდა, რომ ერთ ქალს შინ ბავშვის დამკავებელი არ ჰყავდა: „ოჯახის ყველა წევრი მუშაობს და საბჭოთა საქართველოში დიადი კომუნისტის მშენებლობაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს“, — ამიტომაც, სადეკრეტო შვებულების დასრულების შემდეგ, პატარა სამსახურში წამოიყვანაო, — საზოგადოებას კი ამისთვის ტაში უნდა დაეკრა!..

— იქნებ თქვენს პირად ცხოვრებაზეც გვითხრათ ორიოდ სიტყვა...

— ჩემი გარეგნობის, თმისა და სახის კანის ფერის გამო, ყველგან



ეს მცენარეები ველური ბუნების კლიმატს ვერ უძლებენ, ნაბები არიან და იმიტომაც ჰქვიათ ოთახის მცენარეები



ვინც კი ნახა, ასე მითხრა: პარასკევა კი არა ვარ, ტყეში რომ ვიცხოვრო!

ყურადღებას ვიპყრობდი. ნახევრად ხუმრობით გეტყვით: საბჭოთა წლებში სიყვარული თითქმის აკრძალული იყო, თუ ქალს გამოელაპარაკებოდი, ცოლადაც უნდა მოგეყვანა, მე კი. ცოტა არ იყოს, რთული ადამიანი ვარ და დიდად „გახსნილი“ და კონტაქტური არასდროს ვყოფილვარ. გარდა ამისა, მართალი გითხრათ, ქალების ყურადღებას მაინცდამაინც ვერ ვიქცევდი. თუმცა ერთი-ორი შემთხვევა მახსოვს, როცა მათზე სერიოზულად ვფიქრობდი. ეს ბებნის გარდაცვალების შემდეგ იყო. გარდაცვალებამდე კი მან მემკვიდრეობით მიღებული ყვავილები დამიტოვა და მთხოვა: ისეთი ქალი მოიყვანე ცოლად, ვინც ამ ყვავილებს ფანჯრიდან კი არ გადაყრის, არამედ მოუვლისო...

— ვერ იზოვთ ასეთი ქალი?

— ვერა. ვინც კი ნახა, ასე მითხრა: პარასკევა კი არა ვარ, ტყეში რომ ვიცხოვრო!.. მაშინ ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, გულწრფელად მჯეროდა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს ყვავილები მართლა უყვართ და ჩემი ჭკუით, მათ ჩემი მდიდარი კოლექციით ვხიბლავდი. არ უნდა მენახებინა და პრობლემაც არ იქნებოდა, არა?

— ვერ გეტყვით. შეიძლება, ადამიანს ყვავილები უყვარდეს, მაგრამ ასეთ გარემოში ცხოვრება გაუჭირდეს...

— მართალი ხართ. მეც დღემდე ძალიან მიკვირს ბებიაჩემის — როგორ ახერხებდა ასეთ სახლში ცხოვრებას?..

„ამ სპექტაკლში რაღაც ფორმით მედა ისევ დარჩება“...

„ჭრიჭინა“, „ბაში-აჩუკი“, „ნინო“, „გლახის ნაამბობი“, „მთარული რომანი“... „ადამიანებო, იყავით ფიზიკად“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „ჰამლეტი“, „როჩარდ III“, „აქ ამ საფანეში“, — რა მოთვლის იმ ფილმებსა და სპექტაკლებს, რომლებშიც მართლაც ბუმბერაზ მსახიობს — მედეა ჩახავას მიუღია მონანიღობა?! თითქმის 9 ათეულ წელს მიტანებულმა ქალბატონმა მედეამ მართლაც ვებერთელა მემკვიდრეობა დატოვა — შექმნილი სახეები, გამოჩენილი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... მისი ხელიდან არა მარტო სასცენო და საეკრანო, არამედ კულინარიული შედეგებიც კი გამოდიოდა... ამჯერად მხოლოდ რამდენიმე კოლეგის სახელდახელო მოგონებით შემოვიფარგლებით.



თაფუნა კვინიკაძე

გურანდა ბაბუნია, მსახიობი:

— თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის



თეატრში სპექტაკლებში — „ფიროსმანი“ და „ჩალის ქუდი“ დუბლიორად ამიყვანეს. ამ როლს ქალბატონი მედეა ასრულებდა. იმ პერიოდში შეუძლოდ გახდა და რამდენიმე დღე რეპეტიციებზე ვეღარ მოვიდა. როცა გამოჯანმრთელებული დაბრუნდა და მორიგ რეპეტიციას დაესწრო, რობერტ სტურუას უთხრა: ჩემო კარგო, მე იმდენი როლი მაქვს, ამ სპექტაკლში გურანდამ ითამაშოს, კლარას როლზე კარგად უმუშავია, ძალიან მომწონსო. ეს მე დღემდე მახსოვს და არც არასდროს დამავინწყდება.

— ეი. როლი დაგიტოვო.

— დიას. თეატრში ასეთი რამ იშვიათად ხდება.

— შემდეგ პროფესიულ რჩევებს თუ გაძლევადა?

— მედეა არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. საოცრად თბილი და სიკეთით აღსავსე. არ მეგულება ადამიანი, რომელიც მისგან მცირედ წყენას მაინც გაიხსენებს. ყველასთან შესმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდა.

— ბოლოს როდის ნახეთ?

— შეუძლოდ რომ გახდა, მე და ქეთი დოლიძე მის მოსანახულებლად

ერთად მივედით. დათრგუნვილი კი არა, ხალისიანი, ენერგიული მედეა დაგვხვდა, არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო, ათასი რამ გავიხსენეთ, მეგრულად ლაპარაკი ძალიან უყვარდა, თან სიტყვებს ლამაზად წარმოთქვამდა. სანამ დავემშვიდობებოდით, მითხრა: გურანდა, იცოდე, მე რომ როლი დაგიტომე, ეს ამბავი აღარ მოჰყვეო. დამიშალა, მაგრამ მაინც გაიმბეთ.

ჯეგალ ღაღანიძე, მსახიობი:

— ჩემი დებიუტი რუსთაველის სცენაზე 1956 წელს შედგა. მიხეილ თუმანიშვილმა კომედიაში — „ფილოსოფიის დოქტორი“ ამიყვანა. ამ სპექტაკლში ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, მედეა ჩახავა, რამაზ ჩხიკვაძე, ეკატერინე ვაჩნაძე და ძველი თაობის სხვა მსახიობები მონაწილეობდნენ. მე და ზინა კვერენჩილაძე კი ახალბედები ვიყავით. მედიკო პირველივე რეპეტიციაზე გავიცანი. მეზობლებიც აღმოვჩნდი, ჩვენ ეზოები გადაბმული იყო, ოჯახებიც დავემგობრდით. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ერთმანეთთან არ მივსულიყავით.



— როგორი პარტნიორი იყო სცენაზე? სხვებისგან რით გამოირჩეოდა?

— მედიკო პროფესიონალი იყო, ნიჭიერი და შრომისმოყვარე. თითოეულ როლს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. პრემიერის წინ ყოველთვის გაღიზიანებული იყო, მძიმე დღეები ჰქონდა, ნერვიულობდა, ლელავდა. რამდენი წელი იდგა

სცენაზე, რამდენი პრემიერა ჰქონდა, მაგრამ ეს თვისება ბოლომდე გამოჰყვა.

— „მოხუცი ჯამბაზები“ ბოლო სპექტაკლი აღმოჩნდა, რომელშიც ერთად ითამაშეთ.

— დიას, როცა ამ სპექტაკლზე მუშაობა დავიწყეთ, მედიკო ცუდად გახდა, მერე ოპერაცია გაიკეთა. მთელი დასი მის გამოჯანმრთელებას ველოდებოდით, მძიმე ზამთარი გვქონდა, ყინვები იყო. თეატრმა მანქანა გამოიყვანა და რეპეტიციებზე სიარულიც დაიწყო. ჩვეული შემართებით მუშაობდა. მოგეხსენებათ, ამ სპექტაკლს როგორი მონონება ხვდა.

გორა კაპანაძე, რეჟისორი:

— მიუხედავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ახალგაზრდული ენერგიით გამოირჩეოდა. კეთილი, თბილი და იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ. ბოლომდე გისმენდა და აკეთებდა იმას, რასაც სთავაზობდი, ზოგჯერ საკუთარ ვარიანტსაც გიჩვენებდა. არ გაგრძობინებდა, რომ დიდი იყო. პარტნიორების მიმართ დამხმარე და მომთმენი იყო. რეპეტიციებზე ხშირად იგვიანებდა და ამას ყოველთვის მძლოლებს აბრალებდა, ისინი მაგვიანებენ და რა ვქნაო! მსმენია, გასტროლებზე რომ მიდიოდა მატარებელიც კი ელოდებოდაო. ძალიან ენამოსწრებული და ქალური იყო.

— „მოხუცი ჯამბაზები“ მედეას გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ?

— მან დუბლიორის აყვანა სიცოცხლეშივე მოითხოვა. თავის შემცვლელად კი მანანა გამცემლიძე აირჩია. ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. მანანასთვის, ისევე, როგორც მთელი დასისთვის და ჩემთვის ამ სპექტაკლზე მუშაობა მედეას გარეშე რთული იქნება. ჯერ არ ვიცი, როგორ, მაგრამ სპექტაკლში რაღაც ფორმით მედეა ისევ დარჩება.



ჭირთსკობი

(10 - 16 სექტემბერი)

ვერჯი

პროფილაქტიკის მიზნით გაესინჯეთ ექიმს. ყურადღება მიაქციეთ შვილებს და გულისყურით მოეკიდეთ სამსახურის საქმეებს. კვირის ბოლო მშობლებთან ერთად გაატარეთ. მათგან ბევრ სასარგებლო რჩევას მიიღებთ.

კუჩრო

შეიძლება, დამატებითი შემოსავალი გაგიჩნდეთ. მოგინევთ დაძაბული შრომაც, რითიც კიდევ უფრო დაიმძიმებთ ცხოვრებას. გირჩევთ, დრო ისე გადაანაწილოთ, რომ დაისვენოთ და განიტვირთოთ.

ტყუპვაბი

ადამიანების მიმართ უნდობლობის გრძობა გაგიჩნდებათ. მაგრამ დაფიქრდით, ნაჩქარევ გადანყვტილებებს ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს დაფარეთ ყველანაირი გადასახადი.

კირჩხობი

ოჯახის წევრებისა და ახლობლების დასახმარებლად უკან არაფერზე დაიხვევთ. თქვენი მხარდაჭერით ისინი შეიძლება, მცირე ბიზნესშიც ჩაერთონ.

ღიმი

ახალი იდეებისა და გეგმების განსახორციელებლად მზად ხართ. ჩამოყალიბდით, შეადგინეთ ბიზნესგეგმა, დაიხმარეთ თანამოაზრეები და იმოქმედეთ. კვირის ბოლო მიუძღვნით შვილებს.

ქაფხუფი

საყვარელი ადამიანის მოუცლელობის გამო თავს მიტოვებულად იგრძნობთ. ნუ შეანუხებთ მას სატელეფონო ზარებით. გამონახეთ თქვენთვის შესაფერისი საქმე და ცოტა ხნით ამით დაკავდით.

სახსტორი

საყვარელი ადამიანი არ გაპატიებთ, თუ მის საიდუმლოს ქვეყანას მოსდებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. დარჩით შინ, რათა ახლობლებმა თქვენზე იზრუნონ.

მორიფი

მელანქოლიური განწყობილება მოგეძალებათ. მუშაობაც მოგებურდებათ; იქნებ ჯობდეს, თავი არ დაიტანჯოთ და გამხიარულდეთ? შეეხმიანეთ მეგობრებს და ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

მფვიდღისაზი

ფორტუნა თქვენს მხარეზეა. ახალი გეგმებისა და იდეების განხორციელებას შეძლებთ. დასაქორწინებულ მშვილდოსნებს თავბრუდამხვევი რომანტიკული თავგადასავალი ელით.

თხიზ რქა

გაითვალისწინეთ ვარსკვლავების რჩევა. ბრმად ნურავის ენდობით. ნუ ჩაიგდებთ თავს განსაცდელში. მოერიდეთ სარისკო ქმედებებსა და ავანტიურას.

ვერჯუფი

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდებათ, თუ გადაღლილობისგან გამონეულ გაღიზიანებას მას გაუშვლავნებთ. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ.

თეფხუფი

მატერიალური კეთილდღეობა საშუალებას მოგცემთ სურვილები აისრულოთ და ახლობლებიც დაასაჩუქროთ. ეს პერიოდი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ.

პატარა ბენიოსოჯენ

გაზით „კვირის პალიტრის“ არქივიდან



5 წლის ლევანიკო ლომინიშვილი სტუმრად მისულ დეიდას უხსნის:

— მანანა დეიდა, იცი, კატა ვეფხვის ნათესავია, ძალი — მგლის, ლომი კი — ჩემი...



— ელენე, ეს ბარათაშვილის ძეგლია, სახლში რომ მივალთ, წიგნს გაჩვენებ, ბევრი ლექსი დანერა, — უხსნის პატარა ელენე ელიაშვილს ბებია. — დუმბაძის ლექსები? — გაუხარდა ელენეს.



ლულუ ბებო უხსნის პატარა ტატოს, თუ რა განსხვავებაა დედალსა და მამალს შორის:

— დედალი ქათამი ქალია და კვერცხებს დებს, მამალი — კაცი და ყივის. — ე.ი. მე კაცი და მამალი ვარ. შენ ქალი ხარ და დედალი, ხომ? — კითხ-

ულობს ტატო.

— ჰო, შვილო, — პასუხობს ლულუ ბებო.

— მერე შენ კვერცხებს დებ? — უკვირს ტატოს.



2 წლის გიორგი ჯაფარიძემ პირველად ნახა ტროლეიბუსი და დედას ეუბნება:

— დედიკო, შეხედე, ანკესი ავტობუსი.



ერთ საღამოს ეზოში გამოსულ 2 წლის ნინაკა ბიძინაშვილს ცა ვარსკვლავებით მოჭედილი დახვდა. მეორე საღამოს ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ იყო. გაოცებულმა ბავშვმა იკითხა:

— ბებო, ვარსკვლავები რა იქნა, ქათმებმა აკენკეს?



პატარა საბა დილით ეკითხება მამას.

— მამი, ნუხელ რა გესიზმრა? — რა ვიცი, საერთოდ ვერ ვხედავ სიზმრებს.


— რატომ, ბრმა ხარ? — უკვირს საბას.



ბარით მიწიდან იღებს კარტოფილს პატარა გიორგი, უყურებს მამამისს და ეუბნება:

— მამიკო, შეხედე ბაბუს სად დაუმაღავს კარტოფილი, მაგრამ ხომ მოვნახეთ.

				1 სამუშაო ადგილი		2 ზოგი ცხოველის საცხოვრებელი	3 ჩვენგან მოშორებით		4 თავს-აბურავი	5 ამერიკული სპორტსაქონლის ფარმა
				6 „დათა თუთიაშხიას“ ავტორი						
									7 ხის ღერი	
				8 ამორტიზატორი	9 ოქრომკედი	10 ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი				
11 ტანისამოსის კარდა								12 საზიდარი		
13 ქვეყანა აფრიკაში						14 ... კუსტურცა			15 იფევა, რაც ხასა	16 დაუბუშავებელი მიწა
17 რაიმეთი თავდავრეობით გატყუება					18 ჩრდლო-აღმერიკული დათვი			19 იტალიის ტელევიზია	20 ნალის დასა-კვებელი ლურსმანი	
21 კურკოვანი ხილი					22 სარწმუნოება					
23 დასშული მრული							24 მომავლის რწმენა			
25 კენიის დედაქალაქი		26 კატისებრთა ოჯახის მტაცებელი	27 ძვირფასი სასადილო		28 კუზიანი ხარი			29 მცირედაკო-პოლიანი სასმელი		
30 წვლის დიდი სივრცე	31 დიდი ლამაზი შენობა								32 აქლემის ან ცხენის რბე	
							33 ქალაქი საქართველოში			
							34 ... ბანდერასი			
	35 ზევის მამა	36 ჯუჯა კამეჩი								
							37 თეთრი ლაქა ხარის შუბლზე			
	38 რძის ნაწარმი									
					39 ტყუილი	40 ესპანეთის ფეხბურთის გუნდი				



წინა ნომრის სკანოკრიის პასუხები 1. ნინოშვილი; 2. ნოკაუტი; 3. ქოცო; 4. დინგო; 5. ლაინერი; 6. ონკოლოგია; 7. ლიანდაგი; 8. ტერფი; 9. აგუტი; 10. მოცვი; 11. ეკონომი; 12. მედიდური; 13. კიტო; 14. ტანკერი; 15. კია; 16. ფორტუნა; 17. ყაისნალი; 18. ვოლტი; 19. ჟაკო; 20. განძი; 21. ტბა; 22. არტიკული; 23. სპილო; 24. ირაო; 25. სატირა; 26. სარკოფაგი; 27. ამია; 28. რიტორიკა; 29. კილო; 30. ალაბამა; 31. ორბი; 32. იუკო; 33. ბოა; 34. ბაბუა; 35. კოლოფი; 36. ჩაი; 37. გობელენი; 38. ეპილატია.

სურათები: 1. ნაომი უოტსი; 2. კლინტ ისტუუდი.

ეთოტოკუჩიოზები



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„ღიღი მხატვრები“

შეიძინეთ

„კვირის პალიტრას“

ერთად!

წიგნების სერია
რჩეულ ფერმწერებზე -
შედეგები და ისტორიები



21-დან – 27 საქტემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის! სპეციალური ფასი - 15 ლარი!

